N39 (590) 29/IX-5/X-2011 ფასი 1 ლარი

გზა

ჩემი რჩეული
ოფია იოსელიანი
ექვსტომეული
ტომი III

შეგიძლიათ შეიძინოთ „გზის“ ამ ნომერთან ერთად!

წიგნი და „გზა“ ერთად 6 ლარი ღირს

წიგნის ფასი 5 ლარი

შემდეგ
ოფია იოსელიანი
ტომი IV

ვინ ამხიარულებს ლიკა ევგენიძეს

რამ აიძულა ნანიკო ხაზარაძე მიმტანად ემუშავა

„გელფრენდი სულ მყავდა და მყავს“

„საქმე მაღალჩინოსნებთან რავაცყვე...“

რუსთმოძულე 69 წლის მოხუცის აღსარება

PALITRATV-ზე გასული ეს სიუჟეტი ამერიკელებმა 20 საუკეთესო ვიდეოში შეიტანეს

„სტუმარ-მასპინძლის“ პროტოტიპთა საოცარი ამბავი

„მოხუცმა ქისტმა ვაჟას საკუთარი თავგადასავალი უამბო“

თინა მახარაძის მეტამორფოზები

რატომ გაურბის მსახიობი ფოტოკამერას

SOS!
საქართველოში ოჯახის წევრთა მკვლელობის ფაქტებმა იმატა

დაქირავებული კილერი და სასიკვდილოდ განწირული ახლობლები

ISSN 1987 - 5029

სახიფათო და სარფიანი ქართულ-აფხაზური ბიზნესი

პანცი ლიონი PANTSI LION

ახალი კოლექცია

მისამართი:

1. ერისთავის ქ.№2, მე-2 სართული (მეტრო დიდუბის ზემოთა ამოსასვლელთან), ტელ: 2 66 41 90
2. ერისთავის ქ. №5 (სავაჭრო ცენტრი „საბა“), მე-2 სართული, ტელ: 2 69 29 20
3. ოფისი 2 245-105

სმოკერ ხელტი

განიცადეთ სიამოვნება, იზრუნეთ პირად ჰიგიენასა და ჯანმრთელ ცხოვრებაზე!

კბილის პასტა 55 მგ

სმოკერ ხელტი

წარმოადგენს სოიოს მარცვლებიდან მიღებულ აქტიურ ნივთიერებებზე დამზადებულ ნატურალურ პროდუქტს.

მისი შემადგენელი კომპონენტები ანადგურებენ პათოლოგიურ მიკროფლორას, რითაც იცავენ პირის ღრუს სხვადასხვა დაავადებებისა და კბილებზე ნადების განვითარებისაგან რითაც უზრუნველყოფენ ჯანსაღ სუნთქვას.

კბილის პასტა სმოკერ ხელტს განსაკუთრებით საჭიროებენ ყავის, ალკოჰოლისა და თამბაქოს მომხმარებლები!

Nabros Pharma Pvt. Ltd.

მწარმოებელი: „ნაბროს ფარმა"
ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში
შ.პ.ს „კონტა ფარმა"
მისამართი № 56
ტელ: 223 63 25

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას გვერდითი მოვლენების შემთხვევაში დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ ექიმს

ჰილ კრემი

განთავისუფლდით კანის პრობლემებისაგან!

ჰილ კრემი

- წარმოადგენს უნიკალურ დამატენიანებელ და აღმდგენ საშუალებას, რომელიც მოქმედებს როგორც კანის ზედაპირულ ,ისე მის ღრმა მშრეებზე, რაც უზრუნველყოფს ნახეთქების და წყლულების სწრაფ შეხორცებას.
- ხელს უწყობს ფსორიაზის დროს კანზე განვითარებული ქერქების დარბილებას და მის აშრევებას.

გამოყენების წესი: გამოიყენება დღეში 2-ჯერ, დილა საღამოს.

Nabros Pharma Pvt. Ltd.

მწარმოებელი: „ნაბროს ფარმა"
ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში
შ.პ.ს „კონტა ფარმა"
მისამართი № 56
ტელ: 223 63 25

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას გვერდითი მოვლენების შემთხვევაში დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ ექიმს

მხოლოდ საბა ჯგუფთან ერთად

ქ. თბილისის მერიის პატრონაჟით

თიბისი ბანკი TBC BANK **დაფინანსებით**

ჩაბარება 2012 წლის დეკემბერი

მშენებლობის პროცესის ონლაინ კონტროლი

გურამიშვილის 78

მთავარი ოფისი:
თბილისი,
ბულაკეშტის 7

238 44 33
577 777 077
579 770 110

www.saba-group.ge

როდენი – წონაში დასაკლები უნიკალური საშუალება!

დაიკელი თვეში 9 კილოამდე

მისი დროული მიღება თავიდან აგაცილებთ წონაში გატეგასაც

- ეკოლოგიურად სუფთა, ბუნებრივი ჰორმონული, დამზადებული საფრანგეთის ჯიშის ნოსტელ ღვინოზე, ნატურალურ თაფლზე, მწვანე ჩაიზე და სამკურნალო მცენარეებზე
- ხელს უშლის ნახშირწყლების სხიმებში გადასვლას
- ხელს უწყობს სხიმების ბოლომდე დაწვას
- აკვეთებს მადას ენერგიის მომატების ფონზე
- ნოსტალგიურ დაჯყავს სიმსუქნის ჰორმონი ლეპტინი
- აჩეგელიჩებს ქოლესტერინს სისხლში
- ოსტეოზიზიდან გამოაკვს ზედმეტი სითხე და შლაკები
- ანესთეზიებს საჭმლის მოგნელებელ სისტემას
- გამოიჩევა ეფექტურობით ღვიძლის სხიმოვანი დისტროფიის დროს

როდენი

მოგვაკითხეთ მისამართზე:
თბილისი, რუსთაველის გამზ. №28
ან მიმართეთ
„ჯი პი სი“-ს, ავერსის საფთიაქო ქსელს,
და ქალაქის სხვა აფთიაქებს.
დაგვიკავშირდით ტელ. ნომრებზე
293 19 87; 230 97 52
მობ: 595308405;

e-mail - promoita@mail.ge
nikosaniltd@mail.ge

მილების წინ გაკეთანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს

13 ოქტომბრიდან!

ჟურნალ „კარიბჭის“
ყოველ ნომერთან ერთად!
(ორ კვირაში ერთხელ)

ზღაპრად ნაამბობი ყველაზე მთავარი წიგნი!

საღმრთო ისტორია

ილუსტრირებული ბიბლია ბავშვებისათვის

იაკობ გოგებაშვილისაგან!

პირველ წიგნში:

- ძველის შექმნა
- ადამიანის შექმნა
- სამოთხე
- ადამისა და ევას შეცოდება

წიგნის ფასი: 3 ლარი
(ჟურნალთან ერთად: 4 ლარი)

წიგნების ეს სერია იბეჭდება უწმინდესისა და უნეტარესის საქართველოს კათალიკოს პატრიარქის ილია II-ის ლოცვა კურთხევით.

ყოველ პარასკევს, ჟურნალ „სბავშვო ალბომთან“ ერთად, დიდი ქართველების ბიოგრაფიების თითო წიგნი!

30 სექტემბრიდან - 7 ოქტომბრამდე

მალე გამოვა:

23 პეტრე მელიქიშვილი
24 გიორგი ბრწყინვალე
25 ნოდარ დუმბაძე
26 ნიკო ნიკოლაძე
27 იაკობ გოგებაშვილი
28 მიხეილ მესხი
29 ექვთიმე თაყაიშვილი
და სხვა დიდი ქართველები

ერეკლე II

წიგნის ფასი: 2.50
(ჟურნალთან ერთად 3.50)

შემდეგი

გამოჩენილი ადამიანების ბიოგრაფიები
წიგნების სერია ბავშვებისთვის

უკვე გამოსული ტომები №1, №2, №3, №4, №5, №6, №7, №8, №9, №10, №11, №12, №13, №14, №15, №16, №17, №18, №19, №20, №21 შეგიძლიათ შეიძინოთ წიგნის მაღაზიებში

№39 (590)
29 სექტემბერი – 5 ოქტომბერი, 2011 წ.
ფასი 1 ლარი

კვირის პალიტრა
გზა

■ მინიატიურები 5
სიყვარული პარლამენტში

■ ჭრელი მსოფლიო 6

■ საზოგადოება 9

■ კონფლიქტის ზონა 11
სახიფათო და სარფიანი ქართულ-აფხაზური „პარტიზანული ბიზნესი“

■ კვალი 14
„სიყვარული ღმერთისკენ მიმავალ გზაზე დადგომას ნიშნავს, ასე მგონია“...

■ კრიმინალი 16
შეკვეთილი მკვლელობა და ახლობლების მიერ გაწირული ადამიანები

■ ოჯახი 18
ნიკა ალასანიასა და ლიკა ევგენიძის ოჯახური იდილია

■ ეკრანს მიღმა 20
როგორ ხიბლავს ზუკა ძამუნაშვილი უცნობებს

■ კარიერა 22
რაში დასჭირდა ნანიკო ხაზარაძეს მიმტანად მუშაობა

■ პირადი ცხოვრება 24
გიორგი აფციაური შეყვარებულს დაშორდა

■ მეტამორფოზები 26
რატომ გაურბის თინა მახარაძე ფოტოკამერას

■ თემა 28
უკანონო შვილები

ქვეყანა

სახიფათო და სარფიანი ქართულ-აფხაზური „პარტიზანული ბიზნესი“

„აფხაზეთის ადმინისტრაციული საზღვრის გაღმა-გამოღმა მცხოვრებმა ნათესავებმა ერთობლივი ბიზნესი წამოიწყეს და ეს საქმე ორივე მხარისთვის მომგებიანი აღმოჩნდა“.

11

სახე



რაში დასჭირდა ნანიკო ხაზარაძეს მიმტანად მუშაობა

„ავანტიურა ძალიან მიყვარს. თუკი შემომთავაზებენ, ფილმშიც ვითამაშებ, მით უფრო, თუ კარგი ანაზღაურებაც მექნება“.

22

ცხოვრება

უკანონო შვილები



„კაცს შეუძლია, ანალიზის თანხა არ გადაიხადოს და მისი უმაღლესი უფლება — მამობა ისე აღიაროს“...

28

გზა ვნილები

აკრძალული სიყვარული

„გიორგი „ფეისბუკზე“ გავიცანი. სახალისო პოსტებს დებდა და მეც არ ვიშურებდი სასაცილო კომენტარებს. მანამდე კომპიუტერი ჩემთვის მხოლოდ განტვირთვა იყო სამუშაო დღის შემდეგ და წარმოუდგენლად მიმაჩნდა სერიოზული ურთიერთობის აქ დაწყება“...

64

■ ფესვები 31
ფრანგი დადიანი, რომელსაც ქართული მზერით სცნობენ

■ პროფესია 33
მეგობრის ხათრით ნასწავლი უძველესი ვარცხნილობა

■ გასაჭირი 34
„აუცილებელია, ხის ძირას გვეძინოს, რომ დაგვეხმარონ?“

■ ნამდვილი ამბავი 36
ჯადოსნური სამკუთხედი...

■ თინეიჯერული პონტები 37
უხერხული პაემანი

■ ოსტატი 40

■ ტაძარი 42
რა არის უფლის მთავარი სათქმელი იგავებში

■ ანტიდეპრესანტი 44

■ საკითხავი ქალებისათვის 44

■ ერუდიტი 46
„ფორტუნის ნაკლებად მჯერა“

■ ავტო 48

■ ისტორიის ლაბირინთები 49
ვაჟას „სტუმარ-მასპინძლის“ პროტოტიპთა საოცარი ამბავი

■ ჯანმრთელობა 52
ვპასუხობთ მკითხველთა შეკითხვებს

■ წვეთი პოეზია 54

■ რჩეული 55
ჩვენი ოტია

■ ქართული დეტექტივი 56
რუსუდან ბერიძე. აბრეშუმის ვალეტი (დასაწყისი)

■ რომანი 60
სვეტა კვარაცხელია. ყალბი ლტოლვა (გაგრძელება)

■ გზავნილები 64
აკრძალული სიყვარული

■ ყველა ერთისათვის 68

■ მობილი-ზაცია 70

■ არენა 74
რად გინდა ფეხბურთი, თუ სტადიონი არა გაქვს?..

■ ეს სამყაროა 76

■ გასართობი 78

■ ასტროლოგია 80

■ სკანვორდი 81

■ ფოტოფაქტი 82

სამყარო

„ფორტუნის ნაკლებად მჯერა“

„ზაფხულის არდადეგების პერიოდში იმაზე მეტს ვკითხულობდი, ვიდრე მთელი დანარჩენი წლის მანძილზე. ერთი ძალიან ცუდი თვისება მაქვს — წაკითხული ადვილად მავიწყდება, კარგი მეხსიერებით არ გამოვირჩევი“.

46

ბიბლუსი

ვალეტი

— როგორც მეგობარი, შენს სამსახურში მიგულე, მაგრამ როგორც პოლიციელი, ველარაფერში დაგეხმარები.

— ვიცი, რომ ბიულეტენზე ხარ.

— ბიულეტენზე კი არა, პოლიციიდან საერთოდ მოვდივარ.

56

ტაიმ-აუტი

სად ისვენებდნენ მილიონერები

• ბილ გეიტსმა შვებულება გრენლანდიის დასავლეთ ნაწილში, მაღალმთიან სათხილამურო კურორტზე გაატარა. მილიარდერი მთის მწვერვალზე ვერტმფრენით ადიოდა. იქიდან გეიტსი სრიალით ეშვებოდა და დასვენების შემდეგ, ვერტმფრენს ისევ მთაზე აჰყავდა.

76

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: **ზურაბ აბაშიძე**
მთ. რედაქტორის მოადგილეები: **ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია**
პასუხისმგებელი რედაქტორი: **მარი ჯაფარიძე**
მენეჯერი: **მათე კბილაძე**

დიზაინი: **ანა უთურგაიძე**
კომპიუტერული უზრუნველყოფა: **ირმა ლიპარტელიანი, რეზო თხილიშვილი**

მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. #49
ტელ: 238-84-44, ფაქსი: 238-08-63. email: gza@palitra.ge
რეკლამა „გზაში“: 237-78-07; 238-78-70.

სიყვარული პარლამენტში

შესავლის ნაცვლად „Бьёт, значит – любит!“ („გცემს, ეი. უყვარხარ!“) — ქმრების მიერ რეგულარულად ნაგვემი რუსი ქალებისა თუ ცოლების მიერ რეგულარულად ნაგვემი რუსი მამაკაცების მიერ თავის დასამშვიდებლად გამოგონილი ეს იდიოტური გამონათქვამი გამახსენდა, როდესაც ვინმე აკაკი (იგივე კაკო, იგივე კაკოია) ბობოხიძემ, კიდევ უფრო მეტად ვინმე პეტრე მამრაძეს, — როგორ თუ აგვისტოს ომის დაწყება ჩვენს ხელისუფლებას დააბრალეო?! — გააქანა და ზედ ყბის კუთხეში რეკა!

საინტერესო ის იყო (ახლა, მე თუ კაი კაცი ვარ, რა უნდა იყოს ამაში საინტერესო?..), რომ პეტრეს (Пётр) წარბიც არ შეუხრია, ადგილიდანაც არ დაძრულა და სახეზე აშკარად ეწერა: „Бьёт, значит – любит!“

რაც შეეხება აკაკი-კაკო-კაკოიას მიერ ხელფეხის არადანიშნულებისამებრ ქნევას, ამაში ის ადრეც არის შემჩნეული — ამ ექვსი წლის წინ ანალოგიური აქტი ჟურნალისტ ირაკლი იმნაიშვილის მიმართაც ჩაატარა და, სავარაუდოა, მიზეზი მაშინაც იგივე იყო: „Бьёт, значит – любит!“



საქმე ის არის, რომ შესავალში ნახსენები ჩვენი კოლეგა, რომელიც ბობოხიძემ თავისი გუბერნატორობის დროს, უკაცრავად პასუხია და, გალახა, ამ ამბამდე ხან ერთ ტელევიზიაში მუშაობდა, ხან — მეორეში, ხან კარგად იყო, ხან — ისე რა, ხან ტოქშოუს უხურავდნენ...

სამაგიეროდ, იმ ინციდენტის შემდეგ — ირაკლი იმნაიშვილი ბი-ბი-სიზე მიიწვიეს და ახლაც ლონდონში მოღვაწეობს! ახლა მითხარით, ამხელა საქმეს რომ კაცი გაგიკეთებს, უყვარხარ, აბა, რა?!

იმ ჟურნალისტმა, ცხადია, არ იცოდა ეს ბრძნული რუსული გამონათქვამი და იმიტომ ატეხა ალიაქოთი — არიქა, იმერეთის გუბერნატორმა მცემაო; სამაგიეროდ, „ტავარიშჩ“ პეტრე მამრაძე კარგად იცნობს (და უყვარს) ყველაფერ რუსულს და ამიტომაც ისე „ტკბილად შეირგო“ ბობოხიძის მუშტი (იგივე ალიყური, იგივე სილაქი, იგივე ქიმუნჯი... უჰ, დაილოცოს ქართული ენა; თუმცა რუსულიც არანაკლებ მდიდარია — ასე არ არის, ამხანაგო პეტრე?). ალბათ იცის, რომ ამის შემდეგ შეიძლება, უკეთეს ადგილზე აღმოჩნდეს — ბოლოს და ბოლოს, ეტყვის „იქ, იმათ“, — ხომ ხედავთ, უკვე მირტყამენ; მე აქ ჩემი მისია ამოვწურე, წამიყვანეთ დამსახურებულ პენსიაზე, სადმე „პადმასკოვიეშიო“...

ახლა ბევრი მკითხველი შეიძლება გამინაწყენდეს და ალბათ კომენტარებითაც „დამბომბავენ“, — შე „მიშისტოო“! ოპოზიციას კიდე შენი ლანძღვა უნდა, ისედაც მთელ პრესა-ტელევიზიას „ნაცები“ აკონტროლებენო! რამდენი გადაგიხადა მერაბიშვილმაო!

ასეთი კომენტარების ავტორებს წინასწარ ვაფრთხილებ: მსგავსი ეჭვების გაჩენის შემთხვევაში, ჩვენს ინტერნეტსაიტზე (ambebi.ge) გადახედეთ ჩემს სხვა „პროვოკაციებს“ და დარწმუნდებით, რომ არც ამ ქვეყნის „დირექტორი“ მეხატება გულზე, მაგრამ „მიშისტობა“ კი არა, პედერასტობაც რომ დამაბრალონ, 27 სექტემბერს — სოხუმის დაცემის დღეს რომ კაცი, საქართველოს პარლამენტის წევრი გამოვა და საქვეყნოდ განაცხადებს, — აგვისტოს ომი ქართველების პროვოკაცია იყო რუსების წინააღმდეგო, — მე ეგეთი „ოპოზიციისკენ“ ვერ ვიქნები! აჰა, აიღეთ და ჩამქოლეთ!

ისე, მაგარი ბედი მაქვს — არც „იმათ“ ვუყვარვარ და არც — „ამათ“. თუმცა ისევ და ისევ თუ გავიხსენებთ, რომ „Бьёт, значит – любит!“, არ მინდა ამათი სიყვარული, თავისთვის შეინახონ.

აგე, სამაგიეროდ, „ახლა, როცა ამ სტრიქონს ვწერ“, დიდი გუბაზი „ქართველთა მარშს“ აწყობს და ხომ არ ვიცი, რამდენი კაცი მოვა (ჯერ მხოლოდ 3 საათია); შემიძლია დავიფიცო, რომ 2-3 ათას კაცს ან შეკრებს, ან — ვერა. მიზეზი? არ გეტყვით — იმ 2-3 ათას კაცს ეწყინება.

P.S. „დრონი მეფობენ და არა მეფენიო“ — ნათქვამია. ჩემსავით ბებრებს, ვისაც 80-იანი წლების დასასრულის ეროვნული მოძრაობა ახსოვს, ისიც ეხსომება, რომ ერთ-ერთ ცნობილ მიტინგზე, რომელიც მილიციამ დაარბია (მაშინ დარბევას ვეძახდით, რა ვიცოდით, „კაი დარბევა“ როგორი იყო, მიშა ჯერ კიდევ კიევის სპეცუნივერსიტეტის სტუდენტი გახლდათ), ერთ აქტივისტს ყბა მოამტვრია ერთმა ხელჯანიანმა პოდპოლკოვნიკმა — ერთი დარტყმით! ის მომიტინგე 2 თვე თაბაშირში ჩასმული პროთეზით დადიოდა და მას აკაკი-კაკო-კაკოია ბობოხიძე ერქვა! გაგიკვირდებათ და, ის მილიციელიც მახსოვს — ზაურა ერქვა (ერქვა რა, ახლაც ჰქვია), ჩემი მეგობრის მეზობელი იყო, ვერაზე.

ეტყობა, ზაურასაც უყვარდა ბობოხიძე და იმიტომ დაარტყა — იმის შემდეგ გუბერნატორიც გახდა და ახლა პარლამენტშია, მაგრამ ეს ამბავი სხვა რამის გამო გავიხსენე: ზაურა ახლაც ფორმაშია — ამას წინათ ვეტერან მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატი მოიგო.

ჰოდა, თუკი ვინმეს „მოსიყვარულება“ გინდათ, ერთ მუშტს არ დაგზარდებათ და ალალიც იქნება...

პროვოკატორი

ავტორს შეგიძლიათ, დაუკავშირდეთ ელფოსტით:
provokatori67@gmail.com

ქვეყანა

აზერბაიჯანში მცხოვრები ქართველები შველას ითხოვენ

აზერბაიჯანის ხელისუფლება ქართველებს ქართული წიგნებით სარგებლობის უფლებას არ აძლევს. „ერთობა სამართლიანობისთვის“ წევრს, დიმიტრი ლორთქიფანიძეს ზაქათალის რაიონის სოფელ ალიაბადის პირველი საშუალო სკოლის ქართული სექტორის დაწყებითი კლასების მასწავლებელი, ელინათი საფაროვა დაუკავშირდა და დახმარება სთხოვა. როგორც გაირკვა, აზერბაიჯანელებმა საფაროვას ლაგოდეხთან (საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე) მეორე კლასის ქართული სახელმძღვანელოები და სამუშაო რვეულები ჩამოართვეს. „ადრე მხოლოდ საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოების შემოტანას გვიკრძალავდნენ; ახლა, მათემატიკის გარდა, ყველა ქართული წიგნი ჩამომართვეს. ძალიან გვინდა პრეზიდენტ სააკაშვილთან შეხვედრა. გაგვარკვიოს, რა ხდება. თუ მას ჩვენზე ხელი აქვს ჩაქნეული, გვითხრას და ჩვენც გავჩერდებით. ჩვენი ბავშვები ჩუმად ემზადებიან ეროვნული გამოცდების ჩასაბარებლად. ქართულად საუბარს ჯერჯერობით არ გვიკრძალავენ, მაგრამ... თქვენც ხომ ხვდებით, წიგნების აკრძალვა რასაც ნიშნავს? წიგნების შემოტანას იმიტომ გვიკრძალავენ, რომ შემდეგ ქართულ ენაზე სახელმძღვანელოების არარსებობის საბაბით სკოლები დაგვიხურონ. მეორეკლასელ ბავშვს ხელით რამდენი რამე ჩავაწერინო? ალიაბადში რამდენიმე ათასი ქართველი ცხოვრობს. არა მგონია, თავიდან მოსაშორებელი ხალხი ვიყოთ“... — ამბობს ელინათი საფაროვა. ■

ბუნების ახალი სასწაული კალიფორნიაში

კალიფორნიის შტატში ტურისტებს ორიგინალურ პლაჟზე დასვენება შეუძლიათ, სადაც ქვიშის ნაცვლად ფერადი შუშის კენჭებია. პლაჟი ფორტ ბრეგთან ახლოს, მაკერიჩერში მდებარეობს. XX საუკუნის პირველ ნახევარში ამ სანაპიროზე უბრალო ნაგავსაყრელი იყო. ადგილობრივ მოსახლეობას იქ საყოფაცხოვრებო ნარჩენები, გაფუჭებული ავტომობილები და ტექნიკა მიჰქონდა. 60-იან წლებში ნაგავსაყრელის გაუქმება და პლაჟის ნაგვისგან გაწმენდა გადაწყვიტეს. მაგრამ საყოფაცხოვრებო მინის ნამსხვრევები ადგილზე დარჩა. მრავალი წლის განმავლობაში ტალღებმა მინის ნამსხვრევები ულამაზეს ფერად კენჭებად გადააქცია. ამჟამად ტბის მიმდებარე ტერიტორია ნაკრძალად არის გამოცხადებული და დამთვალიერებლებს მინის კენჭების შეგროვება ეკრძალებათ. სხვადასხვა ტურსააგენტო დამთვალიერებელს ტბაზე ექსკურსიას სთავაზობს. ტურისტებს შეუძლიათ, იმ სასწაულით დატკბნენ, რომელიც ბუნებამ კალიფორნიას აჩუქა. ■

რუსეთის დეპუტატი ახალ ომს გვპირდება

რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი სემიონ ბაღდასაროვი დარწმუნებულია, რომ რუსეთ-საქართველოს შორის ახალი ომი 2014 წლამდე გაჩაღდება. „ამჟამად ქართულ არმიაში 39 ათასი ადამიანია, აღდგენილია ყველა სახის შეიარაღება. იარაღის მიწოდება დასავლეთის ქვეყნებიდან, ასევე ისრაელიდან და თურქეთიდან განხორციელდა. ქართულ ჯარს ახლა უფრო შესაფერისი აღჭურვილობა აქვს მთიან ადგილებში საბრძოლველად, ვიდრე აქამდე იყო. ამასთანავე, საქართველომ შეიმუშავა ძალზე ეფექტიანი ახალი სამობილიზაციო სისტემა“, — განაცხადა დეპუტატმა სათათბიროს სხდომაზე. ბაღდასაროვი თურქეთის არმიაში შექმნილ მდგომარეობასაც შეეხო და აღნიშნა, რომ „იქ მოვლენები საქართველოს სასარგებლოდ ვითარდება“. მისი თქმით, „ერდოღანმა თურქეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბი და შეიარაღებული ძალების სარდლობა სამსახურიდან დაითხოვა, მათ ნაცვლად კი ჟანდარმერიის სარდალი დანიშნა“. ბაღდასაროვი დარწმუნებულია, რომ „სამსახურიდან დათხოვნილი მაღალკვალიფიციური სამხედროები, დიდი თანხის საფასურად, ქართული არმიისთვის კონსულტაციის გასაწევად დათანხმდებიან“. ■

ᲤᲡᲙᲔᲠᲖᲔ 200 ᲢᲝᲜᲐ ᲕᲔᲠᲪᲮᲚᲘ ᲐᲚᲛᲝᲐᲩᲘᲜᲔᲡ

ამერიკელმა მკვლევრებმა ატლანტის ოკეანის ფსკერზე 200 ტონა ვერცხლი იპოვეს. ეს ყველაზე დიდი განძია, რაც ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში აღმოუჩენიათ. ძვირფასი ლითონი კერძო კომპანიამ — Odyssey Marine აღმოაჩინა. ზოდებს სატვირთო ხომალდ — Gairsoppa-ს ტრიუმში მი-



აგნეს. როგორც გაირკვა, 1941 წელს ვერცხლით დატვირთული ხომალდი ინდოეთიდან დიდ ბრიტანეთში ბრუნდებოდა და ირლანდიის სანაპიროსთან ძლიერ გრიგალში მოჰყვა. კაპიტანი ირლანდიის გოლუეის პორტამდე მიღწევას ცდილობდა, მაგრამ Gairsoppa გერმანულ წყალქვეშა ხომალდს შეუნიშნავს, მისი მიმართულებით ტორპედო გაუშვია და ჩაუძირავს. სპეციალისტების თქმით, ტვირთი თითქმის არ არის დაზიანებული და მას მალე წყლის ზედაპირზე ამოიტანენ. განძის ღირებულება 230 მლნ დოლარს შეადგენს. ამ თანხის 80%-ს ის კომპანია მიიღებს, რომლის თანამშრომლებმაც განძი აღმოაჩინეს. ■

ᲐᲠᲐᲑᲗᲐ ᲥᲐᲚᲔᲑᲗᲐ ᲮᲛᲘᲡ ᲛᲘᲪᲔᲛᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲛᲝᲘ ᲞᲝᲕᲔᲡ

2015 წელს საუდის არაბეთში ქალები ხმის მიცემის უფლებას მოიპოვებენ და მუნიციპალურ არჩევნებში საკუთარი კანდიდატურების წამოყენებას შეძლებენ. შესაბამის ბრძანებას მეფე აბდალა აბდელ აზიზმა უკვე მოაწერა ხელი.

აღსანიშნავია, რომ საუდის არაბეთში ქალებს დღემდე ეკრძალებათ: ავტომობილის მართვა, ოჯახის უფროსი მამაკაცის ნებართვის გარეშე უცხოეთში წასვლა და მთავრობაში მუშაობა. ■

ᲛᲝᲙᲔᲚᲣᲪᲝ ᲞᲣᲢᲘᲜᲘ ᲓᲐ ᲨᲝᲙᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲐᲥᲙᲔᲘᲜᲘ

„მარადიული ვლადიმირი“, „რუსეთის ხელისუფლებაში ბრუნდება კაცი, რომელიც არსად წასულა“, „კაგებეს აგენტი ისევ ფორმაშია“, „მოდერნიზებული სტალინი ანუ პუტინი“ — ამ სათაურებით სტატიები დასავლურ მედიაში მას შემდეგ გაჩნდა, რაც ცნობილი გახდა, რომ ვლადიმირ პუტინი ახალი (მესამე) ვადით აპირებს პრეზიდენტის პოსტზე დაბრუნებას. რუსეთის პრეზიდენტმა და პრემიერ-მინისტრმა „ედინაია როსიას“ ყრილობაზე განაცხადეს, რომ პუტინი მზად არის, 2012 წლის რუსეთის საპრეზიდენტო არჩევნებზე იყაროს კენჭი, დმიტრი მედვედევი კი გამოთქვამს მზადყოფნას, არჩევნების შემდეგ მთავრობას ჩაუდგეს სათავეში. „ვლადიმირ პუტინი რუსეთს 8 წლის განმავლობაში მართავდა. სტაბილურობის სახელით საკუთარი ქვეყნის პოლიტიკური სისტემა გარდაქმნა, მაგრამ ხალხის თავისუფლება შეზღუდა“, — წერს გავლენიანი ფრანგული გაზეთი „ფიგარო“. სტატიის ავტორი შეგვახსენებს რუსეთის ამჟამინდელი პრემიერის აგენტურ წარსულს და დასძენს, რომ ის ყველაფერს ანადგურებს, რასაც კი ეხება. „ვლადიმირ პუტინი იძულებული გახდა, დამორჩილებოდა რუსეთის კონსტიტუციას, რომელიც ზედიზედ ორი ვადის შემდეგ პრეზიდენტის თანამდებობაზე დარჩენას კრძალავს. 2008 წელს მან პირველი პირის სავარძელი დმიტრი მედვედევს დაუთმო, თავად კი პრემიერ-მინისტრის პოსტზე გადაინაცვლა. მაგრამ მისი გავლენა არ შემცირებულა. ხელისუფლებასთან დაახლოებული ადამიანი და ერთ-ერთი მრჩეველი ვლადიმირ სურკოვი იქამდეც მივიდა, რომ შარშან ივლისში პუტინს უწოდა ადამიანი, რომელიც ქვეყანას „განგებამ და ღმერთმა რუსეთს მძიმე ჟამს გამოუგზავნა“. პრემიერ-მინისტრს საჯარო კეკლუცი უყვარს: ის ხან მოტოციკლეტს მართავს, ხან ძიუდოს დარბაზშია ან ტაიგაში, წელს ზემოთ შიშველი, ცხენს მიაჭენებს, ზოგჯერ კი სანქტ-პეტერბურგში საქველმოქმედო საღამოზე პიანინოს მიმჯდარი იწონებს თავს“, — ნათქვამია სტატიაში. აშშ-ის რესპუბლიკელმა სენატორმა ჯონ მაქკეინმა სოციალურ ქსელ „ტვიტერში“ საკუთარ გვერდზე დაწერა: „შოკირებული ვარ, რომ პუტინმა პრეზიდენტობაზე კენჭისყრა გადაწყვიტა. ეს ნამდვილი სიურპრიზი იყო“.

ჟურნალი „ეკონომისტი“ კი წერს: „თუ პუტინმა 2012 წელს გაპრეზიდენტება შეძლო, 2024 წლამდე ამ პოსტის შენარჩუნებასაც შეეცდება და მისი მმართველობა ხანგრძლივობით ბრეჟნევის ან სტალინის მმართველობის ვადას გაუთანაბრდება“... ■

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲨᲘ ᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲑᲣᲢᲘᲙᲘ ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ

ცნობილ საკურორტო ქალაქ ნიცაში ცხოველებისთვის სპეციალური ბუტიკი გაიხსნა, სადაც ოთხფეხა მეგობრებისთვის მოდური სამოსის შეძენა შეიძლება. მისი ძირითადი მომხმარებლები ძაღლები არიან, თუმცა თითო ხელი ელეგანტური კოსტიუმი კატებისთვისაც მოიძებნება. სამოსი მოდის უკანასკნელი ტენდენციების გათვალისწინებითაა შექმნილი. აქვეა სპა-პროდუქტები, აბაზანის მარილი და მზისგან დამცავი საცხები. მაღაზიას ძირითადად, შუახნის ქალები სტუმრობენ. ისინი მეტ ყურადღებას იჩენენ თავიანთი ცხოველების მოსავლელად საჭირო საშუალებების მიმართ, ახალგაზრდებს კი მოდური სამოსი უფრო აინტერესებთ. „ახალგაზრდები ძირითადად, უსახელო მაისურებს, მზის სათვალესა და „ბროშებს“ ყიდულობენ. ზოგჯერ ცხოველს მანიკიურსაც უკეთებენ“, — აღნიშნა ბუტიკის მეპატრონემ. ■

დაგვიანებული გადაცემის განახლებული ვერსია

როგორც მოგეხსენებათ, სექტემბრის დასაწყისი ყველა სატელევიზიო არხისთვის ახალი სეზონის დასაწყისია. ტელეკომპანია „რუსთავი 2“-მა თითქმის ყველა გადაცემა განაახლა და მაყურებლისთვის ბევრი საყვარელი პროექტი უკვე ეთერშია. მაგრამ ალბათ ყველას თვალში მოაკლდებოდა გადაცემა „პოსტსკრიპტუმი“, რომელიც ჯერჯერობით არც ეთერში გასულა და არც მისი „პრომოები“ დაწყებულა. არადა, დავით კიკალიშვილსა და მის გუნდს დაგვიანება არ სჩვევიათ — ყოველ წელს პროექტს სექტემბრის დასაწყისშივე იწყებენ. ვიფიქრეთ, გადაცემა ხომ არ დაიხურა-თქო? — და ამის გასარკვევად, „პოსტსკრიპტუმის“ პროდიუსერ ეკა სარიას დავუკავშირდით.

ეკა სარია:

— გადაცემა ნამდვილად არ დახურულა, უბრალოდ, მისი რეორგანიზება მოხდა. ახალ სტუდიას ვაკეთებთ. ასევე გვექნება ახალი ქუდი, „შეფუთვა“ და რუბრიკები.

— იქნებ უფრო კონკრეტულად გვითხრათ, რა ახალ რუბრიკებს ჰპირდებით მაყურებელს?

— გადაცემა საფუძვლიანად არ შეიცვლება, რადგან უკვე წლებია, ეთერში გადის და იმ ყველაფერს ვერ მოვშლით, მაგრამ მაყურებელს ვპირდებით, რომ გვექნება ისეთი სიუჟეტები, როგორიც აქამდე არ გვქონია. დანარჩენი კი აჯობებს, სიურპრიზად დავტოვოთ. წინასწარ თუ ვისაუბრებთ, მერე საინტერესო აღარ იქნება.

— თქვენს გუნდს ახალი ჟურნალისტები ხომ არ შეემატნენ?

— არა. კვლავ ძველი შემადგენლობა გვეყოლება.

— რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, თქვენი ჟურნალისტი ანა ასათიანი კონკურენტ არხზე გადავიდა. მის ნაცვლად ახალს არ აიყვანთ?

— არა. ჯერ ერთი, ანა ასათიანი ჩვენი გუნდის მაინცდამაინც ძველი წევრი არ არის, სულ ორი წელი იმუშავა. გარდა ამისა, ის, ოჯახური პირობების გამო, ამერიკაში მიემგზავრებოდა საცხოვრებლად და გვთხოვა, ჩვენს იქაურ კორესპონდენტად ემუშავა, მაგრამ მოგეხსენებათ, ეს შტატი უკვე დაკავებულია — ჟურნალისტი დავით ნიკურაძე მუშაობს. ანაც, იმ არხის ჟურნალისტად გაემგზავრა ამერიკაში, რომელსაც იქ კორესპონდენტი აქამდე არ ჰყავდა.

— განახლებულ „P.S.“-ს როდის იხილავს მაყურებელი?

— კვირას, 2 ოქტომბერს, საღამოს 9 საათზე. ■

3 წლის გოგონა აგურებს ჭამს

3 წლის ნატალი ჰეიჰარსთი სამშენებლო მასალებსა და ჯოხებს მიირთმევს. სახლში არსებული ყველა ნათურა უკვე ჩააკნატუნა. ნატალის ძალიან მოსწონს აგურის გემოც. გოგონას დედის, კოლინის თქმით, მის ქალიშვილს აგურის ღეჭვა აბსოლუტურად არ უჭირს და შოკოლადის ორცხობილასავით მიირთმევს. თუმცა ერთხელ მავთული შეჭამა და პირის ღრუ მთლად დაუსისხლიანდა. დედა შიშობს, რომ ნატალი საკუთარ სიცოცხლეს საფრთხეს კიდევ არაერთხელ შეუქმნის. ■

იაპონელებმა კბილების დაბრეცა დაიწყეს

ტოკიოში სტომატოლოგიური კლინიკა „გინზა“ კლიენტების კბილების დაბრეცაზე მუშაობს. იაპონიაში კბილების დაბრეცის პროცედურას ძირითადად ახალგაზრდა გოგონები იტარებენ. მათ ეშვების დაგრძელება სურთ, რითაც ვამპირის გამომეტყველებას იძენენ. ეს პროცედურა იაპონიაში „იაებას“ სახელით არის ცნობილი, რაც „ორმაგ კბილს“ ნიშნავს. სტომატოლოგები კბილის კბილზე დასაჯენად სპეციალურ წებოს იყენებენ. ზოგიერი გოგონა ამ ხერხს იმისთვის მიმართავს, რომ სრულყოფილი გარეგნობით საპირისპირო სქესი არ დააბნიოს. გოგონების აზრით, მცირე ნაკლი ვაჟებს მათთან ურთიერთობაში უფრო გაბედულს გახდის.

კბილების დაბრეცა „სამუდამო“ არ არის და მისი გამოსწორება ნებისმიერ დროს შეიძლება. ■

115 წლის სტავროპოლელი ქალის უცნაური მოთხოვნა

რუსეთში, სტავროპოლის მხარეში მცხოვრებმა 115 წლის ქალბატონმა, ნარგიზა მუსაევამ საქართველოში გასამგზავრებლად საზღვარგარეთის პასპორტი მოითხოვა. როგორც გაირკვა, მას ჩვენს ქვეყანაში საკუთარი ნათესავების მონახულება სურდა. „როცა პასპორტის მისაღებად დოკუმენტები წარმოადგინა, ვიფიქრეთ, რაღაც შეცდომა იყო. მხოლოდ გადამოწმების შემდეგ დავრწმუნდით, რომ მართლა 1896 წელს იყო დაბადებული. საბოლოოდ პასპორტი ქალბატონს საზეიმო ვითარებაში გადავეცით“, — ამბობს ადგილობრივი საპასპორტო უწყების წარმომადგენელი. 115 წლის რუსეთის მოქალაქე გარდაბნის რაიონში, თავის მშობლიურ სოფელში აპირებს ჩასვლას. ნარგიზა მუსაევას დასახვედრად ნათესავები საგანგებოდ ემზადებიან. ■

რუბრიკა მოამზადა
ხათუნა ბახტურიძემ
გამოყენებულია ინტერნეტპორტალ
ambebi.ge-ს მასალები

რუსთმოძულე 69 წლის მოხუცის აღსარება

„გელფრენდი სულ მყავდა და მყავს"



კულტურის სამინისტროს წინ მოქალაქეების დაპირისპირების შესახებ palitratv.ge-ზე გასულ სიუჟეტს ხმაური მოჰყვა. ინციდენტის ერთ-ერთმა მონაწილემ, ზაზა სვანაძემ მედიასახლ „პალიტრასთან" საპროტესტო აქცია გამართა. ის აცხადებს, რომ მისთვის მიუღებელია სიუჟეტის დასათაურება — „ხელჩართული ბრძოლა კულტურის სამინისტროსთან", მიიჩნევს, რომ იქ ხელჩართული ბრძოლა კი არა, მცირე ინციდენტი მოხდა. ზაზა სვანაძე ცდილობდა დაეფიქსირებინა თავისი აზრი საქართველოში რუსეთის მიმართ ქსენოფობიური გამოხდომების შესახებ; პროტესტის ნიშნად, სამინისტროს შესასვლელ კარზე განცხადებები გააკრა, რაც ქუჩაში შემთხვევით მიმავალმა მოქალაქემ, ომარ მაღლაქველიძემ არ მოუწონა და ფიზიკურად დაუპირისპირდა...

ეკა ლომიძე

სვანაძემ მედიასახლის ოფისთან იმპროვიზებული საპროტესტო აქციის გამართვა სცადა. ვანო მერაბიშვილის, გურამ დონაძის, ერეკლე კოდუას, გიორგი თარგამაძის ფოტოებით მივიდა, რომლებზეც იყო წარწერა — „თავისუფალი მედიის სადარაჯოზე". ასევე მიიტანა გვირგვინი, რომელიც, მისი განმარტებით, „გარდაცვლილი მედიის" სიმბოლოს გამოხატავს.

სულ ცოტა ხანში მედიასახლთან გამოჩნდა კულტურის სამინისტროსთან მომხდარი ინციდენტის მეორე მონაწილე, ომარ მაღლაქველიძე; მათ შორის მცირე შელაპარაკება „მედიაპალიტრის" ოფისთანაც მოხდა, თუმცა მალევე ინციდენტის მონაწილეებმა ტერიტორია ერთად, ერთი ტაქსით დატოვეს.

მოგვიანებით ომარ მაღლაქველიძეს დავურეკეთ და ვთხოვეთ, რედაქციაში სასაუბროდ გვწვეოდა, რათა გაგვერკვია — ვინ არის ეს უცნაური, მხრებზე ამერიკის დროშაშემოხვეული ასაკოვანი მამაკაცი, რომელიც გამვლელებს ხშირად ხვდება თვალში.

ბატონი ომარი გამოგვიტყდა, რომ ოცნებობს, ყველა ქართველი მასზე ბედნიერი იყოს, „ოღონდ ერს ნუ დააგლახავებს გამჩენი და მე რაც უნდა, ის დამმართოს". იცის, რომ უცნაურია, ექსცენტრიკული და ფიცხი. საკუთარ თავს „ჭკვიან გიჟს" ეძახის. ფიქრობს, რომ ნიჭიერიც არის. ამაში ჩვენც დავრწმუნდით, როდესაც მედიასახლის რამდენიმე წარმომადგენელს პერსონალურად უძღვნა ლექსი. თურმე დიდი ხანია, პოეზიის „ჭია ხრავს". თავისი ნიჭის შოუპროგრამა „ნიჭიერში" გატანაც უცდია, მაგრამ... მიიჩნევს, რომ იქ მასზე ნიჭიერები დახვდნენ.

აცხადებს, რომ საქართველოს სიყვარულში ბადალი არ ჰყავს! ამ უზომო სიყვარულის გამო კი ხშირად გაუგებრობაში ხვდება. თუნდაც ისეთ გაუგებრობაში, რომელიც ახლახან გადახდა თავს კულტურის სამინისტროს შენობის წინ ზაზა სვანაძესთან დაპირისპირების დროს.

ყველა ადამიანი უყვარს, ისინიც კი, ვისაც ნებსით თუ უნებლიეთ შესაძლოა, დაუპირისპირდეს და ასევე უნებლიეთ, პანჩურიც კი უთავაზოს.

ძალიან არ უყვარს რუსეთი. მიზეზიც ჰქონია: თავის დროზე რუსებმა, სრულიად უმიზეზოდ (როგორც თვითონ ამბობს) ფსიქიატრიულ საავადმყოფოში უკრეს თავი.

წარმოშობით სოფელ კურსებიდან არის. იქ დედა ჰყავს, თითქმის საუკუნის ტოლი — უკვე 97 წლის გახდაო. თვითონ 69 წლის არის.

ომარ მაღლაქველიძე:

— დედა ძალიან მოხუცია. წესით, მეც მოხუცი ვარ, მაგრამ თავს მხნედ ვგრძნობ და სიბერეს ჯერაც არ ვაპირებ.

— **რუსები რამ შეგაძულათ?**

— ჯარში ყოფნის დროს ცუდი ამბები დამმართეს. არ მომწონდა რუსეთის დამოკიდებულება საქართველოს მიმართ. 1964 წლის ამბებს მოგითხრობთ. რუსებს ვუყიჟინებდი, რომ მათ არასწორი დამოკიდებულება ჰქონდათ ჩვენ მიმართ და ვუმტკიცებდი, რომ დადგება დრო, როდესაც ჩვენი, ქართველების გადასარჩენი გახდებიან. ეს დრო ჯერ არ დამდგარა, მაგრამ მალე დადგება. არც იმის თქმა მავიწყდებოდა, რომ სტალინმა დააყენა ეგენი ფეხზე. თქვენ მეტი პატრონი არ გყავთ-მეთქი. მწარდებოდნენ ჩემი ასეთი დამოკიდებულების გამო. ამიტომაც ჯერ ყაზარმაში დამაწვინეს, ვითომ ფილტვების ანთებით, მერე — ჰოსპიტალში და ბოლოს თავი მიკრეს კაუნასში, საგიჟეთში. საბედნიეროდ, იქ დიდხანს არ მომიწია ყოფნამ, ჩემი „ძალათი გაგიჟებიდან" 10 დღეში ხრუშჩოვი გადააყენეს და მეც დამასაჩუქრეს თავისუფლებით. მახსოვს, პოლკოვნიკი მოვიდა, ყვიროდა, — გამოდი, მაღლაქველიძე, სასწრაფოდ უნდა წაგიყვანოთ სამხედრო ნაწილშიო. ავხედ-დავხედე, — შენც გაგაგიჟეს თუ რა ხდება, აქ რა გინდა-მეთქი? — ხრუშჩოვი გადადგა, მგონი, შენმა წყევლამ უწია და ახლა საბჭოთა კავშირიც რომ არ დაანგრიო შენი წყევლა-კრულვით, გათავისუფლებთო, — ან მეხუმრებოდა, ან ეშინოდა მართლა... გარეთ, გამოსასვლელთან დამხვდა მანქანა, რომელზეც ჯარში ვმუშაობდი მძღოლად. ხრუშჩოვის ფოტო გამოებათ უკან, უზარმაზარ ჩარჩოში იყო ჩასმული. როგორც ჩანს, ბოლომდე სჯეროდათ, რომ გიჟი ვიყავი და ეს „სათამაშოც" იმიტომ დამახვედრეს. ეგონათ, ვათრევდი სურათს, მანქანაზე გამობმულს. მე კი გავწმინდე და იქვე მივაყუდე: ეს თქვენია, თქვენ მიხედეთ, ჩვენ რუსების არაფერი გვჭირდება, მით უმეტეს, ხრუშჩოვისნაირები-მეთქი.

— **მერე როგორ განვითარდა თქვენი ცხოვრება? ოჯახის შესახებ გვიამბეთ.**

— ვის ეცალა ოჯახისთვის?! დღემდე უცოლო ვარ, მაგრამ ძალიან მიყვარს ქალები და ამერიკულად რომაა, გელფრენდი, სულ მყავდა და მყავს.

— **რით იყავით დაკავებული მთელი ცხოვრება? რატომ ვერ მოიცალეთ ოჯახისთვის?**

— საქართველო იყო ჩემი საფიქრა-

ლი. სადაც კი ვმუშაობდი, ყველგან გამოვდიოდი პარტიულ კრებებზე და მოვითხოვდი, რომ ქართული კონსტიტუცია მიგვეღო და საქართველოში ქართული ენა გამოცხადებულიყო სახელმწიფო ენად, მაგრამ მედავებოდნენ:



ᲐᲠᲐᲡᲬᲝᲠᲐᲓ ᲛᲝᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲡ ᲓᲐ ᲛᲝᲕᲔᲓᲘ „ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲐᲨᲘ“. ᲐᲥᲐᲪ, ᲠᲐᲡ ᲕᲮᲔᲓᲐᲕ – ᲔᲡ ᲖᲐᲖᲐ ᲐᲠ ᲓᲐᲛᲮᲕᲓᲐ?!

საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენელი ნაწილია და აქ მხოლოდ რუსული უნდა იყოს სახელმწიფო ენაო. ეჰ, მერე აღსრულდა ჩემი წინასწარმეტყველება და მართლა დაინგრა საბჭოთა კავშირი, მაგრამ კინაღამ მიჰყვა ეს ჩემი საყვარელი ქვეყანაც. გახსენებაც აღარ მინდა თბილისის ომის და სამოქალაქო დაპირისპირების. დავრბოდი ორივე მხარეს შორის და ვეხვეწებოდი ყველას, შერიგდით, რას ხოცავთ ერთმანეთს-მეთქი! ვინ მისმინა?! ბევრჯერაც, შემდგომში ცნობილმა გენერლებმა მომიშვირეს თოფის ლულა, — დაიკარგე აქედანო! მიმაჩნია, რომ მაშინ საზოგადოება კი არა, ზოოპარკი იყო საქართველოში, ოღონდ ვოლიერებიდან იყვნენ გამოქცეული მხეცები.

— **აფხაზეთის ომში იყავით?**

— არა, რა მინდოდა იმ ომში?! ყველას ვეხვეწებოდი, — ვთქვათ, რომ რუსეთს ვებრძვით-მეთქი. — არა, აფხაზებს ვებრძვითო. — ვის გაუგონია აფხაზებთან ბრძოლა, რა გვაქვს საომარი?! ძმასთან ომით კი არა, სიტყვით და გულით უნდა მოვაგვაროთ საქმე-მეთქი! ვინ მისმინა. ამიტომაც, მე რახან ვერავის ვესროდი ტყვიას, წავედი სოფელში, ვიყიდე ძროხები და იმათ ვმწყემსავდი.

— **დღეს რას საქმიანობთ?**

— არაფერს. ვერაფერს. სად არის საქმე, რომ დავკავდე?! ღატაკთა კატეგორიაში ვირიცხები და დახმარებას ვიღებ. ჩემს სახლში თითქმის არაფერი დგას. ტელევიზორი მე არ მაქვს და მაცივარი. მხოლოდ წიგნები და რვეულები ყრია იატაკზე. ვარსებობ პენსიით. დიახ, კი არ ვცხოვრობ, ვარსებობ. აი, დედაჩემს კი მოუხსნა მთავრობამ სიღარიბის დახმარება: მდიდარი ხარ, ტელევიზორი გაქვსო! მეზობლებმა აჩუქეს.

— **ინციდენტს დავუბრუნდეთ: რატომ დაუპირისპირდით რამდენიმე დღის წინ კულტურის სამინისტროს წინ ზაზა სვანაძეს?**

— არ დავპირისპირებივარ. საქმე ისაა, რომ ძალიან მიყვარს იმ უბანში სიარული, განსაკუთრებით — წმინდანების ანუ მეტეხის ხიდზე. საერთოდაც, ფეხით სიარული მიყვარს. ახალი გზები რომ გაკეთეს, სულ ფეხით მაქვს შემოვლილი. მოკლედ, იმ დღესაც მივდიოდი ჩემთვის და ვხედავ, ეს ზაზა აკეთებს განცხადებას რუსოფობიაზე, საქართველოს ადანაშაულებს. ამივარდა ტვინში, — რუსებს ჩვენ ვჩაგრავთ-მეთქი?! გადავირიე. ამიტომაც გავჩერდი იქ. ძალიან ავღელდი.

— **როგორ ფიქრობთ — გამართლებული იქნება, თუ რუსულ სიმღერებსა და ლიტერატურას აკრძალავენ?**

— ვინ კრძალავს?! არავის არაფერს არ ვუკრძალავთ. სამწუხაროდ, მეტიც — ფეხქვეშ ვეგებით ყველას და მათ შორის, რუსსაც. ამაზე ლექსებიც მაქვს დაწერილი. მაგ ზაზას ხმას არ გავცემდი, მაგრამ გიჟი მიწოდა. კი, ბატონო, ვიყავი საგიჟეთში, მაგრამ არა ვარ გიჟი. ცდილობდა, გავეტყუებინე სადმე და ისე მომრეოდა.

— **აქ როგორ გაჩნდით ერთდროულად, ჩვენს რედაქციაში?**

— დიდი ხანია, ვეძებ ჟურნალისტებს „ასავალ-დასავალში“. ჰოდა, დღეს გადავწყვიტე ძებნა. არასწორად მომასწავლეს და მოვედი „კვირის პალიტრაში“. აქაც, რას ვხედავ — ეს ზაზა არ დამხვდა?! ვეუბნები, — მითხარი, რაზე ვებრძოლოთ ამ ხელისუფლებას, ოღონდ აზრიანად მითხარი და ვიბრძოლოთ-მეთქი, — მაგრამ მაგან არ იცის, რაზე უნდა იბრძოლოს. კიდევ „იბოთავებს“ ეგ რაღაცას და მერე არ ვიცი, რას გამომტყუებს. ხელისუფლება რომ არ ვარგა და უკეთესი რომ მინდა, ეგ მასწავლის?!

— **თუ ასეთი გაბრაზებული ხართ, ტაქსით როგორღა წაჰყევით?**

— დამიწყო შერიგების მცდელობა: ჩვენ ერთნი ვართ, ერთი სატკივარი გვაქვსო. „ასავალ-დასავალში“ მივყავდი, როცა გაიგო, რომ იქ მისვლა მინდოდა. ფულიც კი შემომაძლია მერე, რომ ეთქვა, მათხოვარიაო. ასეთი იმიჯი უნდა შემიქმნას — გიჟის და მათხოვრის, რახან ამერიკული დროშით დავდივარ. არადა, ამერიკელებს პურის ფული არ ჰქონდათ გუშინ და მე გადავუხადე.

— **დროშა რატომ გაქვთ შემოხვეული?**

— დიდი დატვირთვა აქვს. კულახმეტოვს, სამშვიდობოების სარდალი რომ იყო, იმას დავპირდი, — სანამ თქვენი ჯარი არ „გაიძირკვება“ საქართველოდან, ამერიკულ დროშას ვატარებ-მეთქი. ავტოგრაფი ვთხოვე ერთხელ და არ მომცა. აგვისტოს ომი რომ დაიწყო, მაშინ „მუხლისჩოქა“ ვიდექი და ვყვიროდი, — ეს არის მახე და არ შეხვიდეთ სამაჩაბლოში-მეთქი! ვინ დამიჯერა?!. ვიხვეწებოდი, — გამიშვით ფრონტის ხაზზე, ვიქნები მომრიგებელი, თუ მომკლავენ, ჯანდაბას — მოხუცი ვარ და იქნებ ერთი კაცი მაინც გადავარჩინო-მეთქი. ვინ გამიშვა?!

— **კარგი, სვანაძესთან შერიგებას აპირებთ თუ არა?**

— რუსეთი არ მიხსენოს და შევურიგდები. ყველგან უნდა ვიძახოთ — „რუსი ოკუპანტები“ და მაგათ არ უნდა მივეფეროთ. სადაც დავინახავ მიტინგს, ყველგან მივდივარ და გავყვირი: „წავიდნენ რუსი ოკუპანტები, შეგვეშვან!“

P.S. სამშაბათს, როდესაც ჟურნალი დასაბეჭდად მზად იყო, შევიტყვეთ, რომ Palitratv.ge-ის რედაქციაში წერილი მოვიდა: ამერიკული TRUTV.com-ის გადაცემა 20 Most Shocking Videos პროდიუსერმა ვიდეოკადრების გამოყენების უფლება ითხოვა.

■

ᲓᲦᲔᲛᲓᲔ ᲣᲪᲝᲚᲝ ᲕᲐᲠ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲛᲘᲧᲕᲐᲠᲡ ᲥᲐᲚᲔᲑᲘ

სახიფათო და სარფიანი ქართულ-აფხაზური „პარტიზანული ბიზნესი“

ლალი პაპასქირი

„ვიცი, დიდი დროა მანამდე, როცა ქართულ პროდუქციას აფხაზეთის ბაზარზე თავისუფლად შემოვიტანთ, მაგრამ იმედი გვაქვს, ოდესმე ეს დღეც დადგება. ყველას გვტკივა 90-იანი წლების ომის ჭრილობები, მაგრამ დარჩენილებს არსებობა გვინდა, რის საშუალებასაც რუსეთი არ გვაძლევს. აფხაზი საზოგადოება თანდათან ხვდება, რომ ქართულ-აფხაზური ომი მისი „დამსახურებით“ მოხდა, მაგრამ ვისაც რუსეთში აქვს ბიზნესი, ისინი ამას არ აღიარებენ... მძიმე სოციალურმა ფონმა აფხაზეთი შუაზე გაყო — ვისაც ქართველი ნათესავები ენგურს გაღმა ჰყავს, ცდილობს, ერთობლივი ბიზნესი ჰქონდეს და პურის ფული არ მოაკლდეს. პირველად, აფხაზეთში ქართველი ნათესავების ნაჩუქარი ტანსაცმელი გავყიდე, შემდეგ კი ცოტა ფული მოვაგროვე და ლილოს ბაზრობას მივაშურე... იმედია, ოდესმე ჩვენი პრეზიდენტიც იზრუნებს ჯანსაღი კონკურენციის შექმნაზე და რუსული სურსათის შეძენას აღარ დაგვაძალებენ“, — მითხრა საუბრისას სოხუმელმა აფხაზმა ქალბატონმა, დალი ჯობუამ, რომელიც უკვე მესამე წელია, აფხაზეთში ვაჭრობით ირჩენს თავს. ქართველ თუ აფხაზ ბიზნესპარტნიორებთან ერთად, არაერთხელ დააკავეს, დაავჯარიმეს და დაამცირეს, მაგრამ ამ საქმიანობისთვის მაინც არ დაუნებებია თავი, რადგან, როგორც თავად ამბობს, — რა მნიშვნელობა აქვს, აფხაზი მესაზღვრის, რუსი სამშვიდობოს ან სულაც ქართველი კრიმინალის ტყვია მომკლავს თუ შიმშილიო?!.

„გზის“ მკითხველს ალბათ ახსოვს ჩვენ მიერ მომზადებული პუბლიკაციები არასამთავრობო ორგანიზაციის — „ქართულ-აფხაზური შერეული ოჯახების კავშირების“ შესახებ, რომელმაც თავისი არსებობის განმავლობაში, ენგურს გაღმა-გამოღმა 4500-ზე მეტი შერეული ოჯახი მოიძია. ორგანიზაციის დამფუძნებლის, რეზო ბენდელიანის თქმით, მას შემდეგ, რაც მათ ერთმანეთი იპოვეს, ერთობლივი ბიზნესის წარმოება გადაწყვიტეს.

რეზო ბენდელიანი:

— „ქართულ-აფხაზური შერეული ოჯახების კავშირები“ 2003 წელს დავაფუძნეთ, მანამდე აფხაზურ მხარესთან მოსამზადებელი შეხვედრები გვქონდა. გვაინტერესებდა, რამდენად რეალური იყო იმ იდეების განხორციელება ანუ — თანახმა იყვნენ თუ არა აფხაზები ქართველ ნათესავებთან ურთიერთობის აღდგენაზე. მაშინ აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებს, მათ შორის, საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი შამბას შევხვდით და ჩვენს გეგმებზე ვესაუბრეთ, — ქართველებსა და აფხაზებს შორის ომის შედეგად გაწყვეტილი ნათესაური კავშირების აღდგენას ვაპირებთ-თქო. წინააღმდეგი არ წასულან, — ნათესავებს შორის ურთიერთობას წინ ვერ აღვუდგებითო. ამ დროისთვის უკვე მოძიებული გვყავდა რამდენიმე აფხაზი, რომელიც ჩვენს პროექტთან ითანამშრომლებდა. ცნობილია, რომ მათთვის ნათესაური კავშირები ძალზე მნიშვნელოვანია, მაგრამ ქართველებთან შეხვედრას მაინც თავს არიდებდნენ... მზად ვიყავი ამ სირთულეებისთვის, მაგრამ არც იმას დაგიმალავთ, რომ ბევრი ჩვენს წამოწყებას ეჭვის თვალით უყურებდა. ამიტომაც მუდმივად გვქონდა დაფინანსების პრობლემა. შემდეგ როგორღაც შევძელით და პირველი ეტაპისთვის, 500-მდე ოჯახი მოვიძიეთ. განსაკუთრებით დამამახსოვრდა ერთი დედა-შვილი: ქართველ ქალბატონს

ინგლისური და რუსული ენების შემსწავლელი ცენტრი
FutureWorld გთავაზობთ:

- ენების შესწავლა ჯგუფურად და ინდივიდუალურად!
- მოსამზადებელი კურსები PET, FCE, CAE, CPE, IEILTS, TOEFL.
- საბავშვო საერთაშორისო Helen O'Grady ინგლისური ენის დასამნრე.
- საზაფხულო საერთაშორისო ბანაკები ევროპაში.
- აბიტურიენტების მომზადება ეროვნული გამოცდებისათვის.
- სტუდია სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის
- კურსდამთავრებულთათვის გაისვმა შესაბამისი სერთიფიკატი.

FutureWorld
ჩვენი მისამართია:
თბილისი, საბურთალო,
მიცკევიჩის ქ. 17, ბ. 10
238-22-96, 599-53-61-96
www.futureworld.ge

აფხაზეთში მილიცია კრიმინალების მეწილესთან ასოცირდება, რომელიც ნებისმიერ ადამიანზე ნადირობს, ქართველი პოლიციელი კი – სიმშვიდესთან

ერთი შვილი თბილისში ჰყავდა, მეორე კი — აფხაზეთში, მეუღლის სახლში დარჩა. როცა ომი დაიწყო, მან აფხაზეთში ჩასვლა ვეღარ მოახერხა და ბავშვი დედის გარეშე იზრდებოდა. ენგურს გაღმიდან ბავშვის მამიდა დაგვიკავშირდა, — იქნებ ჩემი ქართველი რძალი მომაძებინოთო? ისინი ენგურის ხიდზე შეხვდნენ ერთმანეთს. ძალიან ემოციური შეხვედრა იყო.

— **ქართველებთან მონათესავე აფხაზებს ყველა ქალაქში ეძებდით?**

— თავიდან — სოხუმში, ტყვარჩელსა და ოჩამჩირეში ვმუშაობდით, შემდეგ კი გაგრასა და ბიჭვინთაშიც ჩავედით. სულ 4500-მდე შერეული ოჯახის წარმომადგენლები შევახვედრეთ ერთმანეთს. მას შემდეგ, რაც გარკვეული ბარიერები გადავლახეთ, გადავწყვიტეთ, ჩვენი საქმიანობისთვის სხვა მიმართულებაც მიგვეცა: აფხაზეთის ადმინისტრაციული საზღვრის გაღმა-გამოღმა მცხოვრებმა ნათესავებმა ერთობლივი ბიზნესი წამოიწყეს და ეს საქმე ორივე მხარისთვის მომგებიანი აღმოჩნდა. ისინი ერთმანეთს ტელეფონის საშუალებით უკავშირდებიან და კონფლიქტის ზონაში საქონლის შეტანა-გამოტანის დეტალებს ათანხმებენ.

— **აფხაზეთში დარეკვა პრობლემა არ არის?**

— კი, პრობლემები არის, მაგრამ დაკავშირება შესაძლებელია. აფხაზეთიდან კი უფრო ადვილად ირეკება. ის ადამიანები, ვინც ქართველ ნათესავებთან ურთიერთობა აღადგინეს, თავისუფლად გადმოდიან. ძირითადად, ქალბატონები მიდიმოდიან. ახლახან ოჩამჩირიდან დამირეკეს და 12-მა ქალბატონმა ზუგდიდში შეხვედრა მთხოვა: აინტერესებდათ, ჩვენს ორგანიზაციას რა სახის ბიზნესპროექტების დაფინანსება შეუძლია. მსგავს საკითხებზე ჩვენი ორგანიზაციის ინიციატივით, არაერთი ტრენინგი ჩაგვიტარებია. აფხაზ ქალბატონებს ბიზნესპროექტების დაწერაში ვეხმარებით, რომლებსაც დონორ ორგანიზაციებს წარვუდგენთ. პარალელურად, ამ თემაზე სემინარებიც იმართება. აფხაზეთში დაბრუნების შემდეგ ისინი აქ მიღებულ შთაბეჭდილებებს ახლობლებს უზიარებენ. ზოგს ქართველი ნათესავის პოვნა უნდა. არიან ისეთებიც, ვინც ქართველებთან მონათესავე აფხაზებს გამოჰყვნენ, შემდეგ სანდო ქართველები გაიცნეს და ერთობლივი ბიზნესი დაიწყეს. ძირითადად, სურსათისა და ტანსაცმლის ყიდვა-გაყიდვით არიან დაკავებული.

— **პირად საუბრებში ალბათ ქართველების გარეშე დარჩენილ აფხაზეთზეც ჰყვებიან...**

— გასაგები მიზეზების გამო, ჩვენ პოლიტიკაზე არ ვსაუბრობთ. თუ თავად არ დაიწყეს ლაპარაკი, ამ თემაზე საუბარს თავს ვარიდებთ. როგორც ბოლო შეხვედრაზე მითხრეს, დიდ იმედს ამყარებენ ახალ პრეზიდენტზე: ალექსანდრე ანქვაბი კორუფციას ბრძოლას გამოუცხადებს და ქართულ მხარესთან დიალოგს ახალ ფორმატში წამოიწყებსო. ისიც გაგვიმხილეს, პრეზიდენტის ადმინისტრაციაში, საქართველოსთან ეკონომიკური თანამშრომლობის ახალ პროექტებზეც მუშაობენ და შესაძლოა, აფხაზეთის ადმინისტრაციული საზღვრის გადაკვეთის საშუალება ქართველებსაც მიეცეთო... ეს არ ნიშნავს, რომ აფხაზები ყველაფერზე თანახმა არიან, მაგრამ მათი ნაწილი მიიჩნევს, რომ ქართველებსა და აფხაზებს შორის ურთიერთობის აღდგენის ერთადერთი გზა — ეკონომიკური თანამშრომლობაა. ვინაიდან ტყვარჩელსა და ოჩამჩირეში მცხოვრებ აფხაზებს დამსვენებლები არ ჰყავთ, მათი შემოსავლის წყარო მხოლოდ ვაჭრობაა. გარდა ამისა, ზუგდიდთან ტერიტორიულად უფრო ახლოს არიან. გალელების დახმარებით ისინი იოლად ახერხებენ ე.წ. საზღვრის გადაკვეთას. ყოველ დილით ზუგდიდის ბაზარში უამრავი, აფხაზური ნომრის მქონე ავტომანქანა დგას. ქართველი მესაზღვრეები მათ არ ზღუდავენ, თავაზიანად ექცევიან, რასაც აფხაზები მადლიერებით აღნიშნავენ, — აქ კორუფცია არ არის, უკანონოდ ფულს არავინ გვართმევს, რაც ჩვენთვის დიდი სტიმულიაო... ახლახან ერთ-ერთი ქართულ-აფხაზური დისკუსიის დროს გვითხრეს, მეფრინველეობის ფაბრიკის გახსნა გვინდაო. მათი თქმით, ქათმის ერთ-ერთი ჯიშის (რომლის ინკუბატორიც ქუთაისში მდებარეობს) ფასი, ქართულ ვალუტაზე გადაყვანით, 35-40 ლარს უტოლდება; ერთ განმუხურელ კაცს ინკუბატორი აქვს, ქუთაისიდან ჩამოყვანილ წიწილებს იქ მივუყვანთ, კვებისა და მოვლის ფულს გადავუხდით, შემდეგ კი აფხაზეთში გავყიდითო. ასევე გვთხოვეს, განმუხურში (*ეს სოფელი მათთვის ტერიტორიულად ყველაზე ახლოს არის. — ავტ.*) თხილის გადამმუშავებელი ქარხანა გაგვეხსნა, — აფხაზეთიდან გადმოტანილ თხილს იქ

ის ადამიანები, ვინც ქართველ ნათესავებთან ურთიერთობა აღადგინეს, თავისუფლად გადმოდიან

აფხაზეთის ადმინისტრაციული საზღვრის გაღმა-გამოღმა მცხოვრებმა ნათესავებმა ერთობლივი ბიზნესი წამოიწყეს და ეს საქმე ორივე მხარისთვის მომგებიანი აღმოჩნდა

დავარჩევთ, დავამტვრევთ და აფხაზეთში უფრო ძვირად გავყიდითო. ასეთი ბიზნესპროექტების წამოწყებას თანხა სჭირდება, რაც ცხადია, მათ არა აქვთ და სწორედ ამაში გვეხმარებიან დონორი ორგანიზაციები... ვიცი, რომ ასეთი პროექტი ცოტაა, მაგრამ ქართველებსა და აფხაზებს შორის ადამიანური ურთიერთობის მოგვარების ერთ-ერთი მთავარი წინა პირობაა. აფხაზებს რუსეთიდან შემოტანილი პროდუქტი ძვირი უჯდებათ. აქ კი შედარებით იაფად ყიდულობენ და მოგებაში რჩებიან. ახლახან ლიტვის ელჩი, იონას პასლაუსკასი იმ ქართველ ბიზნესმენებს შეავახვედრე, ვინც აფხაზურ მხარესთან თანამშრომლობაზე თანახმანი არიან. ეს სამთვიანი პროექტი ოქტომბერში მთავრდება და იმედი გვაქვს, ამის შემდეგ ჩვენს წამოწყებას ესტონეთის საელჩოც დააფინანსებს.

— ვიცი, რომ ბოლო დროს ენგურის ხიდზე მკაცრი კონტროლი დაწესდა...

— დიახ, ამიტომაც ისინი შემოვლითი გზებით — ხურჩის, ოტობაიასა და ფიჩორის გზებით შემოდიან. საზღვარზე რუსი სამხედროები პატრულირებენ — ანუ ერთ ადგილზე არ დგანან; როცა აფხაზი ქალბატონები „საზღვარს“ მიუახლოვდებიან, ენგურს გაღმა მყოფ ახლობლებს ურეკავენ და ეკითხებიან, არის თუ არა გზა „სუფთა“? თუ რუსების პატრულირება დამთავრებულია, შეუძლიათ, მშვიდობიანად გაიარონ. პარტიზანულად გადაადგილდებიან, მაგრამ ზოგჯერ მაინც აკავებენ. ასეთ დროს რუსი სამხედროები საქონელს ჩამოართმევენ და გალის მილიციაში მიჰყავთ. ადგილობრივი „კანონმდებლობის“ მიხედვით, მათ ჯარიმის სახით, დიდი თანხის გადახდა უწევთ.

დინარა ინალ-იფა, *ტყვარჩელის მკვიდრი:*

— აფხაზების უმეტესობა შიშით ელოდა, რომ პრეზიდენტის პოსტს სერგეი შამბა დაიკავებდა — ეს აფხაზეთში კიდევ რამდენიმე წლით კლანური მმართველობის შენარჩუნების წინა პირობა იყო, — მაგრამ გადავრჩით. როგორც ამბობენ, ალექსანდრე ანქვაბი ქართულ მხარესთან ეკონომიკური თანამშრომლობის ახალი ფურცლიდან დაწყებას აპირებს. ეს აფხაზეთის განვითარებისთვის აუცილებელია... ჩვენთვის მიუღებელია, როცა მიხეილ სააკაშვილი აცხადებს, ქართული არმიის მთავარი ფუნქცია დაკარგული მიწების დაბრუნება არისო, მაგრამ გვშურს მის მიერ განხორციელებული პოლიციის რეფორმის: აფხაზეთში მილიცია კრიმინალების მეწილესთან ასოცირდება, რომელიც ნებისმიერ ადამიანზე ნადირობს, ქართველი პოლიციელი კი — სიმშვიდესთან. როცა საქართველოს საზღვართან თავაზიანი, მოწესრიგებული და პროფესიონალი ახალგაზრდა პოლიციელები გვხვდებიან, თავს დაცულად ვგრძნობთ. იმედია, ასეთი განცდა ოდესმე აფხაზეთშიც დაგვეუფლება.

ვალერა აგუმა, *ონჩაჩირის მკვიდრი:*

— ხალხი დაიღალა გაურკვეველი და დაუსრულებელი მოლოდინით. უკვე წლებია, არაფერი იცვლება: შიმშილს, არასტაბილურობას, კლანურ დაპირისპირებას, უმუშევრობასა და სიღატაკეს ვითმენთ. ყველა არჩევნების წინ გვეუბნებიან, ცოტაც მოითმინეთ, დამოუკიდებლობის ხარკს ვიხდითო; ეს „ცოტა ხანი“ არა და არ დამთავრდა. ხალხი დაიღალა უაზრო მოთმენით. ზღვისპირა ქალაქებში რუსული და სომხური ფული ტრიალებს, დანარჩენ აფხაზეთში კი — შიმშილი და უმუშევრობა... ბევრმა მშობელმა წელს, უსახსრობის გამო, შვილი სკოლაში ვერ გაუშვა, ტანსაცმელი და რუსული პროდუქტი ცეცხლის ფასი ღირს და მისი შეძენის საშუალება არ გვაქვს. კარგია, როცა ვიღაც ცდილობს, თურქეთიდან შემოიტანოს საქონელი, მაგრამ შემოვლითი გზებით შემოტანილ პროდუქტს მაინც ძვირად ყიდის, მოგება რომ დარჩეს. თუ ენგურის საზღვარი გაიხსნება, თურქეთში ბათუმიდან გადავალთ და ხარჯიც ნაკლები გვექნება.

ლენა ჩოკუევა, *ტყვარჩელის მკვიდრი:*

— ქართველებთან ურთიერთობის აღდგენა-მოგვარება მხოლოდ ეკონომიკური თანამშრომლობით შეიძლება. აფხაზეთი მოსახლეობის რაოდენობით, საქართველოზე პატარაა, მაგრამ უმუშევართა ბევრად უფრო დიდი არმია ჰყავს. ამის მიზეზი — ჩვენი ხალხის საყოველთაოდ ცნობილი სიზარმაცე და მკაცრი ტრადიციებია. შავი სამუშაოს შესრულება ან ეზარებათ, ან ეთაკილებათ. ■

„სიყვარული ღმერთისკენ მიმავალ გზაზე დადგომას ნიშნავს, ასე მგონია“...

ნინო ჯავახიშვილი

„— მე შეიძლება გავგიჟდე.

— რატომ?

— ზოგჯერ ისე ახლოს ვგრძნობ ჩემს მოთხრობებს, მეშინია, მართლა არ გაცოცხლდნენ.

— შენც ნუ დაწერ.

— ხშირად, იცი, რა მგონია?

— რა?

— მგონია, რომ გუდამაყრის ხეობა დიდი წიგნია. მთები ყდებადა აქვს ამ წიგნს და შიგნით უამრავი მოთხრობა წერია. მზე და მთვარე მანათობლად მყვანან, ვზივარ ჩემთვის, გადაშლილი მაქვს ეს უცნაური წიგნი და ვკითხულობ.

— შენ შეიძლება მართლა გაგიჟდე.

— ხომ გითხარი. აი, ახლა, მივალ და გადავშლი. მოისმინე, რა წერია...“

როდესაც მის წიგნებთან ერთად მისი სამყარო გადავშალე და შევეცადე, წამეკითხა, 16 წლის ვიყავი. საოცარი სურვილი გამიჩნდა, მეც მასთან ერთად მემოგზაურა ნახევრად ირეალურ სამყაროში და რაღაცნაირად მისი შეგრძნებების მოზიარე გავმხდარიყავი. ალბათ ამიტომაც, ჩემს მეგობართან ერთად, დიდი რვეული ავიღე და მეც „დარდების შემგროვებელი“ გავხდი. მახსოვს, გარშემო მყოფებს რა გაოცებული სახეები ჰქონდათ, როდესაც ვეკითხებოდით: რა გადარდებთ-მეთქი?.. ზოგს რა ადარდებდა და ზოგს — რა. მე კი დღემდე ვერ მიპოვია პასუხი კითხვაზე: ნუთუ „სულს არც დასაწყისი აქვს და არც დასასრული?“ ამ კითხვაზე პასუხის ძიება იყო გოდერძი ჩოხელის ცხოვრება...



მიყვარხართ, რადგან მიყვარს ღმერთი და ღმერთმა თქვენთან ერთად მარგუნა სიცოცხლე დედამიწაზე

წლების წინ, როდესაც მწერალს შინ ვესტუმრე და ინტერვიუ ჩავიწერე, მახსოვს, შეუძლოდ იყო; მიუხედავად ამისა, უარი არ უთქვამს და დიდხანსაც ვისაუბრეთ. სულგანაბული ვუსმენდი — ის ხომ ძალიან საინტერესო მოსაუბრე გახლდათ!.. როდესაც ქუჩაში გამოვედი, ისეთი აღტაცებული ვიყავი მისით და ისეთი სავსე, მინდოდა, ყველასათვის სიტყვასიტყვით გადამეცა ყველაფერი, რაზეც ვისაუბრეთ.

მაშინ ვუთხარი: თქვენი დარდების შემგროვებელი ჩემთანაც რომ მოსულიყო, ასეთ დარდს ჩავაწერინებდი: ისე გავჩნდი ამ ქვეყანაზე და ისე მოვკვდები, რომ ვერც მოსვლის მიზეზს გავიგებ და ვერც წასვლისას... და თქვენ თუ გაიგეთ-მეთქი? — ვკითხე. სევდიანად ჩაეცინა: ვერც მოსვლის და ვერც წასვლის მიზეზს გაიგებს ვინმე, ტყუილად არავინ დაიკვეხოსო, — მიპასუხა. სიმართლე გითხრათ, შემაშინა მწერლის მაშინდელმა გულახდილობამ. ან კი როგორ არ შევშფოთდებოდი, როდესაც მითხრა: ამ ბოლო დროს უფრო და უფრო ხშირად ვფიქრობ თავის მოკვლაზეო. რაღაც ჩამწყდა გულში და გამახსენდა, ერთ-ერთი წიგნის წინასიტყვაობაში ასეთი რამ რომ დაგვიწერა მკითხველებს: „მე მიყვარხართ, მიყვარხართ, რადგან მიყვარს ღმერთი და ღმერთმა თქვენთან ერთად მარგუნა სიცოცხლე დედამიწაზე. თქვენდამი ჩემი სიყვარული, ვცდილობ, მოთხრობებით, რომანებით, კინოფილმებით გამოვხატო და აჰა, ლექსებითაც წარმოგიდგებით. ეს ლექსებიც სიყვარულის დასტურად ჩამითვალეთ“. სიყვარულის ამგვარად გამოხატვის საშუალება რომ არა და აღარ მიეცა, ალბათ ეს ვერ აიტანა გულმა და ამიტომ არჩია სიკვდილი — ადამიანად არყოფნის სევდა, სიცოცხლეს — ადამიანად ყოფნის სევდას!..

„წლიდან წლამდე რა გაძლებინებთ?“ — ვკითხე და ასე მიპასუხა:

„ადრე ეს — კინო და კინოს სიყვარული იყო... ბავშვობიდანვე ისე შემიყვარდა კინო, რომ ვიდრე რეჟისორი გავხდებოდი, ამაზე ოცნება მაძლებინებდა; ეს ოცნება რომ ამისრულდა, მერე ფილმის კეთების პროცესი მაძლევდა უზომო ძალას. ახლა კი, როდესაც წლების მანძილზე ვეღარ ვახერხებ ფილმის გადაღებას, წლიდან წლამდე რაღაც ინერცია მამოძრავებს. ძალა აღარ მყოფნის, რომ ავმოქმედდე და შემოქმედებითად გამოვამჟღავნო საკუთარი თავი. ღმერთის იმედიღა მაქვს, რომ თავის ნაშიერს საბოლოოდ მაინც არ გაიმეტებს და არ მიატოვებს — ეს არის გადარჩენის იმედი“.

ახლა კი გთავაზობთ ჩვენი ბოლო საუბრის იმ ნაწყვეტებს, რომელიც მაშინ „კადრს მიღმა“ დარჩა:

— ძალიან მიყვარს თქვენი ლექსი — „ნინოს“: „მოვა თოვლი და სხვაგან წაიღებს/ ამ მიწის დარდს და მიწის საფიქრალს,/ რისთვის მოვედით? ეე, რას გაიგებ/ მოვა თოვლი და სხვაგან წაგვიყვანს/ მოვა თოვლი და ისე სხვაგვარად/ ისე სხვაგვარად შემიყვარდები“... ალბათ მეუღლეს მიუძღვენით, ხომ, ეს მშვენიერი ლექსი?

— გუდამაყრელ ბიჭს ისეთი გოგო შემიყვარდა, მთასთან საერთო არაფერი რომ არ ჰქონდა. ნინო კი გამომყვა და თანაც — საერთო საცხოვრებელში. იქ ძალიან ცუდი პირობები იყო, საშინლად ციოდა. მე კი ვიყავი მიჩვეული ცუდ პირობებში ცხოვრებას, მაგრამ ნინომ ვერ აიტანა, ცუდად გახდა და მშობლების სახლში გადაიყვანეს გამოსაკეთებლად. იქ დიდხანს დარჩა და ძალიან მომენატრა. ეს ლექსიც მაშინ დავწერე...

— რა არის სიყვარული? მე ასე ვფიქრობ — ჩემ გვერდით მჭირდება ადამიანი, რათა მიწაზე მყარად დავდგე...

— ალბათ ასეცაა... გჭირდება ვინმე, ვინც შეგივსებს გრძნობებს, რისკენაც მიილტვი; რაც სითბოს შემოიტანს შენს სულში და სიცივეს გააგდებს; სიხარულს მოგიტანს და მწუხარებას გააძევებს. სიყვარული სულის შევსებას და ღმერთისკენ მიმავალ გზაზე დადგომას ნიშნავს, ასე მგონია...

— ყველაზე ბედნიერი როდის ხართ ხოლმე?

— მაშინ, როდესაც ფილმს ვიღებ. ამოუცნობი გრძნობაა ფილმის შექმნით გამოწვეული ბედნიერება. ეს არის ის, რაც ამქვეყნად ჩემს ადამიანად ყოფნას ამართლებს. ამ დროს სიცოცხლე სევდა კი არა, ბედნიერებაა — ადამიანად ყოფნის ბედნიერება...

— წუთისოფლის სამდურავი ხშირად წამოგცდებათ?

— სამწუხაროდ, ამ ბოლო დროს უფრო ხშირად, ვიდრე ადრე. ადრე უფრო მებრძოლი ხასიათი მქონდა. ალბათ იმიტომ, რომ ფილმის გადაღება შემეძლო. ახლა, როცა არაფერს ვაკეთებ, ხშირად წამომცდება სამდურავი, ღმერთისთვისაც კი გამიბედავს ასეთი რამ...

— ბედისწერის თუ გჯერათ?

— მჯერა და რატომღაც მგონია, რომ ადამიანის ბედი წინასწარ არის სადღაც გადაწყვეტილი და მას ვიღაც განაგებს...

— დარდების შემგროვებელს თვითონ რომელ დარდს დააწერინებდით?

— რას დავაწერინებდი და ისევ იმას... ხომ გახსოვთ, „ადამიანთა სევდაშია“: რა გადარდებსო? — ეკითხებიან ერთ კაცს და ისიც პასუხობს: ისევ ისაო... ისიც ხომ გახსოვთ, ღმერთი რომ ეტყვის: ამდენი დარდებიდან მხოლოდ ერთი ამოარჩიე და მას გაგიქარვებ, მეტს ნუ მთხოვო. გუდამაყრელიც ასეთ დარდს შეარჩევს: „ამბობენ, ომი იქნება, კრეფენ სამხედრო ძალებსა, დაჰბუგვენ დედამიწასა, ჩამოაგდებენ მთვარესა“... ეს დარდი ლექსის სახით მართლაც მითხრა ერთმა გუდამაყრელმა. მართლაც, რამხელა დარდია, არა? ხედავთ, როგორი შორსმჭვრეტელურია მისი დარდი? დღეს ხომ უკვე შესაძლებელია, ადამიანებმა ისეთი ომი მოახდინონ, რომ დედამიწა დაბუგონ და მთვარე ჩამოაგდონ? ერთმა კი გამაკრიტიკა: ეგ დარდი კი არ უნდა მიგერთმია ღმერთისთვის, საქართველოს დამოუკიდებლობა უნდა გეთხოვაო. რომელ ქართველს არ უნდა, დამოუკიდებლები რომ გავხდეთ? ასე თუ ისე, ვართ კიდეც, მაგრამ ამ დამოუკიდებლობამ უფრო მეტი თავსატეხი და დარდი გაგვიჩინა. ვერ გავხდით ისეთი დამოუკიდებლები, როგორზეც ვოცნებობდით და ჩემი დარდიც ზუსტად ეს არის. ავცდით იმ გზას, რომლითაც უნდა მივდიოდეთ. სულ სხვა გზით წავედით და ეს ძალიან მადარდებს, მაგრამ ქვეცნობიერად, იმ გუდამაყრელის დარდი სულ უფრო და უფრო მადარდებს!.. მეც ამ დარდის გაქარვებას ვთხოვ ღმერთს...

კვლავაც გოდერძი ჩოხელის ერთი პატარა მინიატიურით მინდა დავასრულო მისი მოგონება:

„ზოგი ხალხის ისტორია ნისლივითაა, შიგნით არაფერი არ ჩანს, მხოლოდ აქა-იქ გამოჩნდება ხოლმე მწვერვალები და ისინიც ისე უმნიშვნელო, იმავე წამს ნისლით იბურებიან.

ზოგი ქარს ჰგავს: თითქოს გარდასული წინაპრების სული იყვეს აბობოქრებული.

ზოგი თოვლს ჰგავს: ცივია, მაგრამ სპეტაკი და შეურყვნელი.

ზოგი ძვირფას თვალს ჰგავს, ანდა ბნელ ღამეში მბრწყინავ ციცინათელას.

ჩემი ქვეყნის ისტორია კი — დედის თვალებიდან ჩამოგორებულ ობოლ ცრემლს მაგონებს“.

თქვენ კი მაინც ჯიუტად კითხულობთ: რამ გადაარჩინა საქართველო?!“

P.S. 2 ოქტომბერს გოდერძი ჩოხელი 57 წლის გახდებოდა... ■

შეკვეთილი მკვლელობა
და ახლობლების მიერ გაწირული ადამიანები

შს სამინისტროს ინფორმაციით, მიმდინარე წელს, ოჯახის წევრებს შორის 77 სისხლის სამართლის დანაშაული მოხდა. მათ შორის ბევრი ფაქტი მკვლელობით დასრულდა. სამწუხაროდ, არიან ისეთი ადამიანებიც, რომლებიც ოჯახის წევრის მკვლელობას წინასწარ გეგმავენ და შემსრულებელსაც უპრობლემოდ პოულობენ...

თეა ხურცილავა

გასულ კვირას, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებმა კიდევ ერთი მსგავსი დანაშაული გახსნეს. 47 წლის ვიქტორ კახეთელიძემ საკუთარი მამის, დისა და დისშვილის მკვლელობა დაგეგმა. იგი ოჯახის 3 წევრის სასიკვდილოდ გაწირვას თემქაზე მდებარე მამის სამოთახიანი ბინის გამო აპირებდა. საბედნიეროდ, ვიქტორ კახეთელიძის გეგმა განუხორციელებელი დარჩა. სიკვდილს სასწაულებრივად გადარჩენილი ოჯახის წევრები ამ ინფორმაციის მოსმენის შემდეგ შოკირებულნი არიან.

ვიქტორ კახეთელიძე წლების მანძილზე სხვადასხვა სპეცდანიშნულების რაზმში მუშაობდა, მათ შორის თავდაცვის მინისტრების — ვარდიკო ნადიბაიძის და დავით თევზაძის დაცვაში. ბოლოს ერთ-ერთი კერძო დაცვის სამსახურის თანამშრომელი იყო. სწორედ სამსახურთან ახლოს დააკავეს. როცა ძალოვნებმა ხელბორკილი დაადეს, გაკვირვებული სახით იკითხა, — რა ხდებაო? აბა, რას წარმოიდგენდა, მისი გეგმა ძალოვნებისთვის ასე ოპერატიულად თუ გახდებოდა ცნობილი?!

კახეთელიძემ კილერს 3 ადამიანის მკვლელობისთვის 10.000 დოლარი შესთავაზა, უფრო მეტიც — მკვლელობის განხორციელების წინასწარ შემუშავებული გეგმაც გააცნო. კილერს დეტალების დასაზუსტებლად რამდენჯერმე რომ შეხვდა, აღიარებით ჩვენებაში თავადაც აღნიშნა. ფარულ ვიდეოჩანაწერში, რომელიც ძალოვნებს ხელთ აქვთ, იგი დეტალებზე საუბრობს და შემსრულებელს ერთკვირიან ვადას აძლევს. მსხვერპლთა ფოტოებიც ისე გადასცა, რომ ხელი არ აუკანკალდა და ისიც აუხსნა, თუ როგორ უნდა შესულიყო სახლში (სტილი დაცულია):

„...არაფერი პრობლემა არ არის, ხის კარია, რომ დააკაკუნებ, შუქს მერე ანთებენ. შენც ხომ ნახე, საადარბაზოში სიბნელეა. დემურის იკითხავ და სახლში ისე შეხვალ. აი, ეს სურათები. ქალს ლია ჰქვია, სამ სკოლაში მუშაობს და ამიტომ სხვაგან ძნელია... მოკლედ, საღამოს 10 საათზე ყველანი სახლში იქნებიან. რომ დახოცავ, ოთახებს აურევ, ვიცი, იქ ფული რომ იქნება; ფულს თუ იპოვი, იპოვი, თუ არა და, აგერ ვარ, ძმაო, პასუხისმგებელი... რამდენ ხანში მოაგვარებ?“ — ეკითხება **ვიქტორ კახეთელიძე** ე.წ. კილერს...

ფარული ჩანაწერი — ერთ-ერთი მთავარი მტკიცებულებაა, მაგრამ მოგვიანებით მან თავის ჩვენებაშიც აღიარა დანაშაული და ის მიზეზიც დაასახელა, რის გამოც სჩადიოდა ამხელა დანაშაულს.

ვიქტორ კახეთელიძის ჩვენებიდან:

„მამაჩემმა თქვა, ბინას გავყიდი და ჩემს შვილიშვილებს თავის წილს მივცემო. ამის გამო გავბრაზდი და დავუკავშირდი პიროვნებას, რომელსაც ჩემი ოჯახის წევრების: მამაჩემის — დემურის, დის — ლიანას და დისშვილის — ანა მაჩაიძის მკვლელობა უნდა მოეხდინა. ამ სამუშაოს ანაზღაურება იქნებოდა ის თანხა, რომელიც სახლში, ერთ-ერთ ოთახში იდო. იმ პიროვნებას რამდენიმეჯერ შევხვდი დეტალების დასაზუსტებლად და სურათები გადავეცი. მათი ლიკვიდაციის შემდეგ, ზემოაღნიშნული ბინა ჩემს საკუთრებაში გადმოვიდოდა“.

იმას, რომ ვიქტორ კახეთელიძეს საკუთარ ოჯახთან საცხოვრებელი ბინის გამო კონფლიქტი ჰქონდა, სიკვდილს გადარჩენილი ოჯახი ადასტურებს. ქონებრივი დავის გამო საქმე ფიზიკურ შეხებამდე არაერთხელ მისულა, მაგრამ ვერავინ წარმოიდგენდა, თუ საკუთარი ოჯახის წევრებს ასე გაიმეტებდა 79 კვმ ფართობის ბინის გამო.

ლიანა კახეთელიძის ჩვენებიდან:

„ვიქტორი ჩემი ძმაა. მასთან ურთიერთობა დაგვძაბა, რადგან ითხოვდა, ბინა დაგვეცალა და იქიდან წავსულიყავით. მე და მამამ შევთავაზეთ, რომ ბინას გავყიდდით და მივცემდით იმაზე მეტ წილს, ვიდრე მას ეკუთვნოდა. ძალიან დაძაბული სიტუაცია იყო, მაგრამ რას წარმოვიდგენდით, რომ მკვლელობას დაგეგმავდა?!.“

დეტალების გასარკვევად კახეთელიძეებს სახლში მივაკითხე. ბინის კარი ქალბატონმა ლიამ არ გაგვიღო; როცა შეიტყო, რომ ჟურნალისტი ვარ, მითხრა:

— რა დავაშავეთ ასეთი, თავს რომ არ მანებებთ?! აღარ შემიძლია, თავი დაგვანებეთ!..

როგორც მეზობლებისგან შევიტყვე, ვიქტორ კახეთელიძე მამის ბინაში წლებია, არ ცხოვრობს. ისიც იქვე, თემქაზე, მეუღლის ბინაში ცოლთან და შვილთან ერთად ცხოვრობს. არც დაკავებულის მეუღლე აკეთებს მომხდარზე კომენტარს. ერთი-ერთი მეზობლის თქმით, დავა დიდი ხანია მიმდინარეობს... ჩვენი წყაროს ინფორმაციით, დას კიდევ აქვს ბინა, თემქის მე-11 მიკრორაიონში, რომელიც ამჟამად გაქირავებულია და ძმა მოითხოვდა, ის იმ ბინაში გადასულიყო.

ვიქტორ კახეთელიძე

ბრალდებულს წინას-

წარი პატიმრობა შეეფარდა. უმძიმეს დანაშაულში მხილებულ ვიქტორ კახეთელიძეს ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, 20 წლამდე პატიმრობა ემუქრება.

ოჯახური დანაშაული მოხდა წყალტუბოს რაიონის სოფელ ფარცხანაყანებში, სადაც 18 სექტემბერს 51 წლის მერაბ ციბაძემ საკუთარი და ნაჯახით აჩეხა. 53 წლის ნაზი ციბაძე-კაშია ადგილზევე გარდაიცვალა.

ყველაფერი მოხუცი დედის ავადმყოფობას მოჰყვა. ციბაძეების დედა ლოგინად არის ჩავარდნილი. ძმა დას დედის მოვლას სთხოვდა. იმ დღესაც სწორედ ეს გახდა ამ ოჯახის უმძიმესი ტრაგედიის მიზეზი. როგორც მეზობლები ამბობენ, ნაზი ქუთაისში ოჯახთან ერთად ცხოვრობდა და ავადმყოფი დედის სანახავად ხშირად ჩამოდიოდა. იმ დღესაც ქალიშვილთან ერთად მოვიდა. ძმამ კატეგორიულად დაუსვა საკითხი, — ან აქ დარჩები და დედას მოუვლი, ან შენს სახლში წაიყვანო. როგორც ახლობლები ამბობენ, ქალმა ძმას აუხსნა, რომ ამ საკითხს მეუღლესთან შეათანხმებდა და დედას მერე წაიყვანდა. მერაბ ციბაძე კი პრობლემის მოგვარებას სასწრაფოდ ითხოვდა.


მერაბ ციბაძე

მერაბ ციბაძის ჩვენებიდან (სტილი დაცულია):

„18 სექტემბერს ჩემი და და დისშვილი ჩემთან სახლში მოვიდნენ, რათა თავიანთ სახლში წაეყვანათ ლოგინად ჩავარდნილი დედაჩემი. დედა პარალიზებულია, ინსულტი აქვს. ადრე დამპირდნენ, რომ მოვიდოდნენ და წაიყვანდნენ, ან აქ დარჩებოდა ჩემი და. ბოლოს ორივეზე უარი თქვეს — არც იქით წაიყვანეს და არც აქ დარჩნენ. ამაზე მოგვივიდა წალაპარაკება; კამათი ჩხუბში და ხელით შეხებაში გადაიზარდა. მერე კეტი გამოვიტანე და დედა-შვილს — ორივეს დავარტყი. ჩემი დისშვილი გარეთ გავარდა, რომ ეკივლა, მე კი ამ დროს ნაჯახი გამოვიტანე და ჩემს დას კისერში ჩავარტყი“.

ნაზი ციბაძის ქალიშვილმა დედის გადარჩენა, სამწუხაროდ, ვეღარ შეძლო. გამხეცებულ ბიძას, რომელმაც ხელკეტი რამდენჯერმე უმოწყალოდ ჩაარტყა, ხელიდან დაუსხლტა, გარეთ გავარდა და საშველად მეზობლებს უხმო. სანამ გოგოს კივილზე მეზობლები მოცვივდნენ, მერაბმა დას ნაჯახი თავში რამდენჯერმე ჩაარტყა. ამ შემზარავი სურათის თვითმხილველი — ავადმყოფი დედა გახდა. გამწარებულმა, საწოლიდან წამოდგომა სცადა, რომ შვილი შეეჩერებინა, მაგრამ პარალიზებული ქალი ამას როგორ შეძლებდა?!.

სახლში მისულ მეზობლებს ნაზი მოკლული დახვდათ. მის ცხედართან ახლოს ეგდო შვილის სისხლში ამოსვრილი, გამწარებული დედამისი.

მერაბ ციბაძე ძალოვნებმა იმავე დღეს დააკავეს. თანასოფლელები და ნათესავები მის უმკაცრესად დასჯას ითხოვენ. ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე 108-ე — განზრახ მკვლელობის მუხლით აღიძრა. განსასჯელს დის სისასტიკით მკვლელობისთვის 15-წლიანი პატიმრობა ემუქრება. ამოღებულია მკვლელობის იარაღი — გასისხლიანებული ნაჯახი.

საჩხერის რაიონის სოფელ ლიჩში დატრიალებულ ტრაგედიას ოჯახურს ვერ უწოდებ, თუმცა ასევე პირადი ურთიერთობის გამწვავების სავალალო შედეგს წარმოადგენს.

19 სექტემბერს, 34 წლის გულნაზ ტეფნაძის დასახჩრებული ცხედარი თანასოფლელმა მდინარე ღოდორულაში აღმოაჩინა. ფაქტის თვითმხილველი ამბობს, რომ ქალს თავი გაჩეჩქვილი ჰქონდა, ირგვლივ სისხლის კვალი ჩანდა და ცხედარი შიშველი იყო. მან სასწრაფოდ თანასოფლელებსა და ძალოვნებს უხმო. ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა და სულ მალე დამნაშავის ვინაობაც დაადგინეს. იგი თანასოფლელი — 34 წლის ფრიდონ ტალახაძე აღმოჩნდა. დამნაშავე საკუთარი სახლის სხვენში დამალული იპოვეს და განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილ მკვლელობაში დასდეს ბრალი. ეჭვმიტანილმა დანაშაული აღიარა. განაცხადა, რომ გულნაზი უყვარდა, რამდენჯერმე სთხოვა ცოლობა, მაგრამ ქალი უარზე იდგა; ბოლოს ისიც შეიტყო, რომ გულნაზ ტეფნაძე სხვაზე იყო დანიშნული. ქალმა სთხოვა, მისთვის თავი დაენებებინა. სწორედ ამიტომ გადაწყვიტა მისი მოკვლა და ისეთ ადგილას ჩაუსაფრდა, სადაც ამას უპრობლემოდ განახორციელებდა.

იმ დღეს გულნაზმა სოფელ ლიჩის საჯარო სკოლაში ისტორიის გაკვეთილები ჩაატარა. მერე სახლში მარტო წამოვიდა. გზად მიმავალს, ჩასაფრებული დამნაშავე უკნიდან მიეპარა და თავში ქვა ჩაარტყა. *„რომ მოვიდა, ერთი დაკარი, მაგრამ არ გაითიშა და წყლისკენ წავიდა; მერე მეორედაც დავკარი თავში; გაითიშა, ამის მერე მოვკალი“,* — მოჰყვა შემთხვევის ადგილზე გაყვანილი დამნაშავე. მომხდარით შეწუხებული თანასოფლელები ტალახაძის უმკაცრესად დასჯას ითხოვენ. მოკლულს ყველა დადებითად ახასიათებს. გამოძიება გრძელდება.

■

ფრიდონ ტალახაძე

მოკლული გულნაზ ტეფნაძე

სახე

ნიკა ალასანიასა და ლიკა ევგენიძის ოჯახური იდილია

ელენე ბასილიძე

„მეუღლის სიცილი მაღვიძებს“

„შუა დღის“ მომხიბვლელი წამყვანი, პრეზიდენტის რძალი ლიკა ევგენიძე კარიერასა და დედობას ერთმანეთს არაჩვეულებრივად უთავსებს. მისი და ნიკა ალასანიას ახალგაზრდა ოჯახს მცირეწლოვანი ანა-სოფია დიდ ხალისს მატებს. როგორც თავად ლიკამ აღნიშნა, — პატარა მშობლებს ჰგავს და ძალიან ხალისიანია. ლიკასთან ინტერვიუს ჩაწერას დიდი ხნის წინ ვგეგმავდი, მაგრამ იგი ამერიკაში გაემგზავრა, სადაც მისი მეუღლის, ნიკა ალასანიას მშობლები ცხოვრობენ. სექტემბერში გადაცემის ახალი სეზონი დაიწყო და სატელევიზიო საქმიანობაში ლიკაც აქტიურად ჩაება.

— როგორც ვიცი, ამერიკაში იყავი. როგორ დაისვენე?

— „მწვანე ბარათი“ მაქვს და პერიოდულად, ამერიკაში უნდა ჩავიდე. ნიკას მშობლები იქ ცხოვრობენ და სამსახურის გამო საქართველოში ჩამოსვლას ვერ ახერხებენ. ბავშვიც დიდი ხანია, ნანახი არ ჰყავდათ და ამიტომაც გადავწყვიტე, ამ ზაფხულს ნიუ-იორკში წავსულიყავი. ამერიკიდან ჩამოსვლის შემდეგ ცოტა ხნით ბათუმს ვეწვიე. მოკლედ, ეს ზაფხული მართლაც, ფანტასტიკურად გავატარე.

— ამერიკაში აქტიური დასვენება გამოგივიდა?

— კი, საკმაოდ აქტიურად დავისვენე. ამერიკაში თავს უცხოდ ვერ იგრძნობ, თან იქ ყველა სხვადასხვა აქცენტით ლაპარაკობს. ხშირად აღნიშნავენ, — ნიუ-იორკში მყოფს სადმე თუ არ გეჩქარება, ე.ი. ტურისტი ხარო, მაგრამ ამ ქალაქმა მეც თავის ჭკუაზე გადამიყვანა, სულ სადღაც მეჩქარებოდა. ძალიან ბევრი კულტურული ღონისძიება ტარდება, არის საინტერესო გამოფენები, კონცერტები და მეც ვცდილობდი, ყველაფერი მენახა. ჰოდა, რა გასაკვირია, რომ ძალიან ნასიამოვნები ჩამოვედი. მართალია, ნიუ-იორკში ძალიან ბევრი რამ ვნახე, მაგრამ ბევრიც დამრჩა სანახავი. იმედია, ცნობისმოყვარეობას მომავალ წელს დავიკმაყოფილებ.

როცა ანა-სოფია პატარა იყო, ნიკა მის მოვლაშიც ძალიან მეხმარებოდა — ღამით დგებოდა, ბავშვს უცვლიდა. სხვათა შორის, ამ მხრივ ახლაც აქტიურობს, ეს პროცესი დიდ სიამოვნებას ანიჭებს

— დედის ამპლუაში თავს როგორ გრძნობ?

— არაჩვეულებრივად! დედობა ძალიან საინტერესო რამაა და მერწმუნეთ, რაც დრო გადის, მით უფრო საინტერესო ხდება. ანა-სოფია უკვე წლისა და 4 თვისაა ანუ ახლა იწყებს ლაპარაკს, სიტყვების თქმას ცდილობს; ახალდაბადებული ცხადია, უსუსური იყო, ვერ მაგებინებდა, რა სურდა, ახლა კი კონტაქტში შემოდის, სასაცილო რაღაცებს აკეთებს, ბევრი რამ აოცებს, უჩნდება კითხვები, ემოციებს გამოხატავს — ეს ყველაფერი კი ძალზე საინტერესოა.

— ბავშვის აღზრდაში ნიკა თუ გეხმარება?

— რა თქმა უნდა! მიმაჩნია, რომ შვილის აღზრდაში დედაც და მამაც აქტიურად უნდა მონაწილეობდნენ, პატარას ჯანსაღი ფსიქიკა რომ ჩამოუყალიბდეს. როცა ანა-სოფია პატარა იყო, ნიკა მის მოვლაშიც ძალიან მეხმარებოდა — ღამით დგებოდა, ბავშვს უცვლიდა. სხვათა შორის, ამ მხრივ ახლაც აქტიურობს, ეს პროცესი დიდ სიამოვნებას ანიჭებს. ბავშვი დილით 7-8 საათზე იღვიძებს, მე კი ათის ნახევარზე ვდგები. სანამ ძიძა მოვა, ნიკა ახალგაღვიძებულ ბავშვს

კერძების მომზადება ჩემი ჰობია, ნამცხვრებსა და ტორტებსაც ვაცხობ

გადმოიწვენს, ეთამაშება, თან ცდილობენ, არ გამაღვიძონ. მოკლედ, ერთი რაღაცას მღერის, მეორე სიცილით იფხრიწება, პატარა ძალიან სასაცილო რაღაცებს აკეთებს და ბოლოს, ისევ მეუღლის სიცილი მაღვიძებს... ხანდახან ანა-სოფია მოვა და თმაზე მომქაჩავს, ამაზე კი ნიკა კარგად ერთობა... მოკლედ, ყოველი დილა მხიარულად იწყება.

— **ანა-სოფია მტირალა ხომ არ არის?**

— სხვათა შორის, ყოველთვის უპრობლემო ბავშვი იყო. ღამით იშვიათად იღვიძებდა, სხვების მსგავსად არ ტიროდა და არც მუცელი აწუხებდა. ისე, ტირილი არც გამოსდის: როცა უნდა, რომ იტიროს, წუწუნს იწყებს, მაგრამ მალევე ჩერდება და სიცილზე გადადის (*იღიმის*).

— **ანა-სოფია ხასიათით ვის ჰგავს?**

— არც მე და არც ნიკა უხასიათოები არ ვართ ანუ ბავშვი ჩვენ გვგავს.

— **სამსახური, დედობა, მეუღლეობა — რამდენად იოლია ამ ყველაფრის ერთმანეთთან შეთავსება?**

— ჩემთვის ყველაზე რთული უსაქმურობაა. ზაფხულის ბოლოს უკვე ვწუწუნებდი: დავიღალე, აღარ მინდა დასვენება-მეთქი. ვცდილობ, საქმეები ერთმანეთს შევუთავსო. ისე კი, ძალიან დატვირთული დღის რეჟიმიც არ მაქვს: სამსახურში 3 საათამდე ვარ, მერე შინ მივდივარ და მთელ დროს ოჯახს ვუთმობ. მე და ჩემს მეუღლეს გვიყვარს ერთმანეთი და ვცხოვრობთ იმისათვის, რომ ერთურთი გავაბედნიეროთ. ვცდილობთ, მეტი სითბო გავცეთ და მერწმუნეთ, რაც მეტს გავცემთ, მით მეტი გვიბრუნდება უკან. და კიდევ, საღამოობით ვახშმის კეთებასაც ვახერხებ.

— **კერძების მომზადება გეხერხება?**

— ხშირად მეკითხებიან, — შენ სამზარეულოში ტრიალებო?! სიმართლე გითხრათ, ვერ ვხვდები, ეს რატომ უკვირთ. რა, ხელები არ მაქვს? კერძების მომზადება ჩემი ჰობია, ნამცხვრებსა და ტორტებსაც ვაცხობ ხოლმე... ჩემ მიერ მომზადებული საჭმელი ნიკას ძალიან მოსწონს და სხვათა შორის, ისიც არაჩვეულებრივი მზარეულია, ერთმანეთს ახალ-ახალი კერძებით ვანებივრებთ.

— **მეორე ბავშვის გაჩენას ხომ არ გეგმავ?**

— აუცილებლად! გვინდა, 4 შვილი მაინც გვყავდეს, რადგან ვიცით, დედმამიშვილებზე ძვირფასი არავინაა. პირადად მე, 3 და და 2 ძმა მყავს, ნიკას კი მხოლოდ ძმა ჰყავს და ხშირად აღნიშნავს, — კარგი იქნებოდა, დაც რომ მყოლოდაო... ალბათ, მალე მეორე ბავშვსაც გავაჩენ.

— **ტელევიზიაში მუშაობაც შენი ჰობია?**

— რა თქმა უნდა, არა! სუბიექტურობაში ნუ ჩამითვლით და როცა ჩვენს გადაცემას მაყურებლის თვალით ვუყურებ, ვფიქრობ, რომ საკმაოდ საინტერესოა. მას შემდეგ, რაც ამ გადაცემაზე დავიწყე მუშაობა, ძალიან ბევრი საინტერესო ამბავი მოვისმინე, ბევრი ადამიანი გავიცანი. მოკლედ, „შუა დღემ“ ბევრი რამ მასწავლა.

— **საკმაოდ სახალისო გადაცემა გამოგივიდათ. ალბათ თავადაც კარგად ერთობით...**

— ვცდილობთ, მაყურებელს მსუბუქად და სასიამოვნოდ მივაწოდოთ ნებისმიერი სახის ინფორმაცია და ეკრანს მიღმა ჩვენც ძალიან კარგად ვერთობით. ამას წინათ დუტა გვერდით პავილიონში წერდა გადაცემას. რომ დაუნახავს, ეთერში ვიყავით, პავილიონში ცეკვა-ცეკვით შემოგვივარდა, რაც წამყვანებისთვისაც მოულოდნელობა იყო. მოკლედ, დუტას ხომ ვერაფერს გამოაპარებ, ყველგან უნდა იყოს (*იღიმის*)... რაც მთავარია, ეკრანზე არავინ ვთამაშობთ.

— **ახალი სეზონი უკვე დაიწყო. მაყურებელს რამე სიურპრიზს ხომ არ უმზადებთ?**

— ეს ამბავი შენ რომ გაგიმხილო, მერე სიურპრიზიც აღარ გამოგვივა, ამიტომ მოდი, ყველაფერს საიდუმლოდ დავტოვებ. ისე კი, მერწმუნე, მაყურებელს ძალიან ბევრ სიახლეს ვპირდებით. ■

ანა-სოფია უკვე წლისა და 4 თვისაა ანუ ახლა იწყებს ლაპარაკს, სიგყვების თქმას ცდილობს

თამთა დადეშელი

როგორ ხიბლავს ზუკა ქამუნაშვილი უცნობებს

„ამას გასართობად ვაკეთებდი და არა იმიტომ, რომ ფული „მეკეთებინა“

ხუჭუჭთმიანი ზუკა ქამუნაშვილი მაყურებელმა სერიალიდან — „შუა ქალაქში“ გაიცნო და შეიყვარა, თუმცა კამერის წინ დგომა მისთვის არც მანამდე ყოფილა უცხო. ზუკას ხუჭუჭთმიანი დედა ქეთი ასათიანიც ფილმის — „გარიგება“ — ერთ-ერთი ეპიზოდიდან გვახსოვს. ახლა დედა-შვილი ფილმში — „ანოს და ვანოს თავგადასავალი“ — გადაიღეს. როგორც ზუკა ამბობს, მუშაობის პროცესი იმდენად მოსწონდა, რომ ერთ დღეს სიცხიანმაც კი იმუშავა.



ბოლო დროს სკეიტბორდით სრიალით ვარ გატაცებული. კომპიუტერული პროგრამებიც მაინტერესებს, საიტებს ვქმნი

ზუკა:

— ამჟამად წმინდა ნინოს სახელობის სკოლაში ვსწავლობ. ძალიან მიყვარს ფეხბურთი, ადრე „ოლიმპშიც“ ვთამაშობდი, მაგრამ ბოლო დროს სკეიტბორდით სრიალით ვარ გატაცებული. კომპიუტერული პროგრამებიც მაინტერესებს, საიტებს ვქმნი.

— სკოლაში რა საგნები მოგწონს გამორჩეულად და თუ გაქვს გადაწყვეტილი, მომავალში რა პროფესიას აირჩევ?

— მსახიობობა მინდა, მაგრამ პროგრამისტობისკენაც მიმიწევს გული და არ ვიცი, რას გადავწყვეტ. სხვათა შორის, გადაღებების დროს ოპერატორის პროფესიამაც დამაინტერესა.

— მსახიობობა მანამდეც გინდოდა, ვიდრე სერიალში მიგიწვევდნენ? როგორ შეგარჩიეს კალანდაძის როლზე?

— კი, მსახიობობა მანამდეც მინდოდა. ერთხელ „რუსთავი 2“-ზე „საშლელის“ კასტინგზეც მივედი, „შუა ქალაქში“ კი შემთხვევით მოვხვდი — ეს ჯაბა კილაძის დამსახურებაა.

ქეთი:

— მე და ჯაბა ვმეგობრობთ. როცა სერიალში კალანდაძის როლის შემსრულებელი დასჭირდათ, მას მაშინვე ზუკა გახსენებია. მართალია, მაშინ ზურიკო 10 წლის იყო, ისინი კი 12 წლის ბავშვს ეძებდნენ, მაგრამ ჯაბამ ყველა დაარწმუნა, — ეს ბიჭი აუცილებლად უნდა ნახოთო. საბოლოოდ, ზუკა როლზე დაამტკიცეს. ამ სერიალის შემდეგ კიდევ რამდენიმე ფილმში გადაიღეს. სხვათა შორის, 5 წლის იყო, როცა ჩემმა ძმისშვილმა — თამთა ასათიანმა თავის სადიპლომო ფილმში, ერთ-ერთ ეპიზოდში გადაიღო. შესაძლოა, სწორედ აქედან გაუჩნდა ქვეცნობიერი სურვილი, მსახიობი გამხდარიყო.

ზუკა:

— თავდაპირველად გადაღებების დროს ძალიან ვნერვიულობდი, მაგრამ შემდეგ ამას შევეჩვიე და ქუჩაში ყველა რომ მცნობდა, მიხაროდა. მალე გამოვა ფილმი — „ყველაფერი ადამიანებზე“, რომელიც ნოდარ დუმბაძის მოთხრობების მიხედვით რეჟისორმა გიორგი აბაშიშვილმა გადაიღო. ამ ფილმში სოფლელი ბიჭის, უჩას როლს ვასრულებ. მისი მშობლები გაყრილები არიან და ის დედასთან ერთად ცხოვრობს. ჰყავთ მეზობელი — 100 წლის ბაბუ, რომელსაც უჩა ყველაფერში ეხმარება. სხვათა შორის, „გარიგება 2“-ში ერთ-ერთ ეპიზოდურ როლსაც ვთამაშობ.

— ქალბატონო ქეთი, თქვენ ყველას 20 წლის წინ გადაღებული „გარიგებიდან“ ახსოვხართ. კიდევ რომელ ფილმში მონაწილეობთ?

ქეთი:

— პროფესიით მსახიობი არ ვარ და ეს ბევრმა არც იცის. გასაკვირი ისაა, რომ „გარიგებაში“ მხოლოდ ერთ კადრში ვმონაწილეობ, რომელიც ჩემსავე სახლშია გადაღებული, მაგრამ ხალხი დღემდე მცნობს. ისევე, როგორც ზუკას, შემოთავაზებები მეც ბავშვობიდანვე მქონდა, ბევრი რეჟისორი მეგობარიც მყავს და გული მწყდება, მსახიობობა რომ არ ავირჩიე პროფესიად. სხვათა შორის, წლების წინ „მთვარის გლობუსში“, ერთ-ერთ როლზე დამამტკიცეს, მაგრამ მეუღლისგან წინააღმდეგობას წავაწყდი... ბედნიერი ვარ, რომ 3 შვილი და 3 შვილიშვილი მყავს, მათთან ერთად ადამიანი ნამდვილად ვერ მოიწყენს.

— ზუკას დედმამიშვილები რას საქმიანობენ?

— ზუკას და — ლიკა შენგელია ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის თანაშემწე და აპარატის უფროსია, ადრე კი „ნატალის“ მოდელი იყო. ვახტანგ შენგელია კალათბურთელია — საბერძნეთის საკმაოდ ცნობილ გუნდში თამაშობს, ამჟამად თბილისშია. ზუკას მამის მხრიდან კიდევ ერთი და ჰყავს — თაკო ქამუნაშვილი, რომელიც საბერძნეთში ცხოვრობს.

— თქვენ რა პროფესიის ხართ?

— პროგრამისტი გახლავართ. თავის დროზე უნივერსიტეტში ლექციებს ვკითხულობდი, მერე კი ხატვა დავიწყე, ასტროლოგიამ, ფსიქოლოგიამ გამიტაცა და ახლა ადამიანებს პრობლემების მოგვარებაში ვეხმარები... საკმაოდ კარგი მიღწევები მქონდა მარკეტინგის სფეროში — საქართველოში „ჰერბალაიფი“ მე შემოვიტანე, თბილის-

ში პირველი კაფე-ბარი — „მასკარადი“ გავხსენი, რომელიც სხვათა შორის, საკმაოდ პოპულარული გახლდათ; შემდეგ ქობულეთში ბუნგალო გავაკეთე. ამ ყველაფერს გასართობად ვაკეთებდი და არა იმიტომ, რომ ფული „მეკეთებინა“...

— ზუკა ოჯახშიც ისეთივე ონავარია, როგორიც სერიალში?

ქეთი:

— ჯერ ადამიანი არ შემხვედრია, ეს კითხვა რომ არ დაესვას. ზუკა ხალხის ყურადღებას ყოველთვის იქცევდა და ამიტომაც, სულ ვფიქრობდი, — ამ ბავშვს თუ რაიმე ნიჭი აღმოაჩნდა, აუცილებლად პოპულარული გახდება-მეთქი. ისეთი ენერგეტიკა აქვს, ადამიანების კეთილგანწყობილებას იმსახურებს და ზოგჯერ მაღაზიებში რაღაცებს ჩუქნიან კიდეც. სხვათა შორის, ზურა ძალიან მშვიდი, გაწონასწორებული ბიჭია და რაც მთავარია, მოსმენის უნარი და კულტურა აქვს. მართალია, ახლა გარდატეხის ასაკშია, მაგრამ არა მგონია, რადიკალურად შეიცვალოს. ზოგჯერ მაოცებს კიდეც თავისი დაკვირვებებით: არ არსებობს, ადამიანს შეხედოს და ვერ მიხვდეს, ვისთან აქვს საქმე. მასთან პრობლემა არასდროს მქონია. რასაც ვუხსნი, ისე ესმის, როგორც საჭიროა. ზურას აღზრდით ჩემი ბიძაშვილი — ხათუნა ასათიანია დაკავებული, რომელსაც საკუთარი შვილი არა ჰყავს და ცხადია, ზურიკოს ის ძალიან უყვარს.

ზუკა ძმასთან, ვახტანგ შენგელიასთან ერთად

— ზუკა, მასწავლებლებს ისევე ხომ არ აბრაზებ, როგორც სერიალში გოგა ბარბაქაძის გმირს აბრაზებდი? რაიმე ხრიკებს ხომ არ უწყობ მათ?

— არა, ნერვებს არავის ვუშლი. პირადი კონფლიქტები არასდროს მქონია არც მასწავლებლებთან, არც — ბავშვებთან. ეზოში მაგარი მეგობრები მყავს. ვინაიდან წელს ახალ სკოლაში გადავედი, ჯერ კლასელების კარგად გაცნობა ვერ მოვასწარი, მაგრამ 123-ე სკოლაში, სადაც აქამდე ვსწავლობდი, ნამდვილად ბევრი მეგობარი მყავს.

— როგორი მოსწავლე ხარ? წიგნების კითხვა თუ გიყვარს?

— ნორმალურად ვსწავლობ. უნდა ვაღიარო, წიგნების კითხვა არ მიყვარს, რის გამოც დედა სულ მსაყვედურობს, მაგრამ აი, „ჰარი პოტერზე“ ვგიჟდები. კარგად ვერთობი კომპიუტერით, სკეიტბორდით კი შემიძლია, მთელი დღე ვისრიალო; კლუბები და ცეკვა, კონცერტებზე სიარული მიყვარს. ნებისმიერი ჟანრის გემოვნებიან მუსიკას ვუსმენ.

ქეთი:

— სხვათა შორის, ცეკვაზე „ერისიონში“ დამყავდა. ახლა სკოლაში ხრიდოლს ასწავლიან. ზუკა ცხენოსნობითაცაა გატაცებული და ხშირად ჯირითობს.

— ზუკა, გადაღებებს ბევრი დრო მიაქვს?

— დიახ და როცა მუშაობა მიწევს, იმ პერიოდში საკმაოდ დატვირთული დღის განრიგი მაქვს. „ანო და ვანოს თავგადასავალს“ რომ ვიღებდით, ერთ დღეს მაღალი სიცხე მქონდა, მაგრამ რეჟისორს ეს ამბავი დავუმალე და მაინც ვიმუშავე. სხვათა შორის, ამ ფილმში ძალიან კარგი მსახიობები მონაწილეობენ: რუსკა მაყაშვილი, ვანო თარხნიშვილი, გოგა ბარბაქაძე, ნიკა გრიგოლია და სხვები. სამუშაო პროცესი ძალიან სახალისოა. ჩემი პერსონაჟი — ვანო ჭკვიანი და სერიოზული ბიჭია. მას კონსტრუქტორებით თამაში, კოლექციონერობა ანუ რაღაცების შეგროვება მოსწონს. ჰყავს დაიკო — ანო და გაუთხოვარი ძიძა — დოდო. ჰოდა, როგორც სერიალში — „შუა ქალაქი“ — კალანდაძე ამწარებს დათოს, ისე აგიჟებს ვანო დოდოს. ბავშვები 20 წლის წინ ბაბუს მიერ დაწერილ, მაგრამ დაუმთავრებელ ზღაპარს იპოვიან და ფილმიც ამაზეა. დანარჩენს თავადვე იხილავთ, როცა ეკრანზე გამოვა.

ზუკა ხალხის ყურადღებას ყოველთვის იქცევდა და ამიტომაც, სულ ვფიქრობდი, – ამ ბავშვს თუ რაიმე ნიჭი აღმოაჩნდა, აუცილებლად პოპულარული გახდება-მეთქი

ქეთი:

— „ანოს და ვანოს თავგადასავალის“ რეჟისორები ლევან დაბრუნდაშვილი და ჯაბა მელქაძე არიან. „ცისკარას“ შემდეგ, მგონი, საქართველოში მსგავსი საბავშვო ზღაპარი არც გადაუღიათ. სცენარი რომ წავიკითხე, როგორც ბავშვი, ისე ვიცინოდი. ფილმი სავარაუდოდ, ოქტომბრის ბოლოს იქნება მზად. სხვათა შორის, ამ ფილმში ბოროტი დედინაცვლის ეპიზოდური როლის შემსრულებელი დასჭირდათ და მე შემომთავაზეს, — იქნებ თქვენ დაგვეხმაროთო. მათ წინადადებას დავთანხმდი.

— ზუკა, „შუა ქალაქის“ ახალი სეზონი იწყება. შენთვის ჯერ არ დაურეკავთ?

— არა, და საერთოდაც, კარგა ხანია, არავინ დამკავშირებია, რაზეც გული მწყდება...

ქეთი:

— როგორც დედას, არანაირი ამბიცია არ მაქვს, რომ ჩემი შვილი პოპულარული ან გამოჩენილი იყოს. მე მხოლოდ ის მიხარია, რაც მას ახარებს. შვილების არჩევანს ყოველთვის პატივს ვცემდი და მათ მიზნის მიღწევაში შეძლებისდაგვარად ვეხმარებოდი. ღმერთმა ქნას, ზუკასგან კარგი მსახიობი დადგეს. ■

რაში დასჭირდა ნანიკო ხაზარაძეს მიმტანად მუშაობა

„იძულებული გავხდი, მაღალჩინოსნებთან ჩამეწყო საქმე"



გასულ ზაფხულს ტელეწამყვანმა ნანიკო ხაზარაძემ „დღის შოუს" პირდაპირ ეთერში აღნიშნა, რომ ერთ-ერთ რესტორანში მიმტანად დაიწყო მუშაობა, მაგრამ საზოგადოების დიდ ნაწილს ამის დაჯერება გაუჭირდა, — კარგი, რა, მშვენიერი სამსახური აქვს და ეგ ოფიციანტობას როგორ იკადრებდაო? მინდა გითხრათ, რომ ტელეწამყვანს არა ერთი, არამედ რამდენიმე მშვენიერი სამსახური აქვს, მაგრამ როგორც უნდა გაგიკვირდეთ, ის გასულ ზაფხულს მიმტანადაც მუშაობდა და ამის გამხელაც არ ეთაკილება.

ნათია ჟივიძე

— გარდა იმისა, რომ „დღის შოუს" ერთ-ერთი წამყვანი გახლავართ, ვმუშაობ რადიო „იმედის", ასევე — „მაგთის" გათამაშების წამყვანადაც, რომელიც ეთერში მხოლოდ კვირადღეს გადის, მაგრამ მთელი კვირის მანძილზე სულ რეპეტიცია და განხილვები მაქვს. ამავდროულად, ვმუშაობ ახალ პროექტზე, რომელიც ეთერში სულ მალე გავა.

— **როგორც ვხედავ, სხვა დამატებითი სამუშაო აღარ გჭირდება.**

— თუ ფულს გადამიხდიან, როგორ არ მჭირდება?! უარს ნამდვილად არ ვიტყვი. მიუხედავად იმისა, რომ დატვირთული დღის რეჟიმი მაქვს, მაინც ყველაფერს კარგად ვუმკლავდები.

— **როგორც მახსოვს, აქამდე რადიო „იმედში" არ მუშაობდი.**

— მართალია. გადაცემა „დილა იმედისა" ნიკა წულუკიძესა და ანი მაღლაკელიძეს მიჰყავდათ, მაგრამ ახალი სეზონიდან ფორმატი შეიცვალა და ახლა ერთ დღეს მე და ნიკას მიგვყავს გადაცემა, მეორე დღეს კი — საკო სუხიშვილსა და კოტიკო თოლორაიას.

— **სამსახურს ყოველთვის იოლად შოულობ?**

— თუკი დრო და ენერგია მაქვს, სამსახურის პოვნა რატომ უნდა იყოს რთული?!

— **ბოლო პერიოდში ერთ-ერთ რესტორანში, მიმტანადაც მუშაობდი...**

— მართალი ხარ. ფული მჭირდებოდა, რადგან საზღვარგარეთ ვაპირებდი წასვლას. დავფიქრდი და მივხვდი, რომ იმ მომენტში ჩემთვის ყველაზე ხელსაყრელი რესტორანში მუშაობა იქნებოდა. ჰოდა, მივედი ერთ-ერთ დაწესებულებაში, სადაც თავიდან იფიქრეს, რომ ვაფრენდი, ამიტომ დირექტორს დაურეკეს, რომელმაც გასაუბრებაზე დამიბარა და მკითხა, — ამ საქმეში გამოცდილება თუ გაქვთო? როგორც კი ვუთხარი, — ადრე მიმტანად მოსკოვშიც მიმუშავია-მეთქი, მაშინვე დამასაქმა. მინდა გითხრა, რომ იქ შემოსული სტუმრები ბოლომდე მაინც არ იჯერებდნენ, რომ ნამდვილად მიმტანი ვიყავი, უმრავლესობას „ფარული კამერა" ეგონა; ზოგიერთი იმასაც მეუბნებოდა, — შენ ნუ შეწუხდები, მაგიდას მე ავალაგებო.

— **მოსკოვში მიმტანად როდის მუშაობდი?**

— როცა გავთხოვდი, მეუღლესთან ერთად მოსკოვში წავედი. მაშინ მიმტანობის არანაირი გამოცდილება არ მქონდა, მაგრამ რესტორნის მეპატრონეებთან მივდიოდი, — დამასაქმეთ-მეთქი. მათ ჩემს „სივის" რომ ვაძლევდი, მეუბნებოდნენ, — ასეთი „სივით" აბსოლუტურად სხვაგან უნდა იმუშაოო. მერე იძულებული გავხდი, მაღალჩინოსნებთან ჩამეწყო საქმე.

— **შენი პირველი სამსახური ალბათ, კარგად გახსოვს...**

— პირველად მუშაობა ჯერ კიდევ სკოლის პერიოდში დავიწყე. „მეორე არხი" რომ „მეორე არხობდა", მაშინ გადაცემა „დუბლიორში", რომელშიც ახალ ამბებსა და მუსიკალურ კლიპებს აშუქებდნენ, კლიპსა და კლიპს შორის ვერთვებოდი, დიდ „ბარაბანს" ვატრიალებდი, მერე ვიღაცებს ვურეკავდი და პრიზებს ვაგებინებდი. ამ არხზე შემთხვევით მოვხვდი და მერწმუნე, მას შემდეგ თითქმის ყველა სამუშაო აბსოლუტური შემთხვევითობის წყალობით ვიშოვე; წინასწარ არასდროს არაფერი დამიგეგმავს და არც ტელევიზიაში მუშაობაზე მიოცნებია.

— **„მეორე არხიდან" წამოსვლის შემდეგ, მუშაობა სად დაიწყე?**

— „მეორე არხი" მალევე დაიხურა. მოგვიანებით „პირველი არხიდან" დამირეკეს და მთხოვეს, — იქნებ ჩვენთან მუშაობა გეცადაო. ვცადე და გამომივიდა! ამ ტელევიზიაში საკმაოდ დიდხანს ვმუშაობდი. იყო ასეთი გადაცემა — „ტერმინალი 72", სადაც კლუბურ ცხოვრებას ვაშუქებდით. ასეთი ფორმატის გადაცემები მაშინ საქართველოში არ არსებობდა, რადგან საკმაოდ ცოტა კლუბი იყო; შოუბიზნესი სწორედ მაშინ იკიდებდა ფეხს და შესაბამისად, კვირაში ერთხელ რომელიმე მომღერალს, ფანებთან ერთად ვიწვევდით ხოლმე. ცნობისათვის, მე გადაცემის წამყვანი გახლდით. მოგვიანებით, „ტერმინალი 72" დაიხურა და „ტოტო ლოტოში" დავიწყე მუშაობა: თავიდან მხოლოდ ტირაჟს ვაცხადებდი, მერე დამაწინაურეს და ამ გათამაშების წამყვანი გავხდი. მოგვიანებით, როცა „ტოტო ლოტოც" დაიხურა, ტელევიზიიდან საერთოდ წამოვედი და „ჯეოსელში", გაყიდვების განყოფილებაში დავიწყე მუშაობა...

— **როგორც ვიცი, პროფესიით მსახიობი ხარ...**

მიმტანობის არანაირი გამოცდილება არ მქონდა, მაგრამ რესტორნის მეპატრონეებთან მივდიოდი, — დამასაქმეთ-მეთქი

— კი, ასეა. სხვათა შორის, სამხატვრო აკადემიაც დავამთავრე და შუალედში, მეორად პროფესიასაც ვითვისებდი — უცხო ენების განხრით.

— **ოდესმე ეს პროფესიები გამოგიყენებია?**

— რასაკვირველია! თეატრალურ ინსტიტუტშიც და სამხატვრო აკადემიაშიც საკმაოდ დიდი გამოცდილება შევიძინე. სცენაზე რომ არ ვდგავარ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ არაფერი მისწავლია. არაჩვეულებრივი პედაგოგები მყავდა და მათგან კარგ რჩევებსაც ვიღებდი. სხვათა შორის, „თეატრალურ სარდაფში“, რამდენიმე სპექტაკლში ვითამაშე კიდეც, მაგრამ მერე მივხვდი, რომ თეატრში ჩემი ადგილი არ იყო და წამოვედი.

— **როგორც ვიცი, რამდენიმე ქართულ ფილმშიც გადაგიღეს...**

— საერთოდ, უარს არაფერზე ვამბობ, რადგანაც ავანტიურა ძალიან მიყვარს. თუკი შემომთავაზებენ, ფილმშიც ვითამაშებ, მით უფრო, თუ კარგი ანაზღაურებაც მექნება.

— **პოპულარული გადაცემა „ტოროლების“ წყალობით გახდი. იმ პერიოდში ალბათ, ოჯახი არ არსებობდა, სადაც ამ გადაცემას არ ადევნებდნენ თვალს...**

— ამ გადაცემას მართლა ყველა უყურებდა. ვერ გეტყვი, რატომ გამოდიოდა ასეთი კარგი... გადაცემის დაწყებამდე ორი დღით ადრე მამუკა ღლონტმა მითხრა, რომ ეთერს მე და სოსო თოლორაია უნდა გავძღოლოდით. ჰოდა, ამ ორი დღის განმავლობაში ორივენი ვრეპეტიციობდით. იმ დროს ნიკა ლომიძეს მხოლოდ შორიდან ვიცნობდი. გადაცემის გასვლის წინაღამეს კი მამუკამ დამირეკა და, — არანაირი სოსო თოლორაია, გადაცემას შენ და ნიკა ლომიძე წაიყვანთო. ასე, პირდაპირ ეთერში დავიწყე ნიკასთან ურთიერთობა და მართლა ძალიან კარგი ტანდემი გამოვიდა. ერთი წელი ვიმუშავე, მერე კი გავთხოვდი და საქართველოდან გავემგზავრე, მეუღლესთან ერთად მოსკოვში ვცხოვრობდი. როცა აქ დავბრუნდი, უკვე ორსულად ვიყავი. „რუსთავი 2“-დან დამირეკეს და შემომთავაზეს, დილის გადაცემა წამეყვანა. ვუთხარი, რომ ორსულად ვიყავი, მაგრამ მაინც მიმიღეს, — სანამ შეძლებ, იმუშავეო. ჰოდა, ლამის „რუსთავი 2“-ში ვიმშობიარე, ბოლო წუთამდე ეთერში ვიჯექი. მშობიარობის მერე „მაესტროდან“ დამირეკეს და ახლა იქ შემომთავაზეს სამსახური. მაშინ ლილუ ძალიან პატარა მყავდა და შეიძლება ითქვას, რომ „მაესტროში“ მთელი ოჯახით მივედი — გადაცემა მეუღლესა და პატარა ლილუსთან ერთად მიმყავდა (*იცინის*).

— **„მაესტროდან“ წამოსვლის შემდეგ მეუღლეს გაშორდი და კვლავ „რუსთავი 2“-ში დაბრუნდი, პერსონალური გადაცემით — „ნანიკოს შოუ“. როგორ მოხდა შენი ამ არხზე დაბრუნება?**

— იმ დროს მეუღლესთან უკვე გაშორებული ვიყავი (*ფიქრობს*)? კი, მართალი ხარ, ნამდვილად ასე იყო... მეგობარი მყავს, ელა, რომელიც ამ არხზე ვიზაჟისტად მუშაობს. მან მითხრა, — შენ ყველაფერი შეგიძლია, პასიურობას შეეშვი და მე და შენ რაიმე პროექტი მოვიფიქროთო. მართლაც, დავწერეთ პროექტი, მერე ელამ პილოტის გადაღების უფლება მოიპოვა. მახსოვს, 3 თვის განმავლობაში „რუსთავი 2“-ის შენობასთან ვიდექი და დირექტორთან შეხვედრას ვცდილობდი. ბოლოს, როგორც იქნა, გამოვიჭირე. მან პროექტი მომიწონა და მის განხორციელებას შევუდექით, მაგრამ სამწუხაროდ, დირექტორი მალევე შეიცვალა, მე კი ახალ უფროსთან მაგრად ვიჩხუბე და არხიდან წამოვედი.

— **ამის შემდეგ გარკვეული ჩავარდნა გქონდა, ყოველ შემთხვევაში, ეკრანზე კარგა ხანს ალარ ჩანდი.**

— არანაირი ჩავარდნა არ მქონია, უბრალოდ, ტელევიზიაში არ ვმუშაობდი, თორემ რადიოსთვის თავი არასდროს დამინებებია...

— **„დღის შოუს“ წამყვანი როგორ გახდი?**

— ერთხელ „იმედიდან“ დამირეკეს და კასტინგზე დამიბარეს. ჰოდა, როგორც იცით, უკვე მეორე წელია, „დღის შოუს“ წამყვანი გახლავართ.

— **პირფერობაში არ ჩამომართვა, მაგრამ მგონია, რომ ამ გადაცემას საკმაოდ კარგად მოერგე. აბსოლუტურად ყველა თემაზე საკუთარი ცხოვრებისეული მაგალითები მოგყავს.**

— მართლა ასეა და მერწმუნე, ეს მაგალითები წინასწარ მოფიქრებული და სცენარით გათვლილი არ არის. უბრალოდ, ასე ემთხვევა და როდემდე „გავქაჩავ“, არ ვიცი.

— **როცა „დღის შოუში“ ია ფარულავაც მუშაობდა, თქვენ პირდაპირ ეთერში ხშირად კამათობდით და ამის ამსახველი პრო-**

თითქმის ყველა სამუშაო აბსოლუტური შემთხვევითობის წყალობით ვიშოვე; წინასწარ არასდროს არაფერი დამიგეგმავს და არც ტელევიზიაში მუშაობაზე მიოცნებია

ერთხელ „იმედიდან“ დამირეკეს და კასტინგზე დამიბარეს. ჰოდა, როგორც იცით, უკვე მეორე წელია, „დღის შოუს“ წამყვანი გახლავართ

მოც გადაიღეთ. რატომ გქონდათ ასეთი დაძაბული ურთიერთობა?

— დაძაბულობა არაფერ შუაშია, უბრალოდ, ჩვენი მოსაზრებები ერთმანეთს არ ემთხვეოდა.

— ეთერს მიღმაც ასეთი ურთიერთობა გქონდათ?

— კი, ყოველთვის ვკამათობდით.

— იას წასვლის შემდეგ სალომე კასრაძე შემოგიერთდათ. როგორც ჩემთვის ცნობილია, სამივე წამყვანს აბსოლუტურად თანაბარი უფლებები გაქვთ, მაგრამ შენ ყოველთვის უფრო მეტად აქტიურობ, უფრო მეტს ლაპარაკობ...

— ჩუმად იყავი, ეს ხმამაღლა არ თქვა, თორემ გოგოები გადაირევიან (*ლიმის*)... არ ვიცი, საკუთარ თავს ასეთ აქტიურობას ნამდვილად ვერ ვატყობ.

— ცხოვრებაშიც ისეთივე აქტიური ხარ, როგორიც ეკრანზე?

— არა, საერთოდ არა ვარ აქტიური და ზოგჯერ მეხვეწებიან კიდეც, — შენი ხმა გაგვაგონეო.

— მოკლედ, მთელი ცხოვრება, თანაც, ერთდროულად რამდენიმე ადგილას მუშაობ. ამას მხოლოდ მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით აკეთებ თუ ეს ყველაფერი სიამოვნებას განიჭებს?

— ფული რომ მჭირდება, ამას ლაპარაკი რად უნდა, მაგრამ მუშაობა მსიამოვნებს კიდეც. როცა დაკავებული ხარ, პრობლემებზე ნაკლებად ფიქრობ და შესაბამისად, ცუდ ხასიათზეც იშვიათად ხარ.

— შენი აზრით, საქართველოში კარიერის აწყობა რამდენად იოლია ან საერთოდ, რა არის ამისთვის საჭირო?

— ნაცნობიც გჭირდება, ფულიც და სხვა დანარჩენიც. ისე, ყველაფერი ინდივიდუალურია. წარმატების მისაღწევად მზა რეცეპტი რომ არსებობდეს, ყველას მაგარი კარიერა ექნებოდა. ერთს გეტყვით, ჩემს ცხოვრებაში ყველაფერი შემთხვევით ხდებოდა. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ჟურნალისტი გავხდებოდი და მთელ ცხოვრებას ტელევიზიაში გავატარებდი...

— დაბოლოს, მას შემდეგ, რაც დუტა სხირტლაძესთან დაგაწყვილეს, შენზე არანაირი ჭორი არ მსმენია. კარგად ნიღბავ საკუთარ თავს თუ ამ ეტაპზე პირადი ცხოვრება არ გაქვს?

— ჩემს პირად ცხოვრებაზე ერთ-ერთმა გაზეთმა აბსოლუტური სისულელე დაბეჭდა. მინდა დაგარწმუნოთ, რომ ამ ეტაპზე პირადი ცხოვრება ნამდვილად არ მაქვს, არავის ვხვდები... ■

გიორგი აფციაური შეყვარებულს დაშორდა

„მინდა, ჩემი სიყვარულის ამბავი თქვენს ჟურნალში დარჩეს"

„3 მეტსახელი მაქვს: ბატონო პრეზიდენტო, მიშა და აფციკა. მგონი, დედაჩემი ერთადერთი ადამიანია, რომელიც გიორგის მეძახის", — მითხრა „კომედი შოუს" მსახიობმა. როგორც წესი, გიორგი აფციაური პირად ცხოვრებაზე ლაპარაკს თავს არიდებს, მაგრამ ამ შემთხვევაში, მან ჩვენთვის გამონაკლისი დაუშვა... ვიდრე მის პირად ცხოვრებაზე მოგიყვებით, მცირედ გადახვევას გავაკეთებ: მსახიობთან ერთად ქუჩაში გასვლა მომიხდა. ინტერვიუს ჩასაწერად მყუდრო ადგილს ვეძებდით. მოულოდნელად, გიორგის უამრავი ბავშვი შემოეხვია და მსახიობი მათ რის ვაი-ვაგლახით დაუსხლტა ხელიდან.

ელენე გასილიძე

— აი, ხომ დაინახე, ბავშვებს ჩემი დანახვა როგორ უხარიათ? ისინი ხშირად მოდიან, მეცნობიან, ჩემ მიმართ სიყვარულს გამოხატავენ და ამაზე უკეთესი აბა, რა უნდა იყოს?!. ხელისუფლებისადმი ოპოზიციურად განწყობილი ადამიანები მეუბნებიან: — მიდი, უფრო მაგრად გააჯავრეო, პრეზიდენტის ფანები კი აღიარებენ: — კარგად აჯავრებ! ჩვენ ისიც მაგრად გვიყვარს და შენც გვიყვარხარო. ამას წინათ ქუჩაში ერთი ბებო შემხვდა და ჩემი დანახვისას აყვირდა, — უსირცხვილო, უსირცხვილოო. — ჩემზე ამბობთ, ქალბატონო-მეთქი? — ვკითხე. — ჰო, ჰო, შენზე ვამბობ, აბა, ჩვენი პრეზიდენტი შენი გასაჯავრებელიაო?.. ზოგჯერ უცნობი ადამიანები სახლშიც მეპატიჟებიან, რაც ძალიან სასიამოვნოა, მაგრამ სამწუხაროდ, დროის სიმცირის გამო, მათთან სტუმრობას ვერ ვახერხებ...

— აი, ამით კი ნამდვილად არ ჰგავხარ ჩვენს პრეზიდენტს. ის მათთან სტუმრობას აუცილებლად მოახერხებდა.

— (*იცინის*) ცდები. პრეზიდენტს მაშინ დავემსგავსები, თუ ოჯახებში მოულოდნელად მივალ და რაღაცას მივულოცავ. ამას წინათ მარნეულში კონცერტი გვქონდა. სცენაზე რომ გავედი და მიშას პაროდიის გაკეთება დავიწყე, უკანა რიგში მსხდომები აყვირდნენ, — მიშა, მიშაო! მერე ვხუმრობდი: ალბათ ხალხი სცენაზე ვერ მხედავდა, მხოლოდ ჩემი ხმა ესმოდათ და იფიქრეს, რომ პრეზიდენტი ესტუმრათ-მეთქი.

— პრეზიდენტის ხმას მეგობრების გასაბითურებლად თუ იყენებ?

— ძალიან დიდი ხნის წინ ერთ ადამიანთან დავრეკე და ვუთხარი, — ბათუმში ვარ და სუფსის ტერმინალთან დამხვდით-მეთქი. ჰოდა, უნდა გენახათ, ამ ტერმინალთან რა სუფრა დამახვედრეს (*იცინის*). როცა არავინ იცოდა, პრეზიდენტის პაროდიის გაკეთება რომ შემეძლო, მაშინ უფრო ვმაიმუნობდი. ერთხელ პრეზიდენტის ხმით რამდენიმე გოგონას ტელეფონზე

პრეზიდენტს მაშინ დავემსგავსები, თუ ოჯახებში მოულოდნელად მივალ და რაღაცას მივულოცავ

მის მიმართ დღემდე სერიოზული გრძნობა მაქვს და სხვები არ მაინტერესებს

დავურეკე, — გამოკითხვას ვატარებ. მაინტერესებს, საქართველოს მოქალაქეებმა ჰიმნი იციან თუ არა-მეთქი. ის საწყლები არაფერში დაეჭვებულან, ეგრევე ამღერდნენ (*იცინის*).

— **ხშირად ამბობენ, აფციკა გაცილებით სერიოზულია, ვიდრე ეკრანზე ჩანსო...**

— ჰო, მაგრამ არც ისეთი სერიოზული ვარ, როგორც ამბობენ. უბრალოდ, სამსახურში იმდენად ვიღლები, რომ საღამოს ხუმრობის თავი აღარ მაქვს.

— **შენი დაძაბული დღის რეჟიმის გამო, სახლში არ გსაყვედურობენ?**

— როგორც წესი, შინ იშვიათად ვარ, ზოგჯერ კი მხოლოდ დასაძინებლად მივდივარ. ოჯახის წევრები ამას უკვე შეეგუნენ.

— **როგორც ვიცი, შეყვარებული ხარ...**

— ვინ გითხრა?

— **ჩიტმა მომიტანა ამბავი...**

— ჰო, რა ვიცი, ასე ამბობენ.

— **სხვები რას ამბობენ, ეს საინტერესო არ არის...**

— არის ადამიანი, რომელზეც სერიოზულად ვფიქრობ... მაგრამ არა, ჩვენ გუშინ დავშორდით. ამის გამო ზედმეტად მხიარულად ხომ არ გამოვიყურები?

— **ალბათ კიდევ გაქვს იმედი, რომ შერიგდებით...**

— არა მგონია. დარწმუნებული ვარ, საბოლოოდ დავშორდით.

— **დაშორების ინიციატორი ვინ იყო?**

— როცა ადამიანები ერთმანეთს შორდებიან, ეს ფაქტი მეტ-ნაკლებად, ორივეს ბრალია. დღეს უკვე აღარაფრის შეცვლა არ შემიძლია.

— **მის მოხიბვლაში იუმორის გრძნობა დაგეხმარა?**

— არ ვიცი, რით მოვხიბლე, მაგრამ იმას კი გეტყვი, რომ ის ჯერ კიდევ მაშინ გავიცანი, როცა იუმორისტულ გადაცემაში არ ვმონაწილეობდი.

— **შეყვარებულის ვინაობას ყოველთვის მალავდი...**

— იყო შემთხვევა, როცა ვიღაც მომწონდა და მასთან ურთიერთობას მხოლოდ იმიტომ ვმალავდი, რომ სხვა გოგონების „დაკერვაში" არ შემშლოდა ხელი, მაგრამ ჩემი ბოლო სიყვარული იმდენად ძლიერი იყო, რომ მისი სააშკარაოზე გამოტანაც შევძელი... ახლა ერთ ადამიანზე ვარ კონცენტრირებული. გამოგიტყდები, მის მიმართ დღემდე სერიოზული გრძნობა მაქვს და სხვები არ მაინტერესებს.

— **მოკლედ, მაგრად გაგაბა, არა?**

— ასე გამოდის.

— **ჩვენი ჟურნალის საშუალებით, მისთვის რაიმეს თქმა ხომ არ გსურს?**

— არა, უბრალოდ მინდა, ძალიან წარმატებული იყოს და მოძებნოს ისეთი ადამიანი, ვინც გააბედნიერებს... და კიდევ, ბრძოლას მაშინ აქვს აზრი, როცა ურთიერთობიდან რაღაც რჩება, ჩვენს შემთხვევაში კი ყველაფერი საბოლოოდ დასრულდა.

— **თანაგიგრძნობ... შეგიძლია მითხრა, როგორი გოგონები მოგწონს?**

— მე ისეთი გოგონები მომწონდა, როგორიც ნინი იყო. ის ჩემთვის ყველაფერი გახლდათ. მერწმუნე, რომ არ ყოფილიყო, მასზე საჯაროდ არასდროს ვილაპარაკებდი. მინდა, ჩემი სიყვარულის ამბავი თქვენს ჟურნალში მაინც დარჩეს. ის კარგი ადამიანია და იმედი მაქვს, გარკვეული დროის შემდეგ მეგობრობას მაინც შევძლებთ.

— **როგორი შეყვარებული იყავი?**

— არ ვიცი, ეს მას უნდა ჰკითხოთ. მგონი, სიყვარული არ მაზარმაცებს. ყოველ შემთხვევაში, საკმაოდ მოტივირებული ვიყავი, დღედაღამ ვმუშაობდი... საკუთარ თავზე ლაპარაკი მიჭირს.

— **საყვარელ ადამიანს სიურპრიზებით, საჩუქრებით თუ ანებივრებდი?**

— მის გამო ბევრი რამ გამიკეთებია, მაგრამ ამ ყველაფრის დაკონკრეტება მართებულად არ მიმაჩნია...

— **მისთვის სერენადა თუ გიმღერია?**

— ვინაიდან მუსიკალური მონაცემები არ მაქვს, ამისთვის ნამდვილად არ გამოვდგები!

— **წარმატებებს გისურვებ!**

— გმადლობ. ■



რატომ გაურბის თინა მახარაძე ფოტოკამერას

„ახლა რადიკალურად განსხვავებული ვარ, ძალიან შევიცვალე"

„ძალიან უცნაური ბავშვი ვიყავი. ვფიქრობდი, — ყველასგან გამორჩეული, ღვთიური ნიჭით დაჯილდოებული ვარ-მეთქი", — მითხრა მსახიობმა თინა მახარაძემ. ის თურმე, მაკიაჟს თითქმის არასდროს იკეთებს, სილამაზის სალონებს არ სტუმრობს და როგორც ამბობს, იმიჯის შეცვლაზეც ძალიან იშვიათად ზრუნავს, რადგან მიაჩნია, რომ ბუნებრიობას არაფერი სჯობს.

მარეხ ჭონიშვილი

— როგორი ბავშვი იყავი?

— უცნაური ბავშვი ვიყავი. ცელქი, ახტაჯანა და მხიარული, მაგრამ ამავდროულად, საკუთარ თავში ჩაკეტილიც გახლდით. არ მიყვარდა იმ ადამიანებთან კონტაქტი, რომლებიც არ მომწონდა. ცელოფანის პარკებით, „ადიალებით", „შპილკებით" ქოხს ვაკეთებდი და შიგ ვიკეტებოდი. ჩემს აგებულ „სახლში" შემოსვლის ნებას მხოლოდ მას ვაძლევდი, ვინც მომწონდა.

— იმ ქოხში რას აკეთებდი?

— სცენარებს ვწერდი, შემდეგ კი უბნის ბავშვებთან ერთად სპექტაკლებს ვდგამდი, კონცერტებს ვმართავდი. სხვათა შორის, ჩვენ ბილეთებსაც ვყიდდით, ფულს კი თანაბრად ვინაწილებდით ანუ ზუსტად ისე ხდებოდა, როგორც „იმერულ ესკიზებშია" (*იცინის*). მე და ჩემი და ქოხში „ჟურნალისტობანასაც" ვთამაშობდით: ვითომ გადაცემა მიგვყავდა, რომელსაც „მზამზარეული" ერქვა. ჩვენი გადაცემის თემა ძირითადად, ასეთი იყო: „როგორ უნდა დავალაგოთ სახლი", „როგორ მოვამზადოთ კერძები", „როგორ უნდა იმეცადინოს მოსწავლემ" და ა.შ. გადაცემის დაწყებისა და დამთავრების შემდეგ კი ყოველთვის, სიტყვა „მზამზარეულს" წავიღიღინებდით ხოლმე.

— ეი. მსახიობობა ბავშვობიდანვე გინდოდა, არა?

— კი. ძალიან არტისტული ბავშვი ვიყავი და ვფიქრობდი, — ყველასგან გამორჩეული, ღვთიური ნიჭით დაჯილდოებული ვარ-მეთქი. აი, ეს სურათი ბაღში ყოფნისას გადამიღეს. ბავშვები „მე, ბებია, ილიკო და ილარიონს" ვთამაშობთ. ოლღა ბებიას როლს ვასრულებდი. მახსოვს, როგორი დიდი პასუხისმგებლობით ვეკიდებოდი ჩემს საქმეს. ეს სწორედ ის ეპიზოდია, როცა ზურიკელა ამბობს: არტისტი უნდა გამოვიდეო, მე კი თავში ხელებს ვიშენ და ვამბობ: ტი-ტუ, ტი-ტუ, მრავალცოლიანი შვილიშვილი არ მინდა-მეთქი! ამ ჩემს ნათქვამ „ტი-ტუ, ტი-ტუზე" მშობლები და მასწავლებლები ბევრს იცინოდნენ. მეუბნებოდნენ: ნამდვილი მსახიობი ხარო და მეც, ამით ძალიან ვამაყობდი.

— პრანჭია იყავი?

— პრანჭია არასდროს ვყოფილვარ. სხვათა შორის, გოგონების უმეტესობას დედის მაღალქუსლიანი ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის ჩაცმა სჩვევია, მე კი ამის სურვილი არასდროს გამჩენია... ბავშვობის დროინდელ ფოტოსურათებში ჩემს თავს ვერ ვპოულობ. მგონია, რომ ახლა რადიკალურად განსხვავებული ვარ, ძალიან შევიცვალე. აი, მხოლოდ ამ სურათში ვარ ის, ვინც სინამდვილეში გახლავართ. ეს ფოტო 90-იან წლებშია გადაღებული ანუ მაშინ, როცა ჯერ კიდევ შეშის ღუმლით ვთბებოდით. სახასიათო ფოტოა: გაწეწილი თმა, ხელში კი შოკოლადი „ტვიქსი" მიჭირავს, რომელიც დიდმა ბაბუამ მომიტანა. მოკლედ, ეს ჩემი საყვარელი ფოტოსურათია.

— ეს სურათი კი ზეიმზეა გადაღებული, არა?

— ამ დროს უკვე პირველკლასელი გახლდით. სურათი მაშინ გადამიღეს, როცა ერთ-ერთ ფესტივალში ვმონაწილეობდი. მახსოვს, ლადო ასათიანის „ცხრა ძმა ხერხეულიძე" წავიკითხე და მხატვრულ კითხვაში გრანპრი ავიღე. სხვათა შორის, ჟიურის წევრები იყვნენ: კარლო საკანდელიძე, ნუნუ გაბუნია, ზინაიდა კვერენჩხილაძე. მოკლედ, იმ დღეს ძალიან გახარებული და ამაყი ვიყავი.

თინა მახარაძე მშობლებთან ერთად

ეს სურათი ბაღში ყოფნისას გადამიღეს. ბავშვები „მე, ბებია, ილიკო და ილარიონს" ვთამაშობთ

სურათი მაშინ გადამიღეს, როცა ერთ-ერთ ფესტივალში ვმონაწილეობდი


სახასიათო ფოტოა: გაწეწილი თმა, ხელში კი შოკოლადი „ტვიქსი“ მიჭირავს, რომელიც დიდმა ბაბუამ მომიტანა

— სკოლის დამთავრების შემდეგ, როგორც წესი, გოგონები იმიჯს რადიკალურად იცვლიან. საკუთარ გარეგნობაში შენ თუ შეიტანე კორექტივები?

— მე-11 კლასში რომ გადავედი, ვიფიქრე: უკვე დიდი ვარ და იმიჯის შეცვლის დროა-მეთქი! ჰოდა, თმის გასწორება, მოკლე კაბისა და მაღალქუსლიანი ფეხსაცმლის ჩაცმა დავიწყე. მთელი ორი წელი ასე, კლასიკურად ჩაცმული და მოწესრიგებული დავდიოდი. აი, ეს სურათი სწორედ ამ პერიოდშია გადაღებული. სიმართლე გითხრათ, ეს ფოტო არ მომწონს და ჩემს თავზე მეცინება, რადგან მიმაჩნია, რომ ძალიან უცნაურად გამოვიყურები, საკუთარ თავს არ ვგავარ.

— თმა რა ასაკში შეიღებე?

— თმა სულ ორჯერ შევიღებე: პირველად მე-9 კლასში ყოფნისას, მოკლე ვარცხნილობა გავიკეთე (თავი თითქმის გადახოტრილი მქონდა) და თმა წითლად შევიღებე, მეორედ კი — სკოლის დამთავრების შემდეგ. ახლა ბუნებრივი ფერის თმა მაქვს და ძალიანაც მომწონს.

— სილამაზის სალონს ხშირად სტუმრობ?

— ორი წლის განმავლობაში სილამაზის სალონის ხშირი სტუმარი ვიყავი. იქ სისტემატურად დავდიოდი და ვცდილობდი, თმა და ფრჩხილები ყოველთვის წესრიგში მქონოდა, მაგრამ ახლა აღარ დავდივარ — ასეთ ადგილებში სიარული არ მხიბლავს...

— სკოლის ბანკეტზე როგორ გამოიყურებოდი?

— იისფერი, ზურგმოშიშვლებული მოკლე კაბა და მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი მეცვა, თმა კი წითლად მქონდა შეღებილი. მაშინ ვფიქრობდი, რომ ყველაზე კარგად გამოვიყურებოდი, მაგრამ დრო რომ დაბრუნდეს და ბანკეტისთვის ახლა ვემზადებოდე, არჩევანს სულ სხვა რაღაცებზე გავაკეთებდი, ისე ჩაცმული ნამდვილად არ წავიდოდი. მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი და კლასიკური სამოსი ჩემს გემოვნებაში არ ჯდება. მირჩევნია, თავისუფალი სტილის სამოსი მეცვას...

— ჩაცმასთან დაკავშირებით ვის რჩევას ითვალისწინებდი?

— არავის აზრს არ ვითვალისწინებდი და დღემდე ასეა! თუ ვინმე მეტყოდა: — ეს არ გიხდება და ნუ ჩაიცვამო, მაინც ვიცვამდი. მთავარია, მე მომწონდეს, იმ კონკრეტულ სამოსში თავს კომფორტულად ვგრძნობდე და სხვა რას იტყვის, სულაც არ მადარდებს.

— წარბების კორექცია როდის გაიკეთე?

— ერთ-ერთი გადაღების დროს საჭიროებამ მოითხოვა და გამიკეთეს, მას შემდეგ კი ხელი აღარ მიხლია. ვფიქრობ, ისეთი ფორმის წარბები მაქვს, რომ შესწორებას დიდად არც საჭიროებს.

ეს ფოტო არ მომწონს და ჩემს თავზე მეცინება, რადგან მიმაჩნია, რომ ძალიან უცნაურად გამოვიყურები

— ყურები რა ასაკში გაიხვრიტე?

— 10 წლის ვიყავი, ყურები რომ გამიხვრიტეს. მახსოვს, საყურის ტარება ძალიან მინდოდა. მიყვარს საყურეც და სხვა აქსესუარებიც, მაგრამ ცოტა უყურადღებო ვარ და ხშირად მეკარგება. ცნობისათვის, მშრალ ხიდზე ხისგან და ქვისგან დამზადებული ბევრი ლამაზი სამკაული იყიდება.

— მაკიაჟს ყოველდღიურად თუ იკეთებ?

— ყოველდღიურად მაკიაჟს არ ვიკეთებ. მირჩევნია, ბუნებრივად გამოვიყურებოდე. ისიც მეყოფა, გადაღებებისა და სპექტაკლების დროს გრიმს რომ მიკეთებენ (*იღიმის*).

— სურათების გადაღება გიყვარს?

— სურათების გადაღება მიყვარს მხოლოდ მაშინ, როცა კარგ გარემოში და საყვარელ ადამიანებთან ერთად ვარ, სხვა შემთხვევაში კი ფოტოკამერის წინ პოზირება სიამოვნებას არ მანიჭებს... აი, ეს ფოტო ძალიან მიყვარს. სიღნაღში ვიყავი, როცა ერთმა ბებომ საკუთარი ხელით მოქსოვილი წინდები მაჩუქა, მე კი ეს წინდები მეგობარს ვაჩუქე, როდესაც საქართველოდან მიდიოდა.

— სერიალში — „ვოგონა გარეუბნიდან“ — რა სიახლეა? გადაღებები უკვე დაიწყო?

— გადაღებები მიმდინარეობს, მაგრამ არ ვიცი, მაყურებელს ახალი სერიების ყურების საშუალება როდიდან მიეცემა. მხოლოდ იმას გეტყვით, რომ თამუნას ცხოვრებაში არის რაღაც სიახლეები, მაგრამ რას ვგულისხმობ, ამას მხოლოდ ახალი სეზონის დაწყების შემდეგ გაიგებთ... ■

სიღნაღში ვიყავი, როცა ერთმა ბებომ საკუთარი ხელით მოქსოვილი წინდები მაჩუქა, მე კი ეს წინდები მეგობარს ვაჩუქე

უკანონო შვილები

აღიარებენ თუ არა მათ მამები...

საქართველოში ბევრი მარტოხელა დედაა. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, ყოველწლიურად, სამშობიაროდან, საშუალოდ, 3000-მდე ჩვილი მხოლოდ დედას გაჰყავს. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ეს ციფრი საგანგაშოა. არარეგისტრირებული ქორწინებით დაბადებულ ბავშვს გვარის პრობლემაც ექმნება. როცა მამაკაცი შვილზე უარს ამბობს, ქალი პარტნიორს სასამართლოში უჩივის და ამ გზით ცდილობს, მას მამობა აღიარებინოს. ამ მოთხოვნით, სამოქალაქო საქმეთა პალატა არაერთ საჩივარს იხილავს. საჩივრები ძირითადად იდენტურია, ქალი მამაკაცისგან შვილის აღიარებას, მისთვის გვარის მიცემას, ალიმენტსა და მშობლის პასუხისმგებლობის დაკისრებას ითხოვს.

თეა ხურცილავა

მოქმედი კანონით, მამობის დადგენისას, მომჩივანმა სასამართლოში უნდა დაამტკიცოს, რომ იმ მამაკაცთან ერთად ცხოვრობდა და ბავშვის დაბადებამდე საერთო მეურნეობას აწარმოებდნენ, ან ბავშვს ერთად ზრდიდნენ, ანდა, უნდა წარადგინოს სხვა დამამტკიცებელი საბუთი, რომელიც დაადასტურებს მოპასუხის მიერ მამობის აღიარებას. ამ მტკიცებულებების წარდგენას ხშირად ქალები ვერ ახერხებენ, რადგან ერთ ჭერქვეშ არ უცხოვრიათ და ამიტომ, თუკი მამაკაცი ბავშვს არ აღიარებს, პატარა ისევ დედის გვარზე დარჩება და მასზე ზრუნვა მხოლოდ ქალს მოუწევს. ახლა კი „სამოქალაქო კოდექსში“ ცვლილება შედის, რომელიც დაუქორწინებელი მშობლებისგან შვილის წარმოშობის დადგენას ეხება. თუ დაუქორწინებელი მშობლები ერთობლივად შეიტანენ განცხადებას სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში, მაშინ რეგისტრაციის ორგანო ვალდებულია, ბავშვის დაბადების მოწმობაში მშობლების მონაცემები მიუთითოს, მაგრამ თუ ერთობლივი განცხადება არ არსებობს, მაშინ ქალმა განცხადება სასამართლოში უნდა შეიტანოს და იქ დადგინდეს მამის ვინაობა.

ახალი კანონით, დაუქორწინებელი მშობლებისაგან შვილის წარმოშობის საკითხის დადგენის დროს, სასამართლო გადამწყვეტ მნიშვნელობას ბიოლოგიურ (გენეტიკურ) ან ანთროპოლოგიური ხასიათის გამოკვლევას მიანიჭებს. კანონპროექტის მიზანი ბავშვთა უფლებების დაცვაა. დეპუტატ რუსუდან კერვალიშვილის თქმით, „უკანონო ადამიანი არ არსებობს. ბავშვის ჰარმონიული განვითარებისთვის მშობლები საჭიროა და ყველა პატარას აქვს უფლება, ორივე მშობელი ჰყავდეს. დედამ ბავშვი კანონგარეშე არ უნდა დატოვოს. მშობლები თანაბარი უფლების მქონენი არიან. მამაკაცებსაც აქვთ გარკვეული პრეტენზია, რომ საკუთარი მამობის ჭეშმარიტება დაადგინონ. ბავშვზე მეურვეობა ორივე მშობელს შეუძლია“. კერვალიშვილი მიიჩნევს, რომ „ეს პრევენციული კანონია, როდესაც მამაკაცმაც და ქალმაც სარჩელის შეტანის წინ, საკუთარი სიმართლე უნდა გაითვალისწინოს. ეს არ არის მხოლოდ ბავშვისა და ქალის დამცველი კანონი, ის დაადგენს მამობის უფლებასაც. ყველა მამას აქვს უფლება, იცოდეს საკუთარი შვილის შესახებ. გადაწყვეტილება ყოველთვის გამოტანილი იქნება ბავშვის ინტერესების შესაბამისად, რადგან ამ ვითარებაში ყველაზე დაუცველი ბავშვია“.

მამის ვინაობის დადგენა დნმ-ის ანალიზით იქნება შესაძლებელი. ამ ანალიზის ჩატარება კი 2000 ლარამდე ჯდება. ისმის კითხვა, — შეძლებენ თუ არა ამის გადახდას მხარეები? როგორც ამბობენ, თანხის გადახდა პროცესში წაგებულ მხარეს დაეკისრება. „რთულია დნმ-ის ანალიზის თანხის გადახდის საკითხი. ადამიანი, რომელსაც ბავშვის მამობა არ უნდა, არც დნმ-ის ანალიზში გადაიხდის თანხას, მაგრამ მას აქვს დათანხმების უფლება. კაცს შეუძლია, ანალიზის თანხა არ გადაიხადოს და მისი უმაღლესი უფლება — მამობა ისე აღიაროს“, — მიიჩნევს კანონპროექტის ინიციატორი.

*ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის იურისტის — **კახა კოკორიძის** აზრით, ეს ცვლილება ქალებს პროცესის მოგებას გაუადვილებს:*

— აქამდე მოქმედი კანონი არ ითვალისწინებდა გენეტიკური ექსპერტიზის დასკვნის აუცილებლად გაზიარების შესაძლებლობას. შესაძლოა, საქმეში ყოფილიყო ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც ადასტურებდა, რომ ბავშვი ამა თუ იმ ადამიანის შვილი იყო, მაგრამ თუ დედა ვერ დაადასტურებდა, რომ

პატარა მამასთან ერთად ცხოვრობდა და მშობლებს ერთი მეურნეობა ჰქონდათ, ასეთი დასკვნის მიუხედავად, შეიძლებოდა, სასამართლოს მამობა არ ეღიარებინა. უზენაესმა სასამართლომ ბოლო დროს კარგი გადაწყვეტილებები მიიღო და იმის მიუხედავად, რომ ზოგჯერ პროცესზე ვერ ხდებოდა საერთო მეურნეობის დადგენა, გენეტიკურ ექსპერტიზაზე დაყრდნობით, ბიოლოგიურ კავშირს ანიჭებდა უპირატესობას. მამობის დადგენის შემდეგ, მამაკაცს ის ვალდებულებები დაეკისრება, რაც მშობლებს შვილების მიმართ აკისრიათ. ადრე მთავარი იყო, ერთად ცხოვრების ფაქტი დადგენილიყო და შესაბამისად, შეიძლებოდა, მოქალაქე ასეთ სიტუაციაში მეორე უკიდურესობაშიც გადავარდნილიყო. ქალს შეეძლო, დაედასტურებინა ვიღაცასთან ერთად ცხოვრება, მაგრამ შესაძლოა, ბავშვის რეალური მამა ის ადამიანი არ ყოფილიყო.

— ბატონო კახა, როგორ გადაიხდის ამხელა თანხას მამაკაცი? ისიც ფაქტია, ხშირად ასეთი პრობლემები სოციალურად დაუცველებს ექმნებათ.

— თუ მამობას აღიარებს, ამით დნმ-ის თანხის გადახდას თავს აარიდებს. მამაკაცს ძალით ექსპერტიზას ვერავინ ჩაუტარებს, ხოლო თუ ეჭვი ეპარება იმაში, რომ ბავშვი მისი შვილია, მაშინ იძულებულია, ექსპერტიზაში მონაწილეობა მიიღოს.

— რას მოგვცემს ეს აღიარება? ბევრი შემთხვევა ვიცით, როცა ქალებმა ქმრებს ალიმენტის გადახდა დააკისრეს და დაადასტურეს მათთან თანაცხოვრებაც, მაგრამ მამები შვილებს მაინც არ უხდიან ალიმენტს, პასუხისმგებლობას გაურბიან. ამ კუთხით რამე შეიცვლება?

— როცა მამობას აღიარებს, მამაკაცმა ბავშვის აღზრდაში უნდა მიიღოს მონაწილეობა, ალიმენტიც უნდა გადაიხადოს და სხვა ხარჯებიც დაფაროს. ყველა ნორმალური ადამიანი შვილს ალიმენტს გადაუხდის. სხვა საკითხია, თუ არ აქვს ამის შესაძლებლობა. თუ დაუდასტურდა, რომ აქვს ამის შესაძლებლობა და არ ასრულებს სასამართლოს გადაწყვეტილებას, ეს უკვე სისხლის სამართლის დანაშაულია და პასუხს აგებს. აღსრულების პრობლემას ეს ცვლილება ვერ მოაგვარებს, მაგრამ შესაძლოა, ქალს ერთსაათიანი კავშირი ჰქონოდა მამაკაცთან, რის შედეგადაც ბავშვი გაჩნდა, ასეთ დროს ქალი ამ კანონს გამოიყენებს და მამობას ასე დაადგენს.

წლების წინ ჩვენი რესპონდენტიც აღმოჩნდა ასეთ გაუგებრობაში. მსუბუქი ყოფაქცევის ქალთან გატარებული რამდენიმე საათი შვილის გაჩენით დასრულდა.

მამის ვინაობის დადგენა დნმ-ის ანალიზით იქნება შესაძლებელი. ამ ანალიზის ჩატარება ჯი 2000 ლარამდე ჯდება

გიორგი, *38 წლის:*

— ქალი დაბადების დღეზე გავიცანი. რამდენიმე დღეში შემთხვევით ქუჩაში შემხვდა. მანქანა გავუჩერე. სულ 3-ჯერ შევხვდით ერთმანეთს. ერთ დღეს, დედასთან ერთად, სახლში მომადგა და გამომიცხადა, რომ ჩემგან ფეხმძიმედ იყო და შვილს აჩენდა: მინდა, ჭკვიანი და ლამაზი შვილი მყავდეს, გვარიშვილობაც კარგი გაქვს, აღნაგობითაც მომწონხარ და ამიტომ ამ ბავშვის გაჩენა გადავწყვიტე, ხელს არ შეგიშლი, შენგან არაფერი მჭირდება, უბრალოდ, ინფორმაციას გაწვდიო. მისი სიტყვებით იმდენად გაოგნებული დავრჩი, უცებ ვერაფერი ვუთხარი. რომ წავიდნენ, მოულოდნელობისგან ელდა მეცა... იმის მერეც ყველანაირად ცდილობდა, ცოლად მომეყვანა. ქუჩის ქალი არ იყო, მაგრამ ცუდი სახელი ჰქონდა და მას ცოლად ვერ შევირთავდი. სიმართლე გითხრათ, მაშინ ბევრისთვის სასურველი სასიძო ვიყავი. მატერიალურად არ მიჭირდა, არც გვარიშვილობას დამიწუნებდა ვინმე და არც — გარეგნობას, მაგრამ როცა შანტაჟზე გადავიდა, კატეგორიულად ავუკრძალე ჩემთან დარეკვა.

— ბავშვი გააჩინა?

— კი, ბიჭი გაჩნდა. ერთი კვირის იყო ბავშვი, ჩემთან სახლში რომ მოიყვანა და საღამომდე დატოვა. მეორედ უკვე ღამეც დატოვა. ქალის მიზანს ვხვდებოდი, უნდოდა, ბავშვი შეგვყვარებოდა და შემდეგ თვითონაც ამ გზით მოეხერხებინა ოჯახში შემოსვლა. პატარას დედაჩემი და ჩემი და უვლიდნენ. ერთხელ ის ქალი მთელი კვირა არ გამოჩნდა. რომ მოვიდა, კატეგორიულად განვუცხადე, ბავშვს არ მოგცემ, გვარსაც მივცემ, გავზრდი, მაგრამ შენ აქ ვეღარ გამოჩნდები-მეთქი. მართლა არ გავატანე ბავშვი და რამდენიმე თვე ჩვენ ვზრდიდით. ტიროდა, შვილი დამიბრუნეთო. ბოლოს რომ წაიყვანა, აღარ მოუყვანია.

— ბავშვი შვილად არ აღიარეთ?

— არ ვიყავი დარწმუნებული, რომ ჩემი შვილი იყო. საფუძველიც მქონდა. ამ ქალს სულ 2-3-ჯერ შევხვდი. ვფიქრობდი, რომ მას „შეტენვა“ უნდოდა. სასამართლოშიც გვქონდა დავა, მამობის დადგენას და ალიმენტს ითხოვდა და იქაც ვთქვი, არ ვიცი, ჩემია თუ არა და ამიტომ, გვარს ვერ მივცემ-მეთქი. წლების წინ, სასამართლო მაიძულებდა, დნმ-ის ანალიზი გამეკეთებინა. მაგრამ ამ პროცედურის გავლა, ჩემთვის, როგორც მამაკაცისთვის, დამამცირებელი იყო. უნდა დავმდგარიყავი და მემტკიცებინა, მამა ვიყავი თუ არა. გამოდიოდა, რომ თავს ვარიდებდი ბავშვზე ზრუნვას, არადა, ასე არ იყო. ისე, თავადაც არ იცოდა, შვილი ვისგან გააჩინა. ბოლოს ანალიზების გაკეთებას, გვარის მიცემა ვამჯობინე. ვიცოდი, მისი მიზანი ისიც იყო, რომ შვილს კარგი გვარი ჰქონოდა. გვარი მივეცი...

არ ვიყავი დარწმუნებული, რომ ჩემი შვილი იყო

წლები გავიდა, ბავშვი გაიზარდა და გარეგნულად ისე დამემსგავსა, რომ ახლა ეჭვი ნამდვილად აღარ მეპარება, რომ ჩემი შვილია!

— **ბავშვთან ურთიერთობას აგრძელებთ?**

— გვარის მიცემის შემდეგ, პატარასთან დიდი ხნის განმავლობაში არ მქონია ურთიერთობა. მაგრამ, როგორც კი მივხვდი, რომ ის ჩემი იყო, როგორ დავკარგავდი? მასზე ვზრუნავ, ყველაფერს ვუკეთებ. გარეგნულად რომ არ დამმსგავსებოდა, შეიძლება, შვილი დამეკარგა. იმის მერე ოჯახი შევქმენი, შვილიც მყავს და ძმებს ერთმანეთთან კარგი ურთიერთობა აქვთ. ჩემთან ხშირად მოდის — უკვე დიდი ბიჭია.

24 წლის ***თამუნა,*** *რომელიც მარტო ზრდის ქალიშვილს:*

— ერთ-ერთ ორგანიზაციაში ჩემი შვილის მამა გავიცანი, რომელმაც ცხოვრება დამინგრია. ჩემზე შვიდი წლით უფროსია. მის ყურადღებას ყოველთვის ვგრძნობდი და სიმართლე გითხრათ, გარეგნულად მეც მომწონდა. მერე სიყვარულში გამომიტყდა, მეც გამიჩნდა გრძნობა და გულწრფელი ვიყავი მასთან. ხშირად სამსახურიდან სახლში მივყავდი. ბინაში მარტო ვცხოვრობდი, დედა-ჩემი სამუშაოდ საზღვარგარეთ წავიდა და იქ გათხოვდა. ლევანი რამდენჯერმე შევიპატიჟე შინ და ჩვენი ურთიერთობაც დაიწყო. ცოლად მოყვანას მპირდებოდა და ვერ წარმოვიდგენდი, თუ ცოლშვილიანი იყო. ამის შესახებ არასოდეს უთქვამს. ჩვენს ურთიერთობას სამსახურში საგანგებოდ ვმალავდით. ერთ დღესაც, აღმოვაჩინე, რომ ფეხმძიმედ ვიყავი, ეს ამბავი სასწრაფოდ მივახალე, შენგან შვილს ველოდები და დაქორწინება დავაჩქაროთ-მეთქი. საშინელი რეაქცია ჰქონდა, თავიდან ვერ მივხვდი მიზეზს, მაშინვე მოითხოვა, ნაყოფი მომეშორებინა. გაოგნებული ვუყურებდი, ისტერიკაში ჩავვარდი და სახლიდან გავაგდე. ცუდად ვიყავი, ლოგინად ჩავვარდი. არ ვიცოდი, რა გამეკეთებინა... 2 კვირის შემდეგ ისევ გამოჩნდა, სალაპარაკო მაქვსო და ქალაქგარეთ წამიყვანა. ფული მომცა, ჩემგან ისევ აბორტის გაკეთება მოითხოვა და მაშინ მომახალა, ცოლიანი რომ იყო. მერე 5 თვის ფეხმძიმე აბორტისთვის, ძალით, საავადმყოფოშიც მიმიყვანა, მაგრამ იმდენი მოვახერხე, რომ შენობის სხვა გასასვლელიდან გავედი და მასთან ურთიერთობა გავწყვიტე. სერიოზული პრობლემის წინაშე დავდექი, დაქალები მირჩევდნენ, ნაყოფი მომეცილებინა, მაგრამ როცა მიხვდნენ, ამის გამკეთებელი არ ვიყავი, გვერდით დამიდგნენ. ბავშვის გაჩენის შემდეგ მამაჩემი მოსაკლავად დამდევდა, მშობლები დღემდე არ მელაპარაკებიან. დაქალმა ბინა დამითმო. იყო შემთხვევა, პურის ფულიც არ მქონდა. ბავშვის მამა ახლოს არ გამკარებია. ვნანობ, ცხოვრება ასეთ მამაკაცს რომ დავუკავშირე. მთელი ფეხმძიმობა ნერვიულობასა და განცდებში გავატარე. საბედნიეროდ, ჩემი გოგონა ჯანმრთელია. წვალებით წამოვზარდე. ახლა უკვე სამსახურიც მაქვს და ვახერხებ დამოუკიდებლად შვილის რჩენას. მამამისისთვის არც გვარი მომითხოვია. სასამართლოში დავა საჭიროდ არ მივიჩნიე. გადავწყვიტე, რომ ჩემს შვილს ასეთი მამაკაცის გვარიც არ სჭირდებოდა. ისე კი არ მინდოდა, ბავშვი ჩემს გვარზე ყოფილიყო. როცა წამოიზრდება, ყველაფერს ვეტყვი და მჯერა, გამიგებს. ახლა არ ვიცი, ამ კანონის გამოსვლის შემდეგ მოვთხოვ თუ არა მამამისს, შვილი აღიაროს. ალბათ, არა. რომ გაიზრდება, შვილმა თვითონ გადაწყვიტოს, უნდა თუ არა, ისეთი ადამიანის გვარი ატაროს, რომელმაც შვილად არ აღიარა და მიატოვა.

გვარის მიცემის შემდეგ, პატარასთან დიდი ხნის განმავლობაში არ მქონია ურთიერთობა. მაგრამ, როგორც კი მივხვდი, რომ ის ჩემი იყო, როგორ დავკარგავდი?

მამამისისთვის არც გვარი მომითხოვია. სასამართლოში დავა საჭიროდ არ მივიჩნიე. გადავწყვიტე, რომ ჩემს შვილს ასეთი მამაკაცის გვარიც არ სჭირდებოდა

34 წლის ***ნათია*** *კი საკუთარ დედას ადანაშაულებს, რომ მარტოხელა დედაა.*

— ცუდი ყოფაქცევის დედა მყავს. სახელგატეხილი ქალის შვილის სახელი შეყვანა კი არავის უნდა. დედამამა გაცილებულია. ჩვენს სახლში ხშირად დედას დაქალები იკრიბებოდნენ და მათი შემხედვარე თავი მძულდა. შეყვარებულიც მყავდა, მაგრამ ოჯახმა მას ჩემი ცოლად მოყვანის უფლება არ მისცა. ამას ძალიან განვიცდიდი, სულ ვტიროდი და საკუთარი დედა მეზიზღებოდა... მამაკაცი, რომლისგანაც შვილი მყავს, დედა-ჩემის დაქალმა გამაცნო. ვცდილობდი, ახლოს არ გავკარებოდი, მაგრამ ქუჩაში დამხვდა და მომიტაცა. ნასამართლევი იყო. მიტოვებულ სახლში მიმიყვანა და იქ გამაუპატიურა. როცა თავისას მიაღწია, მითხრა, არ ვიცოდი, ქალიშვილი თუ იყავიო. ბოლოს მითხრა, ნუ ნერვიულობ, ცოლად შეგირთავო. ჩემზე 15 წლით უფროსი იყო. იქიდან სახლში წამიყვანა, მაგრამ ის კაცი მეზიზღებოდა. მასთან მხოლოდ 2 თვე ვიცხოვრე. იმ დღეების გახსენება არ მინდა. მამიდა სანახავად რომ მოვიდა, ყველაფერი მოვუყევი, — თავს არ ვიცოცხლებ-მეთქი. მეორე დღეს მამაჩემთან ერთად ისევ მოვიდა და იქიდან წამომიყვანეს. ფეხმძიმობის შესახებ რომ გავიგე, ნაყოფი უკვე დიდი იყო. მოცილება დავაპირე, მაგრამ ექიმებმა მითხრეს, რომ ამით ჩემს სიცოცხლეს საფრთხეში ვაგდებდი. მოკლედ, ბავშვი გავაჩინე. ახლა ბებიასთან ვცხოვრობ. მამაჩემმა ბებიის ბინა ჩემს სახელზე გადააფორმა. ის და მამიდა მატერიალურად მეხმარებიან. მძიმე დღეები გადავიტანე. არ მინდოდა, იმ კაცისგან შვილი გამეჩინა, მაგრამ ასე მოხდა... ჩემი შვილი ძალადობის ნაყოფია. ვცდილობ, შვილს არაფერი მოვაკლო. ბავშვი ჩემს გვარზეა და მამის გრაფაში მამაჩემის სახელი უწერია. მან სცადა შვილის ნახვა, მაგრამ ამის უფლება არ მივეცი. გაიზრდება და მომიწევს მისთვის სიმართლის თქმა. მინდა, ეს პრობლემა ისე მოგვარდეს, რომ მას ტკივილი არ მივაყენო.

P.S. ვნახოთ, რამდენად გამოიყენებენ ამ ცვლილებას მხარეები და რამდენად შეუწყობს ის ხელს „უკანონო“ შვილების რიცხვის შემცირებას. ■

ფრანგი დადიანი, რომელსაც ქართული მზერით ცნობენ

„საფრანგეთის მოქალაქე ვარ, ფრანგულად ვლაპარაკობ და ფრანგულ ლეგიონში ვიმსახურე, მაგრამ ჩემი გული და სისხლი ქართულია," — მითხრა საქართველოში სტუმრად მყოფმა ნიკო დადიანმა. როგორც გაირკვა, მისი მშობლები — არჩილ დადიანი და მარინა ამილახვარი ბოლშევიკური რევოლუციის შემდეგ ჯერ თურქეთში გაქცეულან, შემდეგ კი საფრანგეთში გადასულან და იქ დამკვიდრებულან. ბატონი ნიკო საქართველოში დაიბადა, მაგრამ 3 თუ 4 წლის იყო, სამშობლო მშობლებთან ერთად რომ დატოვა. ამბობს, რომ რაც სრულწლოვანი გახდა, მას შემდეგ ყოველ წელს აპირებდა ბავშვობის ოცნების ახდენას — საქართველოში ჩამოსვლას, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ ახერხებდა. ერთხელაც, შინ მისულს შვილმა — 23 წლის ალექსიმ უთხრა, რომ მისთვის სიურპრიზი ჰქონდა: „ჩემმა ვაჟმა მითხრა, — მამა, გადავწყვიტე, შენი ყველაზე დიდი ოცნება აგისრულო, ჩვენ საქართველოში მივდივართ, მოგზაურობის ხარჯებს საკუთარ თავზე ვიღებო. ამ სიტყვების მოსმენისას ტანში ჟრუანტელმა დამიარა, თვალებზე ცრემლები მომადგა, სიხარულისგან დავმუნჯდი... ოცნება, 65 წლის ასაკში, შვილმა ამისრულა," — ამბობს ფრანგი დადიანი და შვილს მადლიერი ღიმილით შესცქერის. ნიკო დადიანი საქართველოში ერთი თვით, შვილთან და მეუღლესთან ერთად გვესტუმრა...

ხათუნა ბახტურიძე

— თქვენი მშობლები ბოლშევიკების წინააღმდეგ იბრძოდნენ?

— ბაბუაჩემი — დედაჩემის მამა ქართული არმიის პოლკოვნიკი იყო და საქართველოს დამოუკიდებლობისთვის იბრძოდა. როგორც კი ბოლშევიკურმა რუსეთმა საქართველოს ოკუპაცია მოახდინა, ჩემი ოჯახი ქვეყნიდან გაიქცა.

— საქართველოს ისტორიას თუ იცნობთ?

— ვიცნობ, თანაც ძალიან კარგად. ქართულ ტრადიციებზე, ქართულ ოჯახში გავიზარდე და ამით ყოველთვის ვამაყობ. ჩემს მკერდში ხომ ქართული გული ძგერს.

— ალბათ, თქვენი გმირიც გეყოლებათ.

— კი, ჩემი გმირი ქაქუცა ჩოლოყაშვილია. ის მამაჩემის გმირიც იყო. როდესაც ქაქუცას შეუპოვრობის ამბებს ჰყვებოდა, ყოველთვის ტიროდა.

— როგორ მოხდა, რომ ქართული არ იცით?

— პატარაობისას ვიცოდი, ოჯახში ქართულად ვლაპარაკობდით, მაგრამ როდესაც არმიაში წავედი, დამავიწყდა... ქართულად რომ მელაპარაკა, ჩემ გვერდით ერთი ქართველი მაინც ხომ უნდა ყოფილიყო?!.

— არმიაში წასვლის შემდეგ ოჯახთან ურთიერთობა გაწყვიტეთ?

— არა, მაგრამ საფრანგეთის ლეგიონში ვმსახურობდი და გამუდმებით სხვადასხვა მისიაში ვმონაწილეობდი. 1967-1969 წელს ჩადში ვიყავი, 1975-1977 წელს ჯიბუტიში (ქვეყანა აფრიკაში), 1982 წელს — ბეირუთში. 1983-1984 წლებში კი — ისევ ჯიბუტიში... შემდეგ ჩემი მშობლებიც დაიხოცნენ...

— ლევილში მცხოვრებ ქართველებთან არ გქონდათ ურთიერთობა?

— არა, ჩვენ ლევილიდან შორს ვცხოვრობთ, გარდა ამისა, სამსახური არ მაძლევდა იმის საშუალებას, რომ ნათესავები მომეძებნა.

— ლეგიონში წასვლა რატომ გადაწყვიტეთ?

— ვფიქრობდი, რომ ჩემს შესაძლებლობებს ყველაზე კარგად არმიაში წარმოვაჩენდი. ლეგიონი ფრანგული არმიის უნიკალურ ქვეით დანაყოფს წარმოადგენს. ის 1831 წელს, სხვა ქვეყნების მოხალისეებისგან დაკომპლექტდა, რომელთაც დროებითი კონტრაქტი გააფორმეს, ფრანგულ შეიარაღებულ ძალებში სამსახურის დასაწყებად. ლეგიონმა 2 მსოფლიო ომი გადაიტანა და საბოლოოდ ლეგენდარულ ქვედანაყოფად ჩამოყალიბდა. დღეს ჩვენი მებრძოლები ყველასგან გამოირჩევიან ფიზიკური მომზადების დონით, ემოციური სტაბილურობით, ძლიერი კოლექტიური სულით. ლეგიონში ნებისმიერი წარმომავლობის, ეროვნების, სარწმუნოების, სოციალური სტატუსის და მატერიალური მდგომარეობის ადამიანს იღებენ, რომლებიც შემდეგ საფრანგეთის მოქალაქეებს, უცხოეთში არსებული საფრთხეებისგან იცავენ, ეხმარებიან ევაკუირებაში და ჰუმანიტარულ დახმარებას უწევენ. ჩვენი მებრძოლები ტერორისტების წინააღმდეგ სპეცოპერაციების საწარმოებლად საკმარის მომზადებას ფლობენ, ასევე მძევლების გამოსახსნელად, შეუძლიათ შეუჩერებლად აწარმოონ სადღეღამისო ბრძოლა და ასევე იბრძოლონ ჯუნგლების პირობებში.

— ლეგიონერებმა ან თუნდაც ზოგადად ფრანგებმა, დადიანების შესახებ რა იციან?

— არაფერი. ფრანგებისთვის, განსაკუთრებით კი ლეგიონერებისთვის, დედაჩემის გვარი — ამილახვარი უფრო ცნობილია. ბიძაჩემი — დიმიტრი ამილახვარი, ლეგიონის პოლკოვნიკი იყო. ის ერთადერთი უცხოელი გახლდათ, რომელიც ლეგიონს ხელმძღვანელობდა. ფრანგებს ძალიან უყვარდათ, რადგან უძლიერესი მებრძოლი იყო. 1942 წლის 24 სექტემბერს, ელ-ალამეინის ბრძოლის დროს დაიღუპა. დიდი პატივით დაკრძალეს ლიბიის უდაბნოში. სიკვდილის შემდეგ, საფრანგეთის პრეზიდენტის, გენერალ დე გოლის ბრძანებით, „საპატიო ლეგიონის" უმაღლესი ორდენით დააჯილდოეს.

ნიკო დადიანი მეუღლესთან და შვილთან ერთად

— თქვენ რა წოდება გაქვთ?

— მე უფროსი ზემ-

დეგი გახლდით, პროფესიით პარაშუტისტი. ახლა პენსიაში ვარ.

— **ლეგიონში სხვა ქართველს არ შეხვედრიხართ?**

— საქართველოში ჩამოსვლამდე რამდენიმე თვით ადრე, ერთი ახალგაზრდა ლეგიონერი მომიახლოვდა და მკითხა, — ქართველი ხომ არ ხარო? ბიჭს ფორმაზე შევხედე და დავინახე, რომ მკერდზე კანანაძე ეწერა. ვკითხე, — როგორ მიხვდი, ქართველი რომ ვარ-მეთქი? იცით, რა მიპასუხა? — ქართული გამოხედვა გაქვთო. მისმა სიტყვებმა ჩემზე ისე იმოქმედა, რომ თმის ძირიდან ფეხის ფრჩხილებამდე ჟრუანტელმა დამიარა. წარმოგიდგენიათ? თურმე მზერაც კი ქართული მქონია.

შეხვედრაზე პაგრიარქთან

— **თქვენმა მოლოდინმა რამდენად გაამართლა? საქართველო ისეთი აღმოჩნდა, როგორიც წარმოგედგინათ?**

— კი, დასავლეთ საქართველოში თითქმის ყველა კუთხე მოვიარე, ყველგან თბილად შემხვდნენ. ძნელია აღვწერო ის ემოცია, რაც ჩემი მოგვარეების დანახვისას განვიცადე. მე ხომ საფრანგეთში ცოლ-შვილის გარდა არავინ მყავს.

— **როგორ დაოჯახდით?**

— მარიკლოდი შემთხვევით გავიცანი და აგერ უკვე 35 წელია ვუძლებ (*იღიმება*). 34 წლის ოჯახი გვაქვს.

— **ქალბატონო მარიკლოდ, ბატონმა ნიკომ როგორ მოგხიბლათ?**

— თავისდა უნებურად. განსაკუთრებული ხიბლი ჰქონდა და გაცნობისთანავე მიმიზიდა.

— **მისი წარმომავლობის შესახებ როდის შეიტყვეთ?**

— გავიცანი თუ არა, მაშინვე.

— **თქვენი მეუღლე ფრანგებისგან რამდენად განსხვავდება?**

— ძალიან არ განსხვავდება, მაგრამ ქეიფის დროს ეტყობა, რომ ქართველია.

— **რას გულისხმობთ?**

ნიკო:

— ქეიფის დროს ჩემს წარმომავლობაზე ბევრს ვლაპარაკობ. საკუთარი გვარის ისტორიაზე საუბარს ლეგიონში შევეჩვიე. იქ სულ უცხოელები ვიყავით და როდესაც ქეიფის საშუალება მოგვეცემოდა, გამუდმებით საკუთარი გვარისა და სამშობლოს ისტორიის ამბებს ვიხსენებდით.

— **მართალია, დადიანი ხართ, მაგრამ მამათქვენისგან განსხვავებით, სრულიად ფრანგულ გარემოში გაიზარდეთ. თავს ქართველად მიიჩნევთ?**

ალექსი:

— კი, მამაჩემი არ მაძლევს სხვაგვარად ფიქრის საშუალებას; გამუდმებით მახსენებს, რომ ქართველი ვარ.

— **თქვენც სამხედრო ხომ არ ხართ?**

— მე ნალბანდი ვარ. ბავშვობიდან მომწონდა ეს საქმე. მარტო მუშაობა მიყვარს. ისიც მომწონს, რომ უფროსი არ მყავს, არავისზე ვარ დამოკიდებული, თანაც კარგი ანაზღაურება მაქვს. საფრანგეთში ცხენი ძალიან ძვირი ღირს და არც მისი შენახვა და მოვლა ჯდება იაფი. ცხენზე ნალის დაჭედება 60 ევრო ღირს. დღის განმავლობაში, ყველაზე ცოტა თხუთმეტ ცხენს მაინც ვუკეთებ ნალებს. მამას უნდოდა, რომ სხვა საქმე მეკეთებინა, არადა, მე ეს საქმე მომწონს.

— **საქართველო თუ მოგეწონა?**

— მომეწონა, ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ თითქოს სახლში დავბრუნდი.

— **ქართული ენის სწავლას ხომ არ აპირებ?**

— კი, ვაპირებ.

— **ქართველი გოგონები თუ მოგწონს?**

— რატომაც არა...

— **საქართველოში კიდევ ჩამოხვალთ?**

ნიკო:

— აუცილებლად ჩამოვალთ. დღემდე ვინახავ საბუთს, სადაც წერია, რომ ქართველი ლტოლვილების — არჩილ დადიანისა და მარინა ამილახვრის შვილი ვარ. ზუგდიდი ძალიან მომეწონა, დიდი და ღია ქალაქია, მგონი, ყველაზე სუფთა ჰაერი იქ არის...

— **მგრულ კერძებზე რას იტყვით?**

— კერძები კარგია, მაგრამ კვების განრიგია ცოტა უჩვეულო. საფრანგეთში თორმეტ საათზე ვსაუზმობთ, ორზე ვსადილობთ, რვა საათზე კი ვვახშმობთ. ზუგდიდში დილით ვისაუზმეთ და ხუთ საათამდე აღარაფერი მაჭამეს და ცოტა არ იყოს, გამიჭირდა. ეს არაფერი, ახლა მივეჩვიე არეულ განრიგს.

— **გული ხომ არაფერზე გწყდებათ?**

— არა, ყველაფერი კარგად არის. აქ გავიცანი ფრანგები, რომლებიც სომხეთში ისვენებდნენ. მათ მითხრეს, რომ საქართველოში ბევრად უკეთესი სიტუაციაა.

— **თქვენი მეგობარი ფრანგები, ან თუნდაც თქვენ, რუსეთ-საქართველოს ომზე რას ფიქრობთ?**

— ვერაფერს გეტყვით, ეს ხომ პოლიტიკაა!

ალექსი:

— ამ თემაზე მამაჩემი ჯოკერს ხმარობს.

— **რას გულისხმობთ?**

— ეს ფრაზა „ეს პოლიტიკაა და მე არაფერი ვიცი“ — მისი ჯოკერია. ამ სიტყვებს რომ იტყვის, მერე მორჩა, ხმას ვეღარ ამოაღებინებ.

ნიკო:

— მართლა ვერაფერს ვიტყვი, იმიტომ, რომ აქ არსებულ სიტუაციას კარგად არ ვიცნობ. თუმცა, თუ აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი ადრე საქართველოს შემადგენლობაში შედიოდნენ, რაღა ახლა მოუნდათ განცალკევება? მე საქართველოდან 6000 კილომეტრის დაშორებით ვცხოვრობ. ჩემი აზრი რომ გამოვთქვა, აქ უნდა ვცხოვრობდე და მოვლენების ეპიცენტრში ვიყო. ბოდიში, რომ თქვენთვის საინტერესო კითხვებზე ვერ გიპასუხეთ.

— **არა უშავს, თქვენ საკმაოდ ბევრ კითხვაზე გამეცით საინტერესო პასუხი. წარმატებებს გისურვებთ.**

■

მეგობრის ხათრით ნასწავლი უძველესი ვარცხნილობა

დრედები — უძველესი ვარცხნილობაა (დაგრეხილ-დაკვანძული თმა), რომელსაც კელტები — უძველესი გერმანული ტომები და აცტეკები ატარებდნენ; დღეს მას იამაიკურ ტრადიციულ ვარცხნილობად მიიჩნევენ და თვითონ ტერმინი „დრედიც“ იამაიკაში, რასტაფარის სექტაში გაჩნდა. საქართველოში მართალია, ამ ვარცხნილობას ბევრი არ ატარებს, მაგრამ მთელ მსოფლიოში პოპულარულია. გოჩა ხუხუნი ერთ-ერთია მათ შორის, ვინც დღეს ჩვენში დრედების სპეციალისტია. ეს საქმე კი მეგობრის — სამორი ბალდეს თხოვნით ისწავლა.

პირველ რიგში აინტერესებთ, როგორ და რანაირად ვაკეთებ ამ ვარცხნილობას

ელენე გასილიძე

— ერთხელაც, სამორიმ მითხრა, დრედები ხომ არ გამეკეთებინაო? მეც ხალისით დავეთანხმე. მერე ინტერნეტში მოვიძიეთ ინფორმაცია დრედებზე და მოძიებული ინფორმაციის მიხედვით, დავიწყეთ მისი გაკეთება. პირველი მცდელობა კრახით დასრულდა, კარგი შედეგი ვერ მივიღეთ. შემდეგ დრედების საიტი ვნახეთ, სადაც შამპუნი, სავარცხელი და ყაისნაღი შევუკვეთეთ. მათი მიღების შემდეგ კი მუშაობას შევუდექით. სამორიმ შუბლზე გაიკეთა პირველი დრედი. სულ 3 სანტიმეტრი გამოვიდა და ამას რა უნდა, 5 წუთში გავაკეთებთ-მეთქი — გამიხარდა, მაგრამ მის ვარცხნილობას 3 დღე და 4 ღამე მოვანდომე. ბოლოს ახლობლები მოდიოდნენ და მამხნევებდნენ. მახსოვს, ჩემი „შემოქმედება“ რომ დავასრულე, სამორის ქუდი დავახურე და გარეთ ისე გავუშვი, წვიმა რომ მოვიდეს, არ დაგეშალოს-მეთქი (*იცინის*).

— მას შემდეგ კიდევ ბევრს გაუკეთე ეს ვარცხნილობა?

— კი, ერთხელ ბიჭი მოვიდა, რომელსაც ქუჩაში სამორი დაუნახავს, უნდოდა ვარცხნილობის ავტორის ვინაობა გაეგო, მაგრამ სანამ მიუახლოვდა, სამორიმ ტრანსპორტში აასწრო. თურმე რამდენიმე დღე იმ ადგილას „აბირჟავებდა“, რომ სამორისთვის თვალი მოეკრა. ბოლოს შეხვედრია და ჩემამდეც მოაღწია...

— ახლა რა დრო გჭირდება ამ ვარცხნილობის გასაკეთებლად?

— გრძელ თმას 2 დღე სჭირდება.

— დრედები არ იშლება?

— არა, მისი მოშორების ერთადერთი გზა — მოჭრაა. მაგრამ სიგრძეს ხშირად იმოკლებენ, ეს პრობლემა არაა.

— ამ ვარცხნილობის მსურველები საქართველოში ბევრნი არიან?

— ბევრნი არიან. კვირა არ გავა, რომ სოციალური ქსელის საშუალებით ვინმე არ გამომეხმაუროს და დრედებზე რაიმე არ მკითხოს. მაგრამ ხშირად საზოგადოების რეაქციის გამო, ვერ რისკავენ. ამას წინათ, ერთ გოგონას გავუკეთე დრედები. დღეს მას საქართველოში ყველაზე გრძელი დრედები აქვს.

— მსურველები რომ გიკავშირდებიან, რა მოთხოვნები აქვთ?

— პირველ რიგში აინტერესებთ, როგორ და რანაირად ვაკეთებ ამ ვარცხნილობას. ბოლოს უკვე ძალიან მომბეზრდა ახსნა და დაინტერესებულ პირებს ინტერნეტით მათ სურათებს ვუგზავნი, ვისაც უკვე გავუკეთე დრედები. ხშირად დრედებიან ადამიანებს სასწაულ კითხვებს უსვამენ: — თმა არ გტკივათ? ძილის წინ იშლით? თავი არ გექავებათ? მათ ხშირად უწევთ იმის ახსნა, რომ დრედები უსუფთაობას

ერთხელაც, სამორიმ მითხრა, დრედები ხომ არ გამეკეთებინაო

არ ნიშნავს და ისინიც ისევე ბანაობენ, როგორც სხვები.

— ამ ვარცხნილობას სპეციალური მოვლა სჭირდება?

— განსაკუთრებული არაფერი. პირველი 3 თვის განმავლობაში კარგი იქნება, თუ თავს შეიხვევენ, რომ თმამ ფორმა არ დაკარგოს.

— თვითონ არ გიფიქრია, დრედების გაკეთება?

— კი, როგორ არა, მაგრამ იმას ვფიქრობ, ვინ გამიკეთებს (*იცინის*)? ამას წინათ, სამორის ვუთხარი, „ვალი დამიბრუნე“, გამიკეთე დრედები-მეთქი. ოღონდ, შენ მოინდომეო, — მითხრა. ვფიქრობ, რომ დრედებით ინდივიდუალიზმის გამოხატვა ძალიან იოლია. ამასთან, მიმაჩნია, რომ ყველას უხდება. მაგალითად, სამორი დრედების გარეშე ვერც წარმომიდგენია.

— აღნიშნე, დრედებიანებს სახალისო კითხვებს უსვამენო. შენ არ მოგმართავენ ასეთი კითხვებით?

— რატომღაც ყველას სტილისტი ვგონივარ. ქალის თმის შეჭრა იციო? — ხშირად მეკითხებიან. არა, ბატონო, ერთი დრედების გაკეთება ვისწავლე და ისიც იძულებით-მეთქი, — ვპასუხობ. ბევრს ჰგონია, რომ დრედი ჩვეულებრივი ნაწნავია, რომელსაც 5 წუთში გავაკეთებ. არადა, არ იციან, ამ ვარცხნილობის გაკეთებისას გამოწვეულ წელის ტკივილს შემდეგ რამდენ ხანს ვმკურნალობ (*იღიმის*). მაგრამ როდესაც ბოლოს ჩემს ნამუშევარს ვუყურებ, მგონი, მათზე მეტად მე მიხარია... ■

სამორი დრედების გარეშე ვერც წარმომიდგენია

„აუცილებელია, ხის ძირას გვეძინოს, რომ დაგვეხმარონ?“

„მრავალშვილიანი ოჯახი ყოველთვის გრძნობს ღმერთის დახმარებას“, — მითხრა ქალბატონმა ეკა ჯაფარიძემ, რომელიც 7 შვილის დედაა და ცოტა ხანში მერვეს ელოდება. ზაალ პერანიძისა და ეკა ჯაფარიძის ოჯახში ულამაზესი პატარები იზრდებიან. რითი საზრდოობენ? რა უჭირთ და რა უხარიათ ამ ოჯახის წევრებს? ამის გასარკვევად მათ შინ ვეწვიე. დიასახლისმა ჩემი მისვლის მიზეზი რომ გაიგო, მითხრა:

მარეხ ჭონიშვილი



მინდოდა, 4 შვილი მყოლოდა, მაგრამ ისე მოხდა, რომ დღეს მრავალშვილიანი დედა ვარ

— ჩემს ამბავს ჟურნალში რომ წაიკითხავენ, ალბათ იტყვიან, ამათ კიდევ ბავშვის შემატება უნდოდათო, მაგრამ მიუხედავად ჩემი გაჭირვებული ცხოვრებისა, თავს მდიდარ ადამიანად მივიჩნევ. ჩემი სიმდიდრე ჩემი შვილები არიან! ყოველი დღის გათენება იმიტომ მიხარია, რომ მათ ლამაზ და ხალისიან სახეებს ვუყურებ... სვანეთში დავიბადე და გავიზარდე. ჩემი მეუღლე კი იმერელია. ერთმანეთი თბილისში გავიცანით. გაცნობიდან ცოტა ხანში ვიქორწინეთ (მე 27 წლის ვიყავი, ზაალი — 28-ის). ცხოვრება ნულიდან დავიწყეთ. თავიდან ქირით ვიყავით, შემდეგ კი დიდი წვალებით, ფული შევაგროვეთ და ეს ბინა ვიყიდეთ.

— მრავალშვილიანი დედობა თავიდანვე გქონდათ გადაწყვეტილი?

— მინდოდა, 4 შვილი (2 ბიჭი და 2 გოგო) მყოლოდა, მაგრამ ისე მოხდა, რომ დღეს მრავალშვილიანი დედა ვარ. სულ მალე მერვე შვილს ველოდები... უფროსი — ნიკოლოზი 13 წლისაა, შემდეგ მოდიან — სალომე, ვერიკო, ზურა, მარი, ნინო და თამარი.

— ახლა ბიჭს ელოდებით თუ გოგონას?

— მერვე შვილის გაჩენას უკვე აღარ ვაპირებდი. 41 წლის ვარ და ამ ასაკში ბავშვის გაჩენა იოლი არ არის, მაგრამ ჩემმა მეუღლემ და უფროსმა ვაჟმა აიჩემეს, ოჯახში გოგონები ჭარბობენ და ერთი ბიჭი თუ დაგვემატება, კარგი იქნებაო და მეც გადავწყვიტე, გამეჩინა. ექოსკოპიაზე მითხრეს, ბიჭიაო, ძალიან გამიხარდა. ბავშვებმა ძმას უკვე სახელიც შეურჩიეს — დათუნას დაარქმევენ. მძიმე ფეხმძიმობა მაქვს, ექიმმა წოლითი რეჟიმი დამინიშნა, მაგრამ ბავშვებს იმდენი ყურადღება სჭირდებათ, რომ ხშირად ექიმის მითითებებს ვერ ვასრულებ. მერვე შვილს საკეისრო კვეთით გავაჩენ. საავადმყოფოს ხარჯების დაფარვაში მერია მეხმარება. სხვა ყველანაირი დახმარება კი გაგვიუქმეს...

— დახმარებები რატომ გაგიუქმეს?

— თავიდან სოციალურად დაუცველთა სიაშიც გახლდით, მაგრამ მეშვიდე შვილზე რომ ვიყავი ფეხმძიმედ, დახმარება მაშინ მოგვიხსნეს. თუ დამიჯერებთ, მომერიდა და გამიჭირდა კვლავაც დახმარება მომეთხოვა. შვილები იმიტომ არ გამიჩენია, რომ ვინმესთვის შემწეობა მეთხოვა, მაგრამ ახლა ისეთი მძიმე პერიოდია, ყველას

უჭირს და მათ შორის — ჩვენს მრავალშვილიან ოჯახსაც. ახლობლებმა, ვინც ჩვენს გაჭირვებულ ცხოვრებას ხედავდა, შემაგულიანეს და მართლაც, მათი დაჟინებული თხოვნით, განცხადება შევიტანე. დახმარება კვლავ აღმიდგინეს. მაგრამ ერთი წლის გასვლის შემდეგ, ისევ გამიუქმეს. გადაცემა „ვის უნდა 20.000“-ში მივიღეთ მონაწილეობა. ამ გადაცემაში აღებული ფულით ჩვენმა ოჯახმა ცოტათი ამოისუნთქა და მგონი, ამიტომაც შეგვიწყვიტეს დახმარება.

— **რას გულისხმობთ?**

— ამ გადაცემაში მონაწილეობა თვითონ გადაცემის ხელმძღვანელობამ შემოგვთავაზა. გვითხრეს, დაგეხმარებითო. მეც დავთანხმდი. ჩვენთვის მომღერალმა ნუგზარ ერგემლიძემ ითამაშა და 800 ლარი მოიგო. მაყურებლიდან კი 2.000 ლარი შემოვიდა. მინდა, მადლობა გადავუხადო ამ გადაცემის შემოქმედებით ჯგუფს და ყველა იმ ადამიანს, ვინც ჩვენს დასახმარებლად დარეკა. ამ თანხის წყალობით ცოტათი ამოვისუნთქეთ — ვალები გავისტუმრეთ და საოჯახო ნივთებიც შევიძინეთ. იმ პერიოდში ახლობლებიც დაგვეხმარნენ და მეუღლეს მანქანის შესაძენად ფული გამოუგზავნეს. მანქანა რომ ვიყიდეთ, მალე ჩვენთან, შესამოწმებლად სოციალური აგენტიც მოვიდა. სოციალურმა აგენტმა ეზოში მანქანა და სახლში საოჯახო ნივთები რომ დაინახა, მაღალი ქულები დაგვიწერა, რის შედეგადაც, დახმარება შეგვიწყვიტეს. მერიაში მივედი და ვიკითხე: როგორც მრავალშვილიან ოჯახს, დახმარება არ გვეკუთვნის-მეთქი? თუ სოციალურად დაუცველთა სიაში არ ხართ, დახმარება არ გეკუთვნითო, — მიპასუხეს. სამწუხაროა, როცა სახელმწიფოსგან ყურადღებას ვერ გრძნობ. აუცილებელია, მე და ჩემს შვილებს ხის ძირას გვეძინოს, რომ დაგვეხმარონ?!.

— **მეუღლე სად მუშაობს?**

— მეუღლეს ყველანაირი საქმე გამოსდის ხელიდან. ამჟამად მშენებლობაზე მუშაობს. ერთხელ სოციალურმა აგენტმა მითხრა: თქვენი ქმარი ხომ მუშაობს და რაღა დახმარებას ითხოვთო. ერთი მითხარით, შვიდი შვილის მამა, რომელიც მერვესაც ელოდება, თუ ნორმალურია, სახლში უმუშევარი როგორ უნდა გაჩერდეს?!. ჩემი ქმარი სახლში ისეთი დაღლილი ბრუნდება, რომ ხშირად ჭამის თავიც არა აქვს...

— **რა არის თქვენი ოჯახისთვის ყველაზე დიდი პრობლემა?**

— მრავალშვილიან ოჯახში პრობლემას რა გამოლევს? მაგრამ ღვთის წყალობით, ყველაფერს ვუმკლავდებით. ხშირად საკმარისი საკვები არ გვაქვს და ამის გამო ბავშვებს ადრე ვაძინებ, იქნებ საჭმელი აღარ მომთხოვონ-მეთქი. ახლა სწავლა დაეწყოთ. სკოლაში ძველი ტანსაცმლითა და ფეხსაცმლით მივიდნენ, მაგრამ ამას არ ვჩივი, პრომლემა ის არის, რომ სასკოლო ნივთებსა და სახელმძღვანელოებს ვერ ვყიდულობ. ჩემი ქმარი ახლა ხელფასს რომ აიღებს, იმით წიგნების ნაწილს შევიძენთ, მაგრამ სახელმძღვანელოების მთელი კომპლექტების ყიდვას ვერ მოვახერხებთ. პატარა ბაღში ვერ მიმყავს იმის გამო, რომ ბაღის გადასახადს ვერ გადავიხდი.

— **როგორი ბავშვები არიან, კარგად სწავლობენ?**

— ღმერთის წყალობით, ჯანმრთელი შვილები მყავს, მაგრამ სახლი ძალიან ნესტიანია, ზამთარში კედლები სულ სველია და მეშინია, არ დამიავადმყოფდნენ. რაც შეეხება სწავლას, როგორც ყველა ბავშვს, მათაც ეზარებათ მეცადინეობა. მე კი უამრავი საქმის გამო ხშირად ვერ ვახერხებ, რომ დავუჯდე და ვამეცადინო. უფროს ბიჭს მუსიკალური ნიჭი აქვს. სალომე კარგად ხატავს და უნდა, მხატვარი გამოვიდეს. ოჯახში 6 მოსწავლე გვყავს. იმის გამო, რომ პატარა სახლი გვაქვს, ბავშვებს ადგილი არა აქვთ საიმისოდ, რომ წყნარად და მშვიდად იმეცადინონ...

— **მათ აღზრდაში არავინ გეხმარებათ?**

— ბავშვები დამოუკიდებლად გავზარდე, დამხმარე არ მყოლია. ახლა ცოტას თვითონ პატარები მეხმარებიან, მაგრამ არ მინდა, ჩემი პრობლემებითა და საოჯახო საქმეებით გადაიტვირთონ. სულ ვეუბნები, კარგად ისწავლონ, რომ ცხოვრებაში რაიმეს მიაღწიონ. ბევრჯერ ღამე გამითენებია, მათთვის დილით საჭმელი და სუფთა ტანსაცმელი რომ დამეხვედრებინა.

— **მკაცრი დედა ხართ?**

— ვცდილობ მკაცრი ვიყო, მაგრამ ბავშვებს უფრო მეტად მამის ხათრი აქვთ, ერთს რომ ეტყვის, მაშინვე უჯერებენ. მუდმივად ყურადღების ქვეშ მყვანან. ხანდახან ეზოში გასართობადაც არ ვუშვებ. კი სწყინთ, მაგრამ რა ვქნა, მეშინია, ცუდი არაფერი შეემთხვეთ. ამ ზაფხულს ბიჭებმა ჯართის შეგროვება დაიწყეს და შემდეგ გოგონებიც აიყოლიეს. შეგროვებულ ჯართს ყიდდნენ და აღებული ფულით ხან ტკბილეულს, ხან ნაყინს ყიდულობდნენ. ამასაც ვუშლიდი, მაგრამ რამდენჯერმე მაინც გამეპარნენ...

■

ხშირად საკმარისი საკვები არ გვაქვს და ამის გამო ბავშვებს ადრე ვაძინებ, იქნებ საჭმელი აღარ მომთხოვონ-მეთქი

ჯალისნური სამუუთხელი

ანუ იპოთეკარი, ყლიენწები და სახლის ჰაწრონები...

ლალი ფაცია

ყიდვა-გაყიდვის საიტზე ნატას ყურადღება ერთ-ერთმა განცხადებამ მიიპყრო: მცხეთის მახლობლად, არც ისე ძვირად, ხეხილიანი ეზო-კარი იყიდებოდა. არადა, აგარაკის შეძენა, თბილისთან ახლოს, ხომ მისი აუხდენელი ოცნება იყო? ჰოდა, ვინაიდან განცხადებაში ჩამოთვლილი პირობები მისთვის ასე თუ ისე, მისაღები იყო, ადგა და მითითებულ ტელეფონის ნომერზე დარეკა. სატელეფონო ზარს ახალგაზრდა მამაკაცმა, სახელად ვახომ უპასუხა, რომელმაც სახლი მისად გაასაღა და იქაურობის ერთადერთ ნაკლად ის დაასახელა, რომ რკინიგზასთან ძალიან ახლოს არის, სხვა იქაურობას არაფერი დაეწუნება. ეზო-კარის ნახვა ნებისმიერ დროს შეგიძლიათ, სოფლის ცენტრშია და ჩემ გარეშეც შესაძლებელია მისი დათვალიერება. ბინის გასაღები მეზობელს აქვს ჩაბარებული, ნებისმიერ დროს გაგიღებთ ჭიშკარს და მეგზურობას გაგიწევთო...

ასჯერ გაგონილს ერთხელ ნანახი სჯობიაო და ნატამ, მეორე დღესვე, ოჯახის წევრებთან ერთად, აღნიშნული სახლის სანახავად გამგზავრება გადაწყვიტა... სოფელში რომ ჩავიდნენ, იქვე, ბირჟასთან, მანქანა გააჩერეს, არაფერი შეგვეშალოს, რაღაცები დავაზუსტოთ, სახლს რომ ადვილად მივაგნოთო; ბირჟის კრებულს ორი, ადგილობრივი მამაკაცი გამოეყო და თბილისიდან ჩასულებს გულდასმით მოუსმინეს.

— რას ამბობთ, ასეთი სახლის შესახებ არაფერი ვიცი, — თქვა გაკვირვებით ერთ-ერთმა და ხელში გასაღებების ასხმულა შეათამაშა. თან, ეტყობოდა, რომ ძალიან დაინტერესდა, ნეტავ, ჩემ გარეშე აქ სახლს ვინ უნდა ყიდდესო? როგორც ჩანს, ბინების ყიდვა-გაყიდვის საქმეში გამოცდილება ჰქონდა, ადგილობრივ მაკლერს ჰგავდა.

— ისე, ჩვენს სოფელში, ამჟამად, 4 სახლი იყიდება და თუ გნებავთ, შემიძლია, ნებისმიერი განახვოთ, — განაგრძო მან. ვინაიდან ნატას ინტერნეტში ნანახი სახლის ნახვის სურვილი მოსვენებას არ აძლევდა, შემოთავაზებულ წინადადებაზე უარი თქვა და მამაკაცებს დახმარებას სთხოვდა, — იქნებ რამენაირად მივაკვლიოთ იმ სახლის ასავალ-დასავალს სოფლის ცენტრში, რკინიგზასთან ახლოსო...

ბევრი ფიქრისა და განსჯის შემდეგ გადაწყდა, ისევ იმ განცხადების ავტორისთვის დაერეკათ. ვახომ ბუნდოვნად, მაგრამ მაინც მოახერხა, აეხსნა თუ სად, რა ადგილას მდებარეობდა სოფელში მისი სახლი, რომელსაც ყიდდა. დამხვდურებიცა და სტუმრებიც ყველანი ერთად, დიდი ინტერესით გაემართნენ მითითებულ მისამართზე და როგორც იქნა, მიაგნეს ადგილს, რომელსაც ეძებდნენ. ეზოს კარი ღია დახვდათ, ფრთხილად შეაღეს. სახლიდან ხანდაზმული ქალბატონი გამოვიდა.

— ვინ ხართ და რა გნებავთ?

— ერთ-ერთ საიტზე, განცხადებას გავეცანით, რომ ეს სახლი იყიდება და მის სანახავად თბილისიდან ჩამოვედით, — მიუგო ნატამ.

— აბა, რა გითხრათ?! მე არაფერი ვიცი. ამ სახლში დავბერდი; ჯერ კიდევ პატარა გოგო ვიყავი, აქ რძლად რომ შემოვედი, — მიუგო დამხვდურმა; — თუმცა სტუმარი ღვთისაა, შემობრძანდით, აქაურობაც დაათვალიერეთ და ხილიც მიირთვით, — განაგრძო მასპინძელმა.

ნატა და მისი „ამალა“ შეცბა, რადგანაც ასეთ სურათს არავინ ელოდა და ერთმანეთს გაკვირვებით გადახედეს. მაგრამ უკან არ გაბრუნებულან და უნებურად დაჰყვნენ მასპინძლის შეთავაზებას. ეზო არც ისე პატარა, მაგრამ მოუვლელი ჩანდა — იქაურობა ბალახს მიჰქონდა. სახლი საკმაოდ ძველი იყო და საფუძვლიან შეკეთებას საჭიროებდა. მასპინძელი ქალბატონი კი მის ეზოში გამოჩენილი მოულოდნელი სტუმრებისთვის ცდილობდა, მეგზურობა გაეწია.

— აგერ, შვილო, სახლის უკან, ჩემი ქმრის წინაპრები მარხიან — მათი საფლავები ჩემთვის ძვირფასია და აბა, აქაურობას რა დამათმობინებს, გენაცვალე? — ეს რომ თქვა, ეზოში მეორე, შედარებით ახალგაზრდა ქალიც გამოჩნდა, რომელიც ცდილობდა, გაერკვია მათთან მოულოდნელად გამოჩენილი ადამიანების მისვლის მიზეზი. როდესაც ჩასწვდა საქმის არსს, მათ მიმართა:

— სახლი ჩვენია; ეს ქალბატონი დედაჩემია. ცოტა ხნის წინ, რაღაც უსიამოვნება შეგვემთხვა და ამ სახლის ბანკში ჩადება მოგვიხდა. მაგრამ მას ახლა უკვე ვიბრუნებთ. მიუხედავად იმისა, რომ აქაურობა მოუვლელია, მაინც არ გვეთმობა. ჩემი წინაპრების საფლავებს როგორ დავკარგავ?!.

ამ ყველაფრის მოსმენისა და ხილვის შემდეგ, ნატა ცუდ გუნებაზე დადგა, ტანში ჟრუანტელმა დაუარა და ქალბატონებს კითხვით მიმართა:

— ვინ არის ვახო და რა ხელი აქვს თქვენს ქონებაზე?

— ვახო იპოთეკარია და ისიც იცის, რომ სახლს უკვე ვიბრუნებთ. გასაოცარია, აქ რატომ გამოგიშვათ, მაგრამ, როგორც ჩანს, თავისას მაინც ცდილობს, — მიუგო ახალგაზრდა ქალმა.

— იპოთეკარი, რომელსაც გამოქვეყნებულ განცხადებაში „შემთხვევით“ გამორჩა და არ მიუთითა საგვარეულო სასაფლაო, არა? — ბრაზით გამოცრა კბილებში ნატამ და ვახოსთან დარეკვას კვლავაც შეეცადა. ვახომ ნატას დასმულ შეკითხვებზე — იცოდა თუ არა იმის შესახებ, რომ აღნიშნული ოჯახი ბინას იბრუნებდა და ჰქონდა თუ არა ინფორმაცია ეზო-კარში არსებული საგვარეულო სასაფლაოს შესახებ, ასეთი პასუხები მიიღო: ეზოში არსებული საფლავების შესახებ პირველად ესმოდა, ხოლო რაც შეეხება აღნიშნული ოჯახის მხრიდან ბინის დაბრუნების საკითხს, როგორც თქვა, ამ დაპირებას მათგან უკვე უშედეგოდ დიდი ხნის განმავლობაში ისმენდა... მე მათ მეტს ვეღარ დაველოდებიო, — და გათიშა ტელეფონი. ■

უცერცხული პაემანი

ბიჭების „დაპერვის“ მეთოდი და „სასაცილო“ სიგარეტის მსხვერპლი

როცა პაემანს უცხო ადამიანი გინიშნავს, ნამდვილად არ უნდა იყო დარწმუნებული იმაში, რომ იდეალურ პიროვნებას შეხვდები, თორემ შესაძლოა, იმედი ისე გაგიცრუვდეს, რომ პაემანზე ცხოვრებაში აღარ წახვიდე. მსგავსი რამ ჩემს ახლობელსაც შეემთხვა — ზუკას ეგონა, მწვანეთვალება, სრულყოფილი აღნაგობის მქონე გოგონას უნდა შეხვედროდა, მაგრამ მის ნაცვლად შავგვრემან, დაბალ, „ქონიან“ გოგოს გამოჰკრა ხელი. ჰოდა, მას მერე უცნობებს არა მარტო შეხვედრაზე ეუბნება უარს, არამედ მათთან ლაპარაკსაც კი გაურბის.

ლიკა ქაჯაია

ლამაზი ზღაპრით „დაბოლოებული“

ზუკა, *19 წლის:*

— შინ ვიჯექი და ფეხბურთს ვუყურებდი, როცა სახლის ტელეფონმა დარეკა. ყურმილი ავიღე. ვიღაც გოგომ საოცარი ხმით მკითხა: თქვენ ზუკა ბრძანდებითო? — დიახ-მეთქი, — ვუპასუხე. — მე ქეთი ვარო, — გამეცნო. მერე ხან რაზე ვილაპარაკეთ, ხან — რაზე და როცა ერთმანეთს ვემშვიდობებოდით, მკითხა: ხომ შეიძლება, კიდევ რომ დაგირეკოო? — რატომაც არა-მეთქი, — ვუპასუხე, თან იქვე დავძინე: იქნებ შენი ნომერი მომცე და თავადვე შეგეხმიანები-მეთქი. ცივი უარი მითხრა. ვიფიქრე, — ეშინია, ხშირად რომ არ შევაწუხო-მეთქი და შევეშვი. მას მერე თითქმის ყოველდღე მირეკავდა და დაახლოებით, 4 თვის შემდეგ მივხვდი, რომ მის მიმართ რაღაცას ვგრძნობდი. მართალია, მხოლოდ ტელეფონით ვიცნობდი, ის არც მობილურის ნომერს მიმხელდა და არც ინტერნეტით მეკონტაქტებოდა — ამის საშუალება არ მაქვსო, მაგრამ მისი ხმა რაღაცნაირად შემიყვარდა და ერთი დღეც რომ არ შემხმიანებოდა, ადგილს ვერ ვპოულობდი, მთელი დღე ვცმუკავდი და მისი ზარის მოლოდინში შინიდანაც არ გავდიოდი.

— თუ ხვდებოდი, რომ მის მიმართ რაღაცას გრძნობდი, პაემანს რატომ არ უნიშნავდი? დავიჯერო, მისი „ლაივში“ ნახვის სურვილი არ გქონდა?

— როგორ არ მქონდა და თითქმის ყოველდღე ვეხვეწებოდი, — შემხვდი-მეთქი, მაგრამ თავს იკავებდა. მერე ვუთხარი: მაშინ ამიღწერე, გარეგნულად როგორი ხარ-მეთქი. მიპასუხა: მწვანე თვალები მაქვს, სიმაღლეში 169 სმ ვარ, წონით კი 56 კგ გახლავარ ანუ კარგ „ვიდზე“ ვარ, ჩემი დანახვისას ნამდვილად არ დაფრთხებიო. მერე სახის ნაკვთებიც ამიღწერა და როცა მისი სახე, სხეული წარმოვიდგინე, ნერწყვი მომადგა... ჰოდა, როგორ შეიძლებოდა, ასეთი გოგოს ნახვის, მასთან შეხვედრის სურვილი არ გამჩენოდა?

— ეჭვიც არ გაგჩენია, რომ მას შეიძლებოდა, საკუთარი სილამაზის შესახებ შენთვის ზღაპრები მოეყოლა?

— ამაზე არ მიფიქრია და სიმართლე გითხრა, თავიდან იმისიც შემეშინდა, — მე რომ არ მოვეწონო, მერე რაღა ვქნა-მეთქი? მასაც ვკითხე: ბიჭებს რის მიხედვით აფასებ-მეთქი? გაიცინა: ნუ გეშინია, მე გიცნობ და მერწმუნე, შენი გარეგნობა აბსოლუტურად მაკმაყოფილებს, ხოლო რაც შეეხება სხვა რაღაცებს, ლამის ნახევარი წელია, ვლაპარაკობთ და როგორც ადამიანი, გაგიცანი. ასე მგონია, კარგი პიროვნება ხარო. მივხვდი, შეხვედრის დრო მოვიდა და პაემანი ისევ დავუნიშნე. უარი აღარ უთქვამს. უნდა გენახათ, მასთან შესახვედრად როგორ ვემზადებოდი. მშობლებს ვთხოვე, ახალი „შმოტკებისთვის“ ფული მოეცათ; სასწრაფოდ ვარცხნილობაც კი შევიცვალე, ძვირად ღირებული სუნამო შევიძინე და უხვად ვიპკურე; სარკის წინ დაახლოებით, 3 საათი მართლაც ციბრუტივით ვიტრიალე და ბოლოს, როცა დავრწმუნდი, რომ ნამდვილად კარგად გამოვიყურებოდი, მასთან შესახვედრად წავედი. გული ისე მიცემდა, მეგონა, მალე საგულედან ამოვარდებოდა... ჰო, საჩუქარი მისთვისაც ვიყიდე: ძალიან დიდი ვარდების თაიგული და ისეთივე ტკბილი სუნამო შევარჩიე, როგორი ტკბილიც ქეთი მეგონა.

— პაემანზე რომ მიდიოდი, ამის შესახებ ვინმემ იცოდა?

— ჰო, კინაღამ დამავიწყდა მეთქვა, რომ მთელი დღე ძმაკაციც თან მახლდა და ჩემს გამოპრანჭვაში ისიც აქტიურად მონაწილეობდა, „მბალელშჩიკობდა“. ფულიც კი მომცა: რა იცი, რაში დაგჭირდებაო. მერე მთხოვა: მეც მაინტერესებს, როგორი გოგოა. ჰოდა, შორიდან გითვალთვალებ. ჩემს შეყვარებულთან ერთად, იმ ბარში შემოვალ, სადაც თქვენ ისხდებით, მაგრამ ხელს არ შეგიშლი, არც კი დაგენახვებიო. — კარგი-მეთქი... მოკლედ, ქეთის რუსთაველზე, პანტომიმის თეატრის წინ უნდა შევხვედროდი. დათქმულ დროს არ გამოჩნდა და ვიფიქრე: სპეციალურად აგვიანებს, გოგონებმა ხომ თავის დაფასება იციან-მეთქი. ნახევარი საათი რომ დაიგვიანა, უკვე მოთმინების ფიალა ამევსო, მოპირდაპირე მხარეს მდგარი ჩემი ძმაკაცი და მისი „ლოვე“ კი მანიშნებდნენ: წამოდი, ხომ ხედავ, არ მოდის, მოგატყუაო. მე მაინც მქონდა იმედი, რომ ადრე თუ



სარკის წინ დაახლოებით, 3 საათი მართლაც ციბრუტივით ვიტრიალე და ბოლოს, როცა დავრწმუნდი, რომ ნამდვილად კარგად გამოვიყურებოდი, მასთან შესახვედრად წავედი

გვიან, გამოჩნდებოდა და ადგილიდან ფეხის მოცვლასაც არ ვაპირებდი, მაგრამ როცა კიდევ რამდენიმე წუთი გავიდა და აღარ გამოჩნდა, ხელი ჩავიქნიე... უცებ, უკნიდან ვიღაცამ ზურგზე „მომიკაკუნა“. მივბრუნდი და, — რა გნებავთ? — ვკითხე

ამერიკიდან ახალდაბრუნებულს, მთელ სხეულზე ან სვირინგი ჰქონდა, ან პირსინგი

ტანმორჩილ, „ქონიან“, შავგვრემან გოგონას, რომელიც უცნაურად მიღიმოდა: — არ მელოდი? — მკითხა და თან, საკოცნელად გამოიწია. — მე თქვენ ნამდვილად არ გელოდებოდით, რაღაც გეშლებათ, — ამოვიკნავლე, მაგრამ მან ე.წ. პადრუჩკი გამომდო და თვალების პლარწვით მითხრა: საყვარელო, მე ქეთი ვარ. ბოდიში, ამდენ ხანს რომ გალოდინეო...

— **ანუ მწვანე თვალები და მაგარი აღნაგობა ქეთის მოგონილი ზღაპარი აღმოჩნდა?**

— ჰო, და ამან ისე დამაბნია, სიტყვაც ვერ დავძარი. თავად მკითხა: სად აპირებ ჩემს დაპატიჟებას? აქ როდემდე უნდა ვიდგეთო? მერე ყვავილებიც ჩამომართვა და საჩუქარიც ისე ამწაპნა, ვერ მივხვდი, ჩემგან რა უნდოდა. მერე გონს მოვეგე, შემრცხვა საკუთარი საქციელის — აბა, გოგოს ხომ არ ვაგრძნობინებდი, რომ არ მომეწონა და ერთ-ერთ ბარში დავპატიჟე. თუ დამიჯერებ, იქ დაახლოებით, საათი დავყავით და თავი მაღლა არ ამიწევია, მისთვის თვალებში არ შემიხედავს, ის კი გაქაფული, რაღაცაზე ლაპარაკობდა. კი მკითხა, — დღეს ასეთი უხასიათო რატომ ხარო? მაგრამ ვიცრუე: ძმაკაცი მყავს ძალიან ცუდად, ავარიაში მოყვა, რეანიმაციაში წევს და არაფრის ხალისი არ მაქვს-მეთქი.

— **ამ დროს შენი ძმაკაცი და მისი „ლოვე“ სად იყვნენ?**

— იქვე, ბარში ისხდნენ და ჩემზე კაიფობდნენ. ამაზე კიდევ უფრო მაგრად მეშლებოდა ნერვები. მეგობარი მესიჯებსაც მწერდა: „რა იყო, ქალს თვალებში რომ არ უყურებ, სირცხვილია“, „ნახე, როგორი მწვანე თვალები აქვს და ეტყობა, იმიტომ არ უყურებ, რომ გეშინია, არ დაგიპყროს“... ის-ის იყო, ქეთისთან დამშვიდობებას ვაპირებდი, რომ გიო და მისი „ლოვე“ მოგვადგნენ, ქეთის საკუთარი თავი წარუდგინეს, მე კი ისე გადამეხვივნენ, თითქოს დიდი ხნის უნახავი ვყავდი. მერე გიომ ვითომ ჩურჩულით, მაგრამ ისე მითხრა, რომ ქეთისაც გაეგონა: შენ ხომ მწვანეთვალება შეყვარებული გყავს? დავიჯერო, იმას ატყუებ და ამას ხვდები? იქნებ ჩვენ, მეგობრები „დაგვაბოლეო“? ქეთი წამოწითლდა, მაშინვე წამოხტა და უკან არც მოუხედავს, ისე გავიდა ბარიდან. სიმართლე გითხრათ, ამ ამბავმა გამახარა კიდეც. მისი წასვლის შემდეგ თითქოს, გულიდან მძიმე ლოდი მომეხსნა, მხოლოდ დახარჯულ ფულს მივტიროდი და ვამბობდი: ეს რა მიყო, იმ ფულით ჯობდა, ხინკალი მეჭამა-მეთქი...

— **მას შემდეგ ქეთი აღარ გინახავს?**

— არა, არ მინახავს. პაემნის შემდეგ მხოლოდ ერთხელ დამირეკა და მითხრა: მადლობა სუნამოსთვის, რომელიც მე კი არა, სხვა ქეთის ეკუთვნოდა და ბოდიში, ასე რომ მოგატყუე. თავიდან მეგონა, ჩვენ შორის სერიოზული არაფერი მოხდებოდა და ტყუილები ამიტომაც გითხარი, მერე კი სიმართლის გამხელის შემეშინდაო. ვიდრე ხმას ამოვიღებდი და რაიმეს ვეტყოდი, ტელეფონი გამითიშა და მას შემდეგ მის შესახებ არაფერი მსმენია. ახლა უცნობ ადამიანს არც კი ველაპარაკები. მეშინია, მსგავს მახეში ისევ არ გავება. ნამდვილად აღარ მინდა, ასეთ უხერხულ სიტუაციაში კიდევ ერთხელ აღმოვჩნდე.

„სასაცილო“ სიგარეტი და გაამერიკელებული ქართველი

ნიკა, *17 წლის:*

— რამდენიმე ხნის წინ მეგობარმა ლადომ შემომთავაზა: ჩემს „ლოვეს“ თურმე, მაგარი დაქალი ჰყავს და თუ გინდა, გაგაცნობ. შენც ცარიელი ტაქსივით დადიხარ, ისიც შენსავით მარტო დაეხეტება და ვინ იცის, იქნებ ერთმანეთს გაუგოთო. მოკლედ, გოგო ნანახი არ მყავდა, ისე „შემაბეს“ და პაემანზე ძალით წამათრიეს. მეგობარს ვეხვეწებოდი: მოდი, ჯერ ტელეფონით ან „ფეისბუკით“ გავიცნობ და მერე შევხვდები-მეთქი. — არაო, — თავი გაიგიჟა და თან დასძინა: — შენ სად გელოდო? რაჭველი ხარ და ვინ იცის, მის გაცნობას როდის გადაწყვეტო. მოკლედ, ყურში ხელი ჩამავლო და ერთ-ერთ რესტორანში დასაკლავი ხარივით შემათრია, მაგრამ ეს არაფერია იმასთან შედარებით, რაც იმ გოგოს დანახვისას განვიცადე: ჯობდა, მეგობარს მართლა ცხოველივით დავეკალი, ჩემთვის დანა გამოესვა ყელში, ვიდრე მასთან შევეხვედრებინე: მართალია, იმ გოგოს მშვენიერი აღნაგობა ჰქონდა, მაგრამ ამერიკიდან ახალდაბრუნებულს, მთელ სხეულზე ან სვირინგი ჰქონდა, ან პირსინგი. მოსალმებისას აჩლიფინდა. ვიფიქრე, — ეტყობა ენა ებმის-მეთქი, მაგრამ მისი ეს ნაკლიც პირსინგის დამსახურება აღმოჩნდა. მეგობარმა სკამზე ძალით დამსვა. ისეთი თვალებით შევხედე, მიხვდა, მისი საქმე ცუდად იყო, მაგრამ იხტიბარი არ გაიტეხა... იმ გოგოს ეტყობა, მოვეწონე და თავზე მტვერი იყარა.

— **რას გულისხმობ?**

— ოფიციანტს დაუძახა და იმდენი საჭმელ-სასმელი მოატანინა, პირი ღია დაგვრჩა. ლადოს „ლოვემ“, ნინომ ერთი კი უთხრა, — რა ამბავია, ამდენი რაღაც როგორ უნდა ვჭამოთო, მაგრამ მან გააჩუმა: ნუ გეშინია, ფულს მე ვიხდი, თქვენ კი რამდენსაც შეძლებთ, იმდენი მიირთვით. მერწმუნე, თქვენთვის ფული არ მენანებაო... რა თქმა უნდა, არყის დალევაზე უარი არ მითქვამს. ვიფიქრე: ამ ჩემი ცოდვით სავსეს ფხიზელი ვერ ვუყურებ და იქნებ, მთვრალმა მისი იმიჯი „დავიკიდო“-მეთქი. მე და ლადოს სმაში არც ის გაამერიკელებული ჩამოგვრჩა, ნინო კი ცოტ-ცოტას წრუპავდა. როცა „ჩემი“ პირსინგიანი შეზარხოშდა, ჩემდა საუბედუროდ, უფრო გათამამდა, გვერ-

დით მომიჯდა და ყოველგვარი შესავლის გარეშე, ეგრევე ტუჩებში მეძგერა. წამოვხტი და მოვიბოდიშე: ძალიან ცუდად ვარ, შინ უნდა წავიდე-მეთქი, მაგრამ ვინ გამიშვა? — იმ შობელძაღლმა ხელი ისე მომიჭირა, ლამის მკლავი მომამტვრია და მიბრძანა: ახლავე დაჯექი! შენ ვინ გგონივარ? ნუ გეშინია, აქ არ მიგატოვებ, სახლამდე ტაქსით მიგიყვანო. ლადო მიხვდა, რომ ცუდ დღეში ვიყავი და მხარი ამიბა, — უკვე გვიანიაო, მაგრამ სვირინგამ მასაც მოაკეტინა. მოკლედ, სკამზე ლამის დაგვაბა და სასმელს გვაძალებდა, თან — ხელებს ისე მიფათურებდა, თითქოს იაფფასიანი კახპა ვიყავი. მერე ეტყობა, ჩემ მიმართ ინტერესი დაკარგა და ახლა ლადოს დაუწყო ჩალიჩი. ნინო ჯერ ვერ მიხვდა, რა ხდებოდა, მაგრამ მერე გონს მოეგო და გასვეტებულ დაქალს უსაყვედურა, — როგორ იქცევიო?.. ის-ის იყო, მის მიტოვებას ვაპირებდით, რომ თავი მოისაწყლა, ნინოს ბოდიში უხადა და ბოლოს, წაიმსახიობა კიდეც — ვითომ გული წაუვიდა, იატაკზე გაიშხლართა. როცა „გონს მოვიდა“, გვთხოვა, — მაპატიეთ, ზედმეტი მომივიდა, ასე აღარ მოვიქცევი, ოღონდ გთხოვთ, ცოტა ხანი კიდევ დარჩითო. უარი ვერ ვაკადრეთ მასპინძელს, რომელმაც სუფრაში მართლაც, ძალიან ბევრი ფული გადაიხადა. ჰოდა, მან არც აცია, არც — აცხელა, სიყვარული ამიხსნა — ერთი ნახვით შემიყვარდი და შევეცდები, თავი მოგაწონოო. მეც დავთვერი, ლადოც, იმ გოგოს „ბეჭებზე დადება“ კი ვერ მოვახერხეთ. მერე გამახსენდა, რომ ჯიბეში „სასაცილო“ სიგარეტი მქონდა და ვიფიქრე: ამ ბედოვლათს მოვაწევინებ და იქნებ, ამის მერე მაინც შეგვეშვას-მეთქი. ჰოდა, მივაწოდე — მაგარი სიგარეტია, მოწიე, ამერიკაში ასეთი გასინჯული არ გექნება-მეთქი. პლანის მოწევის შემდეგ კარგა ხანს, გაბრუებული იჯდა, მერე კი ისტერიკული სიცილი ატეხა; ბოლოს, როცა ტაქსიმდე ასე ახითხითებული მივათრიეთ, ცუდად გახდა, გონს ძლივს მოვიყვანეთ, შინ მისული კი კარზე მივაყუდეთ და ზარი დავრეკეთ. როცა ბინის კარი გაიღო, იქიდან სამივენი „მოვტყდით“. ალბათ, მის მშობლებს შვილის ასეთ მდგომარეობაში ნახვა არ გაუკვირდებოდათ, მაგრამ შეგვეშინდა, არ მიმხვდარიყვნენ, რომ „დავაბოლეთ“ კიდეც...

— ძმაკაცს აპატიე, ასეთ დღეში რომ ჩაგაგდო?

— იმ გოგოს სახლიდან რომ ჩამოვედით, მაგრად ვაგინე; არც იმის მომერიდა, გვერდით შეყვარებული რომ ჰყავდა — ისეთი სიტყვები ვეძახე, თავმოყვარე კაცი რომ ვერ მოითმენდა, მაგრამ მას ხმაც არ ამოუღია. ლადომ მხოლოდ მეორე დღეს აღიარა: ნინომ მითხრა, რომ ამერიკიდან ყოფილი დაქალი ჩამოუვიდა. ის გოგო 3 წელია, იქ ცხოვრობს და უნდოდა, ქართველი ბიჭი გაეცნო. ნანახი არ მყავდა, მაგრამ ძველ ფოტოსურათებში მშვენივრად გამოიყურებოდა და ვიფიქრე, რომ გასართობად კარგი შანსი გეძლეოდაო... გართობის რა მოგახსენოთ, მაგრამ ცუდ დღეში კი ნამდვილად ჩამაგდო.

— ის გოგო მას შემდეგ აღარ გინახავს?

— მასთან შეხვედრა ნინოს დაბადების დღეზე მომიხდა, მაგრამ იქ ისე იქცეოდა, თითქოს ძალიან პატიოსანი იყო. მხოლოდ წამოსვლისას მთხოვა: იქნებ კიდევ შევხვდეთო, მაგრამ გიჟი უნდა ვყოფილიყავი, მისთვის პაემანი რომ დამენიშნა. ■

„წიგნს ხელში ავიღებ თუ არა, მაშინვე გონება მეფანტება“

მოსწავლე:

„გზის“ ერთგული მკითხველი ვარ და ჟურნალის საყიდლად ყოველ ხუთშაბათს, პრესის ჯიხურში კისრისტეხით გავრბივარ ხოლმე. ჰოდა, ახლა დადგა ის დღე, როცა თქვენი დახმარება დამჭირდა. როგორ ფიქრობთ, რა შეიძლება 16 წლის გოგოს პრობლემა იყოს? გაგეცინებათ და, ეს სიზარმაცეა. გაკვეთილების სწავლას ვერაფრით ვახერხებ, რადგან იმდენი ნებისყოფაც არ მაქვს, რომ საკუთარი თავი ვაიძულო, ერთ ადგილას დავჯდე და ვიკითხო. წიგნს ხელში ავიღებ თუ არა, მაშინვე გონება მეფანტება და ათას სისულელეზე ვფიქრობ. ბევრჯერ ვცადე, საკუთარი თავი გამეკონტროლებინა, მაგრამ — უშედეგოდ. ზოგჯერ იმასაც ვფიქრობ, — ალბათ დებილი ვარ-მეთქი, მაგრამ ყველა მეუბნება, რომ ძალიან ნიჭიერი გახლავართ და ვხვდები, რომ დებილი კი არა, ზარმაცი ვარ... არ გეგონოთ, საშინელი ნიშნები მქონდეს; ვიდრე ავტობუსით სკოლაში მივალ, გაკვეთილების მომზადებას ვახერხებ, თუმცა ცხადია, ისე კარგად ვერ ვსწავლობ, როგორც საჭიროა და ამიტომაც, პედაგოგები საშუალო ნიშნებს მიწერენ. ისე, დარწმუნებული ვარ, რომ მოვინდომო, კლასში ერთ-ერთი საუკეთესო მოსწავლე ვიქნები. ისიც ვიცი, რომ თუ არ ვისწავლი, მომავალი არ მექნება... ყველაზე მეტად დედაჩემის მერიდება. საწყალი ქალი შრომობს, წელზე ფეხს იდგამს, რათა უზრუნველად ვიცხოვრო, ყველა სურვილს მისრულებს, მაგრამ მე იმედი ერთხელაც ვერ გავუმართლე. გამუდმებით ვპირდები, — ვისწავლი-მეთქი, მაგრამ როგორც უკვე გითხარით, ამას ვერ ვახერხებ. ჰოდა, რა გასაკვირია, რომ უკვე ჩემ მიმართ ნდობაც დაკარგა... სხვა მხრივ არ ვარ რთული ბავშვი და არც შეყვარებული მყავს (მე თვითონ არ მაქვს სურვილი, ვინმე მიყვარდეს). ბუნებით ძალიან მორცხვი და მორიდებული გახლავართ, მიჭირს უცხო ადამიანებთან კონტაქტი, მაგრამ თუ ურთიერთობაში გავიხსნები, ძალიან მხიარული ვხდები. P.S. მგონი, დაულაგებლად მოგწერეთ, მაგრამ იმედია, გამიგებთ. კეთილო ხალხო, თუ სურვილი გექნებათ, შემეხმიანეთ“. ■

„როგორ ვუთხრა, რომ მიყვარს?..“

გოგო:

„გთხოვთ, დამეხმარეთ, თქვენი რჩევა ძალიან მჭირდება. მიყვარს ბიჭი, რომელსაც თითქმის 2 წელია, ვიცნობ, მაგრამ ის დად მიმიჩნევს და სხვანაირად არასდროს შემომხედავს. მგონია, მის გარდა ვერავის შევიყვარებ, რადგან მის ყოველ შეხებაზე, ყოველ სიტყვაზე ცუდად ვხდები, გული მიჩქარდება და მბურძგლავს. მინდა, გამუდმებით მას ვუყურო. გთხოვთ, მირჩიეთ, როგორ ვუთხრა, რომ მიყვარს?..“ ■

P.S. მაშ ასე, თუ მოსწავლისა და გოგოს წერილების წაკითხვის შემდეგ მათთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 5.58. 25.60.81. მათ თქვენი დახმარების იმედი აქვთ. ■



სამყარო

„ოლია მათხოვრისთვის“ „ფეისბუკით“ ნაპოვნი ფუჩეჩი და გია ჯაჯანიძის სიმბოლური თოჯინა

ფუფალა, მაგდანა, ოლღა ბებია, მკერავი მაყვალა, ჭრიჭინას ბებია, ოლია მათხოვარი და ქართული ფილმებისა თუ ლიტერატურული ნაწარმოებების კიდევ ბევრი პერსონაჟი თეა გუნთაიშვილმა თოჯინებში გააცოცხლა. კოლექციონერად ცნობილი თეას გატაცება თოჯინების შეგროვებაა. ხელოვანი ქალბატონი საკუთარ ნამუშევრებს ვერ ელევა, თუმცა მათთვის სახლის „აშენებას“ აპირებს, სადაც დამთვალიერებლებს საყვარელი პერსონაჟების შთამბეჭდავი თოჯინების ნახვის საშუალება ექნებათ.

ეთო ყორღანაშვილი

თეა გუნთაიშვილი:

— ჩვენმა პატრიარქმა ერთ-ერთ წირვაზე იქადაგა, თოჯინები გააკეთეთო. ყველას (მათ შორის — საკუთარ თავსაც) ვეკითხებოდი, თოჯინები რატომ უნდა გაგვეკეთებინა? წირვის მერე საქმეს შევუდექი. პირველად „ოლღა ბებია“ გავაკეთე (იმ პერიოდში ბებია ახალი გარდაცვლილი მყავდა). შემდეგ „ბავშვობაში წავედი“ და იმდროინდელი ქართული ფილმების პერსონაჟების კეთება დავიწყე... ამასობაში პატრიარქის ქადაგების არსსაც ჩავწვდი: თოჯინები ბავშვობაში გვაბრუნებს; სითბოსთან, სიყვარულთან გვაკავშირებს. მუშაობის პროცესში პრობლემები საერთოდ მავიწყდება. ბევრ ახალგაზრდას ძველი ქართული ფილმები ნანახი არა აქვს; არც ნაწარმოებები წაუკითხავს. მინდა, ფილმებისა თუ ნაწარმოებების პერსონაჟები ახალმა თაობამაც შეიყვაროს.

— რამდენი თოჯინა გაქვთ გაკეთებული და რა დრო მოანდომეთ მათ შექმნას?

— 35 თოჯინა მაქვს, რომლებიც 3 თვეში გავაკეთე. საზოგადოებას მათი ხილვის საშუალება გამოფენაზე — „მარგალიტები“ ჰქონდა. მუშაობა ამით არ დამისრულებია:

ახლა ფილმის — „იავნანამ რა ჰქმნა“ — პერსონაჟებს ვაკეთებ. ჩემი გოგონა 5 წლის იყო, როცა ამ ფილმს უყურა და იტირა...

— რა მასალით მუშაობთ?

— ნამუშევრებს თიხისგან ვქმნი და რკინის კარკასის შექმნით ვიწყებ. თოჯინებს სახეზე მაკიაჟს გუაშით ვუკეთებ, სამოსისთვის ძველ ქსოვილებს ვიყენებ. ვცდილობ, ჩემს თოჯინებში ხასიათი დავიჭირო და აქსესუარები ისე გავაკეთო.

— რა პროფესიის ხართ?

— მხატვარ-გრაფიკოსი. ბაბუა-ჩემი — ირაკლი გორდელაძე გრაფიკოსი იყო. დედაჩემიც მხატვარია. ქსოვა, ქარგვა რომ შემიძლია, ეს დედაჩემის დამსახურებაა. სხვათა შორის, მარცხენა ხელით ვქსოვ. ეს დედაჩემმა წლების შემდეგ შენიშნა. როცა პატარა ვიყავი, დედას ვეხვეწებოდი, ქსოვა მასწავლე-მეთქი. — ჯერ პატარა ხარ, თვალები გეტკინებაო, — მპასუხობდა. ქსოვისას ვუყურებდი და ხელსაქმეს ასე ვსწავლობდი... აქსესუარებსაც ვაკეთებ — ჩემი სამკაულები თავად გავაკეთე. ერთ-ერთ სასწავლებელში ახალგაზრდებს ხელსაქმეს ვასწავლი. ჩემს მოსწავლეებს უკვე საკუთარი ატელიეები აქვთ, მაგრამ მათ ყოველთვის ვეუბნები, რომ „ვიცი“ არ თქვან. პირადად მე, მთელი ცხოვრება ვსწავლობ. ცოტა არ იყოს, ხმამაღალი ნათქვამია, მაგრამ მინდა, ჩემი სახელობის სასწავლებელი გავხსნა. საკუთარ თავში ჩაკეტვა არ მიყვარს — მსურს, ჩემი ცოდნა სხვებსაც გადავცე. პედაგოგობაც ძალიან მომწონს... ჩემი ერთ-ერთი საყვარელი საქმე პიარ-მენეჯერობაა. ამ სფეროშიც კომფორტულად ვიგრძენი თავი — კონტაქტური ვარ, თან — გურული...

— რაც თოჯინების კეთება დაიწყეთ, ხასიათი ხომ არ შეგეცვალათ?

— ახლა ადამიანებს სხვანაირი თვალით ვუყურებ — უფრო თბილი, დამთმობი გავხდი. ძალიან მხიარული ადამიანი ვარ. ამიტომ სამუშაოდ კომედიური გმირები შევარჩიე. მაგალითად — ასინეთა („დათა თუთაშხია“). ამ პერსონაჟის მსგავსად, მეც ძალიან ცნობისმოყვარე ვარ.

— ფუფალას სარკეში გამოსახულ შიოლაზე რას გვეტყვით? ეს იდეა როგორ დაგებადათ?

— ნაწარმოებში შიოლა ძალიან ლამაზადაა აღწერილი. მეკითხებიან, ფუფალას თოჯინა მუქ ფერებში რატომაა? ეს პერსონაჟი შინაგანად „მუქი“ იყო. ყველა ქალი შინაგანად „ფუფალაა“ — ოცნების მამაკაცი ყველას ჰყავს. ვიჯექი, ვმუშაობდი და უცებ იდეა გამიჩნდა, რომ შიოლა სარკეში დამეხატა — ფუფალა ხომ სულ სარკეში იყურება, რადგან საკუთარი თავი მოსწონს!.. ჩემს ფუფალას ცხოვრება გავუხალისე.

— „გარიგება 2“-ის გმირის — „მწარეს“ თოჯინის ნახვის შემდეგ, ქალბატონ ნანული სარაჯიშვილს როგორი რეაქცია ჰქონდა?

— სამწუხაროდ, გამოფენაზე არ მყოლია და ამის გამო გული დამწყდა. იყო პერიოდი, როცა ერთ-ერთ სასწავლებელში მე და ქალბატონი ნანული ერთად ვმუშაობდით. ძალიან საყვარელი ადამიანია. ამ თოჯინით მისდამი დიდი სიყვარული გამოვხატე. ბაბუაჩემი კინოსტუდიაში მუშაობდა — ქართული ფილმების აფიშებს აფორმებდა. ბაბუას არქივი ნანახი მაქვს და ეტყობა, ჩემს მეხსიერებაში დაილექა. გადავწყვიტე, რომ მეორე გამოფენაზეც „კინოფილმებში ვიტრიალო“, ოღონდ — მამაკაც პერსონაჟებზე ვიმუშავებ. კოსტაიაზე („რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“) ვგიჟდები!.. მინდა, გამოფენაზე მოქმედი მსახიობები მოვიწვიო. ვინც ცოცხალი აღარაა, მათ შთამომავლებს მოვიწვევ. სხვათა შორის, ჩემს პირველ გამოფენაზე ქალბატონი მაია მიქაშავიძე იმყოფებოდა. ნამუშევრების მიმართ დიდი სითბო გამოხატა და მითხრა: უკვე შემეშინდა, შემდეგ გამოფენაზე თოჯინებს შორის საკუთარი თავიც არ აღმოვაჩინოო. თქვენი ჟურნალის მეშვეობით მინდა, ვუთხრა, რომ რომელიმე თოჯინაში საკუთარ თავს აუცილებლად ამოიცნობს!..

— ქართული ფილმების პერსონაჟებთან ერთად, თიკო სადუნიშვილის, ეკა ამირეჯიბისა და გია ჯავჯანიძის თოჯინების შექმნა რამ გადაგაწყვეტინათ?

— გიასთან ახლო ურთიერთობა მაქვს. ერთადაც ვმუშაობდით. ის ძალიან კეთილი და ნიჭიერი ადამიანია. ცხოვრებაში ცუდი პერიოდი მეც მქონდა და სწორედ გიას საშუალებით დავაღწიე თავი. რადგან ქალბატონების თოჯინების გამოფენა იყო, სიმბოლურად, გიას თოჯინაც გავაკეთე და ამით მისდამი მადლიერება გამოვხატე.

როგორც პიარ-მენეჯერი, ჟურნალისტებთან ხშირად ვურთიერთობ. თიკო სადუნიშვილთან და ეკასთან არაჩვეულებრივი ურთიერთობა მაქვს. ამიტომ ეს 2 ადამიანი თოჯინებისთვის შევარჩიე და მათდამი სითბო ასე გამოვხატე. შემდეგ გამოფენაზე ბევრი ცნობილი ადამიანის თოჯინას შემოგთავაზებთ.

— თქვენი ნამუშევრების მოვლა რთულია?

— იოლი არაა, მტვერი ედება ხოლმე. წელს კალიებისა და კიდევ ათასგვარი მწერის შემოსევა იყო. ამიტომ თოჯინები შევფუთე. მინდა, „თოჯინების სახლი“ გავხსნა, სადაც მსურველებს ჩემი ნამუშევრების დათვალიერების საშუალება ექნებათ, თუმცა არ ვიცი, ნამუშევრებს როგორ გავიმეტებ: დილა რომ თენდება, მათ ვუყურებ, მუშაობის პროცესში ველაპარაკები. მაგალითად, „ოლია მათხოვარს“ („იმერული ესკიზები“) რომ ვაკეთებდი, ვიმეორებდი: „მე ხომ ამის ბიცოლე ვარ-მეთქი“ (*იცინის*)... სხვათა შორის, ფუჩეჩის შოვნა ძალიან გამიჭირდა. „ფეისბუკზე“ სტატუსადაც კი დავწერე: დამეხმარეთ, ვისაც ფუჩეჩი გაქვთ-მეთქი. ბოლოს ძლივს ვიპოვე... ჩემი მეგობრები მაშაყირებენ: თეასთვის ცხოვრება მშვენიერიაო. რაც თოჯინებთან ვურთიერთობ, ცხოვრება მართლაც მშვენიერია!

— „მარი გოლდის“ პიარ-მენეჯერი ხართ და პატარძალი თოჯინა არ გაქვთ?

— სხვათა შორის, კარგი იდეა მომაწოდე. ამას არ დავივიწყებ (*იცინის*).

— ყველაზე მეტად რომელმა თოჯინამ გაგაწვალათ? რომლის შექმნას მოანდომეთ ბევრი დრო?

— ჭრიჭინას ერთ-ერთმა ბებიამ (ცოტათი პუტკუნა რომ არის). რამდენჯერმე თიხა „დავკუჭე“ და გადავაგდე, ისტერიკაში ჩავვარდი... სხვათა შორის, ეს პერსონაჟი ჩემი მეუღლის ბებიას (გარდაცვლილია) ძალიან ჰგავს. მეუღლემ ნახა, როგორ გავმწარდი, თოჯინას რომ ვერ ვაკეთებდი და მითხრა: თეა, ბებიაჩემი მელანოს სურათი წინ დაიდე და ისე იმუშავეო. ამაზე ბევრი ვიცინე, მაგრამ ალბომიდან სურათის აღება ვერც კი გავბედე (*იცინის*).

— განსაკუთრებულად რომელი თოჯინა გიყვართ?

— ოლღა ბებია („მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“). ის ყველას ბებიაა, მხოლოდ ზურიკელასი — არა. 2 გურული ბებია მყავდა და იუმორის საოცარი გრძნობა ჰქონდათ. ერთ-ერთი ბებია ჩემს მეუღლეს „კაცის ეტლს“ ეძახდა და მისდამი დადებით განწყობილებას ასე გამოხატავდა. ბებიებისადმი უსაზღვრო სიყვარული „ოლღა ბებიას“ შექმნით გამოვხატე.

— ერთი თოჯინის შექმნას დაახლოებით რა დროს ანდომებთ?

— საკმაოდ „გაწერილი“ განრიგი მაქვს. 2 შვილი მყავს — 16 წლის გოგონა და 12 წლის ბიჭი... მთელი დღის განმავლობაში თოჯინებზე არ ვმუშაობ. ერთი თოჯინის შექმნას დაახლოებით 3 საღამოს ვანდომებ (სამსახურიდან დაბრუნების შემდეგ ვმუშაობ). მხოლოდ ფუფალაა 1 დღის ნამუშევარი — მისი შექმნისას შინიდან არ გავსულვარ.

— თეა, თქვენი ნამუშევრების გამოფენა პირველად მოაწყვეთ?

— წინათ ჯგუფურ გამოფენაში ვმონაწილეობდი, სადაც ჩემი გრაფიკული ნამუშევრები წარმოვადგინე. მარტში, ამერიკის საელჩოში, დახურულ გამოფენა-გაყიდვაზე ჩემი აქსესუარებიც გავიტანე. „გამოფენა-გაყიდვა“ კი ერქვა, მაგრამ ჩემს ნამუშევრებს ვერ ველევი ხოლმე. მხოლოდ სამკაულები გავყიდე.

— სამკაულებს რისგან ამზადებთ?

— ამ მხრივ, თბილისში არაჩვეულებრივი არჩევანია. სხვადასხვა მასალას ვარჩევ. ვფიქრობ, გოგონამ ხელსაქმე აუცილებლად უნდა იცოდეს. შეიძლება, სამხატვრო აკადემია ვერ დაამთავროს, მაგრამ ხელსაქმით გემოვნებაც ჩამოუყალიბდება და მისი „შემოქმედებითი ხელი“ ოჯახსაც დაეტყობა.

— როგორც მითხარით, ახლა ქართული ფილმების მამაკაცს პერსონაჟებზე მუშაობთ. ეს უფრო რთული საქმეა?

— მეგონა, ქალის შემოსვა უფრო რთული იყო. ვამბობდი, მამაკაცის შემოსვას რა უნდა-მეთქი? ასე არ ყოფილა. მოკლედ, შრომატევადი საქმეა.

— სავარაუდოდ, გამოფენას როდის გეგმავთ?

— არ მინდა, ავჩქარდე. გამოფენასთან დაკავშირებით საკმაოდ დიდი ჩანაფიქრი მაქვს. ალბათ შემოდგომის ბოლოს გავმართავ...

■

რა არის უფლის მთავარი სათქმელი იგავებში — „მინდორში დაფარული განძი“ და „მარგალიტი“

მათეს სახარების XIII თავში მოთხრობილია მაცხოვრის იგავები: „მინდორში დაფარული განძი“ და „მარგალიტი“.

„ცათა სასუფეველი წააგავს განძს, მინდორში დაფარულს, რომელსაც იპოვის კაცი და დამალავს, სიხარულით მიდის და ყიდის ყოველივეს, რაც აბადია და ყიდულობს იმ მინდორს.

კიდევ: ცათა სასუფეველი წააგავს ვაჭარს, რომელიც ლამაზ მარგალიტებს ეძებს. როდესაც იპოვის ერთ ძვირფას მარგალიტს, წავა, გაყიდის ყოველივეს რაც აბადია და იყიდის მას“...

შორენა მერკვილაძე

იგავს გაგვიმარტავს **მამა დიმიტრი ჯანგულაშვილი:**

— მინდორში დაფლულ განძში უნდა ვიგულისხმოთ სულიერი საუნჯე — ის სიმდიდრე, რაც სულიერ ცხოვრებას მოაქვს, ღვთის რწმენა და სიტყვა ღვთისა, ოღონდ ამ ყველაფერს კარგად მოძიება და პოვნა სჭირდება ადამიანისგან. ვინც არ ეძიებს, მისთვის ეს განძი დაფარულია.

მაცხოვარი ბრძანებს: თქვენი საუნჯე, უდიდესი განძი იყოს ცათა შინა, სადაც ვერც მოგპარავენ და არც გაფუჭდება. ასეთ განძს მარადიული დანიშნულება აქვს. სწორედ სულიერი განძის მოპოვებაზე უნდა ზრუნავდეს ადამიანი უპირველესად. ზომიერების ფარგლებში არც მიწიერი განძის — ქონების მოპოვებაზე ზრუნვა გვეკრძალება, მაგრამ მხოლოდ მიწიერი განძის მოხვეჭაზე არ უნდა ფიქრობდეს კაცი. ვინც მხოლოდ მიწიერ განძს აგროვებს, მიწას ვერ ასცდება. რასაც მიწიერი კეთილდღეობისთვის ვაგროვებთ, შესაძლოა, საერთოდაც დავკარგოთ ან მოგვპარონ. სულიერ განძს კი ვერავინ მოგვპარავს და არც დაგვეკარგება. სახარებაში წერია: „სადაც არის საუნჯე თქვენი, იქ არის გული თქვენი“.

თუ ადამიანის გონება შეიმეცნებს, რომ უმთავრესი სულიერი განძის დაუნჯებაა, ის ყოველივე მიწიერს შეელევა იმისათვის, რომ ცათა შინა დააგროვოს განძი. დაუფიქრებლად გასცემს ყველანაირ მიწიერ ქონებას სულიერი საუნჯის დასაუნჯებლად. გავიხსენოთ თუნდაც წმინდა გიორგის მაგალითი: იგი მდიდარი და წარჩინებული ადამიანი იყო, მაგრამ უფლის გულისთვის ყოველივე გაყიდა და ღარიბ-ღატაკებს დაურიგა. ასე არაერთი ჭეშმარიტი ქრისტიანი მოქცეულა. სანაცვლოდ კი უდიდესი განძი დააგროვეს „ცათა შინა“.

— როგორ მოვიპოვოთ სულიერი საუნჯე? რა არის აუცილებელი იმისთვის, რომ „ცათა შინა“ დავაგროვოთ განძი?

— როგორც „მარგალიტის იგავშია“ ნათქვამი, შესაძლოა განძი მრავალნაირი იყოს, მაგრამ არის ერთი გამორჩეული მარგალიტი, რომლისთვისაც ყველაფრის დათმობა და გაკეთება ღირს. ეს ყველაზე ძვირფასი განძი ჭეშმარიტებაა — ღმერთის მიმართ რწმენა, მაგრამ როდესაც ადამიანი რწმენას პოვებს, შემდეგ უნდა მი-

აგნოს და დაადგეს იმ გზას, რომლითაც უფალთან მივა.

პავლე მოციქული ბრძანებს: „რასაც ამქვეყნად ვაკეთებთ, შესაძლოა გარკვეული დროით იყოს სასარგებლო ან სამარადჟამოდ გამოგვადგეს“. ჩვენი საქმეები მარადიულად სასარგებლო მაშინ იქნება, თუ მათ ღვთის სადიდებლად ვაკეთებთ. მხოლოდ მიწიერი კეთილდღეობისთვის გაკეთებული საქმეები მიწაზევე დარჩება. მაცხოვრის ერთ-ერთი იგავი გავიხსენოთ: ერთ მდიდარ კაცს დიდძალი მოსავალი მოუვიდა და მათ შესანახავად ძველი სათავსის დანგრევა და ახლის აგება განიზრახა. იფიქრა, ვეტყვი ჩემს სულს: ბევრი სიკეთე გაქვს შენახული მრავალი წლისთვის, მოისვენე, ჭამე, სვი და იმხიარულეო, მაგრამ იქვე განჩინებას მიიღებს: ამაღამვე მიიღებენ შენს სულს და სად უნდა წაიღო, რაც დაიმზადეო? როდესაც მამები ამ იგავს განმარტავენ, ბრძანებენ: მას თავისი საუნჯე მოწყალების სახით უნდა გაეცა, ღარიბ-ღატაკებთან და უპოვრებთან შეენახა. ამ გზით ზეცაში დააგროვებდა განძს. მან კი მოპოვებული დიდძალი განძისთვის ძველი საცავების დანგრევა და ახლის აგება განიზრახა. საბოლოოდ ესეც გაებნა, დაეკარგა და ვერც ზეცაში დაიუნჯა. სულიც იმ ღამესვე განეშორა და გარდაიცვალა. ამდენად, თუ უფალი მიწიერ განძს — სიმდიდრეს გვიბოძებს, ისევ ღვთის სადიდებლად უნდა გამოვიყენოთ, უფალს მივუძღვნათ კეთილი საქმეების ქმნითა და მოწყალების გაცემით. მიწიერი საუნჯე და წარმატებაც სწორედ ამ მიზნით ეძლევა ადამიანს. სახარებიდან მდიდარი ჭაბუკის მაგალითი გავიხსენოთ, რომელიც მაცხოვართან მივიდა და ჰკითხა: მოძღვარო, რა ვქნა, რომ საუკუნო ცხოვრება დავიმკვიდროო? მაცხოვარი მიუგებს, მცნებები დაიცავიო. ყველა მცნებას ვიცავ და რაღა მიკლია კიდევო? — კვლავ ეკითხება მდიდარი ჭაბუკი. მაცხოვარმა უთხრა: „თუ გინდა სრულყოფილი იყო, წადი, შენი ქონება გაყიდე, მიეცი ღარიბებს და გექნება საუნჯე ზეცაში. მერე მოდი და შემომიდექი“.

ამის შემდეგ მდიდარი ჭაბუკი განეშორება მაცხოვარს, რადგან დიდძალი ქონების, განძის დათმობა გაუჭირდა. მართალია, იგი მართალი ცხოვრებით ცხოვრობდა, მაგრამ იმდენად იყო მიჯაჭვული თავის მიწიერ განძზე, რომ როდესაც საქმე საქმეზე მიდგა, სიმდიდრისა და ქონების გამო ფაქტობრივად უფალი უარყო, მიწიერ განძს კი ვერ შეელია. ე.ი. თუ მიწიერ ცხოვრებაში გვეძლევა ქონება და უფალი არჩევანის წინაშე დაგვაყენებს — უფალთან ვიყოთ თუ ქონება ავირჩიოთ, უნდა შეგვეძლოს მივატოვოთ ყველაფერი და უფალს გავყვეთ; მისი ნება აღვასრულოთ.

— ადამიანთა უმეტესობა უმეტესწილად მაინც მიწიერი განძის მოპოვებისთვის მეტად იხარჯება, მიწიერი ქონების მოპოვებისკენ უფრო ისწრაფვის...

— საერთოდ, ადამიანი ძნელად იჯერებს იმას, რასაც ვერ ხედავს. უხილავი რომ დაიჯერო და უპირატესობა მას მიანიჭო, ამისთვის რწმენაა საჭირო. ამასთან, ადამიანი მიწისგანაა შექმნილი და დედამიწაზე ყოფნის ჟამს მიწიერი უფრო იტაცებს. კაცს ქვეცნობიერად ჰგონია, რომ სამუდამოდ დარჩება ამქვეყნად და ცდილობს, მიწაზე დააგროვოს განძი. თუ ადამიანი ღრმად ჩაიხედავს სარწმუნოებაში, დაფიქრდება ადამიანის ამქვეყნად მოსვლის მიზანსა და დანიშნულებაზე, აუცილებლად მარადიულს აირჩევს.

როგორც ვთქვით, ადამიანს ზომიერების ფარგლებში არც მიწიერი განძის მოპოვებაზე ზრუნვა ეკრძალება, მაგრამ მთავარია, მიწიერებაში არ დაკარგოს თავი. უნდა გვქონდეს შეგნებული, რომ ეს ყველაფერი წარმავალია და ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ მარადიულისთვის.

— რა არის უფლის მთავარი სათქმელი იგავების თანახმად?

— უფალი ამ იგავებით უპირველესად გვაფხიზლებს, რომ არ აგვერიოს მიწიერი და სულიერი სიმდიდრე და მიწიერმა არ გადაფაროს სულიერი, რომელსაც არც მღილი შეგვიჭამს, არც დაგვეკარგება და ვერც მპარავი მოგვპარავს. ადამიანმა მთელი ცხოვრება უნდა იბრძოლოს იმ მარგალიტის მოსაპოვებლად, რასაც უფალი — ღვთის რწმენა და სიყვარული ჰქვია. „რაც ბრწყინავს, ყველაფერი ოქრო არ არის“. რაც ჩვენ ფასეულად გვეჩვენება, შესაძლოა, ფასი არ ჰქონდეს და რასაც ვერ ვხედავთ და ღირებულად არ მიგვაჩნია, სწორედ ის იყოს ფასეული. მამათა სწავლებითა და გადმოცემით, უმთავრესი საუნჯე უფალია და მასთან ერთობის მიღწევა.

— ზოგჯერ ადამიანს სურვილიც აქვს და იწყებს კიდეც მცდელობას, სულიერი საუნჯის მოსაპოვებლად, მაგრამ ამას ვერ ახერხებს. რა აბრკოლებს ადამიანს, რა უშლის ხელს, რომ მართალი და ღვთივსათნო ცხოვრებით იცხოვროს და „ცათა შინა“ დაიგროვოს განძი?

— ამას ბევრი მიზეზი აქვს. მთავარი მიზეზი ეკლესიისა და უფლის მცნებებისადმი დაუმორჩილებლობაა. რაც ყველაზე აუცილებელია — ადამიანმა ღვთისკენ სავალი გზიდან არ უნდა გადაუხვიოს. ■

ანტიდეპრესანტი

გზაში საკითხავი კოლაქი

ᲫᲔᲛᲓᲔᲜᲘᲚᲘ ᲗᲘᲛᲙᲐ ᲘᲕᲐᲜᲘᲫᲔ

1. ძუყნური სოფელია ტყიბულის რაიონში.

2. „ხელოვნება გამოუთქმელის შუამავალია“, — ამბობდა გოეთე.

3. გოდერძი ჩოხელს ქართველმა მაყურებელმა სევდის რაინდი შეარქვა.

4. აკაკი წერეთელმა ძიძის სოფელში — სავანეში გაატარა ბავშვობის წლები.

5. წმინდა შუშანიკი ტანჯვის მეშვიდე წელიწადს საპყრობილეში გარდაიცვალა.

6. ოპონენტები იუშენკოს უკრაინის პრეზიდენტის ნაცვლად უკრაინის პრეცედენტს ეძახდნენ.

7. შუშპარი უძველესი ქართული ხალხური საკულტო ცეკვა — მთვარის მსახურებისადმი მიძღვნილი ფერხულია.

8. ჩანგი უძველესი, ქართული, მოსაზიდი სიმებიანი საკრავია. იგი მხოლოდ სვანეთშია შემორჩენილი.

9. „ტაძრები პირველნი ხვდებიან ამომავალ მზის სხივებს“, — ამბობდა ფრანგი მწერალი და ხელოვნებათმცოდნე, ანდრე მალიარი.

10. სიპროიტე კრეტელი მოქალაქე იყო, რომელმაც შემთხვევით დაინახა შიშველი აფროდიტე, რისთვისაც ქალღმერთმა დასაჯა და ქალად აქცია.

11. ცხოვრების განმავლობაში რეი ჩარლზმა 9 მილიონ დოლარზე მეტი გადაურიცხა აფროამერიკულ კოლეჯებს, უსინათლოთა სკოლებსა და ინვალიდთა პანსიონებს.

12. ტიციან ტაბიძეს ანტისაბჭოთა პროპაგანდასა და საფრანგეთის აგენტობაში დასდეს ბრალი და 1937 წლის მიწურულს დახვრიტეს. პოეტი 42 წლის იყო.

13. ქართველი პოეტი, თეკლე ბატონიშვილი, ერეკლე II-ის ასული და პოეტი ძმების — ვახტანგ და ალექსანდრე ორბელიანების დედა გახლდათ. 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობისთვის იგი ქალაქ კალუგაში გადაასახლეს.

14. ვასილ ჩაპაევი I მსოფლიო ომში გამოჩენილი მამაცობისთვის მეფის

თეთრეული და ქალის ხასიათი

აღმოჩნდა, რომ ესოდენ ამოუცნობი და იდუმალი არსების — ქალის უკეთ შეცნობა და მისი ხასიათის დაფარული მხარეების გაგება იმის მიხედვითაც შეიძლება, თუ რა ფერის თეთრეულს ამჯობინებს იგი.

ყვითელ თეთრეულს კეთილგანწყობილი და ოპტიმისტი ქალები ეტანებიან, ისინი არ ცნობენ არსებულ ტრადიციებს და საზოგადოებაში ქცევის მიღებულ ნორმებს. ასეთი ქალები სიცოცხლით სავსენი და გულახდილები არიან. ერთი შეხედვით, თითქოს გულუბრყვილოებიც ჩანან, მაგრამ სინამდვილეში კარგად იციან საჭირო ზღვრის დაცვა ურთიერთობაში.

თეთრი — ე.წ. ცივსისხლიან და ჭკვიან ქალებს მოსწონთ. ამ ტიპის ქალებისათვის მთავარი შედეგია, ხოლო ის, რა გზით შეძლებენ სასურველი მიზნის მიღწევას, სრულებით არ აღელვებთ. მათთვის „მიზანი ყოველთვის ამართლებს საშუალებას“.

სტაფილოსფერს ახალი იდეებით სავსე, გმირული საქციელისთვის მუდამ მზად მყოფი ქალები ამჯობინებენ. ასეთი ქალები მძაფრი განცდებისკენ ისწრაფვიან. რეალობა მათთვის ზედმეტად პირქუში და ნაცრისფერია, ამიტომ მუდამ ცდილობენ ცხოვრების გადახალისებას; ძალიან უყვართ ყურადღების ცენტრში ყოფნა.

წითელი — ენერგიული, აქტიური ქალებისთვისაა განკუთვნილი. მათ არ ერიდებათ თავიანთი სურვილებისა და გრძნობების დემონსტრირების, საოცარი ფანტაზიის უნარი აქვთ და ტემპერამენტიანებიც არიან. წითელი თეთრეულის მოყვარული ქალბატონები ბავშვობიდანვე ლიდერობისკენ ისწრაფვიან და ენთუზიაზმით ჰკიდებენ ხელს ახალ საქმეებს. მათ გარშემო მყოფებს კი სიფრთხილე მართებთ — არავინ უნდა შეეხოს მათ თავმოყვარეობას.

ვარდისფერი — ნაზი და დელიკატური ქალების არჩევანია. სენტიმენტალობა და მოჭარბებული რომანტიკულობა სწორედ რომ მათი საქმეა. ასეთი ტიპის ქალებს ყველაფერი ადვილად სწყინთ, ეშინიათ კონფლიქტების და ამიტომ მზად არიან, იოლად დათმონ პოზიციები, ოღონდაც კი ირგვლივ სიმშვიდე და ურთიერთთანხმობა სუფევდეს.

იასამნისფერს საკუთარ თავში ჩაკეტილი და გარეგნულად ცივი ქალები ანიჭებენ უპირატესობას. ისინი უმეტესწილად, გულგრილი ადამიანის როლს თამაშობენ, სინამდვილეში კი მთელი არსებით სურთ, საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოხვდნენ.

ლურჯი — პუნქტუალური, მოწესრიგებული ქალების საყვარელი ფერია. ამ ტიპის ქალებს სიამოვნებას ანიჭებს სხვებისთვის დახმარების გაწევა, დაინტერესებულნი არიან გარშემო მყოფთა პირადი ცხოვრებით; ახლობლებს კი ჭკუის დარიგებითა და მორალის კითხვით ხშირად თავს აბეზრებენ — შეიძლება ითქვას, ეს მათი ჰობია.

ცისფერი — მეოცნებე ქალებს უყვართ. ისინი ვერასოდეს სჯერდებიან მიღწეულს, დაუღალავად იქექებიან წარსულში და ოხვრით იხსენებენ გარდასულ ტკბილ დღეებს. ამასთანავე, გამუდმებით რაღაცით უკმაყოფილონი არიან, რაღაც არ მოსწონთ პარტნიორ მამაკაცში და ხელახლა, კვლავ უშედეგოდ იწყებენ იდეალის ძებნას.

მწვანე თეთრეულის მოყვარულ ქალებს საოცრად გამახვილებული ინტუიცია აქვთ; ძალიან უყვართ მეგობრებთან ყოფნა, მაგრამ არანაკლებ — ოჯახური გარემო და მოვლილი სახლი. დაუღალავად ზრუნავენ ბავშვებსა და შინაურ ცხოველებზე. ემოციის სახალხოდ გამოხატვა მათი სტილი არ არის.

რუხი თეთრეული თითქმის არაფრით გამორჩეულ ქალებს მოსწონთ. სამაგიეროდ, ისინი უზომოდ ერთგულნი არიან და კარგად იციან მეგობრობის ფასი.

რაც შეეხება **შავ** თეთრეულს, ის იმდენად მასობრივ მოხმარებაშია, რომ თითქმის ყველა ტიპის ქალი იყენებს, ამიტომ ამ ფერის თეთრეულის მიხედვით მისი ხასიათის გამოცნობა ნაკლებად შესაძლებელია. ■

გვიან გახდომება გასუქებას სულაც არ ნიშნავს

ხშირად გვესმის, რომ ესა თუ ის პროდუქტი ასუქებს ან სიმაღლეში ზრდის ადამიანს. მოდი, ერთად გავარკვიოთ ამა თუ იმ პროდუქტის კალორიულობა

მაკარონი — ერთი ულუფა მაკარონი (60 გ) შეიცავს 220 კალ-ს, ხოლო ერთი ულუფა შემწვარი კარტოფილი 360 კალ-ს. ამრიგად, ის აზრი, რომ მაკარონი ადამიანს ასუქებს, არასწორია. სინამდვილეში, წონის მომატებას არა მარტო მაკარონი იწვევს, არამედ ის სოუსები, რომლებთან ერთადაც მიირთმევთ. თუ თქვენ წონის დაკლების სურვილი გაქვთ, უარს ნუ იტყვით მაკარონზე, ოღონდ ბოსტნეულითა და ზეითუნის ზეთით შეზავებული მიირთვით.



გამომშრალი პური — ამბობენ, რომ გამომშრალი პური არ ასუქებს. სინამდვილეში, 100 გ გამომშრალი პური შეიცავს 318 კალ-ს, ხოლო 100 გ რუხი პური — 210 კალ-ს.

აბსოლუტურად მცდარია ის აზრიც, რომ **მარგარინზე** მეტად **კარაქი** ასუქებს, 100 გ კარაქი შეიცავს 750 კალ-ს, ხოლო 100 გ მარგარინი — 745-ს. ამრიგად, განსხვავება თითქმის არ არის, მაგრამ კარაქი შეიცავს სრულფასოვან მჟავებს, რომლებიც ხელს უწყობს გულის მუშაობის გაუმჯობესებას.

საკმაოდ გავრცელებული აზრია, რომ თუ გვიან მიირთმევთ, გასუქდებით, მაგრამ ესეც არასწორია. მთავარია დღის განმავლობაში მიღებული საკვების რაოდენობა, მასში შემავალი ცხიმების შემცველობა და ამ ყველაფერთან ერთად, აუცილებლად ფიზიკური აქტივობა.

ის აზრი, რომ **კვერცხი** ქოლესტერინის მომატებას იწვევს, მცდარია. თქვენ შეგიძლიათ უშიშრად მიიღოთ 2 ცალი კვერცხი, თუ ნივთიერებათა ცვლის პროცესი დარღვეული არ გაქვთ.

არც ის არის მართალი, თითქოს **ლუდი** ასუქებს. სინამდვილეში, ყველაფერი დამოკიდებულია მიღებული ლუდის რაოდენობასა და იმ პროდუქტებზე, რომლებსაც ლუდს ვაყოლებთ. ■

ფლავი უზბეკურად

ერბო (ან მცენარეული ცხიმი) კარგად ადუღეთ, ჯერ ჩაყარეთ ხახვი და შეწითლებამდე შუშეთ, შემდეგ — წვრილად დაჭრილი საქონლის (შეგიძლიათ ქათმისაც) ხორცი. ჩააჭერით სტაფილო. ეს ყველაფერი ერთად ხრაკეთ. დაუმატეთ 3-4 ცალი პომიდორი (ან — 1 ს/კ ტომატი) და ცოტაოდენი ძირა. ხრაკეთ ხორცის დარბილებამდე. შემდეგ დაასხით 1 ლ წყალი, ხარშეთ კიდევ ნახევარი საათი. ჩააყარეთ ნახევარი კილო ბრინჯი და ქვაბს თავზე მჭიდროდ დაახურეთ. ხარშეთ 20 წუთი — თავიდან მაღალ ცეცხლზე, შემდეგ — დაბალზე. ■

ანტიდეპრესანტი

გზაში საკითხავი კოლაქი

ქეთევანი თემურ ივანიძე

მთავრობას გიორგის ჯვრითა და მედლით 4-ჯერ ჰყავდა დაჯილდოებული. ლეგენდარული წითელარმიელი სამოქალაქო ომის დროს 25-ე მსროლელ დივიზიას მეთაურობდა და თეთრგვარდიელებთან უთანასწორო ბრძოლაში, მდინარე ურალის გადაცურვის დროს დაიღუპა.

15. შავხანი მჭედლობის ღმერთია სვანურ მითოლოგიაში. ციური ჯაჭვისა და უფსკრულზე გადადებული რკინის ხიდის გამჭედავი, მჭედელთა თაობების მამამთავრად გვევლინება (ბოლო დროსაც იყო სოფელ ჭუბერში ოსტატი მჭედელი შავხანი). მის მიერ გადებულ ხიდზე კაცი გადადიოდა; დევი კი ძირს ვარდებოდა. ბერძენთა მჭედლობის ღმერთის, ჰეფესტოს მსგავსად, შავხანიც კოჭლია — როცა სამჭედლოში ეძინა, ერთმა დევმა გრდემლი გადაბრუნა, მძინარე შავხანს მარჯვენა თეძოზე დასცა და დააკოჭლა.

16. ცნობილია გალაკტიონის ოთხპუნქტიანი წერილი, რომელშიც პოეტი წინადადებით მიმართავდა მთავრობას, ძეგლი დაედგათ მისთვის; სამტრედიისათვის საგალაკტიონო დაერქმიათ; თბილისის სანაპიროსა და ერთ-ერთი თვალსაჩინო ქუჩისთვის კი მისი სახელი ეწოდებინათ.

17. ჩაკრულო კახური სიმღერაა. მისი პირველი ჩანაწერი სოფელ ვაჩნაძიანში ზაქარია ფალიაშვილმა გააკეთა. შეერთებული შტატების მიერ 1977 წელს გაშვებულ ავტომატურ საპლანეტაშორისო სადგურზე — „ვოიაჯერ 1-სა“ და „ვოიაჯერ 2-ზე“ მოთავსებულ ორ იდენტურ გრამფირფიტაზე ჩაწერილ პროგრამაში „დედამიწის ხმები“, რომელიც დედამიწის გარე ცივილიზაციის წარმომადგენლებისათვის იყო განკუთვნილი და მიზნად ისახავდა მათთვის წარმოდგენა შეექმნა დედამიწისა და კაცობრიობის შესახებ. სხვა ინფორმაციასთან ერთად (წყლის ხმაური, ბავშვის ტირილი, მისალმება 60 ენაზე და სხვა) „ჩაკრულოც“ იყო შეტანილი.

„ფორტუნის ნაკლებად მჯერა“

მას მწერლობაში, მხატვრობაში, მუსიკაში ფავორიტი ავტორი არ ჰყავს. წასაკითხ წიგნებსაც განწყობილების მიხედვით ირჩევს. როცა დავურეკე და „ერუდიტისთვის“ ჩაწერა ვთხოვე, იყოყმანა, მიზეზიც გულახდილად მითხრა: — რომ ვერ გიპასუხო, მეშინიაო. შეხვედრაზე კი მაინც დამთანხმდა. რუბრიკის სტუმარი მსახიობი ლელა მეგურიშვილი გახლავთ.

„ბუტია ადამიანი არ ვარ“

თამუნა ქვინიკაძე

პრეამბულის მაგიერ

— ლელა, ისეთი ნარუჯი გაქვს, კითხვა აღარ უნდა, ზღვაზე ყოფილხარ.

— კვარიათში დავისვენე. წიგნის წაღება დამავიწყდა. 10 ადამიანს მაინც ვკითხე, წიგნი ხომ არ გაქვთ, რომ მათხოვოთ-მეთქი?

— ზღვაზე წიგნების კითხვით ერთობი?

— კი (*იცინის*), ზღვაზე კითხვა განსაკუთრებით მიყვარს. ეს ჩემთვის სიამოვნებაა.

— ახლა რას კითხულობ?

— თურქი მწერლის, ორჰან ფამუქის წიგნს — „მე მქვია წითელი“. ჯერ არ დამიმთავრებია, ძალიან მომწონს. კითხვა ბავშვობიდანვე ძალიან მიყვარს.

— ეს მშობლების დამსახურებაა?

— ნაწილობრივ. მიმაჩნია, რომ ბავშვს რაც უნდა დააძალო, თუ ინტერესი არ გაუჩნდა, კითხვას ძალით ვერ შეაყვარებ. ზაფხულის არდადეგების პერიოდში იმაზე მეტს ვკითხულობდი, ვიდრე მთელი დანარჩენი წლის მანძილზე. ერთი ძალიან ცუდი თვისება მაქვს — წაკითხული ადვილად მავიწყდება, კარგი მეხსიერებით არ გამოვირჩევი. სახელებსა და გვარებს სულ ვერ ვიმახსოვრებ.

— წიგნი მოგიპარავს?

— არა. ვინმესთან სახლში რომ შევდივარ და იქ კარგი ბიბლიოთეკა მხვდება, წიგნებისკენ თვალი გამირბის. მათ შორის ისეთს თუ შევამჩნევ, რომელიც მაინტერესებს და წაკითხული არ მაქვს, პატრონს ვთხოვ, რამდენიმე დღით მათხოვოს.

— რომელ ლიტერატურულ გმირთან იმეგობრებდი?

— (*იცინის*) სიმართლე გითხრა, ამაზე არასდროს მიფიქრია. მსახიობი ვარ და ხშირად მეკითხებიან, რომელ პერსონაჟს განასახიერებდიო? როცა სპექტაკლს ვუყურებ, წარმოვიდგენ, იმ სპექტაკლში რომელ როლს ვითამაშებდი. მეორე დღეს, სხვა სპექტაკლის ნახვისასაც იმავეს ვფიქრობ. ასეა ნაწარმოების კითხვის დროსაც. იქ რომელიღაც გმირი თავად ვარ და გარკვეულ ეპიზოდებს ხმამაღლაც კი ვკითხულობ. საერთო პიროვნული თვისებებიც არაერთ პერსონაჟთან აღმომიჩენია.

— შენს პირად ცხოვრებაში ან კარიერაში სიახლე არაფერია?

— მნიშვნელოვანი არაფერი ხდება. რამდენიმე რეჟისორისგან მაქვს შემოთავაზება. ვნახოთ, ჯერ არაფერია გამოკვეთილი. სიახლე როცა იქნება, მერე ვილაპარაკოთ.

— კარგი, ახლა კითხვარზე გადავიდეთ.

— დავიწყოთ.

— „თუ მიზნის მიღწევა გსურთ, ნუ ეცდებით იყოთ დელიკატური და გონიერი“. რომელი ცნობილი ბრიტანელი საზოგადო მოღვაწეა ამ გამონათქვამის ავტორი?

— ჩერჩილი იქნება.

— ნამდვილად ასეა. ახლა დეილ კარნეგის წიგნიდან ერთ გამოცანას გეტყვი: უფასოა, მაგრამ ძვირი ღირს, რასაც მეტს გასცემ, მეტს მიიღებ. წამიერია, მაგრამ ხსოვნაში სამუდამოდ რჩება. ვერსად იპოვი მდიდარს, რომელიც უმისოდ ძლებს და ვერც ღატაკს, რომელსაც ის არ გაამდიდრებს. მას ვერ იყიდი, ვერც თხოვნა-მუდარით მოიპოვებ, ვერც ისესხებ, ვერც მოიპარავ, რადგან თუ ნებით არ გაიცა, გროშია მისი ფასი. რაზეა ლაპარაკი? თუ ამ შეკითხვას სწორად უპასუხებ, აუცილებლად „გეწვევა“.

— (*იცინის*) სიყვარული, არა?

— ვერ გამოიცანი. დავამატებ, — „ის“ შენ ძალიან გიხდება.

— ღიმილი?

— დიახ. რა არის მანაგუა?

— რაღაც მცენარეა, რომელსაც გამაბრუებელი ეფექტი აქვს.

— მანაგუა ნიკარაგუის დედაქალაქია.

— უი! ეგ ვიცოდი და... კითხვა ისეთი ფორმით დამისვი, დამაბნიე.

— რას ნიშნავს სიტყვა „ბოზი“ მცირე აზიაში?

— ლამაზს.

— რამდენი წლის იყო „კაკო ყაჩაღის“ გმირი

ზაქრო, როცა ბატონმა ძროხების მოსამწყემსად გაუშვა?

— ეს ნაწარმოები ბავშვობაში სიგიჟემდე მიყვარდა. მადროვე და გავიხსენებ. (*პაუზის შემდეგ*) 12 წლის იყო.

— აზიის ბევრ სასტუმროში მასაჟისტებად ხშირად ბრმები ჰყავთ. რატომ?

— ალბათ იმიტომ, რომ ადამიანებს მასაჟის გაკეთების დროს არ შერცხვეთ. ასეა?

— ნამდვილად ასეა. მაგრამ იმასაც ამბობენ, ამ ადამიანების სიბრმავე მოგონილიაო.

— არც ეს არის გამორიცხული. რაღაც აზარტში შევედი. აბა, კიდევ რა უნდა მკითხო?

— ახლა მიპასუხე — რას ნიშნავს „უშბა“ სვანურად?

— ვაიმე, არ ვიცი. ძალიან მაღალს ხომ არა?

— უკარებას. რას უწოდებდა ხუმრობით ვლადიმერ ვისოცკი „თაგვების ანგელოზს“?

— ღამურას. აბა, სხვა რისთვის უნდა ეწოდებინა?

— გამოიცანი. რძალი, მაზლი, სიძე, სიმამრი — ამათგან რომელი ნათესავი არ შეიძლება ჰყავდეს მამაკაცს?

— მაზლი.

— ერთხელ ჟურნალისტმა ჰკითხა ფოლკნერს — ბევრი ამტკიცებს, რომ თქვენი ნაწარმოებები გაუგებარია 2-ჯერ და 3-ჯერ წაკითხვის შემდეგაც კი. რა უპასუხა ფოლკნერმა?

— ალბათ ურჩია, მეოთხედაც წაეკითხა.

— ერთი ბრძენის აზრით, „ქალი მხოლოდ იმისთვის იბუტება, რომ ხელახლა...

— „...შეგვირიგდეს“.

— რომელ სოფელში დაიბადა ნიკო ფიროსმანი?

— მირზაანში.

— რატომ არ შეუძლია ხვლიკს დიდხანს სირბილი?

— პატარა ფეხები აქვს.

— ფეხები არაფერ შუაშია. ამის მიზეზი ის არის, რომ სირბილის დროს ვერ სუნთქავს. ვინ შეარქვა ვაჟა-ფშაველას ეს ფსევდონიმი?

— არ ვიცი. აკაკი წერეთელმა ხომ არა?

— არა, პეტერბურგში ყოფნის დროს მეგობარმა, დიმიტრი ცისკარიშვილმა შეარქვა. რა ერქვა გულივერს?

— არ მახსოვს.

— გულივერი. „მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე სიყვარულით ერთხელაც კი არ ამძგერებია გული, თუმცა მოჩვენებით ხშირად მომჩვენებია, ტრფიალების ალი მწვავს-მეთქი; ეტყობა ვერც ვერასდროს ვიგრძნობ ამ გულის ძგერას... ავხორცი თუ ვარ? მაშა! არ მოუტყუებიხართ, ოღონდ განა საშიშარი ვარ. ქალს დავინახავ თუ არა, როდი შევყივლებ და ვეძგერები. ჯერ არასდროს ვყოფილვარ გასამართლებული ვნებიანობის მკაცრი გამოვლინებისათვის. სრულიად უსაფრთხოდ შეიძლება ჩემთან ერთად საზოგადოებაში გამოჩენა, მით უმეტეს თუ ხმის მისაწვდენ მანძილზე პოლიციელი მორიგეობს“... ეს არის მწერლის მიერ შეულამაზებლად დახატული ავტოპორტრეტი. დაასახელე ეს მწერალი.

— როგორც ვხედები, ქართველი არ არის.

— ფრანგია.

— გი დე მოპასანზეა ლაპარაკი? მისი არაერთი ნაწარმოები მაქვს წაკითხული. მოკლედ, მას „ჰგავს“.

— გამოიცანი. ვინ იყო ბედისა და იღბლის ქალღმერთი რომაულ მითოლოგიაში?

— ვიქტორია.

— ცდები.

— აბა, ფორტუნა?

— დიახ. რომელ სპექტაკლს დგამდნენ სოფლის სცენაზე ფილმში — „იმერული ესკიზები“?

— (*იცინის*) ეს ფილმი კარგად მახსოვს, „ოტელოს“ დგამდნენ.

— რომელ მეფეზე წერდა ლეონტი მროველი „ამან განავრცო ენა ქართული და შექმნა მწიგნობრობა ქართული“?

— ფარნავაზზე.

— რომელი მეფის დედა იყო ქეთევან წამებული?

— თეიმურაზ I-ის.

— რომელმა ცნობილმა ქართველმა საზოგადო მოღვაწემ უთხრა საფრანგეთის მოხუცებულ მეფეს — ლუდოვიკო XIV-ს შემდეგი სიტყვები: „ისეთი მოხდენით ატარებთ ასაკს, რომ ყველა ინატრებდა თქვენს ადგილზე ყოფნას“.

— სულხან-საბა ორბელიანმა.

— რომელი ლიტერატურული გმირია ალონსო კეხადა — დონ-კიხოტი, გულივერი, რობინზონ კრუზო თუ გრაფი მონტე-კრისტო?

— დონ-კიხოტი.

— იოსებ გრიშაშვილი „ძველი თბილისის ლიტერატურულ ბოჰემაში“ წერს: „ძველად ქალაქგარეთ დროის გასატარებელი მხოლოდ 2 ადგილი არსებობდა: მდაბიო ხალხისთვის — ორთაჭალის ბაღები და ევროპულად გაზრდილთათვის“... რომელ ადგილს ასახელებს აქ იოსებ გრიშაშვილი?

— ვერ გიპასუხებ.

— მუშტაიდის ბაღს.

— მართლა? დღეს რამდენი რამ გავიგე. ალბათ შენთვისაც საინტერესოა ამ რუბრიკაზე მუშაობა.

— რა თქმა უნდა. შემდეგი კითხვა კი ასეთია: ურალის რაიონში არის ტიპური პროექტით აშენებული თეატრი. ეს თეატრი თავისი მდებარეობით უნიკალურია და მსოფლიოში ანალოგი არ აქვს. თეატრში დგას მემორიალური სვეტი, რომელიც აღნიშნავს განსხვავებას სცენასა და მაყურებელთა დარბაზს შორის. რა განსხვავებაზეა ლაპარაკი?

— (*ფიქრობს*) არქიტექტურით არ განსხვავდება?

— არა. თეატრის მდებარეობას მიაქციე ყურადღება.

— ვერ გიპასუხებ.

— სცენა ევროპაში მდებარეობს, დარბაზი კი — აზიაში. 1921 წელს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის პროტესტის ნიშნად, ოთხმა ახალგაზრდა ინტელიგენტმა გლოვის ნიშნად შავი ჩოხა-ახალუხი ჩაიცვა. ვინ იყვნენ ისინი?

— ცნობილი ფოტო გამახსენდა. კონსტანტინე გამსახურდია, ვახტანგ კოტეტიშვილი და... დანარჩენ 2-ს ვერ ვიხსენებ, მგონი, ერთი პავლე ინგოროყვაა.

— და ალექსანდრე აბაშელი. დაბოლოს, დაასრულე ნიცშეს ცნობილი გამონათქვამი: „ქალი მამაკაცზე უკეთ უგებს ბავშვებს, მაგრამ მამაკაცი ქალზე უფრო...“

— „...ბავშვია“.

■

SLS -ის ახალი მოდიფიკაცია

კომპანია „მერსედესმა“ ოფიციალურად დაადასტურა სუპერავტო SLS-ის ახალი მოდიფიკაციის გამოშვების გეგმა, რომელსაც ტრადიციული სახელწოდება Black Series-ის ექნება. ამის შესახებ ინტერვიუში ფირმის ახალი ავტომობილების განყოფილების ხელმძღვანელმა, ტობიას მოერსმა განაცხადა. სიახლის შესახებ მოერსს დეტალური ინფორმაცია არ გაუმჟღავნებია. წინასწარი მონაცემებით, სუპერავტო Mercedes-Benz SLS-ის „შავი“ ვერსია მოდერნიზებული 6,2-ლიტრიანი, 8-ცილინ-



დრიანი ძრავათი აღიჭურვება, რომლის სიმძლავრეც 571-დან 600 ცხძ-მდე გაიზრდება. ადრე გავრცელებული ცნობით, ასეთი ავტომობილის წონა სტანდარტულ მანქანაზე 300 კგ-ით ნაკლები უნდა იყოს. ჩვეულებრივი SLS AMG 0-დან 100 კმ/სთ სიჩქარეს 3,8 წამში ავითარებს, ხოლო მისი მაქსიმალური სიჩქარე 315 კმ/სთ-ია. გარდა ამისა, კომპანია კვლავაც მუშაობს ელექტრო Mercedes-Benz SLS AMG E-Cell-ის გამოშვებაზე. SLS-ის ელექტროვერსია ჯამური 526 ცხძ სიმძლავრის 4 ელექტრომოტორით აღიჭურვება. გარდა ამისა, აკუმულატორები დამუხრუჭებისას რეკუპერაციის პრინციპით დაიტენება. 0-დან 100 კმ/სთ სიჩქარეს სავარაუდოდ 4 წამში განავითარებს, რაც ბენზინის სუპერავტოს მაჩვენებელზე 2/10 წამით ხანგრძლივი იქნება. ავტოს სავარაუდო სვლის თადარიგი 150-180 კმ-ია. საყოფაცხოვრებო დენის წყაროდან ბატარეების სრული დატენისთვის დაახლოებით 8 საათი იქნება საჭირო. ელექტრო Mrecedes-Benz SLS AMG-ის შეკვეთა 2013 წლიდან გახდება შესაძლებელი. ■

X6-X6 ActiveHybrid აღარ გამოვა

კომპანია BMW-მ კროსოვერ X6-X6 ActiveHybrid-ის გამოშვება ამ ავტომობილზე დაბალი მოთხოვნის გამო შეწყვიტა. ამის შესახებ ავტომწარმოებლის ჩრდილოამერიკული ოფისის წარმომადგენელმა, დეივ ბუჩკომ განაცხადა. მანქანაზე დაბალი მოთხოვნილების მთავარ მიზეზებად მაღალი ფასი (ეს BMW-ს ჩრდილოამერიკულ სამოდელო ხაზში ერთ-ერთი ყველაზე ძვირფასი ავტოა) და ჰიბრიდისთვის ეკონომიურობისა და ეკოლოგიურობის საგრძნობლად დაბალი მაჩვენებლები იქცა. კერძოდ, შერეულ ციკლში X6 ActiveHybrid-ისთვის 100 კმ-ზე საწვავის ხარჯი ფაქტობრივად 10 ლიტრია, ხოლო ჩვეულებრივი X6

ანალოგიურ მანძილზე 9-დან 14,3 ლიტრს მოიხმარს. ამასთან, 480 ცხძ-იანი აგრეგატით აღჭურვილი ჰიბრიდული კროსოვერი დიდი დინამიკური მაჩვენებლებით გამოირჩევა. კერძოდ, 0-დან 100 კმ/სთ სიჩქარის განსავითარებლად მას მხოლოდ 5,6 წამი ესაჭიროება. კროსოვერი BMW X6 ActiveHybrid ფრანკფურტის ავტოსალონზე 2009 წლის ბოლოს წარმოადგინეს. მაშინ დაიწყო მისი გაყიდვა აშშ-ში. მანქანის ჰიბრიდული დანადგარი 4,4-ლიტრიანი, 2-ტურბინიანი V8 მოტორისა და ორი — 91 და 86 ცხძ-იანი — ელექტროძრავისაგან, აგრეთვე ნიკელ-მეტალოჰიდრიდული ბატარეებისა და სიჩქარის გადაცემათა 7-საფეხურიანი ავტომატური კოლოფისაგან შედგება. ■

MP4-12C-ის გაყიდვა მალე დაიწყება

ბრიტანულმა კომპანია „მაკლარენმა“ იმ ქვეყნებისა და ქალაქების სია წარმოადგინა, რომლებშიც 2011 წელს მისი დილერ-სალონები გაიხსნება და ახალი სუპერავტოს — MP4-12C — გაყიდვა დაიწყება. ამ სიაში 35 ქალაქი და 19 ქვეყანაა წარმოდგენილი. ოფიციალურად სუპერავტოს შეძენა დიდ ბრიტანეთში, გერმანიაში, ბელგიაში, საფრანგეთში, მონაკოში, იტალიაში, ესპანეთში, შვეიცარიაში, აშშ-ში, კანადაში, ჩინეთში, იაპონიაში, ავსტრალიაში, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, ბახრეინში, კატარში, საუდის არაბეთში, არაბთა გაერთიანებულ საამიროებსა და ქუვეითში იქნება შესაძლებელი. მნიშვნელოვან წლიურ კვოტას ავტომობილებზე ევროპა მიიღებს — 400-დან 500 მანქანამდე. ჩრდილოეთ ამერიკაში 300-400 ავტომობილის გაყიდვა იგეგმება, ხოლო დანარჩენი კონტინენტებისთვის 100-200 მანქანაა განსაზღვრული. სულ „მაკლარენი“ ყოველწლიურად 1000 სუპერავტოს გასაღებას აპირებს. MP4-12C მიმდინარე წლის მარტში წარმოადგინეს. სიახლე, რომელიც 3,8-ლიტრიანი, 8-ცილინდრიანი მოტორითაა აღჭურვილი, 0-დან 100 კმ/სთ სიჩქარეს 3 წამზე ნაკლებ დროში ავითარებს, ხოლო 200 კმ/სთ-ს — 10 წამში. მილის მეოთხედს „მაკლარენი“ 11 წამში ფარავს, ხოლო 200 კმ/სთ სიჩქარით სვლისას სრული გაჩერებისთვის მას მხოლოდ 5 წამი ესაჭიროება. მანქანის მაქსიმალური სიჩქარე 320 კმ/სთ-ია. ადრე გავრცელებული ცნობით, სიახლის ღირებულება ბრიტანულ ბაზარზე 175 ათასი გირვანქა სტერლინგია. ■

ვაჟას „სტუმარ-მასპინძლის“ პროტოტიპთა საოცარი ამბავი

ვაჟა-ფშაველას ერთ-ერთი საუკეთესო პოემა — „სტუმარ-მასპინძელი“, რომელშიც ქისტი ჯოყოლასა და ხევსური ზვიადაურის უმაგალითო ძმადნაფიცობაა ნაჩვენები, 1893 წელს დაიწერა. რამდენიმე წლის შემდეგ, როცა პოემამ მკითხველთა საყოველთაო მოწონება დაიმსახურა და რამდენჯერმე გამოქვეყნდა, ვაჟა-ფშაველამ გაზეთ „ივერიაში“ თავადვე გამოაქვეყნა წერილი იმის თაობაზე, თუ როგორ დაიწერა „სტუმარ-მასპინძელი“ და რა ამბავი დაედო საფუძვლად მის სიუჟეტს. აქვე უნდა ითქვას, რომ ეს ყველაფერი ვაჟამ დაკონკრეტების გარეშე, მოკლედ აღწერა და მიუთითა, რომ ბევრი რამ „მწერლის ფანტაზიის“ ნაყოფი იყო. დღევანდელი გადასახედიდან ძნელია თქმა, დააკმაყოფილა თუ არა იმ პატარა წერილმა მაშინდელი მკითხველების ცნობისმოყვარეობა. ისე ჩანს, რომ მთის არწივს გაცილებით მეტი უნდა სცოდნოდა, ვიდრე წერილში წერდა.

მიხეილ ლაბაძე

ჯოყოლა დერქიზის შვილი, იგივე მაისტელი

აღსანიშნავია, რომ კავკასიის ჟანდარმერიის არქივში 1857 წლით დათარიღებული, ერთი საყურადღებო ცნობა მოიპოვება — ანონიმი ინფორმატორი თიანეთის ბოქაულს ატყობინებს, რომ შამილის მიურიდებსა და გუროელ ხევსურთა შორის ფართომასშტაბიანი შეტაკება მოხდა, რომელსაც სოფ. ჯარეგოს მცხოვრებთა დიდი ნაწილი შეეწირა: „ხევსურებს ამ რამდენიმე თვის წინ, შამილის მიურიდების მიერ მოკლული ერთ-ერთი თანამემამულის სისხლის აღება სურდათ და ჯარეგოში ლაშქრობა მოაწყვეს... იმ დროს სოფელში ნაიბი და მიურიდების მრავალრიცხოვანი რაზმი იმყოფებოდა. ხევსურებმა კარგად იცოდნენ ეს და თავად ჯარეგოელთა დახმარებით, მოულოდნელად დაესხნენ მათ თავს... შეტაკება ორ საათზე მეტხანს გრძელდებოდა; მიურიდებმა უკან დაიხიეს. მათი დაბრუნების შიშით, რამდენიმე ადგილობრივი მცხოვრები სოფელს გაერიდა და ხევსურეთს შეაფარა თავი“, — ნათქვამია ცნობაში.

აჰმად-ჰაჯი ავთურელი

ამ ცნობის გარდა, ხევსურეთში დღესაც კი უამრავი „ანდრეზი“ ანუ გადმოცემა არსებობს, რომელთა შინაარსი პოემის სიუჟეტს მეტ-ნაკლებად ემთხვევა. ცხადია, ისინი შესაძლოა, გვიანდელნი იყოს, მაგრამ ჩეჩნურ ფოლკლორშიც მსგავსი შინაარსის ბევრი გადმოცემა მოიპოვება. მათი გმირია ვინმე ჯოყოლა, რომელიც მითხოს (მელხისტის) ან უფრო მაისტის საზოგადოებიდან იყო. ჩეჩნური გადმოცემების თანახმად, იგი შამილის უპირველესი მოწინააღმდეგე იყო ჩეჩნეთის მთიანეთში და წლების განმავლობაში უარს აცხადებდა შამილის ნაიბისადმი მორჩილებაზე. მამამისს დერქიზი ერქვა და ამიტომაც, ხევსურულ „ანდრეზებში“ ჯოყოლა დერქიზის შვილად იხსენიება. საინტერესოა ისიც, რომ „სტუმარ-მასპინძლის“ მთავარი გმირის — ზვიადაურის პროტოტიპიც ასევე ისტორიული პირი იყო, თუმცა გადმოცემებში ის სხვადასხვა სახელით იხსენიება, გვარი კი უცნობია.

გადმოცემით, ეს ხევსური კაი ყმა „შამილობის“ დროს (XIX საუკუნის 50-იანი წლები) შატილი-ჯარეგოს გზით, მთიან ჩეჩნეთში საყაჩაღოდ (სხვა ვერსიით კი — სანადიროდ) გადაპარულა. იქ ძმადნაფიცებზე მეტი მოსისხლენი ჰყავდა და ამიტომ, რასაკვირველია, გზაზე ყველას დასანახავად ვერ ივლიდა. ფრთხილად მოძრაობდა და შეღამებას უცდიდა, რომ საქმეს შესდგომოდა. სწორედ ამ დროს, მას ჯოყოლა დერქიზის შვილი შემოხვდა, რომელსაც ჯიხვი მოენადირებინა და ჭიუხებიდან მის ჩამოსატანად დამხმარეს ეძებდა. ხევსურმა მას, ცხადია, უარი არ უთხრა და ნანადირევი ჯარეგაში წააღებინა. სოფელი იმ დროს შამილის ნაიბს ემორჩილებოდა, თუმცაღა ადგილობრივი მცხოვრებნი არცთუ დიდი ხალისით ასრულებდნენ კავკასიის იმამის მითითებებს. შამილის მომხრე ჯოყოლაც არ იყო, მაგრამ ცდილობდა, ნაიბთან და მიურიდებთან (ასე ეძახდნენ იმ დროს შამილის მომხრეებს) ურთიერთობა არ გამწვავებოდა. ხევსურსა და ჯოყოლას გზაზე დაუღამდათ და ამიტომ, ქისტმა სტუმარი აღარსად გაუშვა — ღამე ჩემთან გაათენე და ხვალ დილით წადიო, შესთავაზა. ხევსურმა შემოთავაზება ისე მიიღო, რომ არც კი უეჭვია, თუკი მისი მასპინძელი იმ ქისტის ძმა იყო, რომელიც წინა წელს შატილთან ახლოს, ალაქოს ხევში შემოაკვდა. ჯოყოლამ კი ხევსური სტუმარი სახეზე ვერ იცნო.

ჯოყოლას სახლში მისული ხევსური შამილის მიურიდებმა შორიდანვე შენიშნეს და ბუნებრივია, გადაწყვიტეს, მისი ვინაობა დაედგინათ. ისინიც მაშინვე ეწვივნენ



გუროელი ხევსურები, 1893 წლის ფოტო

ჯოყოლას, თუმცა არაფერი უთქვამთ — სტუმართან ერთად მოილხინეს და უკანვე გამობრუნდნენ. მეორე დღეს, დილით ადრე, როცა ჯოყოლამ სტუმარი სოფლიდან გააცილა და ის-ის იყო, სახლისკენ მშვიდად გამოემართა, გასროლის ხმა გაისმა. მთის წესების თანახმად, მონადირემ გზაზე, ნადირი რომც გადმოუხტეს, არ უნდა ისროლოს. ამიტომ, ჯოყოლამ უცებ იაზრა, რომ მის სტუმარს ვიღაცა თავს დაესხა და სწრაფადვე იქითკენ გაიქცა, საიდანაც გასროლა მოესმა. ადგილზე მისული დარწმუნდა, რომ არ შემცდარიყო — ხევსურს სამი მიურიდი ესროდა. ჯოყოლამ მყისვე იძრო დამბაჩა და მიურიდებს სროლა აუტეხა. მან ორი თავდამსხმელის მოკვლა მოახერხა, მესამემ კი რამდენიმე გასროლით ისიც და ხევსურიც დაჭრა. ჯოყოლა რომ უგრძნობლად ძირს დაეცა, ხევსურმა და მესამე მიურიდმა უკვე ერთმანეთს ესროლეს. მიურიდი იქვე მოკვდა, ხევსური კი მძიმედ დაიჭრა ყელში. მხოლოდ ამის შემდეგ მოირბინეს ჯარეგელებმაც და ხელში შერჩათ ორი მძიმედ დაჭრილი და სამი დახოცილი კაცი.

აქედან გამომდინარე, ქისტებმა მიიჩნიეს, რომ ხევსური ჯოყოლასა და მიურიდებს დაესხა თავს, დიდი ზიანი მიაყენა მათ, თუმცა თავადაც ტყვიას ვერ გადაურჩა. მძიმედ დაჭრილ ხევსურს ლაპარაკი აღარ შეეძლო, ჯოყოლაც ისე მძიმედ იყო, რომ ვერაფერს დაადასტურებდა ან უარყოფდა, ამიტომაც დაჭრილი ხევსური, მიურიდების ბრძანების თანახმად, სასაფლაოზე წაიყვანეს, რათა ერთ-ერთი თავიანთი მკვდრისთვის, როგორც წესი, მსხვერპლად შეეწირათ. მიურიდებმა სასაფლაოზე მთელი სოფელი მორეკეს და ყველას აყურებინეს, როგორ კლავდნენ მძიმედ დაჭრილ მტერს. ბევრ ჯარეგელს ეს არ ესიამოვნა, რადგანაც დაჭრილი ხევსური სახეზე იცნეს და ისედაც ხომ იცოდნენ, რომ მისიანები სისხლს არავის შეარჩენდნენ; შამილის მიურიდების წინააღმდეგ წასვლა კი მაინც ვერავინ გაბედა.

ხევსური, მიურიდების ბრძანების თანახმად, სასაფლაოზე წაიყვანეს, რათა ერთ-ერთი თავიანთი მკვდრისთვის მსხვერპლად შეეწირათ

ამასობაში, ცხადია, ხევსურეთში — გუროს საზოგადოებაში, საიდანაც ის ხევსური კაი ყმა იყო, ამბავი მივიდა: ჯარეგელებმა გუროელი დაიჭირეს და თავიანთ მკვდარს შესწირესო. მოკლულ კაი ყმას ახალმოწიფული ვაჟიშვილი ჰყავდა, სახელად ბათირა; ის ვალდებული იყო სისხლი აეღო და, რაღა თქმა უნდა, სასწრაფოდ დაიწყო ამ საქმის თაობაზე ინფორმაციის შეგროვება ანუ როგორც ხევსურები ამბობენ ხოლმე — მიყოლა. ბათირამ მალე შეიტყო, რომ მკვლელობა მამამისის ძველ მოსისხლეს, დერქიზის შვილ ჯოყოლას ედებოდა ბრალად, ის კი ჯერ ისევ შეუძლოდ იყო. ამიტომაც, ბათირას უნდა მოეცადა. ახალგაზრდა ხევსურმა მაინც ვერ მოითმინა, თავს დაესხა ჯარეგოს და ორი იქაური მცხოვრები ტყვედ წამოიყვანა; თან კი მათ ახლობლებს შეუთვალა: „დერქიზის შვილ ჯოყოლას მოსთხოვეთ პასუხი, ეს ტყვეები მისგან მოკლული მამაჩემის სულის საოხად წამოვასხი!“ ბათირამ ორივე ჯარეგელი ხაროში ჩაამწყვდია და მტრის საბოლოო გამოჯანმრთელებას დაუწყო ლოდინი.

ჯოყოლა რომ გამოჯანმრთელდა და თავს გადამხდარი ამბებიც შეიტყო (ოჯახის წევრებს მანამდე არაფერი უთქვამთ), ცხადია, დიდად შეწუხდა და სასწრაფოდ ჩავიდა გუროში, ბათირასთან. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ჯოყოლა განგებ წავიდა მარტო, რადგანაც მიურიდების ყურადღების მიპყრობა არ სურდა. ცხადია, გუროში პირდაპირ არ მისულა — ჯერ თავის ძველ ძმადნაფიცს, მუცოელ ხევსურ მგელიკა დაიაურს მიაკითხა, ყველაფერი დეტალურად აუხსნა და მერე სთხოვა, ბათირასთან მიმყევიო. მგელიკამაც იკისრა შუაკაცობა და ჯოყოლა გუროში ჩაიყვანა.

„მე მამაშენი არ მომიკლავს... მისი მკვლელები არც ჩვენ გვეხატება გულზე. გაუშვი ტყვეები და მამაშენის სისხლი სხვებს მოჰკითხე!“ — უთხრა შეხვედრისას ბათირას ჯოყოლამ, თან ყველაფერს დაწვრილებით მოუყვა. ახალგაზრდა ხევსურს თავიდან არ სჯეროდა, მაგრამ მერე შეფიქრიანდა; როცა ჯოყოლამ დასარწმუნებლად ფიციც წარმოთქვა, ბათირამ ორჭოფულად უთხრა: „თუკი ტყვეებს ასე უცებ გავათავისუფლებ, მათ ნათესავებს არ გაუკვირდებათ — უშუაკაცოდ რატომ გამოუშვაო?!“ თუმცა, ჯოყოლამ დაარწმუნა, რომ ტყვეები უნდა გაეშვა.

მეორე დღესვე, ბათირამ მართლაც გაუშვა ორივე ჯარეგელი, თანაც თითო ხარიც გაატანა და ასე დააბარა: „არ გეგონოთ, სისხლის ძიებაზე უარი ვთქვი. ახლა

უკვე ვიცი, ვისგან უნდა ავიღო სისხლი, ამიტომაც ფრთხილად იყავით!“ ჯარეგელებმა მშობლიურ სოფელში მშვიდობიანად ჩააღწიეს და დანაბარებიც გადასცეს მიურიდებს. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ იმხანად შამილის მომხრეები ჯარეგაში თავს უსაფრთხოდ უკვე ვეღარ გრძნობდნენ — ბარის ჩეჩნეთში შამილს ერთ-ერთი ნაიბი, აჰმად-ჰაჯი ავთურელი ასჯანყებოდა და, მთის სოფლებშიც საკმაო მხარდამჭერები გაეჩინა. ჯოყოლა და მისი საგვარეულოც აჰმად-ჰაჯი ავთურელის მომხრეებად ითვლებოდნენ და მიურიდებს უკვე აშკარადაც კი მტრობდნენ; ამგვარ ფონზე, ხევსურების მუქარამ შამილის მომხრეები გვარიანად შეაშფოთა.

აღსანიშნავია ისიც, რომ აჰმად-ჰაჯი ავთურელისა და შამილის უთანხმოების ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი ჩეჩნებსა და ხუნძებს (დაღესტნელებს) შორის ოდითგანვე არსებული დაპირისპირებიდან გამომდინარეობდა — აჰმად-ჰაჯი უკმაყოფილო იყო იმით, რომ შამილი ჩეჩენი არ იყო და ჩეჩნებისაგან კი უსიტყვო მორჩილებას მოითხოვდა. მას თავიდან მომხრეები არ ჰყავდა, მაგრამ თანდათან მისი იდეები ყველამ აიტაცა. სხვათა შორის, აჰმად-ჰაჯი ავთურელის გადაბირება რუსებმაც კი სცადეს, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ — „მე შამილს იმიტომ ვებრძვი, რომ მონობა არ მსურს... ტილიანი ლეკის ნება-სურვილს დავემორჩილები თუ ლოთი რუსისას, რა მნიშვნელობა აქვს?“ — გადასცა მათ წარგზავნილებს აჰმად-ჰაჯიმ.

შამილის მიურიდების წინააღმდეგ ლაშქრობის მოსურნე გუროელებიც, სწორედ ამ ჩეჩენ ნაიბს დაუკავშირდნენ — ჩეჩნურის კარგად მცოდნე გუროელი მგელიკა გოგოჭური რამდენიმე კაი ყმასთან ერთად საგანგებოდ ჩავიდა ბარის ჩეჩნეთის სოფელ ავთურიეში, სადაც აჰმად-ჰაჯი ცხოვრობდა და, ჯარეგაზე ერთობლივი ძალებით გალაშქრება შესთავაზა: „შენაც წამაედ ჯარეგოს,/ ერთად დავძახოთ ზარიო,/ იმ მამაძაღლებს წუნტებსა/ ქავის ვუმტვრიოთ კარიო!“ — ასეა გადმოცემული მგელიკა გოგოჭურის მიერ ნათქვამი სიტყვები ერთ-ერთ ხევსურულ ლექსში.

აჰმად-ჰაჯი ავთურელი ხევსურებს დაჰპირდა, რომ ჯარეგაზე ბარიდან თავადაც გამოილაშქრებდა. დაიმედებული მგელიკა თანმხლებ სოფლელებთან ერთად გუროში გამობრუნდა და ბათირას ჩეჩენი ნაიბის გადაწყვეტილება ამცნო. ხევსურებმაც, ცხადია, ითათბირეს და ლაშქრობის დღე დათქვეს, თუმცა მოგვიანებით, იძულებული გახდნენ, ჯარეგაზე ერთი დღით ადრე გაელაშქრათ — მზირებმა ამბავი მოიტანეს, ალაქოს ხევში (ჩეჩნეთ-საქართველოს საზღვარზე) შეიარაღებული ჩეჩნები შევნიშნეთო. ცხადი გახდა, რომ შამილის მიურიდები გუროელებს ელოდნენ და ამის გამო, ხევსურებმაც უცებ გადაწყვიტეს, ყველაფერი მოულოდნელად დაეწყოთ: „მთავარია, როგორმე ერთი დღე დავაღამოთ და, მერე ბარიდან აჰმად-ჰაჯის ხალხიც ამოგვისწრებს!“ — ამბობდნენ ისინი.

ამდენად, ლაშქრობა მართლაც დაიწყო — გუროელები ჯერ მიღმახევში ჩავიდნენ, იქიდან ჩეჩნეთის მაისტის თემში გადავიდნენ, მერე მდინარე არღუნი გადალახეს და, სოფელ ჯარეგოს სამხრეთ-აღმოსავლეთიდან შეუტიეს. მიურიდებს მზირები შატილის მხარეს (სამხრეთ-დასავლეთით) ეყენათ და, გუროელებმაც ერთი შეტევით უპირატესობის მოპოვება შეძლეს. აღსანიშნავია, რომ ვაჟა „სტუმარ-მასპინძელში“ საკმაოდ ზუსტად აღწერს ხევსური მოლაშქრეების შეტევის მიმართულებას — კერძოდ, ახსენებს „ჯარეგის თავს სამ გორს“, რომელიც სოფლიდან სამხრეთ-აღმოსავლეთითაა. იქვეა სასაფლაოც, სადაც მსხვერპლად შეწირული ხევსურის ძვლები ეყარა. გუროელებმა პირველად სწორედ ეს ადგილები დაიკავეს და ქვემოთ, ტაფობზე გამაგრებულ მიურიდებს სროლა აუტეხეს.

საინტერესოა, რომ ერთ-ერთი ჩეჩნური გადმოცემის მიხედვით, ამ დროს ჯოყოლამ ნათესავები შემოიკრიბა და მიურიდებს ზურგიდან შეუტია. რამდენადაც ხევსურების ლაშქრობას ელოდნენ, მიურიდები მომზადებულნი იყვნენ და ჯოყოლამ ვეღარაფერი მოახერხა — ხელჩართულ ბრძოლაში მძიმედ დაიჭრა; თუმცა, გამარჯვება საბოლოოდ მაინც ხევსურებს დარჩათ, რადგან მათ მტერს თვითნაკეთი ბომბები დაუშინეს და კარგა ბლომად გაწყვიტეს ხალხი. მიურიდებმა სოფელი დატოვეს და მდინარე არღუნს დაღმა, შატოისკენ დაუყვნენ. აღსანიშნავია ისიც, რომ ბრძოლის შედეგად ჯარეგელ მამაკაცთა დიდი ნაწილი განადგურდა — როცა დაინახეს, რომ ხევსურებს ვეღარას დააკლებდნენ, მიურიდები უკმაყოფილო ჯარეგელებს შემოუბრუნდნენ და ცეცხლი გაუხსნეს. აჰმად-ჰაჯი ავთურელს რაც შეეხება, ის მეორე დღეს, საკუთარ ლაშქართან ერთად მართლაც ჩამოვიდა ჯარეგაში, მაგრამ იქ საქმე მოგვარებული დახვდა.

ნასოფლარი ჯარეგა ამჟამად

აი, ეს ამბები აღწერა ვაჟა-ფშაველამ „სტუმარ-მასპინძელში“. სხვათა შორის, როცა მან პოემა გამოაქვეყნა, ჯოყოლა დერქიზის შვილი ისევ ცოცხალი იყო — ღრმად მოხუცი ქისტი პანკისის ხეობაში ცხოვრობდა და როგორც ქისტები ირწმუნებიან, ვაჟა-ფშაველას ყველაფერი თავადვე უამბო. ■

რუბრიკას უძღვება ექიმი ნინო ჩარგეიშვილი

ვპასუხობთ მკითხველთა შეკითხვებს

ვაგრძელებთ რედაქციაში შემოსულ შეკითხვებზე პასუხს. შეგახსენებთ, რომ ვხელმძღვანელობთ თამარ მამაცაშვილის წიგნით — „შეკითხვა ექიმს“, სადაც საზოგადოებისთვის აქტუალურ, სამედიცინო საკითხებზე საკმაოდ მნიშვნელოვანი ინფორმაციაა თავმოყრილი. ამ წიგნის ყიდვა შესაძლებელია წიგნის მაღაზიებში.

— ჩემს 8 წლის შვილიშვილს საწოლ ოთახში დაძინებისთანავე ეწყება ხველა. ოთახში გვაქვს ყვავილები. შეიძლება თუ არა, ხველა იყოს ალერგიული და დასაშვებია თუ არა საწოლ ოთახში ყვავილების გაშენება?

— თუ ბავშვს ხველა მხოლოდ საწოლ ოთახში ეწყება და ასეთი რამ დიდი ხნის განმავლობაში გრძელდება, სავარაუდოა, რომ ხველა ალერგიული ხასიათისაა. გამორიცხული არ არის, რომ ალერგენს მართლაც ყვავილის მტვერი წარმოადგენდეს. თუმცა, ასეთივე რეაქცია შეიძლება გამოიწვიოს ოთახის მტვერმა, მატყლის ლოგინმა... გირჩევთ, პატარა დროებით სხვა ოთახში დააძინოთ და თუ ხველა შეუწყდება, მაშინ მისი საძინებლიდან ყველა შესაძლო ალერგენი უნდა გაიტანოთ: ყვავილები, ხალიჩები, მატყლის ლოგინი. ყვავილები ერთი მხრივ, წმენდს და ჟანგბადით ამდიდრებს ჰაერს, მაგრამ მეორე მხრივ, თუ ადამიანი ალერგიულია, შესაძლოა მისი დაავადების გამწვავების მაპროვოცირებელ ფაქტორად იქცეს. ■

— ორსულობის შემდეგ ფეხებზე გამიჩნდა ვენები. ამჟამად მაწუხებს არა მხოლოდ კოსმეტიკური დეფექტი, არამედ ისიც, რომ საღამოობით ფეხები მელლება. როგორ დავაღწიო თავი ამ დაავადებას?

— ფეხებზე ვენები სამი სახისაა: ღრმა, რომლებიც კუნთებშია დამალული; პერიფერიული, რომლებიც კანქვეშ მდებარეობს და მათი დამაკავშირებელი კომუნიკანტები. გულისკენ სისხლის წაღების მთავარ სამუშაოს ღრმა ვენები ასრულებს. მათ აქვს სარქვლები, რომლებიც სისხლის უკან გამოდინებას ეწინააღმდეგებიან. თუ სარქვლები მოდუნდება, მაშინ სისხლი ჭარბად მიდის ზედაპირულ ვენებში, ზედმეტი დატვირთვა კი მათ გაფართოებას იწვევს, რაც ფეხებს ამახინჯებს. დაავადების საწყის სტადიაზე შედეგიანია კომპრესული ფლებოსკლეროზირება: კაპილარულ სისხლძარღვებში ან გაფართოებულ კანქვეშა ვენაში წვრილი ნემსით შეჰყავთ სპეციალური პრეპარატი, რომელიც თითქოს აწებებს მას. მკურნალობის აუცილებელი პირობაა ფეხების ელასტიკური დოლბანდით შეხვევა. თუ დაავადებას უყურადღებოდ დატოვებთ, მისი გართულების შემთხვევაში მკურნალობის ერთადერთი მეთოდი ოპერაციაა. ■

— მამაკაცის უშვილობის მთავარი მიზეზი რა არის და როგორ ვლინდება? გთხოვთ, მიპასუხოთ — ეს ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

— როდესაც მოწიფული მამაკაცის ორგანიზმს არ აქვს განაყოფიერების უნარი (შესაძლოა, სქესობრივი აქტის ჩატარება შეეძლოს), ეს უშვილობაა. განასხვავებენ სეკრეტორულ და ექსკრეტორულ მამაკაცურ უშვილობას. პირველი სპერმატოზოიდების გამომუშავების დარღვევის შედეგია, რასაც სათესლე ჯირკვლებისა და დანამატების დაავადებების, ნივთიერებათა ცვლისა და ენდოკრინული დარღვევების დროს აქვს ადგილი. ექსკრეტორული უშვილობისას მოშლილია სპერმის გამოყოფის პროცესი, რასაც შეიძლება გამომტანი სადინარების ანთება, ტრავმა ან განვითარების ანომალია, აგრეთვე ეაკულაციის პროცესის დარღვევა იწვევდეს. განაყოფიერება დამოკიდებულია სპერმის თვისებებზე, პირველ რიგში კი სპერმატოზოიდების ძვრადობაზე. ამიტომ, მამაკაცის უშვილობის მიზეზების კვლევისას უპირველესად სპერმის განაყოფიერების უნარიანობა უნდა განისაზღვროს. საშარდე გზების ინფექცია ყველაზე ხშირი მიზეზია იმ დაავადებებისა, რომლებიც სპერმის განაყოფიერების უნარს აქვეითებენ. დაგვიანებული და არასწორი მკურნალობა ხშირად უშვილობას იწვევს. სპერმის პათოლოგიური ცვლილებები სხვადასხვა სახის მაინიზებელი გამოსხივებისა და ტემპერატურული ზემოქმედების (სხეულის გადახურების) დროს ვითარდება. ტემპერატურულ ზემოქმედებას განიცდიან მაგალითად, მცხობელები, ფოლადის მდნობელები. მამაკაცთა უშვილობის ერთ-ერთი ხშირი მიზეზია ვარიკოცელე (სათესლე ბაგირაკის ვენების გაგანიერება), რომელიც უშვილო მამაკაცთა 40%-ს აღენიშნება. ■

— ჩემს პატარას აქვს დიათეზი. რით განსხვავდება დიათეზი ალერგიისგან?

— ალერგია დაავადებაა, ხოლო დიათეზი — მემკვიდრულად განპირობებული, კონსტიტუციური თავისებურება, რაც რაიმე გამაღიზიანებელზე ორგანიზმის მომატებული რეაქციით მჟღავნდება მხოლოდ ბავშვთა ასაკში. თუმცა, ალერგია და დიათეზი გარეგნულად ძალიან ჰგავს ერთმანეთს. დიათეზიან ბავშვებს ყოველთვის უტარდებათ ალერგიის განვითარებისგან დამცავი, პროფილაქტიკური ღონისძიებები. პირველ რიგში ეს კვებას შეეხება. თუ კვების რეჟიმი არასწორადაა შერჩეული, ბავშვი შეიძლება დაავადდეს ნებისმიერი ავადმყოფობით, მათ შორის — ალერგიითაც. ■

— როგორ უნდა მოუაროს ორსულმა ძუძუს კერტებს, რათა არ გაუჩნდეს ნახეთქები? თუ გაჩნდა, როგორ უნდა იმკურნალოს? როგორ ავიცილოთ თავიდან მასტიტი?

— მომავალმა დედამ ძუძუს კერტებზე ჯერ კიდევ მშობიარობამდე უნდა იზრუნოს, რომ შემდეგში ნახეთქები არ განუვითარდეს. ქალმა პერიოდულად უნდა იკეთოს მასაჟი მშრალი პირსახოცის ნაჭრით, ასევე უნდა დაიმუშაოს ხელით, რათა ძუძუსთავები კარგად ჩამოყალიბდეს. ეს პროცედურები ფრთხილად უნდა ჩაატაროს, რომ სარძევე ჯირკვალი არ დაიჟეჟოს. მშობიარობის შემდეგ მნიშვნელოვანია ძუძუს წოვების ტექნიკის ცოდნა, განსაკუთრებით — პირველ დღეებში, როცა ნახეთქების გაჩენის ალბათობა ყველაზე დიდია. დედამ უნდა იცოდეს, რომ ახალშობილი წოვისას მხოლოდ დვრილზე კი არა, მის ირგვლივ არეალზეც უნდა მოეკიდოს — ეს აუმჯობესებს რძის უკეთ გამოტანას სარძევე სადინარებიდან და ამცირებს დვრილების ტრავმირების რისკს. თუ ნახეთქი მაინც გაჩნდა, მისი მკურნალობა გულისხმობს დამზოგავ რეჟიმს (ერთი კვება შეიძლება დაზიანებული ძუძუთი არ აჭამოთ) და ანთების საწინააღმდეგო და ქსოვილთა რეგენერაციის თვისების მქონე მალამოს გამოყენებას. გახსოვდეთ, ხანგრძლივად დვრილის დაზოგვა სარძევე ჯირკვალში რძის შეგუბებას გამოიწვევს და ეს შესაძლოა მასტიტის განვითარების მიზეზიც გახდეს. კერტები ყოველი კვების შემდეგ უნდა დაიმუშაოთ სოდიანი წყალხსნარით ან სპირტისა და წყლის ნარევით — კვების შემდეგ დვრილზე დარჩენილი რძე კარგი ნიადაგია ბაქტერიების გასამრავლებლად. ეს ბავშვისთვისაც საზიანოა და მიკროტრავმირების დროს ნახეთქის გაჩენასაც უწყობს ხელს. რაც შეეხება მასტიტს, მისი განვითარების თავიდან ასაცილებლად მეტად მნიშვნელოვანია მეძუძურობის პერიოდის პირველი დღეები — კარგად უნდა გაიხსნას ყველა სადინარი, შეგუბებების განვითარების შემთხვევაში საჭიროა მსუბუქი მასაჟი რძის გამოსატანად (რომელსაც სპეციალისტი ჩაგიტარებთ). დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე წოვის რეგულარობას. მეძუძური დედა ლოგინობის პერიოდში განსაკუთრებულად უნდა გაუფრთხილდეს თავს, რათა არ გაცივდეს. ■

თემატური წიგნები

ჟურნალ „ოჯახის მკურნალთან“ ერთად

წიგნი №9

6 ოქტომბრიდან

სერიის მომდევნო თემები:

№10 ყველაფერი ალიმაქსის შესახებ

№11 ყველაფერი თავის ტკივილის შესახებ

უკვე გამოსული წიგნები შეგიძლიათ შეიძინოთ წიგნის მაღაზიებში!

P.S. პატივცემულო მკითხველებო, მოგვწერეთ, თუ რომელი დაავადების შესახებ გსურთ ინფორმაციის მიღება. რასაკვირველია, ჩვენი ჟურნალის ფურცლებიდან სრული განკურნების მიღწევა შეუძლებელია, მაგრამ იმის გაგებას, თუ რა შეიძლება იყოს თქვენი ჩივილების მიზეზი და ვის უნდა მიმართოთ, ნამდვილად შეძლებთ. რუბრიკის ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე: 5(99) 30.35.97 ან ელფოსტაზე: nino.char@yahoo.com.

ბიბლუსი

ბიბლუსი — იგივეა, რაც პაპირუსი, გრაგნილი, წიგნი

წვეთი პოეზია

მერე...

მერე ყველაფერი ნელდება...
მერე ყველაფერი ძნელდება...
თითქმის ყველაფერი მკრთალდება, –
ღვინო თავისთავად წყალდება.
ვნება მდუმარებით დუნდება,
გზნება მცხუნვარებით ხუნდება.
მერე სინანული ვლინდება,
მერე ყველაფერი გწყინდება, –
ქრება, იფერფლება ღადარი...
მერე არაფერი არ არი.

მორის ფოცხიშვილი

სახსოვარი

გურამ დოჩანაშვილი

◆ ნამდვილ ჯამბაზს თვალებში ყინული და წებო კი არა, ნაღვლიანი საიდუმლო უნდა ჰქონდეს...

◆ დედამიწას სიყვარული ატრიალებს.

◆ დაწოლისას, დაძინებამდე არის ერთი, რაღაც პატარა, გარდამავალი წამი, როცა საკუთარი თავი ყველამ ვიცით.

◆ სიკვდილი რომ არ იყოს, არ დაგვჭირდებოდა არც ბრძოლა და ერთმანეთის ულეტა, მაგრამ არც მოსავლისთვის მიწის დაბარვა დაგვჭირდებოდა, არც ოსტატური სიტყვა-პასუხი, არც ვისიმე შიში გვექნებოდა და არც კეთილები ვიქნებოდით, არც ბედნიერნი და არც უბედურნი... აღარაფერი არ ვიქნებოდით, ვიღა გაგვარჩევდა, სიკვდილი რომ არ იყო... მთელი ის ჩვენი უსასრულო სიცოცხლე აღარაფერი იქნებოდა, ახლა კი, ახლა სიკვდილი რომ არის, სიცოცხლე — სიცოცხლეა!

ქართულ სიტყვათა კონა

შედგენილია
არნოლდ ჩიქობავას რედაქტორობით
1982 წელს გამოცემული
ქართული ენის
განმარტებითი ლექსიკონის
ერთტომეულის მიხედვით

შემდგენელი თემურ ივანიძე

მ

დასაწყისი იხ. „გზა“,
№2-52, 2010 — №1-38, 2011

მახოხი — ქატოსაგან შემზადებული, ქინძითა და ნივრით შეკაზმული მუავე შეჭამანდი.

მახრა — იგივეა, რაც ბოსტანა (ბოსტნეულის მავნებელი მწერი).

მახტა (ძვ.) — წლიური სახელმწიფო ფულადი გადასახადი კომლზე.

მაჯამა — ლექსი, რომელიც გარითმულია ომონიმებით.

მაჯლაჯუნა (საუბ.) — 1. შემაძრწუნებელი სიზმარი — უუმური; 2. უმსგავსი, უშნო, საზიზღარი.

მგელკაცი — 1. აფთარი; 2. მხეცი ადამიანი.

მგზავრული — ქართული ხალხური სიმღერა.

მდადი, მდადე (ძვ.) — პატარძლის მაყარი ქალი.

მდგნალი — დაბალი ხე ან ბუჩქი ტირიფის გვარისა.

მდოგვი — ერთწლოვანი მცენარე ჯვაროსანთა ოჯახისა; აქვს ყვითელი ყვავილები და ცხიმით მდიდარი ცხარე თესლი.

მეანობა — სამედიცინო დარგი — საექიმო დახმარება ორსულობისა და მშობიარობის დროს.

მებაირალე — მედროშე.

მეგრული — ქათმის ადგილობრივი ჯიში; მეტწილად პატარა და ჭრელი.

მედიატორი — 1. პატარა თხელი ფირფიტა ზოგიერთი სიმებიანი საკრავის (მაგ. მანდოლინის) დასაკრავად; 2. შუამავალი, მომრიგებელი.

მედღეური (ძვ.) — დღიური მუშა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ჩვენი ოჯიპ

ოტია იოსელიანი და მისი შემოქმედება ქართველმა მკითხველმა დიდი ხანია, შეიყვარა. ბევრს მისი ნაწარმოებების დიდი ნაწილი წაკითხულიც აქვს და „ჩვენი რჩეულის“ ტომეულები მათ გმირებთან შეხვედრის სიხარულს მეორედ განაცდევინებს_ „გზის“ ამ ნომერთან ერთად გამოსულ მესამე ტომში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი რომანი — „ქალი გამოვიდა საღალატოდ“ და რამდენიმე მოთხრობა მოვათავსეთ. ჟურნალის ფურცლებზე კი, წინსწრებით (რადგან მთლიანად მეექვსე ტომში იბეჭდება), ოტია იოსელიანის ავტობიოგრაფიული ციკლის — „ჩემი ასავალ-დასავალი“ ფრაგმენტებს შემოგთავაზებთ.



...შვიდი წლისა ვიყავი, რომ წყალტუბოს საშუალო სკოლაში დავიწყე სწავლა (დედაჩემი მაშინ იქ მსახურობდა, მაგრამ მალე თავი დაანება). მეორე კლასში ისევ სოფელში ვარ ბებიასთან. მესამე კლასში მამიდამ წაგვიყვანა მე და ჩემი ძმა, გვიშტიბის მეზობლად, სოფელ გუბისწყალზე. მამიდა ძველი გიმნაზიადამთავრებული რუსული ენის მასწავლებელი იყო, ახლა პენსიონერია. იგი არასოდეს გვაკლებდა ყურადღებას, შვიდი კლასის დამთავრებამდე მასთან ვიყავით, მერეც მუდამ ჩვენზე მზრუნველი იყო და არის. მამიდა არ გათხოვილა.

დავამთავრე ოთხი კლასი, ზაფხულის არდადეგებზე გვიშტიბში ბებიასთან ვართ. შევეგუეთ უდედობას, მივეთვისეთ მამიდას, მწვანე კოინდრიან ეზოში ჭინჭის ბურთს ვაგორებთ. ბეკნარას მინდორზე ბებიას რქენია შავ ძროხას ვმწყემსავთ და რიკ-ტაფელას ვთამაშობთ, მაგრამ ახლა „ლემენცი“ გადაირია.

— თქვენი ბურთი და რიკ-ტაფელა არ ვიცი მე, მსოფლიო უნდა დავიპყროო.

— ე, კაცო, გვაცალე, ჩვენი გაჭირვება გვეყოფა-მეთქი, — შეეღმერთეთ.

— ა, პა, პა, პა, — ქვა ააგდო და თავი შეუშვირა.

რა ექნა იმ შავდღიანსაც, თავისი უბედურება არ აყენებდა. გაგვაგდებინა ხელიდან ბროწეულის წნელის რიკ-ტაფელა, წინდის ყელში ჩაჩურთული ძონძებით გატენილი ბურთი, მიგვაყენა და თავშესაფრები გვათხრევინა, დაგვასხა დამწვარზე მდუღარე.

ჩვენს წყალწაღებულ ბავშვობას კიდევ ომი უნდოდა?!

ომის დროს მუშა-მოსამსახურეებს რა გააჩნდათ, მათი ხელფასი ერთ ფუთ სიმინდსაც ვერ იყიდდა, მაგრამ მასწავლებლებს აძლევდნენ კოლმეურნეობისათვის გამოუყენებელი მიწის ნაკვეთის დამუშავების ნებას. ამ ყამირ, მწირ მიწას ვადექით მე და ჩემი ძმა და ყოველ ნაშუადღევს ვთოხნიდით, ვამტვრევდით ბელტებს, ვკვალავდით, მოსავალი კი უმნიშვნელო იყო, თითოთითო და ისიც კვიჟი ტარო.

ყოველ შაბათ-კვირას ჩემს სოფელში ვართ და იმ მამისეულ საკარმიდამო ნაკვეთს ვჩიჩქნით. შვიდი კლასის დამთავრების შემდეგ მთლიანად ბებიასთან გადმოვედით. საშუალო სკოლა მხოლოდ რაიონში იყო და ჩვენი სახლიდან ყოველ დილით ხუთი-ექვსი კილომეტრი უნდა გაგვევლო, რა თქმა უნდა, ფეხით.

სკოლაში თითქმის ყოველთვის ვაგვიანებდით. გაკვეთილების შემდეგ, შეშა და წყალი, ყანა და ბოსტანი, დასაკერებელი ფეხსაცმელი და მუხლზე გადაღლეტილი შარვალი, ფსკერგავარდნილი სათლი და სახლის ჩამომპალი ყავარი (ამას ყველაფერს ჩვენ ვაკეთებდით), მერე წიგნი და რვეული, მეტი დრო რომ აღარ რჩებოდა, მე რომ ჩემი ძმის პირდაღებულ წუღას ვაკერებდი, ან ნაჯახის ტარს ვაგებდი, იგი „ვეფხისტყაოსანს“ ხმამაღლა კითხულობდა და თერთმეტი კლასი თითქმის სულ მოსმენით შევისწავლე. მიუხედავად ასეთი მოუცლელობისა, თუ ხელთ რაიმე მხატვრული ლიტერატურა ჩაგვივარდებოდა, წაუკითხავს არ ვუშვებდით. გვიანობამდე რომ ლამპა აგვენთო, იმდენი ნავთი სად იყო, მაგრამ აქაც ვიპოვე საშველი: ძალიან პატარა შუშას, ოცდაათი გრამი რომ ჩაეტეოდა, ერთი ღერი ბამბის პატრუქი გავუკეთე და ჩემსა და გაშლილ წიგნს შორის ვდგამდი, რომ სინათლე არ გაფანტულიყო და ასოები გამერჩია. ამავე დროს, რომელ ქართველს არ დაუწერია ლექსი და მეც ვცოდავდი.

რა გელექსებოდაო, იკითხავთ, მაგრამ ქართველებს რომ ლექსი მარტო მაშინ შეექმნათ, როცა ისინი ბედნიერნი იყვნენ, ძალიან ღარიბი იქნებოდა ჩვენი შეუდარებელი ხალხური პოეზია.

...

ჰო, მართლა, ორიოდ სიტყვა მეგობრებზე და მასწავლებლებზე:

საშუალო სულ თორმეტმა დავამთავრეთ. ყველანი რაიონის სხვადასხვა სოფლებიდან ვიყავით. ზოგიერთებს მამები ომში დაეღუპათ, ყველას თავზე გადაიარა ძნელბედობამ, რომელიც ჩემსას ჰგავდა, და ჩვენ ისე კარგად გვესმოდა მეგობრობა, ერთმანეთს თვალში რომ ჩავვარდნოდით, ხელს არ ამოვისვამდით. ჩვენ ისე გულითადად გვიყვარდა თანაკლასელები, არც ერთ დედმამიშვილს ისე და-ძმა არ ეყვარება. არც მასწავლებლებზე მეთქმის აუგი. მე მათი ახლაც იმდენი რიდი და პატივისცემა მაქვს (განსაკუთრებით ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის ქეთევან ბალანჩივაძისა), მათთან შეხვედრისას ქუდს ახლაც ბალღივით მოვიშვლიპავ, პაპიროსს ვმალავ და, მართალია, ისინი ჩემზე მაღლები არ არიან, მაგრამ მაინც ქვევიდან შევყურებ.

არავინ იფიქროს, რომ ღმერთს მოძულებული ვყოლოდე. ძმა, ბებია, მამიდა, ბიძები, ნათესავები, მეგობრები და მასწავლებლები... ერთი სიტყვით, მე ცხოვრების ღრმა, საფუძვლიანი ცოდნის სკოლა დავამთავრე, მივიღე მართლა სიმწიფის ატესტატი, რომელსაც ბებიაჩემის ხელის მოწერა აკლია და, კაცმა რომ თქვას, მას ყველაზე პირველად და ყველაზე საპატიო ადგილას უნდა მოეწერა ხელი.

ეკზიუპერი ამბობს: „საიდან ვარ? — ჩემი ბავშვობიდან“. ჩემს მახსოვრობას იმდენი ნათელი და მდიდარი, მრავალმხრივი ცოცხალი ადამიანი და სახე შემორჩა, იმდენი კაცის ბედი და ფსიქოლოგიური რომანი მსდევს თან, თუ ამას დავუმატებთ სიყვარულსაც, რომელიც ისეთივე ჯოჯოხეთურ-ღვთიური, თაფლი და სამსალა იყო, როგორიც ჩემი ცხოვრება, მე რომ მწერლად გამოვდგებოდე — ათეული ტომი ვერ ამოწურავს. ■

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება
შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით
gza.fantazia@gmail.com

ვალეტი

დასაწყისი

რუსუდან ბერიძე

უკვე მესამე თვე იყო, რაც გამომძიებელი ირაკლი ჩავლეიშვილი ბიულეტენზე იმყოფებოდა, რადგან უენერგიოდ გრძნობდა თავს. საკუთარი საქმეების მოწესრიგებასაც ვეღარ ახერხებდა. ამიტომ, ქალაქიდან გასვლაც წესად ექცა, რადგანაც ეგონა, რომ ამით თავს დატეხილ უბედურებას გაექცეოდა, მაგრამ უცხო ქალაქის სასტუმროსა თუ თუნდაც, წლების წინ მიტოვებულ, მამაპაპისეულ სოფლის სახლში უფრო ცუდად და მიუსაფრად გრძნობდა თავს. ჰოდა, მოძალებული განცდების გამო, გაუთავებლად ალკოჰოლს ეძალებოდა.

გალოთებას აღარაფერი უკლდა, რომ მხსნელად ერთადერთი ქალიშვილი — თიკო მოევლინა. თიკო, იგივე თინათინი (ეს სახელი ჩავლეიშვილმა შვილს გარდაცვლილი დედის პატივსაცემად დაარქვა) გერმანიაში ფილოსოფიის შესასწავლად იყო გადახვეწილი. მაგრამ როცა არდადეგებზე ჩამოსული, მამის ჭუჭყიან და თავდაყირა დაყენებულ ბინაში მოხვდა, საკითხს სრულიად არაფილოსოფიურად მიუდგა — ჯერ თავად მამა გამოლანძღა, შემდეგ ყველანაირი სასმელი, რაც კი ბინაში მოიძია, უნიტაზში ჩაუძახა და სახლისა და მამის ცხოვრების დალაგებასაც ამის შემდეგ შეუდგა.

თიკო თბილისში მთელი თვე დარჩა და ჩავლეიშვილსაც, როგორც იქნა, ხმის გამცემი გაუჩნდა. მამა და შვილი ყოველ საღამოს ტელევიზორის წინ, საინტერესო ფილმის ერთად სანახავად სხდებოდნენ, თუმცა ეკრანის მაგივრად ერთმანეთს შეჰყურებდნენ და ზოგჯერ გათენებამდეც საუბრობდნენ. ერთი-ორჯერ, მამა-შვილს თიკოს დედა, ჩავლეიშვილის ყოფილი ცოლი — ელისოც (მას უკვე სხვა ოჯახი ჰქონდა) შეეხმინა და, შვილთან ერთად, ზრდილობის გულისთვის, ყოფილი ქმარიც მოიკითხა.

გერმანიაში გამგზავრების წინ, თიკო დარწმუნებული იყო, რომ მამა ალკოჰოლს აღარ მიუბრუნდებოდა, სხვა დანარჩენის წამალი კი დრო იყო...

ქალიშვილის გამგზავრების შემდეგ ჩავლეიშვილი კვლავ მარტო დარჩა და ისევ სმა რომ არ დაეწყო, ზღვაზე გაქცევა გადაწყვიტა. 21 წლის წინ, როცა თიკო რამდენიმე თვის იყო, ირაკლი ცოლ-შვილთან ერთად, ზღვაზე პირველად წავიდა და იქ გატარებული 2 კვირა მის ცხოვრებაში ბედნიერ მოსაგონრად დარჩა. ახალგაზრდა წყვილს ფული ცოტა ჰქონდა და გროშებად ნაქირავებ ფიცრულში უწევდა ცხოვრება; მაგრამ ერთმანეთისა და შვილის სიყვარულით ისე იყვნენ სავსეები, რომ თავი მაინც იმ ღერძად წარმოედგინათ, რომლის გარშემოც სამყარო ბრუნავდა.

ახლაც, მრავალი წლის შემდეგ, ჩავლეიშვილი იმ ფიცრულს, უფრო სწორად, იმ ადგილს მიადგა, სადაც ფიცრული ეგულებოდა, მაგრამ მის ადგილზე სამსართულიანი კერძო სასტუმრო დახვდა წამოჭიმული. ირაკლიმ სხვაგან წასვლა მაინც აღარ ისურვა და სასტუმროში ცალკე ნომერი აიღო.

ყოველ დილით ადრიანად იღვიძებდა, საუზმის შემდეგ სასტუმროდან გადიოდა და უკან ვახშმისთვის ბრუნდებოდა. ოქტომბერი უკვე ძალაში შედიოდა. წელიწადის ამ დროს კი ზღვაზე მარტოხელა ხანდაზმული ადამიანები ანდა ცნობისმოყვარე, თვალს გამორიდებული წყვილები თუ ჩადიოდნენ, რათა ხანმოკლე აკრძალული სიყვარულით, ყოველგვარი ზედმეტი ხმაურის გარეშე დამტკბარიყვნენ. ასე რომ, გამომძიებელს როგორც სასტუმროში, ისე ზღვის ნაპირზე სასურველი სიმშვიდე გარანტირებული ჰქონდა. ზღვაზე ჩასვლიდან 1 კვირის შემდეგ, ირაკლიმ უმცროს დას — ირინას, რომელიც ყოველთვის მისი მესაიდუმლე იყო, ერთმანეთის მიყოლებით რამდენიმე წერილი მისწერა. ცხადია, მასთან შეხმიანება მობილური ტელეფონითაც შეეძლო, მაგრამ ჯერ საკუთარ განცდებზე ხმამაღლა ლაპარაკის თავი არ ჰქონდა. წერილებში კი ყველაფერი დაწვრილებით გადმოულაგა. უამბო სირცხვილის, სიცარიელისა და დანაშაულის უმძიმეს განცდაზე, რომელიც იმ წუთიდან, რაც ადამიანი მოკლა, აღარ განელებია. ეს კი რამდენიმე თვის წინ, ზაფხულის ერთ მოღრუბლულ დღეს მოხდა. სამსახურიდან სწრაფი ნაბიჯით გამოსულ გამომძიებელს (მას დანაშაულის ადგილზე მიეჩქარებოდა) თვრამეტიოდე წლის ახალგაზრდა აედევნა, რომელსაც ზაფხულისთვის შეუფერებლად თბილად ეცვა, რითაც ჩავლეიშვილის ერთ-ერთი კოლეგის ყურადღება მიიქცია. ის იყო, ახალგაზრდამ საწვიმარი ქურთუკის უბისკენ წაიღო ხელი, რომ კოლეგამ იყვირა: „ირაკლი, ფრთხილად, მგონი, იარაღი აქვს!“

გამომძიებელი დღემდე ვერაფრით მიმხვდარიყო, ასე სწრაფად, თითქმის ინსტინქტის დონეზე როგორ მოახერხა კოლეგის სიტყვებზე რეაგირება და სანამ ახალგაზრდა იარაღს მოიმარჯვებდა, თავად მარტო იარაღის ამოღება და მისკენ შებრუნება კი არა, სროლაც მოასწრო. ახალგაზრდას ტყვია გულში მოხვდა და ადგილზე დალია სული. მოგვიანებით გაირკვა, რომ ის ორიოდე კვირის წინ, ერთ-ერთ საპყრობილეში საკმაოდ ბუნდოვან ვითარებაში გარდაცვლილი იმ პატიმრის შვილი იყო, ვისი საქმეც თავის დროზე ჩავლეიშვილმა გამოიძია და დამსახურებული სასჯელისგან თავის დაძვრენის საშუალება არაფრით მისცა. მამის სიკვდილი რომ გაიგო, ბიჭმა იარაღი იშოვა და მისი „მთავარი დამღუპველის“ ანუ გამომძიებლის მოკვლა გადაწყვიტა...

ჩავლეიშვილის მხრიდან ეს აშკარა თავდაცვა იყო, რასაც არაერთი მოწმე ჰყავდა, ამიტომაც არავის დასცდენია გასაკიცხი სიტყვა; ხოლო თავად მომხდარის შემდეგ ადგილს ვეღარ პოულობდა.

„ისეთი გრძნობა მაქვს, რომ სულის ნაწილი პროთეზით შემიცვალეს, — სწერდა ის დას, — და ეს პროთეზი ჯერ არაფრით მემორჩი-

ლება. ზოგჯერ, სასოწარკვეთის უმძიმეს წუთებში, ისიც კი მეჩვენება, რომ მისით სარგებლობას ვერასდროს შევძლებ. თუმცა იმედი ბოლომდე არ დამიკარგავს“.

ზღვის ნაპირზე საათობით ხეტიალისას ჩავლეიშვილი საკუთარ წარსულში გარკვევას და იმის გაგებასაც ჯიუტად ცდილობდა, უკან დასაბრუნებელი გზა ისე როგორ ეპოვა, რომ თუ ისევ გამომძიებლად არა, უბრალოდ ნორმალურ ადამიანად მაინც დარჩენილიყო... ერთ ჩვეულებრივ საღამოს კი მშვიდად დაასკვნა, რომ პოლიციაში დასაბრუნებელი გზა მოჭრილი ჰქონდა. ამიტომ თბილისში ჩასვლისთანავე ჯერ მკურნალ ექიმს, შემდეგ კი თავის შეფს — ანდრო მიროტაძეს უნდა დალაპარაკებოდა და შემდეგ ახალი სამუშაოს ძებნა დაეწყო.

იმავე საღამოს ირაკლი რესტორანში შევიდა და უმოწყალოდ გამოთვრა. სასტუმროში დაბრუნებული კი ლოგინზე გაუხდელად მიეგდო და მკვდარივით დაეძინა.

დილით სასტუმროს მეპატრონემ შეატყობინა, — გუშინ საღამოს ვიღაც მამაკაცი გკითხულობდა, რომელიც დღესაც მოვაო.

— ნამდვილად მე მკითხულობდა? — ჰკითხა ირაკლიმ. — ჩემი აქ ყოფნა ხომ არავინ იცის?!

— იმ კაცმა მგონი, თქვენ შესახებ ყველაფერი იცის.

— გვარი არ უთქვამს?

— არა.

— მით უარესი მისთვის. მეძებოს...

ჩავლეიშვილი ზღვის ნაპირს იმ დღესაც ჩვეულებრივად გაუყვა, მაგრამ ნაბახუსევზე თავს საზიზღრად გრძნობდა და თავშიც შესაფერისი აზრები მოსდიოდა. „მაინც როდემდე უნდა ვიხეტიალო ამ ნაპირზე? — ეკითხებოდა საკუთარ თავს. — ჩემი მომავალი ხომ უკვე გარკვეულია. უფრო სწორად კი ისაა გარკვეული, რომ მომავალი, პრაქტიკულად, აღარ მაქვს. ჰოდა, იქნებ უკვე დროა, გუდა-ნაბადი ავიკრა და აქაურობას გავეცალო?“ ამის გაფიქრება იყო და თვალი მოჰკრა მამაკაცს, რომელიც მისკენ სწრაფი ნაბიჯით მოემართებოდა.

ირაკლიმ მამაკაცი შორიდან ვერ იცნო, რადგან კეპი ეხურა, რომელიც სახის ნახევარს უფარავდა. ამასობაში მამაკაცი მიუახლოვდა და ჩავლეიშვილიც მიხვდა, რომ ის ადვოკატი გურამ ალადაშვილი იყო.

— ალბათ, გითხრეს, რომ გეძებდი, — ხელის ჩამორთმევისთანავე დაიწყო გურამმა. — ვიცი, რომ ახლა უხერხულია შენი შეწუხება, მაგრამ სხვა გზა არ მაქვს...

„როცა მე გამომძიებელი, ალადაშვილი კი ადვოკატი იყო (უფრო სწორად, ის ახლაც ადვოკატია), ჩვენ ყოველთვის მაგიდის სხვადასხვა მხარეს ვისხედით. მე დამნაშავეებს ვამხელდი, ის იცავდა. მიუხედავად ამისა, ერთმანეთთან კონფლიქტი მაინც არასდროს გვქონია, მაშინაც კი, როცა ცოლს ვეყრებოდი და გურამმა მისი ადვოკატობაც იკისრა. ის კი არა და, მგონი, სწორედ მაშინ დავმეგობრდით. ასე რომ, იმედია, ახლაც არაფერი გაართულებს ჩვენს ურთიერთობას“, — გაიფიქრა ირაკლიმ, თუმცა ხმამაღლა სულ სხვა რამ თქვა:

— შენთან ხომ მაინცაა მშვიდობა, ბიჭო?

— სამწუხაროდ — არა.

— მითხრეს, რომ ვიღაც მეძებდა, მაგრამ არ მეგონა, თუ შენ იქნებოდი. მაინც როგორ მიპოვე? — ამჯერად უკვე ცოტა შორიდან მოვლა ამჯობინა ჩავლეიშვილმა, რომელსაც სხვისი — თუნდაც ეს სხვა უწყინარი გურამ ალადაშვილი ყოფილიყო — პრობლემების გაზიარების თავი ნამდვილად არ ჰქონდა.

— კარგად მიცნობ და ალბათ, ისიც იცი, რომ რაღაც წვრილმანისთვის აქ არ ჩამოგაკითხავდი და სიმშვიდეს არ დაგირღვევდი, — თითქოს ფიქრს მიუხვდაო, ისე დაიწყო ალადაშვილმა, — შენი დახმარება მჭირდება... როგორც მეგობრის და როგორც პოლიციელის...

— როგორც მეგობარი, შენს სამსახურში მიგულე, მაგრამ როგორც პოლიციელი, ვეღარაფერში დაგეხმარები.

— ვიცი, რომ ბიულეტენზე ხარ.

— ბიულეტენზე კი არა, პოლიციიდან საერთოდ მოვდივარ.

ამ სიტყვების გამგონე გურამი ტყვიანაკრავივით შედგა:

— ეგ როგორ?

— სხვათა შორის, შენ პირველი ხარ, ვისაც ამას ვეუბნები, — განაგრძო ირაკლიმ. — მაგრამ მოდი, ისევ შენი ამბავი მომიყევი. მაინც რა შეგემთხვა?

— მე — ჯერ არაფერი. აი, მამაჩემი კი... — სათქმელი ვეღარ დაასრულა ალადაშვილმა.

— მამაშენს რა სჭირს?

— დაიღუპა...

— რას მეუბნები? — შეწუხდა ირაკლი. — როდის?

გურამის მამას, რომელიც ასევე ადვოკატი იყო, ირაკლი შორიდან იცნობდა. უფროსი ალადაშვილი მეწარმეების კონსულტაციით იყო დაკავებული და, ამიტომაც, სასამართლოში ერთმანეთს არასდროს შეხვედრიან. — რამდენიმე კვირის წინ კლიენტისგან მანქანით მოდიოდა და... — სათქმელი ისევ არ დაასრულა გურამმა.

— ძალიან ვწუხვარ, — თავი დანანებით გადააქნია ჩავლეიშვილმა, — მაინც რა მოხდა?

— სწორედ ამის გასარკვევად ჩამოვედი აქ...

— ვისთან, ჩემთან? — გაკვირვებით შეხედა ირაკლიმ ადვოკატს.

— აქ საკმაოდ გრილა, — მოიბუზა უცბად გურამი, — იქნებ სადმე მყუდრო ადგილას დავმსხდარიყავით და ისე გვესაუბრა...

ირაკლიმ, თანხმობის ნიშნად, მაშინვე თავი დაუქნია და ცოტა ხანში უკვე პატარა მყუდრო კაფეში ისხდნენ.

— საღამო ხანი იყო, — დაიწყო გურამმა, — მამაჩემი ერთ, თავის ყველაზე სერიოზულ კლიენტთან იყო

და შინ მანქანით ბრუნდებოდა... როგორც გამოძიება ამტკიცებს, გზაში სიჩქარეს გადააჭარბა, რის გამოც საჭე ვეღარ დაიმორჩილა და მანქანა ამიტომაც ამოტრიალდა...

— სამწუხაროდ, ასეთი რამ ხშირად ხდება, — ჩაურთო ირაკლიმ, — ერთი წამით მოადუნებს მძღოლი ყურადღებას და...

— ის საღამო ნისლიანი იყო... — თითქოს ჩავლეიშვილის სიტყვები სა-

ერთოდ არ გაუგონიაო, ისე განაგრძო ალადაშვილმა.

— მით უმეტეს...

— არა! — უცბად თავი გამეტებით გაიქნია გურამმა. — მამაჩემს სიჩქარისთვის ცხოვრებაში არ გადაუჭარბებია. ბავშვობაში ამის გამო მასზე ძალიან ვბრაზობდი ხოლმე, რადგან ყველა მანქანა ჩვენ გვისწრებდა. ახლა უცბად სიბერეში და, თანაც, ნისლიან ამინდში მოუნდა მანქანით ჯირითი?

— აბა, რა გითხრა? — ხელები გაშალა ირაკლიმ. — ეს გამომძიებელს უნდა ჰკითხო.

— სხვათა შორის, საქმეს შენი კოლეგა ღვინიაშვილი იძიებს.

— მართლა?.. — გაუკვირდა ირაკლის. — გაგმართლებია, გოგი ღვინიაშვილი კარგი გამომძიებელია და მისი ნდობა შეიძლება.

— ღვინიაშვილის პროფესიონალიზმში ეჭვი არც მე შემაქვს. ისიც ვიცი, რომ მამაჩემი გადაბრუნებულ მანქანაში ნახეს მკვდარი, მაგრამ არის რამდენიმე ისეთი მომენტიც, რაც მაფიქრებინებს, რომ იქ რაღაც სხვა მოხდა.

— მაინც რა?

— მარტო ავარია არა, კიდევ რაღაც სხვა.

— მაგალითად? — უხალისოდ ჩაეკითხა ალადაშვილს ირაკლი და, თან, თავისთვის გაიფიქრა: „მაინც რატომ არ უნდა ვუთხრა სიმართლე? — რომ ღვინიაშვილი კარგი გამომძიებელი კია, მაგრამ ზოგჯერ ძალიან დაუდევარია“.

— ყურადღებით წავიკითხე გამოძიების მასალები, — განაგრძო გურამმა, — შემთხვევის ადგილზეც რამდენჯერმე ვიყავი. გაკვეთის ოქმიც ვნახე და აი, ახლა შენთან ვარ...

— ჰო, მაგრამ მე რა შემიძლია? — მხრები აიჩეჩა ირაკლიმ. — როგორც ადვოკატს, ალბათ, შესანიშნავად გესმის, რომ ყველა გამოძიებაში არის ე.წ. „შავი ხვრელები“, რომელთა ამოვსებაც ვერაფრით ხერხდება. მამაშენი მანქანაში მარტო იყო და თუ სწორად გაგიგე, მისი დაღუპვის მოწმეები არ არსებობენ...

— დამიჯერე, იქ, იმ ადგილზე, რაღაც სხვა მოხდა... — ისევ გაიმეორა გურამმა.

— ამას ბოლომდე არც მე გამოვრიცხავ... — დაეთანხმა მას ჩავლეიშვილი. — მაგრამ მაინც ვერაფრით დაგეხმარები.

— თუნდაც მანქანის გასაღები ავიღოთ... — განაგრძო გურამმა. — იცი, რომ ის საკეტში კი არ იყო, იატაკზე ეგდო?

— ალბათ, ამასაც აქვს ახსნა.

— ბევრი სხვა მაგალითის მოყვანაც შემიძლია, — მაინც არ ცხრებოდა ადვოკატი, — დამიჯერე, მამაჩემი ავტოკატასტროფაში არ დაღუპულა, ის სხვა რაღაცამ, ან შეიძლება, სულაც ვიღაცამ მოკლა.

ჩავლეიშვილი წამით ჩაფიქრდა.

— იქნებ თავი მოიკლა? — ჰკითხა მან შემდეგ ალადაშვილს.

— ამაზე მეც ვიფიქრე, მაგრამ მალე უარვყავი, რადგან მამა მორწმუნე იყო და თავს არაფრით მოიკლავდა.

— მესმის, მაგრამ ამქვეყნად ხომ მაინც ყველაფერი ხდება.

— თანაც, — ირაკლის შენიშვნისთვის ყურადღება აღარ მიუქცევია, ისე განაგრძო ადვოკატმა, — არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი, რის გამოც ავარიის ვერსიას ვერ მივიღებ.

— მაინც რა მიზეზია? — დაინტრიგდა ჩავლეიშვილი.

— მამაჩემი ყოველთვის გულღია და მხიარული ადამიანი იყო. ბოლო დროს კი ვეღარ იცნობდი. დღეები ისე გადიოდა, რომ არათუ მხიარულს, გაღიმებულსაც ვეღარ ნახავდი...

— ჰო, მაგრამ ცოცხალი ადამიანი ხომ ხან იცინის და ხან — რაღაცაზე წუხს. იქნებ უფრო კონკრეტულად ამიხსნა, რა დაემართა?

— კონკრეტულად არაფერი ვიცი, — თავი დანანებით გადააქნია გურამმა, — უბრალოდ, ვგრძნობდი, რომ რაღაც აშფოთებდა და, თან, ამას ძალიან გულმოდგინედ მალავდა, მაგრამ მე რას გამომაპარებდა.

— ამ თემაზე მასთან არ გილაპარაკია?

— ვერ მოვასწარი.

— კიდევ ერთხელ ვწუხვარ... როგორც მეგობარი, ყოველთვის ყურადღებით მოგისმენ და მხარშიც ამოგიდგები, მაგრამ როგორც გამომძიებელი, აღარ ვარსებობ და როგორ დაგეხმარო?!. ცუდია, რომ ამხელა გზა ტყუილად გამოიარე.

— ეგ არაფერი... — ხელი მოწყვეტით ჩაიქნია ალადაშვილმა. — რაც მამა დამეღუპა, დაღლას ვეღარ ვგრძნობ.

— აი, მე კი სულ დაღლილი ვარ, — ამოიოხრა ირაკლიმ, — ჯერ ორმოცდაათისაც არ გავმხდარვარ და თავი უკვე 80 წლის ბებერი მგონია...

ადვოკატმა კიდევ რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ბოლო წუთს გადაიფიქრა და წასასვლელად მოემზადა.

— მართლა ცუდად ვარ, დამიჯერე...

— მჯერა, — თავი დანანებით გადააქნია გურამმა.

— თანაც ხომ იცი, რომ მამას ვეღარავინ დაგიბრუნებს...

— ვიცი, მაგრამ სიმართლის დადგენის ძალა ხომ მაინც შემწევს. ჰოდა, დავადგენ, ვინ და რატომ მოკლა მამაჩემი...

ამ საუბრამდე რამდენიმე კვირით ადრე, შემოდგომის ერთ გვიან საღამოს, კლიენტისგან წამოსული მოხუცი ადვოკატი — ამირან ალადაშვილი საკუთარი მანქანით შინ მარტო ბრუნდებოდა. ალადაშვილის კლიენტი, მდიდარი და დაფასებული ბიზნესმენი — თეიმურაზ ქსოვრელი, თბილისის მახლობლად მდებარე ერთ-ერთ სოფელში, მრავალ ჰექტარზე გადაჭიმულ მამულში ცხოვრობდა. მამული დანარჩენი სოფლისგან რამდენიმე კილომეტრით იყო დაშორებული, სოფლიდან ცენტრალურ გზამდე კი კიდევ ერთი ამდენი მანძილი იყო გასავლელი. გარეთ გამოსულ ალადაშვილს ყველაფერი რძისფერ ნისლში დახვდა ჩაძირული. ნისლი კი ძალიან აშინებდა და ყოველთვის ყველაზე მძიმე ფიქრებს უშლიდა. ასე იყო ამჯერადაც.

„არ მიყვარს ნისლი, — გაიფიქრა მან, — მეტიც, მისი მეშინია... თუმცა ნისლის კი არა, პირველ რიგში, ქსოვრელის და მისი კაციჭამია მცველების უნდა მეშინოდეს და კიდევ იმის, რაც მათ შესახებ ახლა უკვე დანამდვილებით ვიცი. ესენი ხომ ხელის აუკანკალებლად გაუსწორდებიან ყველას, ვინც გზაზე გადაუდგებათ“. ამირან ალადაშვილს არც სიბნელე უყვარდა, რადგან სიბნელეში და მით უფრო, მაშინ, თუ მას ნისლიც ერთვოდა, გზაზე შემთხვევით გადარბენილი კურდღლის შემჩნევა უჭირდა. კურდღელი რა შუაშიაო? — იკითხავს ალბათ, მავანი და მართალიც იქნება. თუმცა ამირან ალადაშვილის შემთხვევაში, ეს უწყინარი ყურცანცარა ცხოველი შუაში კი არა, მგონი, თავშიც კი იყო. საქმე ისაა, რომ ერთხელ, გზაზე მანქანით მიმავალმა ამირანმა კურდღელი გაიტანა. ეს ამბავი 30 წლის წინ მოხდა, მაგრამ მანქანის მუხრუჭების მაშინდელი ღრჭიალიცა და რაღაც რბილზე ყრუ დარტყმის ხმაც მოხუცს დღემდე ყურში ჩაესმოდა. მაშინ კი მანქანიდან გადმოსულმა ალა-

დაშვილმა დაინახა, რომ კურდღელი ასფალტზე ეგდო და უკანა თათს ციებიანივით აქნევდა. ცხოველს სხეული უკვე პარალიზებული ჰქონდა და ცრემლისგან დანამულ შიშჩამდგარ თვალებს თავის მკვლელს წამითაც აღარ აცილებდა. ამირანმა თავი რის ვაი-ვაგლახით აიძულა, რომ გზის პირას ქვა მოეძებნა, კურდღლისთვის თავში გამეტებით ჩაერტყა და ამ გზით მისი ტანჯვა ცოტა უფრო სწრაფად მაინც დაესრულებინა. შემდგომში ეს სურათი თვალწინ ხშირად წარმოუდგებოდა ხოლმე. ასე მოხდა ამჯერადაც, თუმცა მოხუცმა ფიქრში თავს ბრაზიანად შეუძახა: „ოცდაათი წლის წინ შემთხვევით მოკლული კურდღლის კი არა, ცოცხალი ადამიანების უნდა გეშინოდეს!“

— აკი, მეშინია კიდეც! — ახლა უკვე ხმამაღლა წამოიძახა მან. — უკან მიხედვასაც კი ვეღარ ვბედავ, რომ შემთხვევით არ დავინახო, როგორ მომდევენ.

„ძალიან მეშინია, — საკუთარ თავთან ხმამაღლა ლაპარაკს ისევ ფიქრი არჩია მოხუცმა, — მხოლოდ ახლა მივხვდი, რომ დევნილი და სრულიად მიუსაფარი ვარ. უკვე ისინიც მიხვდნენ, რომ ბევრი რამ ვიცი, მაგრამ ნეტავ, რამდენად ბევრი? იქნებ იმდენად, რომ ჩემი მოკვლაც კი აუცილებელი გახდეს... მაგრამ ადვოკატის ფიცი?.. ის ხომ კლიენტების საიდუმლოებების შენახვას მავალდებულებს? ქსოვრელი კი ჩემი ყველაზე სერიოზული კლიენტია, მაგრამ საშიშიც. ამიტომაც არ მგონია, ჩემნაირი რიგითი ადვოკატის მიერ მრავალი წლის წინ დადებული რაღაც ფიცის იმედად დარჩეს... მოხუცმა როგორც იქნა, გაბედა, მანქანის სარკეს თვალი წამით შეავლო და მაშინვე შვებით ამოისუნთქა: „მადლობა ღმერთს, არ მომდევენ... ესე იგი, არც ისე ტრაგიკულადაა საქმე. მალე შინ ვიქნები და მაშინვე დავწვები და დავიძინებ. ხვალ კი გადავწყვეტ, როგორ მოვიქცე... პირველ რიგში ალბათ, მაინც შვილს ვკითხავ რჩევას. მასზე ახლობელი ხომ არავინ მყავს. თანაც, ისიც ჩემსავით იურისტია და ერთად უფრო ადვილად ვიპოვით გამოსავალს...“

მეტი სიმხნევისთვის ადვოკატმა რადიოც ჩართო. საკმაოდ სასიამოვნო ხმის მქონე მამაკაცი გენეტიკაში ახალი აღმოჩენების შესახებ იტყობინებოდა. მოხუცი რადიოს უყურადღებოდ უსმენდა და ამიტომაც ნათქვამის მნიშვნელობას თითქმის ვერ ხვდებოდა. შემდეგ საათს დახედა. 10 საათი ხდებოდა. „თერთმეტზე უკვე ლოგინში ვიქნები“, — კიდევ ერთხელ დაიმშვიდა თავი და სიჩქარეს სულ ოდნავ მოუმატა.

ამირან ალადაშვილს თეიმურაზ ქსოვრელთან პირველი შეხვედრა გუშინდელი დღესავით ახსოვდა. ყველაფერი ერთი უბრალო წერილით დაიწყო, რომელშიც ბიზნესმენი, კარგი ანაზღაურების ფასად, ერთ-ერთი იურიდიული კონტრაქტის შემოწმებას სთხოვდა. წერილში, მისამართთან ერთად, საკონტაქტო ტელეფონის ნომერიც იყო მითითებული. ბიზნესმენის სახელი ალადაშვილს მანამდე არსად სმენოდა, მაგრამ მითითებულ ნომერზე მაინც დარეკა, რადგან კლიენტებით დიდად განებივრებული არასდროს ყოფილა.

ყურმილი თავად თეიმურაზ ქსოვრელმა აიღო, რომელსაც ხმაში დამაჯერებლობა არ აკლდა. მან ადვოკატს მოკლედ ჩამოუყალიბა კონტრაქტის არსი და პირადად შეხვედრაზეც მაშინვე შეუთანხმდა. რამდენიმე დღის შემდეგ, ერთმანეთს ერთ-ერთ პრესტიჟულ რესტორანში შეხვდნენ. ალადაშვილი ადგილზე ცოტა ადრე მივიდა. კლიენტი კი ზუსტად დათქმულ დროს გამოცხადდა და მაგიდასთან მჯდარ ჩაფიქრებულ ადვოკატს თავს შეუმჩნევლად წამოადგა. გარეთ იანვარი იდგა და სუსხიანი ქარი ქროდა, მოღიმარ ქსოვრელს კი ხალვათად ეცვა და სახეც წელიწადის ამ დროისთვის შეუფერებლად ჰქონდა გარუჯული. მაგრამ ნარუჯიცა და ღიმილიც ძალიან უხდებოდა. „ცხოვრობს ხალხი... — გაიფიქრა მაშინ ალადაშვილმა. — ალბათ პირდაპირ რომელიღაც უცხოური კურორტიდან ამოყო აქ თავი“. ქსოვრელს თან შავ სამოსში ჩაცმული 2 მამაკაცი ახლდა, რომლებიც შორიახლოს იდგნენ და ადვოკატს თვალს წამითაც არ აცილებდნენ. „ლამაზად მოღიმარი კლიენტის შავ-ბნელი ჩრდილები“, — მაშინვე „მონათლა“ ისინი შეფიქრიანებულმა ადვოკატმა. ქსოვრელმა ალადაშვილს მისალმების ნიშნად თავი უხმოდ დაუკრა, მაგიდას სწრაფად მიუჯდა და მაშინვე საქმეზე გადავიდა. საუბარი ხანმოკლე, მაგრამ იმდენად დამაჯერებელი, მასშტაბური და საჭირო ინფორმაციით დატვირთული აღმოჩნდა, რომ როცა ახალი კლიენტი ისევ თავის უხმო დაკვრით დაემშვიდობა, ალადაშვილს ისიც კი მოეჩვენა, რომ ქსოვრელის გამოჩენით მისი, როგორც ადვოკატის ცხოვრებაში „ოქროს ხანა“ იწყებოდა. „ნუთუ მაშინ იმდენად ბრიყვი ვიყავი, რომ ეს მართლა დავიჯერე? — გაიფიქრა მოხუცმა და თავი უკმაყოფილოდ გადააქნია. — ვინ მისცა ადვოკატს იმის უფლება, რომ ამ ცოდვილ მიწაზე სამოთხის არსებობის თუნდაც სულ მცირე ხნით იწამოს?..“

ნახევარი წლის შემდეგ, ახალმა კლიენტმა ალადაშვილის მოკრძალებული საადვოკატო ფირმის წლიური ბრუნვის ნახევარზე მეტი უზრუნველყო, წლის ბოლოს კი შემოსავალი გაუორმაგა. ქსოვრელი ფულს ყოველთვის დათქმულ დროს, ყოველგვარი შეხსენების გარეშე იხდიდა. მასთან თუ მის მიერ გაფორმებული ყველა კონტრაქტი კანონიერი, თუმცა ხშირად ზედმეტად ჩახლართული იყო. ადვოკატს ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ თეიმურაზ ქსოვრელი თავის საქმეებს მსოფლიოს ყველა კონტინენტიდან ერთდროულად მართავდა. ხანდახან ადვოკატს ისეთი ქალაქებიდანაც ურეკავდნენ ანდა ფაქსებს უგზავნიდნენ, რომელთა შესახებ მანამდე არც კი სმენოდა. მაგრამ ყოველთვის ყველაფერი კანონის ფარგლებში ხდებოდა და მართალია, ხშირად დიდი გაჭირვებით, მაგრამ ანალიზსაც ასევე ყოველთვის ექვემდებარებოდა. „ახალი დროება მოვიდა, — ფიქრობდა ალადაშვილი, — თუ გადარჩენა მინდა, მას აუცილებლად უნდა ავუწყო ფეხი. ის კი არა და, ალბათ, ღმერთს ყოველდღე მადლობა უნდა შევწირო, რომ ისეთი მასშტაბის და გაქანების ბიზნესმენს, როგორიც თეიმურაზ ქსოვრელია, არჩევანი ჩემნაირ არაფრით გამორჩეულ ადვოკატზე შეაჩერებინა...“

გაგრძელება შემდეგ ნომერში

დასაწყისი იხ. „გზა“ №23-38

გავქანდი კაბინეტისკენ. კარი შევაღე და საზარელ სურათს წავაწყდი. იატაკზე გატეხილი ანტიკვარული ლარნაკის ნამსხვრევები ეყარა, ხოლო 2, ზუსტად ერთნაირი ფერის წყვილი თვალი მშვიდად მომჩერებოდა. ლადოს დანახვაზე ალმურმა გადამკრა. როდის მოვიდა, რომ ვერ გავიგე? ასე ჩუმად როგორ შემოიპარა სახლში? რა მოხდება ახლა, როცა ლარნაკი გატეხილია? ხომ ფაქტია, რომ ვასიკოს ხელწერაა ეს?

— პატარავ, რამდენი ხანია, გეძებ, — ძლივს გასაგონად ჩავილუღლუღე, ვითომ არც შემიმჩნევია დამსხვრეული ლარნაკი.

— ანა, ლადო ბიძიამ წიგნი მაჩუქა, შეხედე! — ბავშვმა ჩემთან მოირბინა წიგნით ხელში.

უნიათოდ შევხედე ბიჭუნას, მერე წიგნს, ბოლოს კი მზერა ნამსხვრევებზე გადავიტანე. ბავშვი მიმიხვდა.

— ლადო ბიძიამ მითხრა, ეს ვაზა დებილობა იყოო. ძველი და უვარგისიო. ოღონდ არ მეჩხუბო, კარგი? მე თვითონ ავიღებ ახლავე, ყველაფერს ავხვეტავ, — ხელები მომხვია და მუდარით სავსე მზერა მომაპყრო.

— მაპატიეთ, ბატონო ლადო... ჩემი ბრალია, წამით მოვარიდე თვალი და... მეტჯერ აღარ განმეორდება მსგავსი რამ, აწი თვალს არ მოვაცილებ, — ბოდიშის მოხდა დავიწყე.

— სანერვიულო არაფერია, ანა, თანაც ვასიკო თვითონ მოასუფთავებს აქაურობას, — გულგრილად მომიგო მამაკაცმა.

ტუჩები ლამის მოვიკვნიტე, არ მჯეროდა იმის, რასაც ვხედავდი. დარწმუნებული ვიყავი, სხვა დროს „სალი კლდე“ ამ ლარნაკის გამო ქვეყანას დააქცევდა.

— ერთი წუთით შემოდი, თუ შეიძლება, რაღაც მინდა გითხრა, — გააგრძელა ლადომ, როგორც კი ვასიკო ცოცხის და აქანდაზის მოსატანად გაიქცა.

იმ ღამის შემდეგ ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა მასთან კვლავ მარტო დავრჩი. ერთიანად დავიძაბე.

— როგორ მაინტერესებს, სანამ გაგრძელდება თქვენი თამაში? — პირდაპირ შეტევაზე გადავედი, სანამ ის განახორციელებდა ჩემზე თავდასხმას, თან კანკალმა ამიტანა.

პასუხის მაგივრად, მან მოულოდნელად წელზე წამავლო ხელი, თავისკენ დამქაჩა და მეორე ხელით კარი მჭიდროდ მიხურა.

— შემოდი, დაჯექი. მეგონა, რამე გქონდა ჩემთვის სათქმელი... არა?

ცივად შევავლე მზერა.

— დიახ, მაქვს, — ამაყად განვუცხადე, — არ მომწონს ის, რასაც თქვენ აკეთებთ.

— თავიდან ის არ მოგწონდა, ბავშვს იგნორირებას უკეთებო. ახლა ის არ მოგწონს, ყურადღებას რომ ვიჩენ, — ჩაიცინა ლადომ, — არ მესმის შენი.

ის იყო, პასუხის გაცემას ვაპირებდი, რომ ტელეფონმა დარეკა. ლადომ თავი მიმანება და ყურმილი აიღო. როგორც კი ვიღაცას დაელაპარაკა, წამსვე მოეღუშა სახე. წარბები შეჭმუხნა და მე მომაჩერდა. ავის მომასწავლებელი სიჩუმე ჩამოწვა კაბინეტში. კიდევ რამდენიმე წამი და ლადომ ყურმილი დაკიდა.

— ანა... ვწუხვარ... დედაშენი გარდაიცვალა...

— ვი-ინ? — მეგონა, მომესმა.

— დედა... შენი, — ყრუდ გაიმეორა მან.

გამოგიცდიათ ოდესმე, მიწისძვრა როგორ იწყება? ის განცდა გახსოვთ? სწორედ ასე დამემართა... იატაკი აყირავდა ჩემს ფეხქვეშ... ოთახის კედლები თითქოს გადაიხარა და დაცურდა... მერე კი, მოულოდნელად, სიბნელემ დაისადგურა...

— ანა! — მესმოდა ლადოს ხმა და ვასიკოს განწირული ყვირილი. — ისუნთქე! ღრმად ისუნთქე!.. აი, ასე, ყოჩაღ, კარგი გოგო ხარ... ახლა კარგად გახდები.

გავაკეთე ის, რაც მიბრძანეს. წამით შევიკარი სუნთქვა, შემდეგ კი ფრთხილად, მაგრამ ღრმად ამოვისუნთქე. ბოლოს თვალებიც გავახილე და მამაკაცს ავხედე. სახე გაჰფითრებოდა. როგორც ჩანს, ზედმეტად შევაშინე.

— ვასიკო, გადი შენს ოთახში, ანა უკვე კარგადაა, გასაგებია? — უთხრა თვალებგაფართოებულ ბავშვს, მერე კი კვლავ მე მომიბრუნდა. — კიდევ ერთხელ, კარგი? — საბავშვო ბაღის შეშინებული აღმზრდელივით დამჩერებოდა იატაკზე გაშხლართულს.

— გმადლობთ. ყველაფერი რიგზეა, უკვე უკეთ ვარ, — წამოწევა ვცადე.

— მე მესმის... ის ხომ შენი დედა იყო. არ არის ადვილი... მერერა, რომ არ გაუზრდიხარ, მშობელი მშობელია. ისინი ხანდახან შეცდომებს უშვებენ... შვილები იმისთვის არიან, რომ უნდა გაუგონ. ყველაფერს აქვს თავისი მიზეზი. უმიზეზოდ არაფერი ხდება, — დამმოძღვრა და წამოდგომაში დამეხმარა, — მაპატიე, ჩემი ბრალია. ასე უეცრად არ უნდა დამეტაკებინა შენთვის ეს ამბავი. ვერ გავთვალე. ჯერ უნდა ამეხსნა...

— როგორც ყოველთვის, ზედმეტად პირდაპირი ხართ! — მრავალმნიშვნელოვნად ამოვთქვი, როცა მისივე ფრაზა მოვიშველიე და

ირონიულად გავუღიმე, არადა, სულაც არ მეღიმებოდა.

— ეს ჩემი ყველაზე დიდი ნაკლია ცხოვრებაში, — ჩემდა გასაკვირად, მორჩილად დამეთანხმა, — მართლა უკეთ ხარ? ისევ ხომ არ გეხვევა თავბრუ?

— კარგად ვარ, დიდი მადლობა. უბრალოდ, არ მჯერა, რომ გული წამივიდა.

— ეს ბუნებრივია... ადამიანები ვართ, რობოტები კი არა.

— მეგონა, გულის შეტევა დამემართა.

— თითქმის შეტევა იყო. ახალგაზრდა რომ არ ყოფილიყავი, ინფარქტი გარანტირებული გქონდა, — შემომცინა.

— შეგნებულად მოკლეს ის ქალი, — ავჩურჩულდი ღონემიხდილი და ლადოს ტახტზე მივესვენე, — იმდენ უაზრო წამალს ასმევდნენ, იმდენ აბს, კიდევ კარგად გაძლო. ყველაფერში ის წამლებია დამნაშავე. მათ ეს იცოდნენ...

— ვინ — მათ?

— მისმა შვილებმა... ორივემ — გოგომაც და ბიჭმაც... და თვალს ხუჭავდნენ, ვითომ არაფერი. ვითომ ასე იყო საჭირო. ამიტომაც ეშინოდათ მისი მარტო დატოვების... ამიტომაც ჰქონდათ ჩემი იმედი... ეს რომ მცოდნოდა... ალბათ მეც დავაჩქარე მისი სიკვდილი...

— შენ რა შუაში ხარ?

— მე... მე ისეთი რამეები ვუთხარი ბოლო დღეს... გავუხეთქე გული. ვერც წარმოიდგენთ, ისეთი საშინელებები მივახალე, ქუჩის ქალად გამოვიყვანე ლამის.

— დარწმუნებული ვარ, ვალში არ დაგრჩებოდა. შორიდან ვიცნობდი მას, მის ქმარს... ცივი ქალი იყო, მედიდური... ასე რომ, ჩათვალე, თქვენი ერთმანეთის „შემკობები“ ყაიმით დამთავრდა, — ლადო ისე მზრუნველად ამბობდა თითოეულ სიტყვას, რომ გამხნევება და თანაგრძნობა ერთდროულად იგრძნობოდა მის ნათქვამში.

ხრინწიანად გავიცინე.

— მართლა ეგრე იყო. ერთი ჩვეულებრივი კახპა ხარ-მეთქი, ვუთხარი, მან კი მატყუარა და გომბიო მიწოდა. ზედმეტად გავანერვიულე, მაგრამ რა ჩემი ბრალი იყო, ჭკუიდან გადამიყვანა.

— მთავარი ეს არ არის, ანა. მთავარი ისაა, რომ არც ერთი ასე არ ფიქრობდით. ეს, უბრალოდ, სიტყვის მასალა იყო და სხვა არაფერი, — ძალიან, ძალიან თბილად გამიღიმა და გვერდით მომიჯდა, მერე ჩემი ხელი ხელში მოიქცია და ისე აათამაშა, თითქოს პატარა გოგოს ეთამაშებოდა.

არ შევიმჩნიე და გავაგრძელე:

— არ მჯერა, რომ მოკვდა. არავის უთქვამს ჩემთვის, ასე ცუდად თუ იყო... რა თქვეს, რა დაემართაო?

— გულის შეტევითო... ჩვეულებრივი ინფარქტი.

— ღმერთო... როგორ ვნანობ... იმიტომ კი არა, რომ დედაჩემი იყო... უბრალოდ, ისიც ხომ ადამიანია, რომელსაც ერთხელ მეც ვაწყენინე.

— ეგ არაფერი. დაკრძალვაზე ხომ წახვალ?

— დაკრძალვაზე? — ამ სიტყვის ხსენებაზე ისე შევკრთი, ოფლმა დამასხა. — ნუთუ ეს ასე აუცილებელია?

— ანა! ის დედა იყო შენი! — ლადო ამწუთას ისევ ძველებურ ლადოდ გადაიქცა, ისევ „დემონად“. — მის ხსოვნას მაინც ეცი პატივი...

„ესე იგი, ახლა, როცა ცოცხალი აღარ არის, ვალდებული ვარ, პატივი ვცე? როცა ცოცხალი იყო, უნდა გავრიდებოდი, ახლოს არ გავკარებოდი, ახლა კი... რა გამოდის? სიკვდილის შემდეგ ყველაფერი იცვლება?“ საფეთქლებს გუგუნი გაჰქონდა. კვლავ ავღელდი.

— წყალი ხომ არ მოგიტანო? — ლადომ შეამჩნია, რომ ისევ ცუდად ვხდებოდი.

— თუ არ შეწუხდებით... — წამწამები დავხარე და სანამ წყალს მომიტანდა, თვალებმილულული ფიქრებში ჩავიძირე...

— ახლაც არ წახვალ? — ლადომ თვალი თვალში გამიყარა და მესამე დღეს რომელიღაც გვერდზე გადაშლილი გაზეთი დამიდო წინ.

დავხედე... დედაჩემის ფოტოს ქვეშ ნეკროლოგი იყო და... შვილებს შორის მეც ვიყავი მოხსენიებული, თანაც პირველი ვეწერე... გავფითრდი. ამას ნამდვილად არ ველოდი. ესე იგი, მათ ყველაფერი იციან... საიდან? ნუთუ თვითონ თქვა? იქნებ მოუყვა თავის ნალოლიავებ შვილებს, როგორი სიტყვებით შევამკე? თუ ასეა, რატომ არაფერი მითხრა ნუკრიმ? რატომ არ მაგრძნობინა, რომ საქმის კურსში იყო? ცოტა არ იყოს, დავიბენი.

— არა, არ წავალ! — მტკიცედ მივიღე გადაწყვეტილება და მის მზერას თამამად გავუსწორე თვალი.

გამორიცხულია, წავიდე! მე ჩემი მშობლები ერთხელ უკვე დავმარხე და მეორედ ვერ გადავიტან იმ საშინელ განცდას, მაშინ რომ დამეუფლა. თუმცა, შედარებაც კი არ შეიძლება, მაშინ როგორ ვიყავი და ახლა როგორც ვარ. ბოლოს და ბოლოს, ნინომ მე მიმატოვა. მიმატოვა კი არა, გამაშვილა. ისე გამიმეტა, თვალიც არ დაუხამხამებია. იოტისოდენა სიყვარულიც არ გაიმეტა ჩემთვის. თანაც ერთხელ კი არა, ორჯერ გამიმეტა, ორჯერ მიმატოვა. მიუხედავად ჩემი მცდელობისა, არ მაღიარა შვილად! და ამის მერე, რომელმა ჭკუათამყოფელმა უნდა დამაძალოს მისი დატირება? არ არსებობს!

— თუ არ წახვალ, მერე მთელი ცხოვრება ინანებ ამას, — რაღაცნაირი დახშული ხმით მითხრა ლადომ, თითქოს შეფიქრიანებულმა.



გაოცებულმა შევხედე. აქამდე უცნობი სევდა შევნიშნე მის გამოხედვაში... მგონი, რაღაცის თქმა უნდოდა და ვერ გადაეწყვიტა... ყოველ შემთხვევაში, ასე მომეჩვენა.

მაინც არ წავედი. ცხოვრებაში იმდენი რამე მინანია, ამ ერთსაც მივუმატებ, არაფერი დაშავდება... და ეს ყველაზე უწყინარი სინანული იქნება მათ შორის, რაც ოდესმე მინანია...

ამის ღრმად მჯეროდა.

მიუხედავად ამისა, გულმა არ მომითმინა და პანაშვიდზე მისვლა გადავწყვიტე. ალბათ უფრო იმიტომ, რომ ნუკრის და ნანას რეაქციას დავკვირვებოდი. მაინტერესებდა, ჩემს დანახვაზე რას მოიმოქმედებდნენ.

ვარდების თაიგული ვიყიდე და წავედი. ვარდისფერი ვარდები შევარჩიე, იმ ფერის, რომელიც ყველაზე მეტად არ მომწონდა. ამითიც კი გადავწყვიტე დედაჩემის დასჯა... უკანასკნელად...

ოთახში შევედი თუ არა, პირველად ნანა დავინახე. ტირილისგან თვალები ჩასწითლებოდა. მიცვალებულს შემოვუარე, ნანას ლოყაზე ვაკოცე და ვუჩურჩულე.

— ვწუხვარ...

— გმადლობ, საყვარელო, — თვითონაც მიჩურჩულა.

გარეთ გამოსული ნუკრის მივუახლოვდი.

— ანა... — ჩემმა ნახევარძმამ ხელები გამომიწოდა და ჩამიხუტა.

სამძიმრის სიტყვები მსწრაფლ დამავიწყდა, თითქოს ენა გადავყლაპე და მის მკერდს მისვენებულს გული ამიჩუყდა. დროზე შევიკავე თვალი, რომ არ ავცრემლებულიყავი. თუმცა ეს საყვარელი ადამიანის გარდაცვალებით გამოწვეული ტკივილის ცრემლი არ იქნებოდა. ეს უფრო თანაგრძნობის გულაჩუყება გამოვიდოდა...

— გასვენებაში ხომ მოხვალ? — ჩამჩურჩულა ნუკრიმ და ხელი შემიშვა.

— არა, — ჩემი უარი თავის გაქნევითაც გავამყარე, — ვერ მოვალ, ნუკრი, მაპატიე, — ნაღვლიანი მზერა ვესროლე, გამოვბრუნდი და მძიმე ნაბიჯებით დავტოვე იქაურობა.

უკან არავინ გამომკიდებია...

დედაჩემის სიკვდილს სასოწარკვეთილებაში სულაც არ ჩავუგდივარ. რა თქმა უნდა, ძალიან სამწუხარო ამბავი იყო და სადღაც, გულის სიღრმეში, სინდისიც მქენჯნიდა, რომ ნაწილობრივ, მეც დავაჩქარე მისი სიკვდილი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს ყოველივე ჩემთვის რიგით უსიამოვნო ამბად დარჩა. გარდაიცვალა ჩემთვის სრულიად უცხო ადამიანი. მან მხოლოდ წეროს როლი ითამაშა, რომელმაც ამქვეყნად მომიყვანა და სადღაც დამაგდო, მორიგი უშვილო დედის გასახარებლად. შემდეგ კი ზედმეტი ტვირთისგან შემსუბუქებულმა, თავისუფლად გააგრძელა ფრენა... და ერთობ მაღლაც აფრინდა...

რაც მეტს ვფიქრობდი მასზე, მით უფრო გულგრილი ვხდებოდი. როცა გაიგო, ვინც ვიყავი, არც კი უცდია, ზიზღი და სიძულვილი დაემალა. ერთი წვეთი სიკეთეც არ გამოიმეტა ჩემთვის, ერთი თბილი სიტყვა... არ მაღიარა შვილად... და არც ერთ ჩემს შეკითხვას არ გასცა პასუხი...

ასე რომ, დიდი ტკივილი არ განმიცდია. არც ხასიათი შემცვლია და არც მგლოვიარე ადამიანის სახე მიმიღია.

დღეები ისე გავიდა, ლადოს ერთხელაც არ უხსენებია დედაჩემი. ჩვეულებრივად ვლაპარაკობდით, ჩვეულებრივად ვაგრძელებდი ჩემს საქმეებს, ვზრუნავდი ვასიკოზე, ვამზადებდი კერძებს, მაგრამ დედაჩემის ამბავს არასდროს განვიხილავდით. თითქოს ტაბუ დავადეთ ამ თემას. დროდადრო იმასაც კი ვფიქრობდი, რომ ეს ყველაფერი მე არ გადამხდენია... რომ სინამდვილეში ეს არ იყო ჩემი ისტორია. ეს მხოლოდ ჩემი წარმოსახვითი განცდები იყო და მეტი არაფერი. ჩემი ჩუმი, აუხდენელი ოცნება... ყოველ შემთხვევაში, მისი პირველი ნაწილი მაინც. მეორე კი... მეორე უბრალოდ, ღამეულ კოშმარად ჩავთვალე და მორჩა!

სხვათა შორის, ლადოს არც თავისი შემოთავაზება გახსენებია ამ ხნის განმავლობაში. ისიც ისე მივიწყა, როგორც დედაჩემის თემა. ვასიკოსთან ჩვეულებრივად აგრძელებდა „კეთილი ძიას“ როლის თამაშს. რა ვიცი, იქნებ არც თამაშობდა? იქნებ მე მხოლოდ მეჩვენებოდა და სრულიად გულწრფელი იყო ბავშვთან მიმართებაში? ცნობისმოყვარეობა მკლავდა, როდის ჩამივარდებოდა მომენტი, რომ მასთან ამ საკითხზე ლაპარაკი ჩამომეგდო.

ეს დღეც მალე დადგა. თვითონ დაიწყო ჩემთვის საჭირო თემაზე საუბარი.

საღამო ხანი იყო. ვასიკო ვავახშმე, დავაძინე და სამზარეულოში გავედი, რათა ლადოსთვის ჩაი გამემზადებინა.

კარგა ხანს ურევდა კოვზს ჭიქაში, თან თვალს არ მაშორებდა, სანამ მისთვის მაგიდას ვშლიდი.

— ჩამოჯექი ერთი წუთით, — მითხრა ბოლოს.

ჩამოვჯექი და უტეხად შევხედე. ვიცოდი, რაღაც ისეთს მეტყოდა, რაც მის ძმისშვილთან იყო დაკავშირებული.

— კმაყოფილი ხარ ჩემი და ვასიკოს ურთიერთობით? — კეთილი ღიმილით მკითხა.

წარბები ავზიდე. რას ელოდა ჩემგან? როგორ პასუხს? გადავწყვიტე, დითირამბები არ მემღერა მისთვის და მეთქვა ის, რასაც რეალურად ვფიქრობდი.

— იცით, რა? — ფრთხილად დავიწყე. — გამიხარდებოდა, თქვენი გრძნობები გულწრფელი რომ ყოფილიყო... მაგრამ რატომღაც მგონია, რომ ის, რასაც აკეთებთ, მხოლოდ კარგად გათვლილი სტრატეგიაა და მეტი არაფერი. ბავშვს ძალიან დიდ ტკივილს მიაყენებთ, თუ ყოველივე ამის შემდეგ კიდევ ერთხელ უარყოფთ მას და ძველებურად ცივი და შეუვალი გახდებით, როგორც ერთი რიგითი უცნობი ადამიანი მის ცხოვრებაში.

— სტრატეგია? — ისეთი სახე მიიღო, თითქოს საკუთარ ყურებს არ უჯერებდა და ცივად შემომხედა. — მგონი, ვხვდები, რასაც გულისხმობ... მაგრამ უნდა გაგაწბილო, ანა. ჩემს ბავშვთან დამოკიდებულებას არაფერი აქვს საერთო ჩვენს გარიგებასთან.

— მე ეს არ მქონია მხედველობაში, — შევეცადე, მშვიდად მეთქვა, თუმცა ყურებამდე გავწითლდი, რადგან ზუსტად მიხვდა, რასაც ვგულისხმობდი.

— მე კი მეჩვენება, რომ სწორედ ეს გქონდა მხედველობაში, — თვითონაც მშვიდად მომიგო.

ღაწვები გამიხურდა, ერთიანად დამეფოთლა სახე. ავწრიალდი. მიზეზს ვეძებდი, სამზარეულოდან გავსულიყავი, რომ ამ თემაზე აღარ გაგვეგრძელებინა საუბარი. შემეშინდა, საკუთარი თავი არ გამეყიდა. თავი ყალბი ღიმილით გადავაქნიე და წამოვდექი, მაგრამ ის ჩემს გაშვებას არ აპირებდა.

— ჩვენ ჯერ არ დაგვიმთავრებია, ანა, — თითქოს წყნარად მელაპარაკებოდა, მაგრამ მის ხმაში ლითონის ჟღერადობა ადვილად შე-

ინიშნებოდა, — ბრალდებების მთელი გროვა დამაყარე და არც კი გინდა მომისმინო... ეგებ რას ვამბობ!

— მაპატიეთ...

— იქნებ დამდო პატივი და დაჯდე? — პირქუშად მომმართა.

მორჩილად ჩამოვჯექი. გოროზი მზერა მესროლა.

— ზეგ როზა უნდა გამოწერონ.

ამის გაგონებაზე სახე გამინათდა. სულ გადამავიწყდა, წეღან როგორი უსიამოვნო საუბარიც წამოვიწყე „სალ კლდესთან“. ეს ისეთი სასიამოვნო ამბავი იყო, რომ არც მიცდია, შვების მომგვრელი ამოოხვრა შემეკავებინა.



— მაგრამ ჯერ კიდევ სუსტადაა და იქით სჭირდება დახმარება, — მაშინვე დააყოლა, — ამიტომ ცოტა ხნით კიდევ მოგიწევს ჩვენთან დარჩენა.

აი, თურმე რაშია საქმე! ვერ მოვასწარი დიდი ხნის ნანატრი თავისუფლების შეგრძნებით დატკბობა, რომ მან სწრაფად გამონახა მიზეზი, კვლავ თავისთან დავეტოვებინე. ნაღვლიანი მზერა მივაპყარი.

— მაგრამ რადგან უნდა გამოწერონ, ეს იმას ნიშნავს, რომ ექიმები...

— მე მხოლოდ იმას გთხოვ, დაელოდო ზეგინდელ დღეს და როცა როზა მოვა, თავად დარწმუნდები, სჭირდება თუ არა მას შენი დახმარება.

— მა-ას? — ჩავეკითხე. ნუთუ როზას მოვლაც მე მომიწევს? ამაზე არც მიფიქრია.

— ჰო, მას და არა მარტო — ჩვენ. როზას წასასვლელი არსად აქვს, არც მომვლელი ჰყავს. ის ჩემი ოჯახის წევრია. მე ჩემებურად ვიზრუნე მასზე, როგორც საქმეს სჭირდებოდა და როგორც მევალებოდა. მომვლელი ქალის როლს კი ვერ შევასრულებ, სამწუხაროდ.

— ბატონო ლადო! — აღვშფოთდი, — მე აქ ბავშვის აღმზრდელად მოვედი და არა... — და მაშინვე ენაზე ვიკბინე, მივხვდი, ისეთი რამ წამომცდა, რაც ჩემს თავმოყვარეობას უფრო დაამცირებდა, ვიდრე აამაღლებდა.

— ვიცი... მაგრამ მეგონა, შენც ჩვენი ოჯახის წევრად თვლიდი თავს... ამიტომაც გითხარი. ნება შენია, როგორც გულმა გიკარნახოს, ისე მოიქეცი, — ისე უდარდელად მითხრა, აშკარა იყო, ნამუსზე შემაგდო. თან ამჯერად კი არ მიბრძანა, მთხოვა დარჩენა. პირველად ცხოვრებაში, ადამიანურად მთხოვა დახმარება. მისი ხმა ძალიან მსუბუქად ჟღერდა, ხოლო სახე მხოლოდ მოთმინებას და მოლოდინს გამოხატავდა... მაგრამ რადგან ჩემი სათქმელი ვთქვი, უკან დახევა არ გამოდიოდა. ჯიუტად უნდა გამეტანა ჩემი, თუმცა გულში სულ სხვას ვფიქრობდი და უკვე ვნანობდი, ენა რომ გამექცა.

არადა, ლადო ჩემთვის ყველაზე რთულ ამოცანას წარმოადგენდა. ის აღმოჩნდა ადამიანი, რომელიც ბოლომდე ვერა და ვერ შევიცანი. ასეთი შეცვლილიც კი იმაზე ძლიერი მოწინააღმდეგე აღმოჩნდა, ვიდრე ადრინდელი „დემონი“.

მაინც დავყარე ფარ-ხმალი. უმადურობა იქნებოდა ჩემი მხრიდან, ახლა ფეხები გამეფშიკა და უარი მეთქვა დარჩენაზე, მაგრამ მაინც მტკიცედ განვუცხადე.

— მხოლოდ იმ შემთხვევაში დავრჩები, თუკი დავრწმუნდები, რომ როზას მართლა არ შეეძლება მუშაობა.

ოდნავ, თითქმის შეუმჩნევლად დამიქნია თავი თანხმობის ნიშნად. ისევ წამოვდექი, რადგან მეგონა, რომ საუბარი დავამთავრეთ და ბოლოს და ბოლოს, წასვლა შემეძლო.

— შენ რა, ასე ძალიან მიგიწევს გული სახლისკენ? — მოულოდნელად მკითხა, როცა ის იყო, გასვლა დავაპირე.

კარის სახელურს ხელი ვუშვი და შემოვბრუნდი.

— ნებისმიერ ადამიანს მიუწევს გული თავისი სახლისკენ, ბატონო ლადო. იქ შენი გარემოა და უკვე შეჩვეული ნივთები გელოდება. ხომ იცით, როგორც არის... შეჩვეულს ნუ გადააჩვევ და შეუჩვეველს ნუ მიაჩვევო... აქ თავს გამუდმებით დაძაბულად ვგრძნობ. ჯერ წესიერად ერთი ღამეც არ მიძინია.

— ჰო... ეს სერიოზული არგუმენტია.

მიუხედავად იმისა, რომ ამ სიტყვების წარმოთქმისას სახის გამომეტყველება არ შესცვლია, მის თვალებში მაინც გაიბრწყინა ირონიამ. მიხვდა, სინამდვილეში რაც მაწუხებდა. მან ყველაფერი იცოდა, ჩემი ყველა ნაბიჯი შესწავლილი ჰქონდა, ჩემს ყველა განცდას ზუსტად ხვდებოდა. მან უფრო ადრე დამიგო მახე და ელოდებოდა, როდის გავცემდი ჩემს თავს, რა რეაქცია მექნებოდა მის ნათქვამზე. ამას ელოდებოდა სწორედ...

ამ აღმოჩენამ ძალა გამომაცალა... ჯერ გავფითრდი, მერე კვლავ ამიფორაჯდა ღაწვები, მაგრამ მაინც გამომწვევად მოვიღერე ყელი.

— მე ყოველთვის ასე მემართება, — განვმარტე, — უცხო გარემოში მიჭირს დაძინება. ჩემს საწოლს ვარ მიჩვეული და სხვის სახლში ცუდად მძინავს. უკაცრავად... — დავაყოლე ბოლოს და კარი გამოვაღე...

— კიდევ რაღაც მინდოდა მეთქვა, — მომაძახა გარეთ გასულს და იძულებული გამხადა, ერთხელაც შემოვბრუნებულიყავი.

ლადომ თითქმის სავსე ჩაის ფინჯანი გვერდზე გასწია და ოდნავ გასაგონი ხმით წარმოთქვა.

— ნოტარიუსთან ხარ დაბარებული... წეღან დამირეკეს. მგონი, დედაშენმა ანდერძი დატოვა და შენც მოგიხსენია.

ვიგრძენი, კიდევ ერთხელ როგორ აყირავდა იატაკი ჩემს ფეხქვეშ... ირგვლივ კედლები თითქოს გადაიხარა და დაცურდა... მერე კი, მოულოდნელად, სიბნელემ დაისადგურა...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

აკრძალული სიყვარული

მარი ჯაფარიძე

გამარჯობა, ძვირფასო მგზავნელებო თუ უბრალოდ, მკითხველებო. რაც ახლა უნდა მოგიყვეთ, დღევანდელ თემას შეეფერება: ჩვენი მგზავნელი — კუნკულა ყველას გახსოვთ ალბათ. ჰოდა, ბოლო 3 კვირაა, ისეთ სასიყვარულო მესიჯებს მიგზავნის, ლამის დავდნე.

თუმცა, სულ ტყუილად რომ იხარჯება, იმაზე კი გული ნამდვილად მწყდება. ასეთ მესიჯებზე უამრავი ქალი ოცნებობს და ასე, ჰაერში გასროლილი ტყვიასავით, მიზანში რომ არ ხვდება, მართლა დასანანია. პარასკევს დამირეკა და თავისი „ბუხუნა“ ხმით მომიკითხა. ნამდვილად მარი ჯაფარიძე ხარო? — მკითხა. შემდეგ გადამეკიდა, გინდა თუ არა, ბუცა ხარო. ცოტა არ იყოს, მისი მოსაზრება კი გამიკვირდა — ყველამ იცით, რომ მე თუ „გზავნილებში“ ან „მობილიზაციაში“ დამესიჯება მინდა, არავის ნიკს არ ამოვეფარები და საკუთარ სათქმელს ჩემი სახელით გეტყვით. ეს მასაც ავუხსენი. რაღაცნაირად, ნაწყენი დამემშვიდობა და მესიჯები „მომაყარა“. რამდენიმე მათგანს უცვლელად გთავაზობთ: „შენს თვალებს ვენაცვალე, ნეტავ საით იყურები ახლა? ვეჭვობდი კი, მაგრამ მაინც არ მეგონა, თუ ბუცა შენ იქნებოდი. მიყვარხარ“. „სხვა რატომ დამალაპარაკე, რა ექსპერიმენტებს ატარებ? არ ვიცი, აღარ მოგწერ არაფერს“; „ნუთუ შენ ხარ ჩემი ბედი, ჩემო თვალისჩინო? ჩვენი პირველი შეხვედრისთვის კაბა ჩაიცვი, მუხლები უნდა დაგიოცნო. ახლა საქმეები მაქვს, თან ჩემს ძმას ავარია მოუხდა“. „თბილ გულში გენაცვალე. შენ უკვე დანიშნული ხარ ჩემზე. ახლავე უნდა „მომასპო“, სანატრელო“. მოკლედ, აღარ ვიცი, რა ვქნა. კუნკულას მინდა ვუთხრა, რომ აკრძალული აქვს ჩემი სიყვარული და სასიყვარულო მესიჯების გამოგზავნაც! იმედია, გაითვალისწინებს ჩემს თხოვნას (თუ მოთხოვნას) და მისგან მხოლოდ „საქმიან“ მესიჯებს მივიღებ, ჟურნალში გამოსაქვეყნებლად. ახლა კი თქვენ მიერ გამოგზავნილ ამბებს გაგეცნოთ.

ღიმილით „გამდნარი“

„გამარჯობა. თემასთან დაკავშირებით ჩემი ამბავი გამახსენდა. გამოსაქვეყნებლად არ გწერთ, უბრალოდ მინდოდა ვინმესთვის მეთქვა. ცელქი გოგონა არ გეგონოთ, 36 წლის ვარ და სერიოზულ ადამიანად ვითვლები. არც იმ კატეგორიაში მოვიაზრებ თავს, მამაკაცების ყურადღება რომ აკლიათ და ნებისმიერ ფასად ცდილობენ მის მოპოვებას, მაგრამ ამ მონაცემების მიუხედავად, ტრადიციულ სამკუთხედში აღმოვჩნდი. გიორგი „ფეისბუკზე“ გავიცანი. სახალისო პოსტებს დებდა და მეც არ ვიშურებდი სასაცილო კომენტარებს. მანამდე კომპიუტერი ჩემთვის მხოლოდ განტვირთვა იყო სამუშაო დღის შემდეგ და წარმოუდგენლად მიმაჩნდა სერიოზული ურთიერთობის აქ დაწყება. მით უმეტეს — მამაკაცთან, რომელსაც ოჯახი აქვს. კარგად აეწყო ჩვენი საუბარი. შემდეგ კიდევ მომწერა, კიდევ, კიდევ... მე კი ჯიუტად ვუმტკიცებდი საკუთარ თავს, რომ მხოლოდ „ფრენდია“, სანამ სრულიად მარტივად არ მოახერხა ჩემი მისამართის გაგება, თუმცა არ გამოუყენებია. დარწმუნებული იყო, ეს არ დასჭირდებოდა ჩემს გასაცნობად და მართალიც აღმოჩნდა. ერთ მშვენიერ(?!) დღეს, სამსახურში მომხდარი გადატრიალებების შემდეგ, დათრგუნვილი დავჯექი „კომპთან“ და ლევანმა შეხვედრა მთხოვა. მომენტალურად დავთანხმდი და სრულიად გულგრილად გავემართე პაემანზე. მხოლოდ გზაში ავფორიაქდი — მიმიღებდა თუ არა რეალურ ცხოვრებაშიც? იქვე საკუთარ თავს ვუმტკიცებდი, რომ ამას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა და მხოლოდ უბრალო გასეირნება იყო მძიმე დღის შესამსუბუქებლად. მას შემდეგ ყველა ჩვენი შეხვედრის დასაწყისში გიორგი ზუსტად ისე იღიმის, როგორც პირველ დღეს — მხოლოდ თვალებით და ერთდროულად გამოხატავს აღფრთოვანებას, სითბოს, სიყვარულს. მერე გულში ჩამიკრავს ძლიერად, სუნთქვა რომ მიჭირს, ისე, და ისედაც დაუმორჩილებელ თმას კიდევ უფრო ამიწეწს. იშვიათად ვხვდებით და ამ ხანგრძლივი პაუზის დროს ვქვავდები მონატრებისგან, ვიღებ „ურყევ“ გადაწყვეტილებას, რომ ეს არ შეიძლება გაგრძელ-

ოსიამოვნება — ეს ყველად შენილობოლი ნამცეცებია.

დეს, მაგრამ... ერთ წუთში ახერხებს გიორგი ჩემს „გადნობას“ იმ პირველი ღიმილით და თითქოს ვხდები წვეთი და ვიღვრები უსასრულოდ... გმადლობ, რომ მომისმინეთ“.

ვინაა დამნაშავე?

„ამბობენ, ერთ წელიწადში 2 დედმამიშვილის დაოჯახება არ შეიძლება — მათგან მხოლოდ ერთ-ერთი იქნება ბედნიერიო. ამის ზოგს სჯერა, ზოგიც კი ცრურწმენად იღებს. თამთა სიყვარულს მოწყურებული გოგო იყო. ლამაზი ტანისა და საოცარი თვალების მქონე გოგონას ბიჭები ბუზებივით ეხვეოდნენ, კომპლიმენტებით ანებივრებდნენ და მის გულსაც იოლად იგებდნენ. თამთას დაიკო გაუბედნიერდა და მეორე კვირასვე ისიც მის კვალს მიჰყვა. ცოლად გაჰყვა 1 თვის გაცნობილ ბიჭს, რომელიც მხოლოდ გარეგნობით იზიდავდა; არ დაინტერესებულა არც მისი მატერიალური მდგომარეობით და არც ოჯახითა და წარმომავლობით... თამთას და ბედ-იღბალს არ უჩიოდა, კმაყოფილი იყო ახალი ოჯახით. თამთას კი წინდაუხედავად გადადგმული ნაბიჯი სანანებლად გაუხდა. აღმოჩნდა, რომ ნიკა არ მუშაობდა და მშობლების კისერზე ცხოვრობდა. თამთას მოლოდინს კი იმის შესახებ, რომ ცოლ-ქმრის სიყვარულსა და სიამტკბილობას ხელს ვერაფერი შეუშლიდა, წყალი შეუდგა.

მალე დაორსულდა. დროის უმეტეს ნაწილს მშობლებთან ატარებდა. ქმარი თვეში ერთხელ ნახულობდა, ისიც რამდენიმე საათით. ერთ დღეს კი ნიკამ ცოლს შინ დაბრუნება სთხოვა. გოგონა დათანხმდა. თამთას დედამთილთან ცუდი ურთიერთობა ჰქონდა, თანაც მატერიალურადაც უჭირდა, ამიტომ ისევ მშობლებს დაურეკა და შესჩივლა: ჩემს ქმარს ხელის განძრევა არ უნდა, აღარ შემიძლია ასე ცხოვრებაო. მშობლებს შვილის სიტყვებმა გული აუჩუყა, ჩააკითხეს და ერთი აყალმაყალით წამოიყვანეს სახლში. თამთას ფეხები უკან რჩებოდა, მაგრამ იქ დარჩენაც არ უნდოდა, სადაც მის შვილს ყველაფერი აკლდა, ქმარი კი ხელსაც არ ანძრევდა და დედამისს შეჰყურებდა, რომ „2 კაპიკი“ გადმოეგდო მისთვის. თამთას ქმარი ძალიან ენატრებოდა, მშობლები კი მასთან დაბრუნების უფლებას აღარ აძლევდნენ. ნიკაც აღარ იწუხებდა თავს და ცოლ-შვილს იშვიათად თუ მოიკითხავდა. გული მეწურება, თამთას რომ ვხედავ, ისეთი დასუსტებული და გამოფიტულია... თითქოს საწყალ გოგოს თავისი პრობლემა არ ჰყოფნიდეს, მეზობლებმა ჭორაობა დაიწყეს, ალბათ გამოაგდო ქმარმა, თორემ ამდენ ხანს აქ რა უნდაო? როცა გაიგეს, რომ ქმარს გაშორდა, ჭორები დაყარეს, — ეგ ისეთი გოგოა, ახლა სხვას გაიჩენს და გათხოვდებაო. ერთ დღეს კი თამთას თავს უბედურება დაატყდა: მისმა ქმარმა ცოლი მოიყვანაო, მეხივით გავარდა ხმა მთელ უბანში... საწყალი გოგო, ჯერ 21 წლისაა და სულ მარტო დარჩა. ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ ბოლოს მიხვდა — ნიკა უყვარდა და ინანა, მშობლებს რომ გამოჰყვა და ქმართან არ დარჩა. ძალიან ენატრება ქმარი... ნეტავ მასთან ვყოფილიყავი და ყველაფერს ავიტანდიო, — ამბობს, მაგრამ მისთვის ქმრის სიყვარული აკრძალულია, მას ხომ უკვე სხვა ცოლი ჰყავს! ლუნა“.

მარტო — საქორწინო მოგზაურობაში

„მოგესალმებათ „გზავნილებიდან“ დროებით გამქრალი პარიჟანკა. ძალიან მომენატრეთ და აწი აქედან ვერ ამომშლით. გაუჩინარების მიზეზი საპატიო მაქვს — დავოჯახდი და ჩემი დაგვიანებული საზაფხულო ამბებიც ამ თემით არის ნასაზრდოები. ზაფხულის მიწურულს გავთხოვდი და მეუღლესთან ერთად ზღვისპირეთში განვმარტოვდი. მთლად თვე ვერა, მაგრამ თაფლობის კვირა კი გავატარეთ არაჩვეულებრივად. უნდა გენახეთ, ეს დილის ძილზე შეყვარებული ქალი, როგორ მორჩილი ბავშვივით მივყვებოდი მეუღლეს სანაპიროზე, დილაუთენია. ცოტა კი ვბუზღუნებდი, მაგრამ ამაოდ. მერე ვიჯექი ნაპირზე და სანამ ჩემი რაინდი ტალღებს ებრძოდა, სილაზე „შედევრებს“ ვქმნიდი. საღამოს ბულვარში ვსეირნობდით და მეგრულ კილოზე საუბარი შევითვისე საფუძვლიანად. შემოვიარეთ ანაკლიის პაწაწინა კუნძულები და უამრავი ფოტოც გადავიღეთ. წამოსვლის წინა საღამოს კი ჩემმა ძვირფასმა ციფრული ფოტოაპარატის „არსის“ საფუძვლიანად შეცნობა გადაწყვიტა და აბსოლუტურად ყველა ფოტო მოხერხებულად წაშალა. მეორე დილით, 6 საათზე უკვე ბულვარში ვიყავით, რომ წამოსვლამდე 1-2 კადრი გადაგვეღო. ბედნიერი ღიმილით ვაჩხაკუნებდით აპარატს და არაფრად ვაგდებდით სასტუმროს ფანჯრებიდან გადმომდგარი, გაოცებული პერსონალის მზერას. ახლა კი ვუყურებ ამ ფოტოებს და ვკვდები სიცილით. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, სვანის არ იყოს, რომ ცალ-ცალკე ვიყავით თაფლობის თვის გასატარებლად. რა გვექნა, აბა? ისე ადრიანად არავინ იყო პლაჟზე, ერთად რომ აღვებეჭდეთ ფირზე. გკოცნით, თქვენი პარიჟანკა“.

სოფლელი დედოფალი

„სოფელში დავიბადე და გავიზარდე და ცოლადაც ერთ სოფლელ ბიჭს გავყევი. ადრე გავთხოვდი, 15 წლის. შვილი არ შემეძინა, რის გამოც 20 წლის გოგო ოჯახმა დამითხოვა — უშვილო ხარ და „ბერწი“ რძალი არ გვჭირდებაო. არადა, ექიმთანაც კი არ მიმიყვანეს, იქნებ მე კი არა, სულაც მათი შვილი იყო „ბერწი“ და უშვილო? მოკლედ, დავბრუნდი ჩემს მშობლებთან და შევუდექი ყანაში მუშაობას. მატერიალურად საკმაოდ გვიჭირდა, რის გამოც საკუთარ თავს ყურადღებას ვერ ვაქცევდი. ჩვენს მეზობლად ქალაქიდან ერთი გოგო ჩამოდიოდა ხოლმე დასასვენებლად და ის მეუბნებოდა, პირის დაბანა 2 ხელით რომ გესწავლა და ნორმალური ტანისამოსი ჩაგეცვა, ქალი ვერ გაჯობებდა, ისეთი ტან-ფეხი და სახე გაქვსო. ფეხის ქუსლები დახეთქილი მქონდა ყანაში ფეხშიშველი სიარულით; ხელებზეც სულ „მაზოლები“ მქონდა, ფრჩხილები — მოუვლელი. არა, ის კი არ იფიქროთ, რომ ბინძური

და დაუბანელი ვიყავი. უბრალოდ, საქმისგან ისე ვიყავი გადაღლილი, მხოლოდ დაბანას ვახერხებდი, თავის მოვლას კი — ვერა. ჩემი ძმა და რძალი თბილისში ცხოვრობდნენ (გაუმართლა ჩემს ძმას და ბინით უზრუნველყოფილი გოგო მოიყვანა ცოლად). მატერიალურად ცოტა გაუჭირდათ და საზღვარგარეთ გადაწყვიტეს წასვლა. მე მთხოვეს, მათ სახლში გადავსულიყავი საცხოვრებლად და ყურადღება მიმექცია. შემპირდნენ, რომ ფულს უცხოეთიდან გამომიგზავნიდნენ და არაფერს გამიჭირვებდნენ. დავთანხმდი და რა დასამალია, სიხარულით გადავედი თბილისში საცხოვრებლად. ნელ-ნელა ფორმაში ჩავდექი. მართალია, ბევრ ფულს ვერ მიგზავნიდნენ, მაგრამ 200 დოლარი სრულიად საკმარისი იყო მარტოხელა გოგოსთვის. ერთ დილით საწოლიდან ფეხები ჩამოვდგი და იატაკზე დაგდებული 100-დოლარიანი დავინახე. ჩემი ნამდვილად არ იყო, მაგრამ იატაკზე როგორ მოხვდა, ვერ გავიგე. მეორე დღეს და მომდევნო 1 კვირის მანძილზეც იგივე მეორდებოდა. პირველ სართულზე ვცხოვრობდი და მივხვდი, ვიღაც ფანჯრიდან მიგდებდა ფულს, მაგრამ ვინ იყო, იმის დადგენა გამიჭირდა. 10 დღეში 1.000 დოლარი მოვაგროვე. ეს საოცრად დიდი თანხა იყო ჩემთვის. ძალიან ბევრი რამის ყიდვა შემეძლო, მაგრამ ხელს არ ვკიდებდი. ვინახავდი და ყოველდღე ვითვლიდი. ერთ დღეს კი ტელეფონზე დამირეკა უცხო მამაკაცმა და მთხოვა, სტუმრად მოვალო. მივხვდი, ეს ის ადამიანი იყო, ვინც ასეთი უცნაური ხერხით ფულს მჩუქნიდა და უარი არ მითქვამს. აღმოჩნდა, რომ უკანა კორპუსში ცხოვრობდა. მისი აივანი ჩემი საძინებლის ფანჯრებს უყურებდა და თურმე ყოველ საღამოს მითვალთვალებდა, როდესაც ტანისამოსს ვიცვლიდი. მითხრა: შემიყვარდი და თუ თანახმა იქნები, ყველანაირად შენ გვერდით ვიქნები, შენს მფარველად მიგულეო. ცოლიანია ჩემი გულის ვარდი, ფაქტობრივად აკრძალული სიყვარულის ნაყოფს მივირთმევთ ფარულად, მაგრამ უკმაყოფილო სულაც არ ვარ. მიყვარს და ისიც თავის სიტყვას ასრულებს — მმფარველობს. თავს დედოფლად ვგრძნობ. რატომაა ცუდი ასეთი ურთიერთობა? ამაში მიუღებელს ვერაფერს ვხედავ. პატივისცემით, თამუსია“.

თემაზე და თემის გარეშე მოსული, მოკლე მესიჯები

„აკრძალულია, აბა რაა, ეს სიყვარული, რომელიც მტანჯავს. შემიყვარდა ცოლშვილიანი კაცი. არადა, მეც ქმარი მყავდა, მაგრამ ოჯახი მის გამო დავანგრიე. არ მინდოდა, ერთთან მეცხოვრა და მეორეზე მეფიქრა. მის შვილებს რა ვუყოთ? ხალხო, რჩევა მომეცით, ლუკას არ უყვარს ცოლი, მაგრამ ეს გოგო სახლიდან არ მიდის. გვიყვარს სიგიჟემდე ერთმანეთი. ამდენი დამალვა უკვე მოგვბეზრდა. ნუთუ არ შეიძლება, ბედნიერებას ვეღირსო? ძაან ნუ გამაკრიტიკებთ, ვის ცხოვრებაში დადგება ასეთი დრო, არავინ იცის. 777“.

„ვიცნობ გოგოს, 2 შვილის დედას, რომელსაც ქმრის ნათესავი უყვარს და მასთან დაძვრება. ოჯახის წევრები ეჭვობენ, მაგრამ მას კიდია. საქმე ის არის, რომ იმ ბიჭმა მოშორება მოინდომა და არაფერი გამოსდის. გადაეკიდა და სიცოცხლეს უმწარებს ეს გოგო. არ ვიცი, დაბეჭდავთ თუ არა, მაგრამ მაინც ძალიან მოკლედ გიამბეთ. მაცმაცუნა“.

„გამარჯობა. ერთ საინტერესო სიყვარულის ამბავს მოგიყვებით, რომელიც ჩემს მეგობარ ბექას გადახდა თავს. ის ძალიან რომანტიკული ბიჭია და შეყვარებული ჰყავს — თეონა. ყოველდღე აოცებდა გოგონას თავისი საქციელით — უკრეფდა ყვავილებს, მიჰყავდა კინოში, ლამაზ ლექსებს უძღვნიდა. ბექამ გადაწყვიტა, თეონას სახლის წინ ცეცხლით გული დაეხატა. ეს გული დილით თეონას დედამამამ ნახა; მერე ბექა დაიბარეს და უხეშად ელაპარაკნენ. თეონასთან მიახლოებაც კი აუკრძალეს. რაღა თქმა უნდა, თეონასაც აუკრძალეს მასთან ურთიერთობა. მას მერე ცდილობს ბექა შეხვდეს შეყვარებულს, მაგრამ დედამისი ერთი წუთითაც არ ტოვებს მარტო და შვილს ტელეფონიც კი წაართვა. ეს ყველაფერი ბექას მატერიალ-

ყურადღება! **თუ გსურთ, თქვენი მესიჯი „გზავნილებში“ დაიბეჭდოს, ტექსტი ვრცელი მესიჯით არ გამოგზავნოთ. ერთი მესიჯი (და არა — ამბავი) მხოლოდ 160 სიმბოლოს უნდა შეიცავდეს. ამიტომ, თუ ამბის მოყოლას ერთ მესიჯზე მეტი სჭირდება, გთხოვთ დაანაწევროთ და ცალ-ცალკე გამოგზავნოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენი მონათხრობი არ გამოქვეყნდება.**

ლურმა პრობლემებმა განაპირობა. არ ვიცი, რა მოხდება შემდეგ და როგორი იქნება ამ ამბის დასასრული. აუცილებლად შეგატყობინებთ. გენიოსა“.

„ჩემი თანამშრომელი შემიყვარდა, რომელიც ცოლიანია. მაგრამ ეს მაშინ გავიგე, როცა უკვე მის მიმართ გრძნობა მქონდა. ერთმანეთისთვის არ გვითქვამს, — მიყვარხარ-თქო, მაგრამ ორივემ ვიგრძენით. ხშირად მირეკავს, ჩვეულებრივად მკითხულობს, მაგრამ ორივემ ვიცით, რომ ეს მეგობრობა არაა. არ მყოფნის ძალა, დავემშვიდობო, იმას კი ვხვდები, რომ არასწორად ვიქცევი. მირჩიეთ რამე, როგორ მოვიქცე? თავს როგორ მოვერიო? იქნებ ჩემი საქციელი არც ისე კატასტროფულია? გამუდმებით თავს ვიტანჯავ ამაზე ფიქრით. JONNY'S GIRL.X.O“.

„ღამე მშვიდობისა, ჩემო კარგო მარი. ახლა თქვენი დროით 3-ის ნახევარია. ალბათ ტკბილად გძინავთ, მე კი თქვენთან საუბარი მომინდა. მოგეხსენებათ, საბერძნეთში ვარ. ჩემს ბებოს, რომელსაც ბავშვის ჭკუა აქვს, დაბადების დღეზე პატარა, ფუმფულა სათამაშო ძაღლი მოუტანეს. ძაღლს სევდიანი თვალები აქვს და თავზე — „ბანტი“. „გოგოა“. მე მას მენიქშე დავარქვი, რაც თურქულად იას ნიშნავს. ყოველთვის, როცა ძალიან მინდა ტირილი, ამ ძაღლს ვიხუტებ და ვტირი. არ მეგონა, სათამაშოს ამხელა დარდის შემსუბუქება თუ შეეძლო. როცა მგზავნელები გწერენ ერთმანეთზე და მე არავის ვახსენდები, ხანდახან მეც მაქვს ჩემი ძაღლივით ყურები ჩამოყრილი და სევდა მიპყრობს. ახლაც გვერდით „მიზის“, როგორც ცოცხალი არსება. ვერ წარმოიდგენთ, როგორ მიყვარს და ასე მგონია, მასაც ვუყვარვარ. მარი, თუ დამიბეჭდავ, ძალიან გამახარებ. ამ მესიჯს ხვალ გამოგიგზავნი. დღეს არ მინდა ძილი დაგიფრთხო. მიყვარხარ, გაფასებ, გკოცნი. მტირალა გერასიმე“. ■

მომდევნო ნომრის თემა იქნება — „უსიამოვნოდ გასახსენებელი ამბავი“. ამბები შეგიძლიათ გამოგზავნოთ მესიჯებით ტელეფონის ნომერზე: 5.77.45.68.61 ან მოგწეროთ ელფოსტაზე:
marorita77@yahoo.com

ფოტო, რომელმაც წახნეხა დაკარგა

ამ ფოტოსთვის შესაფერისი წარწერა უნდა გამოგზავნოთ ტელეფონის ნომერზე: 5.77.45.68.61

ჩემეული ვერსია ჯი ასეთია:

მოწევა კლავს!

„კომპიუტერმა ბევრი ოჯახი გააუბედურა“

„ის ჯაცი ან ჰედოფილია, ან ბავშვს „აბოლებს“...

„გზის“ №37-ში დაიბეჭდა 39 წლის ლიას მესიჯი. შეგახსენებთ, იგი გვწერდა: „არ დამცინოთ, ამ-ხელა ქალი რჩევას ჩვენ რატომ გვთხოვო? უბრალოდ, თქვენ ჩემი შვილების თანატოლები ხართ და იმედი მაქვს, რომ მიმახვედრებთ, რატომ იქცევიან ისინი ასე, ან მე როგორ უნდა მოვიქცე... ჩემი შვილი 13 წლისაა, მაგრამ უკვე გამიჩინა თავსატეხი — დღედაღამ კომპიუტერთან ზის, აღარც ჭამა ახსენდება, აღარც — სმა. ის უმცროს დას კომპიუტერთან მიკარების უფლებასაც არ აძლევს და ამის გამო, ლამის ერთმანეთს გამოსჭრან ყელი. როცა საქმე კომპიუტერს ეხება, ძალიან აგრესიულები ხდებიან, ჯიუტობენ და უკან დახევა არც ერთს არ უნდა“. ქალბატონ ლიას და მის მეუღლეს ეს ამბავი იმდენად აშფოთებს, რომ რჩევისთვის ფსიქოლოგსაც კი მიმართეს, რომელიც ჯერ ბავშვებს გაესაუბრა, მერე კი მათ მშობლებს უთხრა: რაიმეს აკრძალვას აზრი არა აქვს. ამას სჯობია, მეორე კომპიუტერიც იყიდოთ და ამ გზით, კომპიუტერისადმი მათი ინტერესი შესაძლოა, ცოტათი განელდესო. „ჩემმა ქმარმა ეს რომ გაიგონა, შეუკურთხა: მე მაგის განათლებისა რა ვთქვი, ჯერ ერთი გვიქმნის პრობლემას და ახლა, მეორეც რომ შემოვიტანო, ბავშვები სულ გამომეცლებიან ხელიდან, მათთან ლაპარაკს ვეღარ შევძლებო... ბიჭი მთელ ინტერნეტსამყაროში დაძვრება. ამას ის დადებითი მხარე აქვს, რომ ინგლისურის სწავლის ინტერესი გაუჩნდა და კომპიუტერთან ურთიერთობა უცხო ენის უკეთ ათვისებაში ეხმარება. ცდილობს, რაღაც ინფორმაციები მოიპოვოს და მერე, ყველანი გაგვაკვირვოს; აი, გოგონა კი „სკაიპში“ დაძვრება, რაღაც ჩათებში და ფორუმებშია ჩართული... ახლა სიურპრიზი მოგვიწყო — ინტერნეტით გაცნობილ ადამიანთან ფლირტაობა დაიწყო. მერე გვითხრა, რომ ვიღაცაზე იყო შეყვარებული და როცა იმ კაცის ფოტო გვიჩვენა, მე და ჩემი მეუღლე ლამის სკამიდან ავყირავდით: ის ტიპი, არც მეტი, არც — ნაკლები, 31 წლის გახლდათ, ჩემი გოგონა კი მხოლოდ 12-ისაა.

თურმე, ის ცხოველი „აბოლებდა“, რომ უყვარდა და ცოლად მოიყვანდა. ალბათ, კომპიუტერთან მჯდომი ამით თავისას ისწორებდა, ასე ერთობოდა, უაზრო თუ ერთფეროვან ცხოვრებას იხალისებდა, ნინუცა კი დამიშტერა. ჰოდა, ახლა ამ ამბით შეშფოთებული ვარ; აღარ ვიცი, როგორ მოვიქცე...“

ნევროზიანი:

„მესმის, რომ ცუდ სიტუაციაში ხართ და ამ მომენტში თქვენთვის რის თქმასაც ვაპირებ, ცეცხლზე ნავთის დასხმას უფრო ჰგავს, მაგრამ რას ვიზამთ, სიმართლე მწარეა... თქვენი გოგონა ძალიან ცუდად იქცევა. სავარაუდოდ, მას ცუდი მეგობრები ჰყავს და მათაა აყოლილი. ასეთი შემთხვევა ხშირია, მაგრამ არა — ნორმალური. სულ ტყუილად ლანძღავთ იმ ვიღაც „ცხოველს“, რადგან დამიჯერეთ, ის თქვენს გოგონას არაფერს დააძალებდა. ბოლოს და ბოლოს, ნინუცამ ხომ საკუთარი ნებით მიიღო და დაათვალიერა ფოტოსურათები. მისმა ასეთმა გართობამ შეიძლება, ძალიან ცუდი შედეგი მოგიტანოთ, თუმცა არც რაღაცის აკრძალვას აქვს აზრი, რადგან მერე უარესს გააკეთებს. საჭიროა ნორმალურ წრეში იტრიალოს, ისეთ ბავშვებთან იმეგობროს, რომლებიც ამგვარ საქციელს „პაზორად“ მიიჩნევენ. სიმართლე გითხრათ, ეს მესიჯი რომ წავიკითხე, ნინუცაზე მეც გავბრაზდი და წარმომიდგენია, თქვენი მეუღლე რა დღეში ჩავარდებოდა. სცადეთ და შვილები ეკლესიას დაუახლოვეთ, იქნებ ამან მაინც გამოიღოს შედეგი. P.S. მინდა იცოდეთ, რომ ჩვენს თაობაში ყველა თქვენი შვილისნაირი არ არის!“

შორენა:

„გამბედაობა მოიკრიბეთ და კომპიუტერს პაროლი დაადეთ, გაკვეთილების მომზადების შემდეგ კი უფლება მიეცით, ინტერნეტში მხოლოდ 1-2 საათით შევიდეს — ეს დრო სრულიად საკმარისია საიმისოდ, რომ საჭირო ინფორმაციები მოიძიოს. ისე, ძალიან ბევრი რამ თქვენი ბრალიცაა. ეტყობა, შვილის ცრემლები გულს გილობთ და იმაზე არ ფიქრობთ, რომ ასეთი საქციელით უნებურად, უფსკრულისკენ უშვებთ, მერე კი ჩვენ გვეკითხებით, — რა ვქნაო? რა და, კარგად მოჰკიდეთ ხელი შვილებს, მათ ნურაფერს დაუთმობთ. გამბედაობას გისურვებთ!“

ლუნა:

„პირველად მაშინ შეცდით, როცა არასრულწლოვან შვილებს კომპიუტერთან ჯდომის უფლება მიეცით. 12-13 წლის ბავშვები წიგნებში უნდა იყვნენ თავჩარგულნი და არა — ინტერნეტსივრცეში. მათ კომპიუტერთან მიკარებაც კი უნდა აუკრძალოთ. ჯერ კიდევ პატარები რამდენის უფლებას აძლევენ საკუთარ თავს და ასაკი რომ მოემატებათ, მერე რაღას იზამენ? P.S. ჩემმა 12 წლის შვილმა ვიღაც 31 წლის კაცზე რომ დამიწყოს ლაპარაკი, არ ვიცი, რას ვუზამ...“

ანანო:

„შვილებს უნდა დაელაპარაკოთ. აკრძალვით არაფერი გამოვა“.

რუსპირი (RED):

„39 წლის ქალისთვის რჩევის მიცემა და მისი კრიტიკის ქარცეცხლში გატარება მეუხერხულება, მაგრამ... თქვენი შვილები ჯერ კიდევ ძალიან პატარები ყოფილან, როცა მზრუნველმა მშობლებმა „ჯოჯოხეთის ყუთი“ უყიდეთ. დარწმუნებული ვარ, მაშინ გეგონათ, რომ მათ კომპიუტერი განათლების მიღებასა და ინტელექტის ამაღლებაში დაეხმარებოდა, მაგრამ იმაზე არ გიფიქრიათ, მათ ცხოვრებაში რამდენი პორნოსაიტი, შიშველი და თაღლითი ადამიანი გამოჩნდებოდა... თქვენი ვაჟის მისწრაფებები და ფიქრი — „სკოლა რად მინდა, სახლშიც მშვენივრად ვსწავლობ“ — სრულიად ლოგიკურია. 13 წლის ასაკში „კომპი“ არ მქონდა, მაგრამ მსგავსი აზრები მეც ამეკვიატებოდა ხოლმე. თქვენი მეორე შვილის საქციელი კი... მამამისის ადგილას, ერთს ისეთს ვთხლეშდი, თვალებიდან ნაპერწკლებს გადმოყრიდა. 12 წლის შვილმა რომ მითხრას, — შეყვარებული მყავსო, მისი რჩეული 31 წლის გარეწარი კი არა, სულ რომ ჯოშ ჰარტნეტი იყოს, მაინც ვერ გადამირჩებოდა. ცოტა სიმკაცრე უნდა გამოიჩინოთ. დედა ბრძანდებით

და უკეთ უნდა იცოდეთ, რა და როგორ უნდა გააკეთოთ. P.S. გამეცინა, იმ კაცზე ასეთი ტონით რომ ლაპარაკობდით. ჯობია, საკუთარ შვილს მიხედოთ!“

MMM:

„ლიას შვილები ჩემი და ჩემი დის თავს მახსენებს. 14 წლის ვარ და მეც მიყვარს ინტერნეტში ძრომიალი, მაგრამ სოციალური ქსელები, ფორუმები და SKYPE ნაკლებად მიზიდავს. მინდა ვაღიარო, რომ ის ფსიქოლოგი მართალი იყო, რადგანაც როცა ჩემს დაიკოს NOTEBOOK-ი უყიდეს, „კომპი“ ორივეს მალე მოგვწყინდა... თქვენს შემთხვევაში კი ამის გაკეთება უკვე გვიანია. გირჩევთ, შვილი გატკუცოთ და „კომპს“ საერთოდ არ მიაკაროთ. ნინუცა გიჟია? აბა, 31 წლის კაცი რამ მოაწონა? ვფიქრობ, ის კაცი ან პედოფილია, ან ბავშვს „აბოლებს“. ჰოდა, სასწრაფოდ, რაიმე ზომები უნდა მიიღოთ“.

მარია:

„მაოცებთ... თქვენი მეუღლე შესანიშნავად მოიქცა, კომპიუტერი რომ დალეწა, მაგრამ შეცდით, როდესაც მისი შეკეთება განიზრახვეთ. „კომპმა“ ბევრი ოჯახი გააუბედურა. ვიდრე გვიანი არ არის, მოაშორეთ ის თქვენი ოჯახიდან!“ ■

„სიყვარული სწავლას ხელს არ უშლის“

„გზის“ №37-ში დაიბეჭდა 17 წლის ელოს მესიჯი. იგი გვწერდა, რომ მისი შეყვარებული საზღვარგარეთ აპირებს წასვლას და გოგონას ეშინია, რომ უკან აღარ დაუბრუნდება. „მეუბნება, — შენც წამოდიო, მაგრამ ვერ წავყვები: ჯერ სკოლაც არ მაქვს დამთავრებული და თან, სწავლის გაგრძელებასაც ვაპირებ, მომავალი ჟურნალისტი გახლავართ. დარწმუნებული ვარ, რომ გავთხოვდე, მერე სწავლაზე უარი უნდა ვთქვა. მაინტერესებს, ჩემს ადგილას როგორ მოიქცეოდით? ნუთუ, სიყვარულის გამო ყველაფერი უნდა გავწიროთ?..“

„თუ უყვარხარ, დაგიბრუნდება...“

მეკო:

„არ გინდა, სწავლა საზღვარგარეთ განაგრძო? ბევრი ამაზე ოცნებობს, შენ კი განათლების მიღების ამ შანსს ხელიდან უშვებ. რატომ გგონია, რომ გათხოვების შემდეგ სწავლის გაგრძელებას ვერ შეძლებ? ამას ვინმე აგიკრძალავს? არა მგონია, შენი რჩეული ისეთი რქიანი იყოს, რომ კარიერის აწყობაში შეგიშალოს ხელი. იმედია, სწორ გადაწყვეტილებას მიიღებ და საყვარელ ადამიანს არ გაანაწყენებ“.

ნაფნაფა:

„თუ მართლა უყვარხარ და შენც გიყვარს, მაშინ სიყვარულის სახელით, ყველაფრის დათმობა უნდა შეძლო. მეც ძალიან პატარა ვიყავი, როცა გავთხოვდი და მერწმუნე, ბევრ რამეზე ვთქვი უარი...“

მარია:

„ახლა რომ გათხოვდე, ტიპურ ქართველ ქალად იქცევი და მერე საკუთარი თავის რეალიზებას ვერ შეძლებ. შენს ადგილას მე არჩევანს სწავლასა და კარიერაზე გავაკეთებდი“.

კოსტა:

„რა თქმა უნდა, შეყვარებულს საზღვარგარეთ უნდა გაჰყვე. დაფიქრდი, რა ჯობია შენთვის, კარიერის აწყობა თუ პირადი ცხოვრების მოწყობა? იცოდე, შეცდომა არ დაუშვა. სულ ტყუილად ფიქრობ, რომ გათხოვება სწავლაში შეგიშლის ხელს“.

MMM:

„მხოლოდ ამ სამ სიტყვას გეტყვი: „სწავლა, სწავლა და სწავლა!“

ნატა:

„შენს ადგილას, მას აუცილებლად გავეკიდებოდი. აბა, გინდა, უცხოელებმა „აგახიონ“? შეყვარებულს ნურავის დაუთმობ. მერწმუნე, თუ ავადმყოფურად ეჭვიანი არ არის, არა მგონია, სწავლასა და კარიერის აწყობაში შეგიშალოს ხელი. წარმატებებს გისურვებ!“

თეკუნა:

„ყველაზე უკეთ მე შემიძლია გაგიგო, რადგან ჩემი საყვარელი ადამიანიც საზღვარგარეთ მიემგზავრება და მეც ვხვდები, რომ მას ვკარგავ, მაგრამ არც იმის მიტოვება შემიძლია, რისთვისაც ამდენი წელი ვიბრძოდი — უკვე მეორე კურსის სტუდენტი ვარ და სწავლაზე ვერ ავიღებ ხელს. ამბობენ, სიყვარულის გამო ყველაფერი უნდა გაწიროო, მაგრამ თუ მას ნამდვილად ვუყვარვარ, უკან დამიბრუნდება და ისევ ერთად ვიქნებით. P.S. კარგად დაფიქრდი, ღირს თუ არა თუნდაც საყვარელი ადამიანის გამო პროფესიაზე, მომავალ კარიერაზე უარის თქმა? წარმატებებს გისურვებ!“

რუსპირი (RED):

„გიყვარს? — გაჰყევი. ეჭვი გეპარება? — დარჩი! მოკლედ, ეს ყველაფერი ძალიან მარტივია! მხოლოდ ერთს გეტყვი: სწავლა სიყვარულს და პირიქით, სიყვარული სწავლას ხელს არ უშლის. P.S. სწორედ „გზაში“ წავიკითხე ასეთი ფრაზა: „გაგზავნეთ გული საითაც გინდათ, ის უმარკოდაც პოვებს ადრესატს“. ჰოდა, დასკვნის გამოტანა შენთვის მომინდვია“.

უცნობი:

„ნაადრევად შექმნილი ოჯახი შეიძლება, ერთ დღეს თავზე დაგენგრეს, მერე კი ცხოვრების აწყობას ვეღარ შეძლებ, რადგან პროფესია არ გექნება და ვერავინ დაგასაქმებს. აი, როცა კარიერას აიწყობ, მერე შეგიძლია, ოჯახის შექმნაზეც თამამად იფიქრო. შენს ადგილას, მე აქ დავრჩებოდი, სწავლას გავაგრძელებდი და შეყვარებულს მოთმინებით დაველოდებოდი. თუ უყვარხარ, აუცილებლად დაგიბრუნდება. წარმატებები!“

ლუნა:

„შეყვარებულთან განშორება ძალიან ძნელია, მაგრამ როცა სხვა გზა არ გაქვს, ამასაც უნდა შეეგუო. ჩემო კარგო, რა გაშინებს? ჩამოვა, აბა, იქ ხომ არ დარჩება? თუ უყვარხარ, მერწმუნე, უშენოდ დიდხანს მაინც ვერ გაძლებს. აბა, შენ იცი, გკოცნი“.

მაცმაცუნა:

„გენაცვალე, გაჰყევი და მერე გააგრძელე სწავლა. არ მესმის, რატომ გგონიათ, რომ გათხოვების მერე სახლში გაგამწესებენ? ვისწავლე, დავამთავრე და გავთხოვდი, ახლა კი სულ სხვა ფაკულტეტზე ვსწავლობ“.

იაკო:

„გირჩევ, სწავლას მიხედო. მას თუ მართლა უყვარხარ, აუცილებლად დაგიბრუნდება“.

■

მობილი-ზაცია

იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილი-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.
მესიჯის ფასი 50 თეთრი

ქალები

1. ვარ 39 წლის ქალბატონი, ბინით უზრუნველყოფილი. დაოჯახების მიზნით გავიცნობ 55 წლამდე ასაკის, სერიოზულ, წესიერ და ერთგულ მამაკაცს.

2. მინდა გავიცნო მამაკაცი ოჯახის შექმნის მიზნით. გახლავართ 27 წლის, უდედმამო. მქვია ნინო. გამომეხმაურეთ, მინდა ტკბილი ოჯახი.

3. გავიცნობ 27-30 წლამდე თბილისელ ბიჭს, ფარული ურთიერთობისთვის.

მამაკაცები

4. მინდა გავიცნო 30 წლის ზემოთ ქალბატონი, რომელსაც სურს ოჯახი, ატარებს წმინდა სულს! დამირეკეთ ან დამიმესიჯეთ დღის მეორე ნახევარში! ფრიდონი.

5. რა უნდა აქ, ამ ფურცელზე შენს ლამაზ თვალებს? გული სიყვარულს ეძებს? შენ ის უკვე იპოვე, დამეკონტაქტე. დათო, 39 წლის.

6. გავიცნობ 18-დან 25 წლამდე გოგოს. ვარ 22 წლის, სიმპათიური, სპორტული აღნაგობის ბიჭი.

7. გავიცნობ თელაველ ან თელავთან ახლოს მცხოვრებ მანდილოსანს. ვარ 25 წლის. ლუკა.

8. ვარ 38 წლის, თბილისელი მამაკაცი, 185/90. სამეგობროდ გავიცნობ ლამაზ, თბილისელ მანდილოსანს, 40-50 წლამდე.

9. სამეგობროდ გავიცნობ ლამაზ, თბილისელ მანდილოსანს, 35-45 წლამდე. ვარ 39 წლის, თბილისელი მამაკაცი.

10. გავიცნობ 20-დან 25 წლამდე ასაკის მანდილოსანს სამეგობროდ და შემდეგ დრო გვიჩვენებს. ვარ 23 წლის, სამსახურით დაკავებული. ვცხოვრობ მარტო. ბექა.

11. ვარ 36 წლის, 180/73, ყოფილი მძღოლსანი, არამწეველი და არამსმელი. მაინტერესებს სექსუალური მანდილოსნები.

12. გავიცნობ 18-დან 25 წლამდე ასაკის გოგოს. ვისაც სურვილი გაქვთ, შემეხმიანეთ. ცანცარებმა თავი შეიკავეთ. საბა.

13. სამეგობროდ გავიცნობ ქუთაისელ ქალბატონს. ასაკი — 55 წელი. თომა.

14. ვარ სიმპათიური და დასაქმებული მამაკაცი, წესიერი და კარგი ბუნების, 35 წლის. გავიცნობ თბილისელ მანდილოსანს, ზრდილობიანს და სიმპათიურს, 25-დან 32 წლამდე. თუნდაც იყოს განათხოვარი.

15. ვარ 35 წლის, სიმპათიური მამაკაცი, დასაქმებული, წესიერი და ზრდილობიანი. გავიცნობ სიმპათიურ გოგონას, ოჯახის შექმნის მიზნით, 25-დან 32 წლამდე, მხოლოდ — თბილისელს.

16. ვარ 23/181/78, ახალგაზრდა მამაკაცი. ვეძებ ადამიანს, რომელიც სითბოსა და სიყვარულს მაჩუქებს. ვალში არც მე დავრჩები.

17. ვარ სიმპათიური, დედისერთა, მაღალი, მწვანეთვალება 28 წლის ბიჭი. გავიცნობ ოჯახის შესაქმნელად სიმპათიურ გოგოს, 23-28 წლამდე, მეოჯახეს, თბილისელს ან კახელს.

18. ვარ 42 წლის, თბილისელი, ბინით, სამსახურით. გავიცნობ 40 წლამდე ასაკის, სიმპათიურ მანდილოსანს, სერიოზული ურთიერთობისთვის.

19. გავიცნობ სასიამოვნო გარეგნობის მანდილოსანს. ვარ 30 წლის, დასაქმებული. გუგა.

ვეძებ

20. ვეძებ ჩემს უძველეს კლასელ-მეგობარს — საცხოვრებლად გურიიდან თბილისში გადასულ ნათია ჭოღოშვილს. იქნებ ვინმე იცნობთ? ძალიან მენატრები, ნათ! (ნონა) CRAZY GIRL.

სხვადასხვა

• პატარავ, დედას სიხარულო, როგორ ხარ? ჩემი ჭკვიანი ბიჭი ხომ ხარ, დე? იმედია, ამ დღეებში გაგახარებ... სულ მალე შენი სურვილი შესრულდება, დე, რომ მეუბნებოდი, არაფერი მინდა, მარტო ერთი სურვილი შემისრულეო. ჰოდა, იმედი, მაქვს, ამ ჟურნალს რომ ნახავ, ეგ სურვილი უკვე ასრულებული იქნება. ახლა მალე გნახავ, დე... უკვე ძალიან მალე და დაწვრილებით კიდევ მოგიყვები რაღაცებს. ღმერთი გფარავდეს. გიკოცნი მწვანე და ციმციმა თვალებს. დედა.

• ჩემო სიხარულო, როგორ ხარ? ძალიან მომენატრე. ლამისაა გავგიჟდე. საბა ძალიან ცელქია. ყველას ამახსოვრებს თავს და აყვარებს. პაემანზე მოვიყვანთ, სანამ კარგი ამინდებია. გარეთ რაც ხდება, ახალ წერილში მოგწერ. დაბადების დღეზე ელოდება, — მამიკომ პიპია უნდა მიყიდოსო და გული მტკივა, ჩვენთან რომ არ იქნები. ყველაფერს თითქოს ვეგუები, მაგრამ მიჭირს. იმედია, ყველაფერი ისე იქნება, შენ რომ გინდა

და გაგიხარდება, ამ ეტაპზე მაინც. დროებით თავს მიხედე, ჩემო სიცოცხლევ. ხომ იცი, რომ ყველაზე მეტად შენ მიყვარხარ და შენი იმედი მაქვს. შენ ხარ ჩემი ყველაფერი, რომელიც უსაზღვროდ მენატრება. ნინო.

• დათი, დედას სიხარულო, როგორ ხარ? მე ფიქრით და ოცნებით სულ შენთან ვარ. იცოდე, მარტო არ ხარ. ჩემთვის ძალიან მწარე იყო 28 აგვისტო უშენოდ. თავს გაუფრთხილდი.

• გია, ყოჩაღ, კარგად გამოიყურები, გვჯერა, რომ ამ განსაცდელს გაუძლებ. ველოდებით 4 რიცხვს, რომ ისევ ისე მხნედ განახოთ. ჩვენზე არ ინერვიულო, შენ გვაკლიხარ მხოლოდ. ირმა ექიმი.

• აკას მამა, იკა, ჩვენთან ყველაფერი კარგადაა. გთხოვ, ნუ მტანჯავ შენი ასეთი საქციელით. ძალიან გთხოვ, დამშვიდდი; რეალობა, რომელსაც ვერ ცვლი, ისეთი მიიღე, როგორიც არის. ყველაზე მთავარი შენი ჯანმრთელობაა ჩემთვის. გემუდარები, თავს გაუფრთხილდი და გამაგრდი. ყველაფერს მოვევლება. მიყვარხარ, თან — ძალიან, ძალიან. შენი თამუნა.

• თეე, საყვარელო თეე, როგორ ხარ, როგორ? როგორ დაუსრულებლად გაგრძელდა ეს საშინელება... მე კარგად ვარ, თუმცა უშენობა ძალიან მტკივა, მაგრამ ყველაფერს, შენ რომ მასწავლე, იმ სიძლიერით ვუძლებ... არასოდეს ვაგრძნობინებ ჩემს ტკივილს სანდროს... ვცდილობ და საკუთარი გამძლეობით გაკვირვებული ვარ. ამას შენთვის ვაკეთებ, მინდა, დაგხვდე ძალიან ამაყად, ჯანმრთელად, ბედნიერი ღიმილით... იმედია, ეს დღე მალე გათენდება. მთავარია ვიცოდე, რომ შენ კარგად ხარ. მე ყველაფერს გავუძლებ, ჩემო, მე არაფერი დამღლის, შენი დაბრუნების იმედი ცხოვრებას ყოველ დილით თავიდან მაწყებინებს. მე შენ მიყვარხარ, შენთან ერთად მინდა ცხოვრება, შენ ჩემი ცხოვრების ბედნიერება ხარ, თეე... ჩემთვის, შენ გამო, ჩვენი შვილისთვის... უნდა გაუძლო, არ უნდა დაიღალო, შენ ეს შეგიძლია, მალე დამთავრდება. გიკოცნი თვალებს. ბუტია.

• დათი, დედას სიხარულო, დედას ფიქრო და ოცნებავ, როგორ ხარ? შენს ხმას რომ გავიგონებ, ბედნიერი ვარ ხოლმე. შენთვის ვლოცულობთ და იმედი გვაქვს, ღმერთი შეისმენს და შეგვეწევა.

• ლაშა, აქ ჩვენ არა გვიშავს. ათენიდანაც ვიგებ, კარგად არიან. ყველას ერთი მიმართულებით გვაქვს გზა. აქედან ბევრი რამე უკეთესად ჩანს. სხვა გამოსავალი არ გვაქვს.

• მამიკო, გამიხარდა ჩემი SMS რომ წაგიკითხავს. დღე არ გავა, შენზე არ ვლაპარაკობდეთ, ხან რას არ ვიხსენებთ და ხან — რას... გვენატრები და გვიყვარხარ. შოშია.

• თეე, ყველას ძალიან ენატრები. ჩვენ კარგად ვართ, ყველაფერს აკეთებენ ჩვენი ბიჭები. მალე დამთავრდება, სიხარულო, დედიკო კარგად გყავს, მარიკუნა ვნახე, ისეთი საყვარელია... სანდრი გელოდება, მაგარი კაცია, ბედნიერი ხარ, ასეთი შვილი რომ გყავს. მენატრები ჩემო, მინდა, თუნდაც ერთი წუთით დაგინახო, დავრწმუნდე, რომ კარგად ხარ, ჩემო საყვარელო. ესეც გაივლის მალე... არ დამეღალო, მე ვამაყობ შენით და ჩვენი სიყვარულით. შენთვის, შენ გამო ყველაფერს გავუძლებ, არაფერია... სიცოცხლევ ჩემო... იმედო ჩემო, ფიქრო და დარდო, ჩემო ღიმილო და ჩემო ყველაზე ლამაზო სიყვარულო, გელოდება შენი ბუტია, გელოდება დედამიწისხელა სიყვარულთან ერთად. მალე დამიბრუნდი, უნდა გაგებუტო, ამდენ ხანს რომ არ გითქვამს ჩემთვის, მიყვარხარო. თუმცა ყოველ დილით მაღვიძებს შენი ჩურჩული — დილა მშვიდობისა, ბუტი... და მეც მაშინვე გიგზავნი უთვალავ კოცნას. შენ სულ ჩემთან ხარ, მუდამ, ყოველ წუთს, აბა შენ იცი... გიხუტებ გულში, გეფერება შენი ბუტია.

• თეე, ჩემო საყვარელო მამიკო, ჩვენ კარგად ვართ, მაა, შენ როგორ ხარ? გვეუბნებიან, კარგად არისო... მე ვსწავლობ, ბავშვები — ყველანი კარგად არიან. მოგიკითხეს.

• იკა.ხ. მე ამაღამ შენზე ფიქრში დამათენდება, დღეს გნახე, გნახე და ვერ მოგეფერე, ვერ ჩაგეხუტე, ვერ დაგიკოცნე თვალები, ტუჩები, თითები... ჩემო ყველაზე დიდო ტკივილო და ნეტარებავ, ათასჯერ წარმოვიდგენ ხოლმე შენი დაბრუნების წუთს და წინასწარ ვიცი, დამამუნჯებს ბედნიერება. აი, ახლაც შენს მაისურთან ჩახუტებული ვიძინებ, შენი სუნი აქვს შერჩენილი, ცდილობს, შენი მაგივრობა გამიწიოს, მაგრამ ამქვეყნად არაფერს და არავის შეუძლია უშენობის ტკივილი გამიყუჩოს. მე შენ მჭირდები, გაიგე? მთლიანად და დაუსრულებლად! მანდედან გამოსულს მე დაგატყვევებ და აღარასოდეს გაგიშვებ ჩემგან. შენთან ყოფნის ბედნიერებას ვეღარავინ წამართმევს მერე. ტომირანდა.

• იკა.ხ. უსაყვარლესო, უძვირფასესო, ხომ კარგად მყავხარ? ხომ უფრთხილდები თავს ჩემთვის? ვიცი, რომ ძნელია მანდ ყოფნის ატანა, მაგრამ იმაზე იფიქრე, რომ მალე დამთავრდება. მერე მართლა სამუდამოდ ერთად ვიქნებით. სულ მოგეფერები, სულ გაგიფრთხილდები, იკა. ერთმანეთს ყველა ტკივილს დავავიწყებთ. იცი, ამისი როგორ მწამს? მხოლოდ ამაზე ფიქრი მატანინებს უშენობას. იცი მაინც, რა ბედნიერები ვიქნებით? იცი, რა საოცარი ცხოვრება გვექნება? ზღაპარივით ლამაზი და მარადიული! მიხარიხარ და მიყვარხარ, იკა! ტომირანდა.

• იკა.ხ. ჩემო სიცოცხლის სიცოცხლეო, უნავსაყუდელო სანაპირო, სულში ჩამოღვრილი ხვაშიადის ზღვაო, ოკეანეე უნაპირო! ჩემო ნაადრევო ყვავილობავ, ჩემო გულდამზრალო გაზაფხულო. ჩემო სიგიჟემდე მონატრებავ, ჩემო სიყვარულის სიყვარულო, მენატრები! მენატრები! მენატრები და შეშლილი ფიქრით ვკოცნი შენს ცივ სურათს! ტომირანდა.

• ცვ212, სოსო, ნეტავ როგორ ხარ? იმედია — კარგად. ძალიან მენატრები, უშენოდ ცხოვრება ძალიან მიჭირს, ძალიან მიყვარხარ და მენატრები. ბარბარა კარგად არის. გკოცნი. ჩემზე არ იდარდო, ვუძლებ ამ ტკივილს, იმედი მაქვს, მალე სიხარულით შეიცვლება და მალე ჩვენთან იქნები, ღმერთის წყალობით. ძალიან მიყვარხარ. მარი. ყველა კითხულობს შენს ამბებს, ყველას გული შესტკივა, მაგრამ ყველაზე მეტად ხომ მე ვარ ცოდვა შენ გარეშე. შენს გოგოს, ბარბარესაც ენატრები ძალიან. მიყვარხარ.

• იკა, როგორ ხარ, დე? ძალიან მენატრები. იმედია, მალე დამთავრდება ყველაფერი. იმედი არის და ვნახოთ, წინასწარ არ გეუბნები. შენ მაგრად უნდა იყო, ყველაფერი კარგად იქნება. გკოცნი.

• იკა.ხ. მინდა, ახლა განსაკუთრებით ძლიერი იყო და მოთმინებით გადაიტანო ყველაფერი. მალე განშორების ტკივილს შეხვედრის სიხარული შეცვლის; მწუხარების ცრემლებს — ბედნიერების ცრემლები; ცარიელ დღეებს — შენით სავსე ყოველი წუთი; უძილო ღამეებს — ისევ უძილო ღამეები, ოღონდ ოცნებაში კი არა, ახდენილ ოცნებაში გათენებული. ტომირანდა.

• დათუ, როგორ ხარ? უკვე ყოველ ღამით მესიზმრები და დილით გაღვიძება აღარ მინდა, ჩემთან რომ არ ხარ. რაც დღეები გადის, მით უფრო მიჭირს უშენობა. მენატრები, მიყვარხარ. ცირა.

• ადამიანი მთელი სამყაროა, ზოგჯერ ყოველგვარ სამყაროზე უკეთესი — ამბობდა მოდილიანი. გრუზინკა, გულში ზიხარ. რუის, GREEN, ვიცი, კიდევ ბევრ შემოდგომას გაუძლებ. მარი კუსა.

• პატიმარი ვარ, მე ვერავინ მნახულობს, აქ ვერ მოდის ჩემი თბილი მშობელი, დაღონებული ცას და ღრუბლებს გავცქერი, ცრემლი მომდის თვალზე შეუშრობელი. ჰაერიც რომ ჩემთვის სანატრელია, მოსვენებას არ მაძლევენ დარდები, რა უდროოდ დამივიწყა ცხოვრებამ, პატიმარი ვიღას შევუყვარდები. ეს ზამთარიც შენზე ფიქრში გავიდა, ამ გაზაფ-

ყურადღება! გთავაზობთ სიმბოლოებს, რომლის მიხედვითაც „მობილი-ზაციისთვის“ გამოსაგზავნი მესიჯის ტექსტი უნდა აკრიბოთ. ეს განსაკუთრებულად ეხება საბერძნეთში მცხოვრებ მგზავნელებს, რადგან მათი მესიჯების გაშიფვრა ძალიან მიჭირს. მესიჯი, რომელიც ამ წესის მიხედვით არ იქნება აკრებილი, არ გამოქვეყნდება!

ა — a	მ — m	ღ — gh
ბ — b	ნ — n	ყ — y
გ — g	ო — o	შ — sh
დ — d	პ — p	ჩ — ch
ე — e	ჟ — zh	ც — c
ვ — v	რ — r	ძ — dz
ზ — z	ს — s	წ — w
თ — t	ტ — t	ჭ — wh
ი — i	უ — u	ხ — x
კ — k	ფ — f	ჯ — j
ლ — l	ქ — q	ჰ — h

ხულს გაიშლება ვარდები, მე შენს თვალებს ვერ ვივიწყებ, ლამაზო, თან დამდევენ შენი სახის ლანდები. ციხეში ვარ, ფიქრებმა დამაღონა, რა ვუყოთ, რომ დღე ვერ ვნახე მზიანი, მე ცხოვრებამ ქვა უკუღმა მომაგდო, აღარ მთვლიან როგორც ადამიანი. მეგობარი სხვა მეგობარს მონახავს, ცოლგაყრილი სხვა საცოლეს იშოვის, მაგრამ დედა თავის გაზრდილის ნაცვლად, ჩემ მაგიერ სხვას ვერავის იშოვის. გაკვირვებით რად მიყურებ, მშობელო, ნუთუ შენი შვილი ვეღარ გიცნივარ?! გეფიცები, ამ 7 წლის მანძილზე, შვილო, სახე სულ მთლად გამოგიცვლია. იმიტომ, რომ ციხის ცივმა კედლებმა, მე პატიმარს გული გადამიღალა, კარგად იცით, ოთხ კედელში ნამყოფმა ჩემმა გულმა ვერასდროს გაიხარა. ძმებო, გულს დარდით ნუ იჭკნობთ, ჭიქებს მოჰკიდეთ ხელია, გვერდით მოიდგით ხელადა, ქართული ღვინით სველია; და ადღეგრძელეთ ტუსაღი, გზა დაულოცეთ ბნელია, მშობლებს შეუშრეთ ცრემლები, არ გაახაროთ მტერია. მაისი დადგა, ხმები გაისმის, ბედმა დამჩაგრა, რა ვქნა, რა ვუყო, ხულიგნობისთვის ციხეში ვზივარ, ცხოვრება ჩემი ორად გაიყო. გთხოვ, რომ სურათი გამომიგზავნო, მე იგი მიყვარს, რადგან ჩემია, ანდა რა გზა მაქვს, რომ არ მიყვარდეს, შენგან მის მეტი რა დამრჩენია. გვერდით მოგისვამს ის ახალგაზრდა, რომელზედაც რომ შენ მე გამცვალე, ჩემი ოჯახი შენ დამინგრიე და რაც გამაჩნდა, ქარს გაატანე. ირგვლივ სიჩუმე, არსაიდან ხმა, მთელი ბუნება მიძინებულა, ზოგჯერ კი კვნესით ამოძახილით, ხშირად გაისმის ჩემი ხველება. საღამო არის მეტად ლამაზი, ხალხი ქუჩაში დასეირნობდა, მე კი თავს მედგა სულთამხუთავი, ცივ სამარეში მიპატიჟებდა. ძმებო, ნუ მოხვალთ თქვენ ჩემს საფლავზე და ნუ დაჯდებით საფლავის ქვაზე, კუბოს ფიცარი ჩანგრეულია, მიწა მეყრება ხუჭუჭა თმაზე.

• დავდივარ და ფეხი მერევაააა, ვმღერი, მაგრამ რა მემღერებაააა... დღესაც მთვრალი ხარ? ჩემო თავო, შენ გეკითხები! ეს როგორ მოხდა? მიპასუხე, ვის ეჯიბრები! შენ კი ლამაზო, ალბათ ხვალე დამესიზმრები და დეზდემონას სიყვარულში გაეჯიბრები. ხვალამდე მინდა, რომ დროებით გარდავიცვალო, ქართულ ღვინოში გავაცოცხლო ძველი მგოსნები, ვერხვის ფოთლებში ავამღერო გალაკტიონი და ჯეკ ლონდონთან მოვიწვიო ყარაჩოხლები. მაგრამ მომავალს მაინც ვერსად ვერ გავექცევი, მწველ გამოხედვას ფინალდაზად მე დავეგები, ვიცი ბახუსით მზის ჩასვლამდე რომ ავიჭრები და სასიკვდილოდ, სიყვარულით მეც დავიჭრები. იქნება ამით მაინც მეშველოოოს, რომ მოვუყვები გულის დარდებსოოო...

• გამარჯობა ყველას!!! მე ახალი ვარ „მობილი-ზაციაში“ და შესაბამისად, გავიცნობ ყველას. ხშირი მკითხველი ვარ, მაგრამ ჯერ არ მომიწერია თქვენთვის.

• ლაკვასტ, მე ლაგოდეხიდან გწერ. რატომ გიკვირს, რომ „გზავნილებიდან“ გიცნობს აქ ხალხი? მე დიდი ხანია, „გზას“ ვკითხულობ, ძალიან მომწონს შენი აზროვნება და შენი ნაწერი. ძალიან მეამაყები, რომ ერთ-ერთი საუკეთესო მგზავნელი ლაგოდეხელი ხარ. კარგი გოგო ხარ, ასე გააგრძელე.

• ვულოცავ „გზის“ მკითხველებს „გზის“ ახალი ნომრის გამოსვლას. კენტჩო.

• ცხოვრება რომ ომია, არ გესწავლება, ლაშა. სხვა გზა არ დაგვრჩენია. ბევრი ნანობს, რაც მოხდა იმას, მაგრამ სინანული ჩვენ ვერ გვიშველის. რატომ ასეო? ვიცი, რატომ.

• არტურ აკულიან, ჩემო სიხარულო, ძალიან მიყვარხარ. მიყვარხარ ძლიერ, ძლიერ, მიყვარხარ ცხადად, მალვით, როგორც არასდროს არვის არ ჰყვარებია არვინ. მეუღლე ნინო.

• ამომაგლიჯე გული მკერდიდან, მოდი თამამად! მომსკდარი სისხლით ჭიქა შეივსე, დღეს ხარ თამადა. სულ ამომიშრე თვალებში ცრემლი, მშრალად ვიტირებ... ახლა გამიხდი ფრთიანი ანგელოზი, იმის მერე, რაც მე გამიკეთე? ღმერთმა უკვე დაგსაჯა, ყველაზე გაჭირვებულ დროს. ერთობოდი და მღალატობდი. ცოცხალმკვდარი ვარ, არასოდეს გაიხარებ! რისი გაგებაც მინდოდა, გავიგე. მეფიცებოდი, არასოდეს გატკენ გულსო. გაიკასგან ბოლტისთვის.

• დიდი იარა დამიტოვა სიყვარულმა. მყავს ქმარი, შვილები, მაგრამ თ. ლაბაძეზე ფიქრი დღესაც მტანჯავს. მაია.

• ახალი ვარ, მიმიღებთ, ხომ? იმერელო.

• ჩემო კარგო მარი, კომპი ვიყიდე და ვსწავლობ. ძალიან მინდოდა, ჩემი მეგობარი ყოფილიყავი ოდნოში, მაგრამ ძალიან ბევრი მეგობარი გეყოლება და ყველა მგზავნელს ხომ ვერ დაუმეგობრდები? თან ძალიან დატვირთული ხარ, ბევრს მუშაობ. ღმერთმა წარმატებებით გატაროს. ალბათ ახლა ახალ მინირომანზე მუშაობ და მალე შემოგვთავაზებ. გერასიმე.

• უსაზღვრო სიცარიელე მაქვს გულში... აღარავინ ცხოვრობს მასში. გიმესიჯებ იმ იმედით, რომ სულ ცოტათი მაინც შემიმსუბუქდება ტკივილი, სევდა... ძველი მგზავნელი ვარ.

• თოვს, თეთრი ფიფქებით ირთვება სამყარო/ ცა ცდილობს, რომ ჩვენი ცოდვები დაფაროს.../ მინაზე მინაწერ ამ სიტყვებს გიტოვებ/ მიყვარხარ, მადლობა ღმერთს, შენ რომ გიპოვე!/ არ მინდა ცრემლებით დაგშორდეთ, ვხედებოდეთ.../ მიყვარხარ... მივდივარ... ღმერთს ებარებოდე/ თოვს...

• ღმერთო, როგორ უნიჭოდ ცდილობენ ვიღაცები ჩემს გაღიზიანებას. ჩემთვის მთავარია, რომ მარიამულს სჯერა, რომ მე ანტიფანი არ ვარ. თქვენი ნააზრევი კიდევ ჩემ ლამაზ ფეხებზე მკიდია. P.S. მარიამულ, შენ სმს-ებს სათუთად ვინახავ, მალე გნახავ და ჩაგეხუტები. ნაომი.

• დღისით მზე გზასა გვინათებს, ღამე ნათელი მთვარეო; ცა, ვარსკვლავებით გავსილი, ვცადე ვერ დავითვალეო. ღმერთო, ერთსა გთხოვ გულითა, ქართველნი გაამრავლეო. რაცა გსურს შეგისრულებენ, ოღონდ შენ დაავალეო. მზე მეფედ მიმიჩნევია, დედოფლად ნაზი მთვარეო, ვარსკვლავები კი ჩვენა ვართ, შენს კალთას შეგვაფარეო. ღმერთმა მწყემსებად გვიბოძა, სამღვდელოება უფლისა, განზე ნურავინ გადგებით, წევა ერთად სჯობს ულლისა. ილოცე ჩვენო მეუფევ, რომ შეაღონო ყველასა, ხომ იცი, დიდი ძალა აქვს ტკბილად მოუბარ ენასა. ჯვარი ჯეილებს დასწერე, მადლი ასხურე ყველასა... შალვა ბაციკაძე.

• ნეტავ თუ რამე არსებობს, შენზე ძვირფასი, ყანაო. შენთვის სიცოცხლეს გაწირავ, შენ გადაგყვები თანაო. როცა ამინდი იცვლება, სულ ვიყურები მაღლაო, ან სეტყვამ სულ არ მოგთხაროს, ან არ დაგიდგეს გვალვაო. ბევრჯერ სიამე მომგვარა, შენმა შრიალის ხმამაო, ზღვასავით ტალღა გშვენოდა, რომ დაუბერა ქარმაო. მინდა, რომ ხშირად გიყურო, სიამე იგრძნოს თვალმაო, შენი ამაყი კაცმოდგმამ, ვერასდროს დაითვალაო. შენი სახელი ხმელეთზე, იდიდოს მრავალუამსაო. ერთმანეთს ამაგს ვუფასებთ, სულ გვავიწყდება დაღლაო... შალვა ბაციკაძე.

• საინტერესოა, რუისპირი როდის გაბლუუვდება.

• გამარჯობა, მარი, როგორ ხარ? მე თათია ვარ. მინდა, ჩემს ამბავს მოგიყვე თემასთან დაკავშირებით და თან მინდა, ერთმა ადამიანმა წაიკითხოს.

• გამარჯობა, მარი, ძალიან მიყვარხარ და გმადლობ, რომ არსებობთ შენ და ჟურნალი „გზა“. ნი87.

• ძალიან მომწონს ატარექსია, სევდიანი ქალი და ქალბატონი ნანი დუმბაძე. მოკითხვა და გულთბილი სალამი თქვენ. ენიგმა როგორ არის, ვინმე მეტყვის? მაცმაცუნა.

• ერთი თვის წინ, მარიამობას, ტაძრის ეზოში ხელზე ჭიამაია დამასკუპდა. სიყვარული მაპოვნინე-მეთქი, ვთხოვე. განა ნახევარი ცხოვრება უსიყვარულოდ არ გავლიე? ჰოდა, ითხოვეთ და მოგეცემათ. მესამე დღეს სასწაული მოხდა — ერთი ნახვით შემიყვარდა. ნატვრის ხესთან წამიყვანა და მითხრა, უშენოდ სიცოცხლე არ შემიძლიაო. მას მერე კი ერთი ბარათი მივიღე — „დამივიწყე!“ და მინდა ვუთხრა — „არასოდეს!“ ღმერთმა მაჩუქა ის ერთი ლამაზი დღე, რომელმაც მთელი ჩემი ცხოვრება შეცვალა.

• ELI CRAZY GIRL, შენს მოსაზრებას ნაწილობრივ ვეთანხმები: დავიწყოთ იქიდან, რომ ბიჭი რა დონეზეც უნდა გიყვარდეთ, თუ ვერ ატყობ შენ მიმართ სიმპათიას, ჯობია გაჩუმდე და თავი არ დაიმცირო, მაგრამ არის მეორე შემთხვევა — თუ გრძნობ, რომ უყვარხარ და ვერ გიბედავს, გადადგი პირველი ნაბიჯი და არ ინანებ; მესამე კი — თუ შენც გიყვარს, უპასუხე და მიეცი თავს უფლება, ბედნიერი იყო. ასე რომ, ჩემო კარგო, ნაადრევ დასკვნებს ნუ გამოიტან. წარმატებები... ბუცა.

• ლიზი123, არ ვეთანხმები შენს მოსაზრებას სიყვარულზე. ტკივილი და ცრემლი არის, მაგრამ სულ — არა. თუ ნამდვილი სიყვარულია, ბედნიერება იმარჯვებს სულ. ულამაზეს სიყვარულსა და დიდ ბედნიერებას გისურვებ, გული არ გაიტეხო. წარმატებები. ბუცა.

• საღამო მშვიდობისა, მარიამულ. ღვთისმშობლობას გილოცავ! წმ. მარიამის კალთა გფარავდეს მუდამ! ახლახან გა-

მახარეს ძალიან, ჩემს დეიდაშვილს პატარა შეეძინა! CRAZY GIRL.

• მარ, ძაღლისგან დაკბენილი კაცი ალბათ ყველას გვინახავს, მაგრამ კაცისგან დაკბენილი ძაღლი? ჰო, წუხელ ცოფის საწინააღმდეგო ნემსს ეძებდნენ, ძაღლისთვის! საწყალიიი! CRAZY GIRL.

• პირველ რიგში, უკვე ღამე მშვიდობისა, მარი ჯაფარიძევ. მეორეც, გრუზინკასთან მაქვს სიტყვა: ნაომი და მარია არანაირად არაა ერთი და იგივე პიროვნება და არ დამაბრუნო ისევ!

• შენს ტუჩებზე სიტკბო დაქრის შარბათის, ჩემო, ჩემგან დაგიძველდა ვარდები. ხვალ ძვირფასო, უკვე არის შაბათი... დღეკანდელზე მეტად ხვალ მეყვარები. ა, ამის ავტორი — მე.

• ვარსკვლავებს არასდროს გავცნობივარ. მიწაზე ვდგავარ სხეულით, რომელიც მცენარის ღეროსავით ქარით, მზითა და წყლით საზრდოობს, რათა იხაროს. სურვილით მსხმოიარე მიწაზე ვდგავარ, რომ ვარსკვლავებმა მაქონ და ნიავმა მომიალერსოს... ჩემი სარკმლიდან ვიყურები... უკვდავი არ ვარ და ერთი სიმღერის გამოძახილის გარდა არაფერს ვეძიებ სასიამოვნო გოდებაში, რომელიც მწუხარების უტყვ მდუმარებაზე წმინდაა... თავშესაფარს არ ვეძებ სხეულში, რომელიც დაცვარულია ჩემი ტანის თეთრ შროშანზე... ქოხის კედელზე, რომელიც ჩემი ცხოვრებაა, გამვლელებს სამახსოვროდ მოგონებები ჩამოუკიდებიათ — დაჭრილი გული, წაქცეული სანთელი, ჭკუაზე შეშლილი, ერთმანეთში არეული სიტყვების მკრთალი და უტყვი ლაქები... ყოველი ბაგე, რომელიც ჩემს ბაგეს შეეხო, უნაყოფო ვარსკვლავად იქცა ჩემს ღამეში, რომელიც ამ მოგონებათა დინებას შეერთო...

• ასეთი შეგრძნება არასდროს მქონია, შეყვარებული დიდი ხანია ვარ, მაგრამ ეს რამდენიმე დღეა, გული სხვანაირად აჩქარდა, ღმერთი მფარველობს ჩვენს სიყვარულს, თითქოს უფრო გავძლიერდით, მტრის შურიან შემოტევებს ღვთის წყალობით ვიგერიებთ. ენით ვერ აღვწერ, თუ რა ბედნიერებაა სიყვარული, ადამიანი, რომელიც ყოველ წამსა და წუთს გილამაზებს. მერე რა, რომ ბრძოლა გვიწევს, ჩვენ ხომ ერთად ვართ, ის ხომ ჩემია და მე — მისი, ის ხომ ერთადერთია, უდიდესი ბედნიერება და ძალაა. მაცოცხლებს, მაძლებინებს. ბევრი რამ ვისწავლეთ ერთად, აღარ გავახარებთ მტერს, უფლის გზაზე ვივლით და გავძლიერდებით, სულ ასე ძლიერად გვეყვარება ერთმანეთი. კი, მე მჯერა, რომ ასე იქნება, მე ყოველთვის ვიტყვი, რომ მე მან გამაცოცხლა და გამაბედნიერა. დღეს რატომ, ასე განსაკუთრებულად? იმიტომ, რომ გავძლიერდი და ბოროტს შევებრძოლე და კეთილი გავახარე. მე ბედნიერი ვარ. ბევრს არ დაავიწყდება, ყველგან მოჰყვებიან ჩვენზე. ღმერთო, დაიფარე სამუდამოდ ჩვენი სიყვარული და მოგვეცი ძალა, რათა შენს გზაზე ვიაროთ, დიდება შენდა, ამინ. ყველამ გაიგოს და იცოდეს, რომ ჩვენ ვერ მოგვერევა ვერანაირი ბოროტი, იმიტომ, რომ ჩვენი სიყვარული წმინდა და ძლიერია. P.S. მე შენ სიცოცხლეზე მეტად მიყვარხარ და სულ მეყვარები ცოცხალსაც და მკვდარსაც. P.S.S. ჩვენ შევძლებთ, ერთმანეთს დანაპირები შევუსრულოთ. ბუცა.

• გრუზინკა, ჩემო კეთილო ადამიანო, ერთს გეტყვი: დაიკიდე და გაატარე ყველა ბოროტი და ცუდი ადამიანი და მისი აზრ-შეხედულებები, შენ და შენმა საყვარელმა ადამიანებმა ხომ იცით, შენ ვინ ხარ, შენ შენი კეთილი და ლამაზი გულით განაგრძე ცხოვრება, გააკეთე კარგი მთელი გულით და არა იმიტომ, რომ უკან დაგიბრუნდეს. ვინც ბოროტია, ის ისედაც საცოდავია, საწყალი, იმიტომ, რომ არ უყვართ და არც უყვარს, ბედნიერი ხარ იმიტომ, რომ გიყვარს და უყვარხარ, ფული და სილამაზე არაფერია, დამიჯერე, გული და სინდისი უფრო მეტია. იყავი ისეთი, როგორიც ხარ. უფალი არ მიგატოვებს იმიტომ, რომ შენ კარგი ხარ. გაატარე ცუდი, დაიმახსოვრე კარგი და უპასუხე კარგითვე. ბუცა.

• ზაფხული უამრავი რამის — შვებულებების, დასვენების, ლამაზი დღეების, მოწმენდილი ცისა და მცხუნვარე მზის გამო მხიბლავს. მე მზისა და ზაფხულის თაყვანისმცემელი ვარ და გარწმუნებთ, თითქმის ყველანაირ ბედნიერებას იტევს ზაფხული. როცა ყველაზე გულცივი საყინულეც კი გაგრძნობინებს, რომ ზაფხულია, მასში შეწყობილი ნაყინებით. ყველაზე ბედნიერი დღეები — როცა დღე-ღამის განმავლობაში 18 საათი დღეა და მხოლოდ 6 საათი ბნელა, ისიც იმისთვის, რომ იდუმალ ვარსკვლავებს უყურო. ყველაზე მშვენიერი ფერი — მზემოკიდებული კანისა და მზეზე აელვარებული საპნის ბუშტებისაა.

• ბუზმა ლომი გაიწვია/ საჭიდაო მოედანზე/ გაეცინა ლომს, შეხედა/ და თავისთვის მიწვა განზე/ მაგრამ ბუზი არ მოეშვა/ ტრიალებდა როგორც ჯარა/ ხან აქ ეცა, ხან იქ ეცა/ პაწაწინა მეტიჩარა/ თუ გულს ეერჩის, გამობრძანდი/ ამ მოედნის პირასაო/ ქამანდებს რომ ზედ მოგაყრი/ გადაგიყვან ყირასაო!/ გაუკვირდა ლომს და ბრძანა/ — რა თავს იგდებს სულელიო/ ცოდვას აუტროვებია/ სიკვდილისა მსურველიო/ მიუბრუნდა, შეუტია/ მაგრამ ბუზმა არ აცალა/ უცბად ცხვირში შეუფრინდა/ შეუძვრა და მიიმალა/ და ჩხიკინი რომ დაუწყო/ დამშვიდებით ნელა-ნელა/ ლომს მით თავბრუ დაახვია/ და თვალები დაუბნელა!/ აღრიალდა ლომი სიმწრით/ ხან ხტოდა და ხან გორავდა/ ბუზი მაინც ვერ გადევნა/ ყველა ცხვირ-პირს იტორავდა/ დაიქანცა, დაიღალა/ სიმწრით მისი დაემართა/ ბოლოს გული შეუწუხდა/ და მიწაზე გაიშხლართა/ გამოფრინდა მაშინ ბუზი/ და ლომი რომ ასე ნახა/ მე გახლავართ ფალავანი!/ სიამაყით დაიძახა/ და გაფრინდა ამპარტავნად/ მოინდომა თავის ქება/ მაგრამ გზაში ქსელი დახვდა/ და უეცრად შიგ გაება/ გაექანა ობობია/ დაიჭირა ცოდვის შვილი/ და მაშინ კი სხვა კილოზე/ მორთო ბუზმა იქ ბზუილი. ნანი დუმბაძე.

• დიდი სითბოთი და სიყვარულით მოგიკითხავ, სევდიანო ქალო. პირველ რიგში, როგორ ხარ? იმედია, კარგად ხარ და კარგადაც გამყოფოს ბუნების ძალამ და მაღალმა ღმერთმა. ნამდვილად კარგი გულის ადამიანი ხარ და იმედი მაქვს, რომ უერთგულესი მეგობრები გავხდებით და მერე მომავალი გვიჩვენებს, შენთვის პატიმართან ურთიერთობა მისაღებია თუ არა. კარგი იქნება, თუ მარის დაურეკავ, ჩემს კოორდინატებს გამოართმევ და შენი ტელეფონის ნომერს დაუტოვებ. ჩემს კოორდინატებს რომ გაიგებ, მომწერე და მეც გიპასუხებ გულახდილად. დროებით გემშვიდობები. გისურვებ ყველაფერ კარგს და საოცარს. გკოცნი გულში. პატ. და დიდი სითბოთი, ნუგო30.

• ეძღვნება სევდიან ქალს: როცა გიტარას ავიღებ ხელში, და შენზე ფიქრებში სიმღერას ვიწყებ/ შენ მახსენდები, როცა მარტო ვარ/ და გულს ვაყოლებ გიტარის სიმებს/ შენზე დავუკრავ ყველა სიმღერას/ და შენ მოგიძღვნი, რაც მიმღერია/ შენ მაპოვნინე ის სიყვარული/ ოდესმე სადმე თუ მიძებნია/ შენით დავიწყებ და დავამთავრებ, რაც მიმღერია ჩემთვის/ მე შენთვის დავწერ ყველა სიმღერას/ ძვირფასო, ყველას შენთვის/ პატ. ნუგო30.



მიღოცავ!

• ჩემს გოგონას, ნათია ზუბაშვილს ვულოცავთ დაბადების დღეს (4 ოქტომბერს). ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და სურვილების 100%-ით ასრულებას. მშობლები.

• ალეკო კეჭაყმაძეს ვულოცავ ღვთისმშობლის შობის დღესასწაულს. მისი კალთა გფარავდეს მუდამ. გჯეროდეს, ყველაფერი კარგად იქნება! ილოცე, მამიდა! ყველაზე დიდი ძალა ლოცვას აქვს.

• 15-ში და 28-ში ჩვენს მონატრებულ, პატარა მგზავნელებს, კამ-კამასა და აბეზარას ვულოცავ იუბილეს! ღმერთი გფარავდეთ და დიდი წარმატებებიიი! CRAZY GIRL.

„მობილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა Guli გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გიიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში აკრიბეთ: Guli 18-10 და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასი: 50 თეთრი.

ტაიმ-აუტი

რად გინდა ფეხბურთი, თუ სტადიონი არა გაქვს?..

ბოგი ფრანგიშვილი

1976 წელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში გამორჩეული აღმოჩნდა. ჯერ იყო და, საკმაოდ ხანგრძლივი შესვენების შემდეგ თბილისის „დინამოელებმა“ ახალი მწვრთნელის, ნოდარ ახალკაცის ხელმძღვანელობით საბჭოთა კავშირის საგაზაფხულო ჩემპიონატში ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს. შემდეგ, როგორც იქნა, საკავშირო თასსაც დაეუფლნენ, 26 სექტემბერს კი თბილისის „დინამოს“ სტადიონი გაიხსნა...

მაშინ თელავში ვმუშაობდი, ფეხბურთი სხვაზე ნაკლებად როდი მიყვარს და, რა თქმა უნდა, წინადღეს თბილისში წამოვედი. ტაქსის მძღოლმა გომბორის უღელტეხილით წამომიყვანა — ასე ჯობიაო. გზა კი გვარიანად შელანძღული იყო, მაგრამ არ მინანია. მძღოლი მადლიანი კაცი აღმოჩნდა. როცა გაიგო, იმ მხარეში პირველად ვიყავი, მანქანა უღელტეხილზე გააჩერა, — ნახე, რა სილამაზეაო! შემოდგომის ფერებში აჭრელებული ბუნება მართლაც საოცარი იყო. თბილისთან გომბორის გადასახვევს რომ მივუახლოვდით, გვეგონა, კახეთის გზატკეცილზე უკვე სწრაფად ვივლიდით, მაგრამ ნურას უკაცრავად! ტრასა სავსე იყო მანქანებით, ყველა თბილისისკენ მოემგზავრებოდა. არადა, შაბათი იყო და პირიქით უნდა ყოფილიყო. თუმცა „დინამოს“ ახალი სტადიონის ნახვა ათასობით გულშემატკივარს უნდოდა.

ფეხბურთი და სტადიონი პირადად ჩემთვის დღემდე ამოუცნობი ფენომენია. მარტო ბურთი რად ღირს? აიდგამს თუ არა ფეხს ბავშვი — ბიჭიც და გოგოც ბურთს აგორებს. ხოლო თუ ბურთს ისეთი ოსტატები აგორებენ, როგორებიც იყვნენ: ბორის პაიჭაძე, გაიოზ ჯეჯელავა, მიხეილ მესხი და დავით ყიფიანი, ეს ხომ ნამდვილი სპექტაკლია! რად გინდა სტადიონი, თუ ამ და მათი დარი ვირტუოზების თამაში არ ნახე და რად გინდა ფეხბურთი, თუ სტადიონი არ გაქვს? მაგრამ საუკუნის წინ, როდესაც თბილისში ფეხბურთის თამაში დაიწყეს, სტადიონი არ ჰქონიათ, დიდუბის იპოდრომზე თამაშობდნენ. იპოდრომი, მოგეხსენებათ, დოღისა და ჯირითისთვისაა განკუთვნილი და ფეხბურთის სათამაშოდ ყოველთვის არ იყო თავისუფალი. ამიტომაც სატანვარჯიშო საზოგადოება „სოკოლმა“, რომელმაც ჩვენს დედაქალაქში 1911 წელს პირველმა შექმნა გუნდი — „სოკოლი,“ თხოვნით მიმართა კაპიტალისტ ა. ფრიდონოვს, მათთვის დაეთმო ელიზავეტას ქუჩაზე მდებარე უკაცრიელი მინდორი (ეს ადგილი ჩვენთვის „დეზერტირების“ ბაზრის სახელწოდებით არის ცნობილი). იმ პერიოდის გაზეთი — „კავკაზი“ წერდა: „უახლოეს დროში თბილისის ტანვარჯიშის საზოგადოება „სოკოლს“ ფეხბურთის სათამაშო პლაცი თბილისის დოღის საზოგადოების კუთვნილი იპოდრომიდან გადაა-

„დინამოს“ სტადიონის მშენებლობა საბოლოოდ, 1937 წელს დასრულდა და მას საბჭოთა კავშირის შს სახალხო კომისრის, ლავრენტი ბერიას სახელი უწოდეს

აქვს ტრიალ მინდორზე, რომელიც ელიზავეტას ქუჩაზე მდებარეობს. იგი თავაზიანად, უსასყიდლოდ დაუთმო საზოგადოებას კაპიტალისტმა ა. ფრიდონოვმა. კარგი იქნება, თუ თბილისში სპორტის განვითარების საქმეში სხვებიც ასეთივე თავაზიანობასა და ყურადღებას გამოიჩენენ“.

სიტყვა „სტადიონი“ ანტიკური პერიოდის საბერძნეთიდან მოდის. იქ უძველეს დროში ოლიმპიურ თამაშებში შეჯიბრებები იმართებოდა მხოლოდ ერთ და ორ „სტადიაზე“ სირბილში. გადმოცემის თანახმად, ერთი „სტადია“ მითური გმირის — ჰერაკლეს 600 ტერფის ნაბიჯს ანუ 192,27 მეტრს უდრის, ხოლო იმ ადგილს, სადაც ერთ „სტადიაზე“ ასპარეზობები იმართებოდა, მოგვიანებით „სტადიონი“ უწოდეს. შემდგომში, როდესაც ფეხბურთი პოპულარული გახდა, იგი ასეთი ტრიალი მინდვრიდან და ქუჩებიდან თანამედროვე სტადიონებზე გადაიტანეს.

თბილისის ამ პირველ საფეხბურთო მოედანს სტადიონი ჯერ კიდევ არ ეთქმოდა, ტრიბუნები არ ჰქონდა, მაგრამ იმავე 1911 წლის შემოდგომაზე, პირველი საჯარო მატჩი მაინც გაიმართა თბილისის გუნდებს — „სოკოლსა“ და „რაკეტას“ შორის, რომელიც ანგარიშით 1:0 „სოკოლმა“ მოიგო. მაყურებლები თავიდან კი ეჭვის თვალით უყურებდნენ მატჩს, მაგრამ საბოლოოდ მაინც კმაყოფილები დარჩნენ.

მომდევნო წელს თბილისში პირველი საერთაშორისო შეხვედრაც გაიმართა. „სოკოლი“ ინგლისელების გუნდს ეთამაშა. მართალია, მატჩი 5:4 სტუმრებმა მოიგეს, მაგრამ მათ დიდი უპირატესობა არ ჰქონდათ. შემდგომში ფეხბურთი თანდათან იკრებდა ძალას და ჩვენს დედაქალაქში მრავალი გუნდიც შეიქმნა. საქართველოს „გასაბჭოების“ შემდეგ კი ლენინის სახელობის პირველი სტადიონიც გაჩნდა. იგი ნინოშვილის ქუჩაზე მდებარეობდა, ოღონდ ტრიბუნები არც მას ჰქონდა, ხოლო წვიმიანი ამინდის დროს მოედანი მთლიანად ატალახებული იყო.

1925 წელს ქართულ ფეხბურთში მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა — შეიქმნა თბილისის „დინამო“. იმხანად თბილისში ყველაზე ძლიერი გ. ქავთარაძისა და წითელი არმიისა და ფლოტის გუნდები იყო. მათი გაერთიანებით კი ჩვენი „დინამო“ ჩამოყალიბდა. იგი ყველაზე ძლიერი იყო დედაქალაქში და მისთვის საკუთარი სტადიონის აშენების საკითხიც დადგა. 1926 წელს თბილისის ქვეითი ჯარის შენობის წინ, კინოთეატრ „ოქტომბრის“ მიმდებარე ტერიტორიაზე დაიწყეს კიდეც მშენებლობა. საფეხბურთო მოედნის გარდა პროექტი კალათბურთისა და ჩოგბურთის მოედნების, აგრეთვე, სარბენი ბილიკების მოწყობასა და მაყურებლებისთვის ტრიბუნებს ითვალისწინებდა. მომდევნო წლის 7 ნოემბერს, ოქტომბრის რევოლუციის 10 წლისთავის აღსანიშნავად, „დინამოს“ პირველი სტადიონი უკვე მზად იყო. მაგრამ მალე ფეხბურთი და „დინამო“ იმდენად პოპულარული გახდა, რომ გადაწყდა, ახალი სტადიონი მრავალათასიანი ტრიბუნებითა და საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების გათვალისწინებით აეშენებინათ.

შეტევაშია ლეგენდარული ბორის პაიჭაძე

1932 წელს სტადიონის პროექტზე კონკურსი გამოცხადდა და შესაფერისი ტერიტორიის შერჩევაც დაიწყეს. სტადიონი მრავალ მოთხოვნას უნდა აკმაყოფილებდეს. მნიშვნელობა აქვს მის ადგილმდებარეობას (მისადგომად მოხერხებული უნდა იყოს), გათვალისწინებული უნდა იყოს ტრიბუნების უსაფრთხო შევსება და დაცლა, ტრიბუნების ქვეშ სავარჯიშო დარბაზებისა და სხვადასხვა სათავსის განლაგება; სასურველია ჰქონდეს სათადარიგო მოედანი. რა თქმა უნდა, სტადიონი ლამაზი უნდა იყოს შიგნიდანაც და გარედანაც. ერთი სიტყვით, დამპროექტებლებმა და ინჟინერ-კონსტრუქტორებმა უამრავი დეტალი უნდა გაითვალისწინონ. ბოლოს და ბოლოს, საქმე ეხება ქალაქის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაგებობის აშენებას, რომელმაც ათწლეულებს უნდა გაუძლოს. ასეთი სპორტული ობიექტის მშენებლობის გამოცდილება კი იმხანად საქართველოში არავის ჰქონდა. „დინამოს“ სტადიონამდე თბილისში უკვე კი არსებობდა ველოტრეკი (კამოს ქუჩაზე 1886 წლიდან), მაგრამ ის აბსოლუტურად განსხვავდება სტადიონისაგან.

კონკურსში ახალგაზრდა არქიტექტორის — არჩილ ქურდიანის პროექტმა გაიმარჯვა. მან შეისწავლა მოსკოვის, ლენინგრადისა და ხარკოვის სტადიონები, გაითვალისწინა ყოველივე და შექმნა ახალი ქართული არქიტექტურის შესანიშნავი ნიმუში. სპორტულ-ტექნიკურად და კონსტრუქციულად ეს იყო სრულიად განსხვავებული გადაწყვეტა. პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ სტადიონი ლამაზი გამოვიდა. აღმოსავლეთისა და დასავლეთის ტრიბუნები სამიარუსიანი იყო, ხოლო ჩრდილოეთისა და სამხრეთის — ორ-ორიარუსიანი.

არქიტექტორ ქურდიანების დინასტია

ტრიბუნები 23000 მაყურებელს იტევდა, მათ ქვეშ სპორტული დარბაზები მოეწყო. სათამაშო მინდვრის სიგრძე-სიგანე 110X72 მ იყო. ჰქონდა სათადარიგო მოედანიც. სტადიონი აშენდა დიდუბეში, მუშთაიდის გვერდით, იქ, სადაც ადრე აბრეშუმის ტექნიკუმის საცდელი მეურნეობა იყო განთავსებული. მშენებლობა 1933 წელს დაიწყო და ძირითადად, 1935-ში დასრულდა.

ამასობაში მოახლოვდა 1936 წელი — როდესაც საკავშირო სპორტკომიტეტის გადაწყვეტილებით, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატების ჩატარება გადაწყდა. საგაზაფხულო ტურნირში თბილისის „დინამოელებმა“ „ბ“ კლასში პირველი ადგილი დაიკავეს და „ა“ კლასში თამაშის უფლება მოიპოვეს. უმაღლეს ლიგაში პირველ მატჩში ქართულმა კლუბმა კიეველ თანაკლუბელებს უმასპინძლა და იგი ფრედ — 2:2 დამთავრდა; საბოლოოდ, ჩემპიონატში „დინამოელებმა“ მესამე ადგილი დაიკავეს. ჩვენი გუნდის პირველი მწვრთნელი — ფრანგი სპეციალისტი ჟიულ ლიმბეკი იყო, რომელიც საკუთარი სურვილით ჩამოვიდა მოსკოვიდან. იმხანად გუნდის კაპიტანი — შოთა შავგულიძე იყო, ხოლო ბომბარდირად ბორის პაიჭაძე მოგვევლინა: ჩემპიონატის 7 მატჩში მან 6 გოლი გაიტანა. „დინამოელები“ საბჭოთა კავშირის თასის გათამაშების ფინალშიც გავიდნენ, მაგრამ მოსკოვის „ლოკომოტივთან“ 0:2 წააგეს.

„დინამოს“ სტადიონის მშენებ-

ლობა საბოლოოდ, 1937 წელს დასრულდა და მას საბჭოთა კავშირის შს სახალხო კომისრის, ლავრენტი ბერიას სახელი უწოდეს.

პირვანდელი სახით „დინამოს“ სტადიონმა თითქმის 3 ათეული წელი იარსება, 1963 წელს კი ჩრდილოეთ ტრიბუნებს კიდევ ერთი დაემატა და სტადიონზე დასაჯდომი სკამების რაოდენობა 36000-მდე გაიზარდა, ხოლო 1967 წელს მისი გენერალური რეკონსტრუქცია დაიწყო. ეს გამოიწვია დედაქალაქის მოსახლეობის ზრდამ და ჩვენი ფეხბურთელების წარმატებებმა. საკავშირო ჩემპიონატებში ისინი ხშირად პრიზიორები იყვნენ, 1964 წელს კი ოქროს მედლებიც მოიპოვეს.

სტადიონის ბოლო რეკონსტრუქცია 2006 წელს ჩატარდა

რეკონსტრუქციის პროექტი არჩილ ქურდიანს, მის შვილს — გიასა და კონსტრუქტორ შალვა გაზაშვილს დაევალათ. ქურდიანებისათვის ეს მძიმე ტვირთი იყო, რადგან ეროვნული ხუროთმოძღვრების ელემენტებით დამშვენებული, არჩილ ქურდიანის მიერვე აგებული სტადიონი, თავადვე თითქმის მთლიანად უნდა დაენგრია. მაგრამ პროექტის ავტორებმა მაინც მოახერხეს ნაგებობის გარკვეული ნაწილის შენარჩუნება. იმ პერიოდში კალათბურთის სექციაზე დავდიოდი და ჩვენი დარბაზი პრაქტიკულად ხელუხლებელი დარჩა. იქვე იყო კრივის, ძალოსნობისა და სხვა დარბაზები. აი, მეორე იარუსი კი მთლიანად შეიცვალა. იგი რკინაბეტონის ხიმინჯებს ეყრდნობა. მეორე იარუსი 30 მეტრზეა გადახურული და 50000 მაყურებელს იცავს წვიმისგან. ტრიბუნები 75000 მაყურებლისთვის იყო გათვალისწინებული. განახლდა მწვანე მინდორი. მისი ზომები, კი თითქმის უცვლელი დარჩა 105X70 მ. საბოლოოდ, ჩვენი სტადიონი მეხიკოს „აცტეკას“ მსგავსი გამოვიდა, ოღონდ ის 100000-ზე მეტ მაყურებელს იტევს.

რეკონსტრუქციის პერიოდში „დინამოელები“ თავიანთ მატჩებს „ლოკომოტივის“ სტადიონზე ატარებდნენ. სწორედ აქედან გააცილეს დიდი ფეხბურთიდან: ვლადიმერ ბარქაია, ილია დათუნაშვილი, მიხეილ მესხი; აქვე დაიწყეს „დინამოს“ შემადგენლობაში თამაში — გივი ნოდიამ, სერგო კუტივაძემ, მანუჩარ მაჩაიძემ, დავით ყიფიანმა. სტადიონის მშენებლობა იმდენად გაიწელა, რომ თაობები შეიცვალა. რეკონსტრუქციის პროექტის პირველი ვარიანტი მთლიანად ინარჩუნებდა ძველი სტადიონის არქიტექტურას, თუმცა ბევრ სიახლესაც ითვალისწინებდა. თავდაპირველად უნდა აშენებულიყო 100-ათასიანი სტადიონი, მაგრამ მოსკოვს არ მოეწონა, რომ „ლუჟნიკის“ მსგავსი ტევადობის არენა თბილისშიც იქნებოდა და არქიტექტორებიც იძულებული გახდნენ, დასაჯდომი სკამების რაოდენობა 75000-მდე შეემცირებინათ. მათ და მშენებელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ საბოლოოდ, ლამაზი სტადიონი მივიღეთ. ერთი საინტერესო დეტალიც: სტადიონი ჯერ კიდევ არ იყო მწყობრში ჩამდგარი, რომ მას ლენინის სახელი მიენიჭა.

თბილისის „დინამოს“ სტადიონი საზეიმოდ გაიხსნა 1976 წლის 26 სექტემბერს. 80000 გულშემატკივარი ფეხზე ამდგარი ტაშს უკრავდა არქიტექტორებსაც, მშენებლებსაც და ჩვენს ფეხბურთელებსაც, რომლებმაც საბჭოთა კავშირის თასით ხელში, საპატიო წრე შემოარტყეს მოედანს, ხოლო ლეგენდარულმა ფეხბურთელმა — ბორის პაიჭაძემ სტადიონის სიმბოლური გასაღები ჩაიბარა.

პირველი მატჩი თბილისის „დინამოელებმა“ რეკონსტრუირებულ არენაზე რამდენიმე დღეში, 29 სექტემბერს ითამაშეს. თასების მფლობელთა თასზე მათ უელსის „კარდიფ სიტის“ უმასპინძლეს და დიდი ანგარიშითაც — 3:0 გაიმარჯვეს. პირველი გოლი ვლადიმერ გუცაევმა გაიტანა. მანვე გაიტანა პირველი გოლი ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაშიც, ინგლისის „ლივერპულთან“. 1979 წლის იმ დაუვიწყარ მატჩს, თავსხმა წვიმაში გულშემატკივართა რეკორდული რაოდენობა — 110000 მაყურებელი ესწრებოდა; „დინამოელებმა“ კი ის მატჩიც 3:0 მოიგეს. ასევე დაუვიწყარია 1981 წლის 13 მაისის ღამე, როდესაც მთელი თბილისი სწორედ ჩვენს სტადიონზე ერთად ზეიმობდა „დინამოს“ ყველაზე დიდ გამარჯვებას — ევროპის ქვეყნების თასების თასის მოპოვებას.

1990 წლიდან, როგორც იცით, დამოუკიდებელი საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ეროვნულ ჩემპიონატებს ატარებს და ჩვენს სტადიონსაც „ეროვნული სტადიონი“ ჰქვია; ხოლო 1995 წლიდან მას ბორის პაიჭაძის სახელი მიენიჭა. სტადიონის ბოლო რეკონსტრუქცია 2006 წელს ჩატარდა. კვლავ შეიცვალა მოედნის საფარი, განახლდა ტრიბუნები, დამონტაჟდა 56500 ინდივიდუალური სკამი, მათ შორის, 5700-ზე მეტი — VIP-ლოჟებში. შეიცვალა ტაბლოც, ხოლო განათება 1600 ლუქსამდე გაიზარდა. განახლდა გასახდელები, საშხაპეები, საპრესკონფერენციო დარბაზი, მსაჯთა ოთახი. 2006 წლის 2 სექტემბერს სტადიონი გაიხსნა, ხოლო თვის ბოლოს საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის პირველ მატჩში საფრანგეთის ნაკრებს უმასპინძლა. მატჩი ამჯერადაც 3:0 დასრულდა, მაგრამ სამწუხაროდ — ფრანგების სასარგებლოდ. ევროპის ჩემპიონატის ახლანდელი შესარჩევი ციკლიც კვლავ უხეიროდ მთავრდება ჩვენთვის.

საკავშირო ჩემპიონატებში თბილისის „დინამოს“ მატჩებს საშუალოდ, 40-50 ათასი გულშემატკივარი ესწრებოდა — ეს ბევრად აღემატებოდა მოსკოვის წამყვანი კლუბების თამაშებზე დამსწრეთა რაოდენობას; ხოლო საერთაშორისო შეხვედრებზე გადამყიდველები ბილეთებს 100-120 მანეთად ყიდდნენ. დამოუკიდებელი საქართველოს სპორტსმენებმა — მოჭიდავეებმა თუ ძიუდოისტებმა, ძალოსნებმა, მოკრივეებმა ბოლო ოცწლეულში ბევრჯერ გაგვახარეს; აგერ ახლა, კალათბურთელთა ეროვნული ნაკრები ევროპის 12 საუკეთესო გუნდს შორის მოხვდა. ფეხბურთი კი... რად გინდა სტადიონი, თუ ფეხბურთი არა გაქვს?.. სტადიონი მაინც გვაქვს, თანაც — დიდებული!

■

სად ისვენებდნენ მილიონერები

• ზაფხულის დადგომისთანავე, რეჟისორმა **ჯორჯ ლუკასმა** სამეფო სარკინიგზო ხაზი იქირავა, რომელიც ტორონტოდან ვანკუვერამდე მოძრაობს. 10-ვაგონიან მატარებელში 32 ადგილია. დამსვენებლებს რეჟისორთან ერთად მოგზაურობა და კანადის ულამაზესი ხედებით ტკბობა შეუძლიათ. გარდა ამისა, მატარებელში შემორჩენილია ჩერჩილის კაბინეტი.

• 10 წლის წინ, მარტოხელა დედა — **ჯოან როულინგი** ედინბურგის ოროთახიან ბინაში ცხოვრობდა. ის დღეს მილიონერი მწერალია, რამდენიმე სახლისა და ვილის მფლობელი. მწერალმა ზაფხული საკუთარ აგარაკზე, შოტლანდიის მთებში ჩამალულ სოფელში გაატარა. მეზობლებისგან ნატურალურ პროდუქტებს ყიდულობდა და მათ მოსავლის მოყვანა-დაბინავებაში ეხმარებოდა.

• ტკბილეულობის კომპანიის „მარსი“ მფლობელმა — **ფორესტ მარს-უმცროსმა** შვებულება მონტანას შტატში, საკუთარ რანჩოზე გაატარა.

• **სულეიმან ქერიმოვი** საკუთარ გიგანტურ იახტაზე ისვენებდა, სადაც ვერტმფრენის დასაჯდომი ადგილიცაა. იგი მდიდრულად ცხოვრობს და გართობაში ფული არ ენანება. 40 წლის იუბილეზე მის სტუმრებს **კრისტინა აგილერა** და **შაკირა** ართობდნენ. მომღერლებს მილიონერმა 2.2 მლნ დოლარი გადაუხადა.

• საძიებო სისტემის Google დამფუძნებელმა და მფლობელმა **ლარი პეიჯმა** შვებულება „ნასას“ კოსმოსურ ბანაკში გაატარა.

• **ჯორჯ სოროსი** აიდაჰოს ერთ-ერთ სათხილამურო კურორტზე „სან უოლეი“ ისვენებს. 1936 წლამდე ქალაქში 3 ათასი ადამიანი ცხოვრობდა. შემდეგ ვილები ცნობილმა მსახიობებმა აიშენეს. წლების განმავლობაში აქ ცხოვრობდა ერნესტ ჰემინგუეი. სოროსის მეზობლები არიან არნოლდ შვარცენეგერი და ბრიუს უილისი.

• **ბილ გეიტსმა** შვებულება გრენლანდიის დასავლეთ ნაწილში, მაღალმთიან სათხილამურო კურორტზე გაატარა. მილიარდერი მთის მწვერვალზე ვერტმფრენით ადიოდა. იქიდან გეიტსი სრიალით ეშვებოდა და დასვენების შემდეგ, ვერტმფრენს ისევ მთაზე აჰყავდა.

• „იკეას“ დამფუძნებელ **ინგვარ კამპრადისთვის** საუკეთესო დასვენება თევზაობაა, მაგრამ მილიონერმა წლევანდელი ზაფხული შვეიცარიის ერთ-ერთ სოფელში გაატარა, სადაც საკუთარ ვენახს უვლიდა. ■

• XIX საუკუნეში, წვეულებაზე მამაკაცს ერთსა და იმავე ქალთან სამჯერ ცეკვა არ შეეძლო. თუ პარტნიორი ძალიან მოეწონებოდა, მეორე ცეკვის შემდეგ მასზე უნდა დანიშნულიყო.

• მიუხედავად იმისა, რომ უამრავი დანიშნულების ხელთათმანი არსებობს (სპორტული, სანადირო, მეჯლისის და ა.შ.), მისი ხელზე საჯაროდ მორგება მიუღებელი იყო.

• XIX საუკუნეში ღირსეული ინგლისელი მანდილოსანი საზოგადოებაში არ ქსოვდა. ბოლო დროს ამ საქმიანობით ინგლისელი მამაკაცები დაინტერესდნენ.

წარსულის უხამსობები

ფეხბურთისა და პოლიტიკის შემდეგ, ქსოვა ძლიერი სქესის საყვარელი გასართობია.

• წლების წინ, ბულგარეთში ღვინო „კაპიკები“ ღირდა და პატივცემულ მამაკაცს დღეში ლიტრნახევარი სასმელი უნდა დაელია. საუკეთესო მასპინძელი სტუმრებს რამდენიმე ათეული ლიტრი ღვინით უნდა გამასპინძლებოდა.

• ძველად ტაილანდში მოსაუბრე დამცირებულად გრძნობდა თავს, თუ ლაპარაკისას მას თავზე შეეხებოდა ან ხელს მხარზე შემოადებდა. ■

ანეკდოტები

***

ექიმი ეკითხება პაციენტს:
— ღამე როგორ გძინავთ?
— როგორ გითხრათ... სამამდე ვითვლი და ვიძინებ.
— როგორ, ყოველთვის სამამდე ითვლით?
— ზოგჯერ ოთხის ნახევრამდეც.

***

ცოლი ქმარს ეკითხება:
— სად იყავი ამდენ ხანს?
— ძაღლთან ერთად ვსეირნობდი.
— ჩვენ რომ ძაღლი არ გვყავს?
— ქუჩაში გავიცანით ერთმანეთი.

***

კაცი უდაბნოში მიდის, წყურვილისგან იხრჩობა. დაინახა ჭა და გახარებული აყვირდა:
— წყალი! წყალი!
ჭიდან ვიღაც ბიძამ ამოყო თავი:
— საააად?!.

***

სვანი ახლობლებმა გააბრაზეს. ადგა, თვალები დახუჭა და ამბობს:
— ისხედით ახლა სიბნელეში!

***

ცოლი ქმარს საყვედურობს:
— ვერ ვიგებ, რითი ხარ უკმაყოფილო, ყოველ დილით ყავა მომაქვს ლოგინში... მარტო დაფქვაღა სჭირდება...

***

2 ინგლისელი მატარებლით მგზავრობს. კუპეში ერთმა ამოიღო ფორთოხალი, გაფცქვნა, მარილი მოაყარა და ფანჯრიდან გადააგდო. ამოიღო მეორე ფორთოხალი, მესამე და ასე შემდეგ. მეორე მგზავრმა ვეღარ მოითმინა:
— სერ, რატომ აგდებთ ფორთოხალს ფანჯრიდან?
— იცით, სერ, მე არ მიყვარს მარილიანი ფორთოხალი...

***

— ჩვენი ფირმა მოლარეს ეძებს.
— ხომ აიყვანეთ ერთი კვირის წინ?
— აი, სწორედ მაგას ვეძებთ.

***

— თქვენმა ძაღლმა მიკბინა. მე კომპენსაციას მოვითხოვ!
— კი, ბატონო! მე გავაკავებ და თქვენ უკბინეთ!

***

შაბათს, საღამოს, მიხო და მარო სტუმრად წასასვლელად ემზადებიან. მარო სარკესთან იპრანჭება:
— მიხო, როგორ გამოვიყურები?
— როგორც ყოველთვის!.. მაგრამ არა უშამს, მალე ბნელდება!

***

სვანი აივანზე დგას და ხმალს იქნევს:
— რას აკეთებ?
— ბიჭი შემეძინა და თოფი არა მაქვს.

***

ბიჭი სახლში დალილავებული დაბრუნდა.
— რა დაგემართა? — ეკითხება დედა.
— წვეულებაზე ვიყავი მეგობარ გოგოსთან, ღამბადას ვცეკვავდით და ყრუ მამამისი არ დაგვადგა თავზე!..

გონების სავარჯიშო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის (კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვეტისკენ არ გაგექცეთ თვალი

1. დაასახელეთ ქვეყანა სამხრეთ ამერიკაში, რომლის მოქალაქეებიც თავს იწონებენ, — ჩვენს სამშობლოში მწვანე ფერის 205 გრადაცია შეგიძლიათ იხილოთო.
2. ვინ იყო გამოსახული 100.000-დოლარიან კუპიურაზე, რომელიც 1934 წელს ამოიღეს ბრუნვიდან?
3. დაასახელეთ ფიზიკური ნაკლი, რომელმაც ხელი ვერ შეუშალა არგენტინელ მწერალ ხორხე ლუის ბორხესს, არგენტინის ნაციონალური ბიბლიოთეკის დირექტორი გამხდარიყო.
4. რა არის თული?
5. რა არის ომბოხი?
6. ერთხელ ოლივერ კრომველს მეგობრებმა ქუჩაში გამოსულ უზარმაზარ ბრბოზე მიუთითეს: შეხედე, რა აღფრთოვანებით გხვდება ხალხიო. რა უპასუხა კრომველმა?
7. დაასახელეთ რომის იმპერატორი, რომელმაც ბიზანტიონში გადაიტანა დედაქალაქი და კონსტანტინეპოლი უწოდა.
8. ლეონიდ ბრეჟნევი გამოუსწორებელი მწეველი გახლდათ, თუმცა ცხოვრების ბოლო წლებში ექიმების დაჟინებული მოთხოვნით, იძულებული გახდა, მკვეთრად შეემცირებინა თამბაქოს მოხმარება. მას სპეციალური პორტსიგარიც კი დაუმზადეს. რით იყო განსაკუთრებული ეს პორტსიგარი?
9. რაში იყენებდნენ ფაშისტები საკონცენტრაციო ბანაკთა ღუმლებში დამწვარ ებრაელთა ფერფლს?
10. დაასახელეთ საფრანგეთის პირველი მინისტრი, რომელიც ხელს უწყობდა ფრანგების კოლონიზაციას კანადაში, ანტილის კუნძულებზე, სან-დომინგოში, სენეგალსა და მადაგასკარზე.
11. დაასრულეთ ტელეკომპანია „ბიბისის“ დევიზი: „რთულ ამოცანებს დაუყოვნებლივ ვაგვარებთ, შეუძლებელს — ...“

***

საავადმყოფოში თავგატეხილი პაციენტი მიიყვანეს. ექიმმა ანკეტის შევსება დაიწყო:

— ცოლიანი ხართ?

— არა, ავარიაში მოვყევი.

***

ერთი ექიმი მეორეს შესჩივის:

— გუშინ პაციენტი მომიკვდა. კუჭის წყლულზე ვმკურნალობდი, გაკვეთამ კი აჩვენა, რომ კიბო ჰქონია.

— ეგ რა არის, — პასუხობს მეორე, — პაციენტს მთელი თვე სიყვითლეზე ვმკურნალობდი და თურმე ჩინელი ყოფილა.

***

საწოლში მოხუცი ცოლ-ქმარი წევს. ცოლი ეუბნება:

— გახსოვს, ძილის წინ ხელზე ნაზად რომ მეფერებოდი?

ქმარი ხელზე მოეფერა.

— ძილის წინ შუბლზე რომ მკოცნიდი?

ქმარმა შუბლზე აკოცა.

— კიდევ, ყელზე რომ მკბენდი...

კაცმა ამოიოხრა და საბანი გადაიძრო.

— სად მიდიხარ?

— კბილებს ავიღებ...

***

სიცხეა, ჯალათს სიკვდილმისჯილი კლდიდან გადასაგდებად მიჰყავს.

— გამიშვი, რა, — ეხვეწება პატიმარი.

— არა.

— აღარ შემიძლია ამდენი სიარული!

— შენ რა გიჭირს, უკან არ იქნები წამოსასვლელი!..

***

— მიხო, ავარია და კატასტროფა ერთი და იგივეა?

— არა, მარო, კატასტროფა — მე რო ვირი მომპარეს, ისაა. აი, დედაშენი კიტრს რო წაიღებს თბილისში გასაყიდად, მანქანა რო დაეჯახება და მოკლამს, ეგ არის ავარია.

***

— რომელი საათია?

— ახლა თუ საერთოდ?

***

— მამა სიმთვრალე რას ნიშნავს?

— აი, ხომ ხედავ, იქ ოთხი ხეა, ჰოდა, მთვრალს რვად ეჩვენება. მიხვდი?

— მივხდი, მივხვდი... ისე, მანდ 4 კი არა, 2 ხეა.

***

შოთიკოს მამა შვილის კლასელის მამასთან რეკავს:

— დაუწერეთ თქვენს შვილს საშინაო დავალება?

— კი!

— აუ, გადამაწერინეთ, რაა!..

***

— აბრაამ, რატომ ხარ მოწყენილი?

— გუშინ დოლარები ვიყიდე და ფული აღარ დამრჩა.

***

შუაღამისას ცოლი ქმარს აღვიძებს:

— ძილში რატომ კვნესოდი?

— ნატაშა დამესიზმრა.

— ვინ ნატაშა?!.

— შენ არ იცნობ, სიზმარში გავიცანი.

გონების სავარჯიშო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. პანამა.
2. ვუდრო ვილსონი.
3. ბორხესი უსინათლო იყო, როცა ბიბლიოთეკის დირექტორად დანიშნეს.
4. თული და ყაჩაღი სინონიმებია.
5. ფეხმოკვეთილი ადამიანის ხის ფეხს ომბოხი ჰქვია.
6. „ეგენი უფრო მეტნი იქნებოდნენ, ჩამოსახრჩობად რომ მივყავდე“.
7. კონსტანტინე I.
8. მასში ტაიმერი იყო ჩამონტაჟებული და მისი გახსნა მხოლოდ საათში ერთხელ შეიძლებოდა.
9. მიწის სასუქად. ხშირად მოყინულ გზებზე ყრიდნენ, მანქანები რომ არ მოცურებულიყო.
10. კარდინალი რიშელიე.
11. „ოდნავ მოგვიანებით“.

ჩვენი ფოტოგალერეა

ჰოროსკოპი

29 სექტემბერი - 5 ოქტომბერი

ვერძი

ახალი საქმეების წამოწყებამდე რამდენიმე დღე ქალაქგარეთ დაისვენეთ. საოჯახო საქმეები მეუღლესთან ერთად მოაგვარეთ. შვილების სწავლაზე ფული არ დაინანოთ.

ხუცრი

გაუფრთხილდით ჯანმრთელობას. მეტი დრო გაატარეთ ბუნებაში. მიიღეთ ვიტამინები და დილაობით ივარჯიშეთ. სახლი გაათავისუფლეთ ძველი, უსარგებლო ნივთებისგან.

ტყუპი

მეგობრების დაუდევრობის გამო საქმიანი გეგმები ჩაგეშლებათ. სამაგიეროდ, გაგიუმჯობესდებათ ურთიერთობა ნათესავებსა და მეზობლებთან. კვირის ბოლოს მოსალოდნელია რომანტიკული შეხვედრა.

ქიბრიხიბი

სამსახურში დაძაბული გრაფიკი გექნებათ. კვირის ბოლოს გაგიუმჯობესდებათ მატერიალური მდგომარეობა და ოჯახისთვის ახალი ნივთების შეძენას შეძლებთ.

ლომი

მთელი კვირა შეხვედრებით გექნებათ დატვირთული. ახალი კონტრაქტების გაფორმებისას ყურადღება გამოიჩინეთ. გაგიუმჯობესდებათ ურთიერთობა საყვარელ ადამიანთან.

ქალწუული

გაფრთხილდით, გაქურდვის მსხვერპლი არ გახდეთ. კვირის მეორე ნახევარი ქალაქგარეთ გაატარეთ და მეგობრებთან ერთად დაისვენეთ.

სასწორი

კვირის დასაწყისში საოჯახო და სამსახურებრივი საქმეების მოგვარება, მარტოს, სხვების დაუხმარებლად მოგიწევთ. მეორე ნახევარში ახალ სამსახურს შემოგთავაზებენ.

ღრიანცელი

დეპრესიული განწყობილება საქმეების დასრულებაში შეგიშლით ხელს. შეგექმნებათ ფინანსური პრობლემები. არ წამოიწყოთ ახალი საქმეები. მოერიდეთ კონფლიქტს გარშემო მყოფებთან.

მშვილდოსანი

მთელი კვირა მეგობრების საქმეების მოგვარებით იქნებით დაკავებული, რის გამოც საყვარელ ადამიანთან და ნათესავებთან უსიამოვნება არ აგცდებათ.

თხის რქა

მიზნის მისაღწევად შრომა მოგიწევთ. გაგიუმჯობესდებათ ფინანსური მდგომარეობა. გათავისუფლდით უსარგებლო ნივთებისა და მომაბეზრებელი ურთიერთობებისგან. ვარჯიში ენერგიას შეგმატებთ.

მეოცნებე

ახალ მეგობრებს გაიჩენთ, რომლებიც ცხოვრების გახალისებაში დაგეხმარებიან. კვირის ბოლოს გაგიუმჯობესდებათ ურთიერთობა საყვარელ ადამიანთან.

თევზები

კარგი პერიოდია ფულის დასაბანდებლად. ტრავმების ასაცილებლად მეტი ყურადღება გამოიჩინეთ მგზავრობისას. კვირის მეორე ნახევარში დაასრულეთ ძველი საქმეები.

ნაყინი და ადამიანი

დააკვირდით, როგორ ნაყინს მიირთმევს თქვენი საყვარელი ადამიანი და ამოიცანით მისი ბუნება.

მჟავე ხილის (ლიმონი, ალუბალი) ნაყინი ენერგიულ ადამიანს მოსწონს. ის მუდამ მზადაა ექსპერიმენტებისთვის. კეთილი, დამყოლი ადამიანი ტკბილი ხილის (გარგარი, ბანანი) ნაყინს ანიჭებს უპირატესობას. კრემბრულეს გურმანი მიირთმევს, პლომბირს — ასაკოვანი ადამიანი. ის პატივს სცემს ტრადიციებს, ოჯახს, მოსწონს რეტრო სტილი. ვაფლის ჭიქის ნაყინი წუწუნა ადამიანს მოსწონს. არასდროს ითვალისწინებს სხვის აზრს და ყოველთვის ისე იქცევა, როგორც მოესურვება. პრაგმატული, ზრდილობიანი და თავშეკავებული ადამიანი ქაღალდის ჭიქის ნაყინს ყიდულობს. ადამიანი, რომელიც საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული არაა, ესკიმოს ეტანება. საქმიანი ადამიანი შოკოლადში ამოვლებულ ჯოხიან ნაყინ-ბატონს მიირთმევს. სექსუალური ადამიანები შოკოლადის ნაყინს მიირთმევენ; ლაღი, ყველასთან გახსნილი — ვანილისას; თხილის ნაყინს ტრადიციების მოყვარული, ერთგული ადამიანი ანიჭებს უპირატესობას; მარწყვის ნაყინს სენტიმენტალური ადამიანი მიირთმევს. იგი საკუთარ თავს სხვების კეთილდღეობას შესწირავს.



ტაიმ-აუტი

1. ქვეყანა ევროპაში
2. კარგი მორბენალი ცხენი
3. თითი
4. დაუმუშავებელი მიწა
5. მეტისმეტად ღარიბი
6. კორიდის მონაწილეთა პარადი
7. ქვეყანა ბალტიისპირეთში
8. მდინარე აფრიკაში
9. კავკასიელ მთიელთა სოფელი
10. ირანის დედაქალაქი
11. კეთილი საქმე
12. უზარმაზარი ქანდაკება
13. ალკოჰოლი
14. თამასუქი
15. ოენისის ძვ. ქართული სახელწოდება
16. ცხენირემი
17. სპირტიანი სასმელი
18. ორსახა ღმერთი
19. ძვირფასი ქვა
20. ტბა რუსეთში
21. მდინარე იტალიაში
22. ფოთლოვანი ზე
23. გადაადგილების საშუალება
24. კაზინო
25. აღმოსავლური სიმებიანი საკრავი
26. მთამსვლელი
27. ექსპერიმენტი
28. მხარე იმერეთში
29. მნათობი
30. ძაღლის ჯიში
31. საკრავზე გაბმული მავთული
32. ფერთა შეხამება
33. პერუს დედაქალაქი
34. სურდო
35. ფინელი ავტომრბოლელი
36. ქვეყანა აფრიკაში
37. სხვის ხარჯზე მცხოვრები
38. ლეგენდარული ქართველი კომიკოსი

წინა ნომრის სკანვორდის პასუხები 1. მარყუჟი; 2. ყადი; 3. ფულურო; 4. ჟაკანი; 5. ზანდუკი; 6. სეკატორი; 7. უნარი; 8. ონი; 9. სიმამრი; 10. ტალავერი; 11. ტიტანიკი; 12. მინა; 13. სტატია; 14. ყვირილი; 15. ატილა; 16. ჯავრი; 17. ტოიოტა; 18. სატელიტი; 19. ტირე; 20. საქსოფონი; 21. ლავა; 22. ბაჯაღლო; 23. რესორი; 24. ყანა; 25. წაღმა; 26. ვიწრო; 27. მინარეთი; 28. სილოსი; 29. ქაფი; 30. ილო; 31. კიი; 32. რეი; 33. ია; 34. კლიფსი; 35. ოქრო; 36. რეევრსი; 37. კოლონია; 38. სინოდი; 39. კვიცი.
სურათებზე: მაზერატი; ლექსუსი.

ძველი ფოტო — დები საზერლენდები

100-150 წლის წინ, ქალის სილამაზის ეტალონად გრძელ თმას მიიჩნევდნენ. ლოკპორტში (ნიუ-იორკის შტატი) მცხოვრებმა დებმა საზერლენდებმა სახელი სწორედ დალალებით გაითქვეს. შვიდი დის თმის საერთო სიგრძე 11 მეტრი იყო. დებს შორის უფროსს — სარას სოპრანო ჰქონდა და ფორტეპიანოზე უკრავდა; ვიქტორიას მეცო-სიპრანო ჰქონდა. 45 წლის ასაკში 19 წლის ბიჭს გაჰყვა ცოლად; იზაბელა გრეისი გარდაცვლილი დის შვილებს ზრდიდა; ნაომი შოუმენ ჰენრი ბეილის ცოლი იყო. წყვილს 3 შვილი გაუჩნდა; დებს შორის დორა ყველაზე ლამაზი გახლდათ; უმცროსმა — მერიმ 100 წელზე მეტი იცხოვრა, მაგრამ ფსიქიკურად დაავადდა და უკანასკნელი წლები ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ გაატარა.

დები „ბარნუმისა და ბეილის ცირკში“ გამოდიოდნენ. გასტროლებითა და რეკლამით კი მილიონინანი ქონება დააგროვეს. ბარნუმი მათ „შვიდ ყველაზე სასიამოვნო საოცრებას“ ეძახდა. დებს კარგი ხმა ჰქონდათ და ძმასთან (ჩარლზ კერელი) ერთად, გასტროლებზეც დადიოდნენ. „საზერლენდების კონცერტი, შვიდი და და ერთი ძმა“ — ასე ერქვა მათ წარმოდგენას. ისინი ეკლესიაში გალობდნენ. სალუნებში (ბარი, ტრაქტირი) ბალადებს მღეროდნენ. „ბარნუმისა და ბეილის ცირკის“ მონაწილეებისგან განსხვავებით, დებს ფიზიკური ნაკლი არ ჰქონდათ (ცირკში ლილიპუტები, მახინჯები და

საზერლენდების ოჯახი

სიამის ტყუპები მონაწილეობდნენ). დების მამა — ფლეტჩერ საზერლენდი აშშ-ის პრეზიდენტ ჯეიმს ბიუკენენის აპარატში მუშაობდა. უმცროსი მერი 3 წლის იყო, როცა გოგონების დედა გარდაიცვალა. ფლეტჩერი ცნობილი იყო, როგორც მწერალი, გამომგონებელი და პოლიტიკოსი (დების ბაბუა — პოლკოვნიკი ენდრიუ საზერლენდი 1812 წელს ანგლოამერიკულ ომში მონაწილეობდა). მოგვიანებით, მამის დახმარებით, დებმა საოჯახო რეცეპტით შამპუნის, თმისა და კანის მოვლის საშუალებების დამზადება და გაყიდვა დაიწყეს. საკუთარ საქონელს რეკლამასაც თავად უწევდნენ. 1890 წელს მათ 3 მლნ დოლარის საქონელი გაყიდეს.

შემოსავლის მიუხედავად, დებს ხარჯიც დიდი ჰქონდათ. საზერლენდებს უამრავი ადამიანი ემსახურებოდა (დამლაგებლები, მზარეულები, მომვლელები, მძღოლები, ლაქიები), ჰყავდათ შინაური ცხოველები. ბევრ თანხას ხარჯავდნენ სამოსსა და ძვირფას სამკაულებზე, მოგზაურობასა და სასახლეებზე. დებს ერთად ცხოვრება სურდათ და ამიტომ მშობლიურ ქალაქში ზღაპრული სასახლე ააშენეს. საზერლენდებს ეშინოდათ, მათ ქონებას უცხოები არ დაჰპატრონებოდნენ და ამის გამო ოთხი და გაუთხოვარი დარჩა, მხოლოდ ერთს ჰყავდა შვილები.

დებმა საინტერესო ცხოვრებით იცხოვრეს. პოპულარობით იმ პერიოდის ვარსკვლავებს — მერი პიკფორდს, ჩარლი ჩაპლინს, მეი უესტს, დუგლას ფერბენქსს არ ჩამოუვარდებოდნენ. როცა თმის მოვლის საშუალებებმა არ გაამართლა, გამდიდრების მიზნით, ახალი საქმიანობა წამოიწყეს. სუვენირებად ყიდდნენ საკუთარ ფოტოებს, ავტოგრაფებს და თმის დალალებსაც კი. ■

იაპონური სენსაციის სუდოკუ

„გზის“ წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები

9	6	5	4	2	1	8	7	3
8	2	4	5	3	7	9	6	1
7	3	1	8	9	6	4	2	5
6	5	7	1	8	4	3	9	2
2	8	3	6	7	9	5	1	4
4	1	9	2	5	3	7	8	6
3	4	2	7	1	8	6	5	9
1	7	6	9	4	5	2	3	8
5	9	8	3	6	2	1	4	7

4	9	3	2	7	6	1	5	8
7	2	1	8	5	4	6	3	9
5	6	8	3	1	9	4	2	7
1	7	6	5	9	3	2	8	4
3	5	4	7	2	8	9	1	6
9	8	2	4	6	1	3	7	5
6	1	5	9	3	7	8	4	2
2	4	9	1	8	5	7	6	3
8	3	7	6	4	2	5	9	1

4	5	2	7	8	6	1	3	9
9	3	1	5	2	4	8	6	7
6	8	7	1	3	9	5	4	2
8	1	4	2	7	5	6	9	3
3	7	6	9	1	8	2	5	4
2	9	5	4	6	3	7	1	8
5	4	8	6	9	7	3	2	1
7	2	9	3	5	1	4	8	6
1	6	3	8	4	2	9	7	5

* მარტივი

7		3						4
	2		1	8	6			
	9				5			
				6	3		9	8
5	6	4		1		7	2	3
	7				2			
	4	2	8					
6		1				8	7	

** საშუალო

					7	2		
		6	5			4		
	5				6			1
		1			3		6	
		5	7			3		
	6		8		1	5		
8			3				7	
		7			4	1		
		3	2					

*** რთული

			7			1		
7			6			9		
	1				4		7	
5			8		9		1	
		4		2		7		
	9				5			3
	6		4				5	
		5			8			7
		8			2			

ფოტოკუჩიოზები

ჟურნალი მხოლოდ ქალებისთვის

...და ქალი

№10

ოქტომბერი

ფასი 2 ლარი

გამოდის თვის დასაწყისში

...„და ქალის" ამ ნომერთან ერთად შეიძინეთ ქენდის ბუფნელის ბესტსელერი

„ქერის დღიურები"
ნაწილი II

ფასი 3 ლარი,

„გამომცემლობა პალიტრა L“-ის წიგნები

გთავაზობთ დიდ ფასდაკლებას შემდეგ წიგნებზე:

ინტელექტი დანაშაულის წინააღმდეგ

დედამიწის საოცარი ადგილები

გრანდიოზული ნაგებობები



~~17 ლარი~~

12 ლარი

გვ. რაოდენობა: 80 გვ.
ფორმატი: 21X28
ყდა: მაგარი

ეს წიგნები მოგითხრობთ ბუნებრივ თუ ადამიანის ხელით შექმნილი საოცრებების, გრანდიოზული ნაგებობების შესახებ. ასევე შეიტყობთ, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საიდუმლოებებს.

რეზო ჭეიშვილი
ახალი კურუ

სიახლე!

ფასი: 6.99

გვ. რაოდ.: 495 გვ.
ფორმატი: 14X20.5
ყდა: რბილი

„სიცილის სენს კურუ ჰქვია... ვაი იმას, ვისაც პირისპირ შეეყრება სიცილის ის ბაცილა! ეკვდება ის ადამიანი სიცილით, ამ სიტყვების პირდაპირი მნიშვნელობით...“ – წერს რეზო ჭეიშვილი, რომელიც თავის წიგნში ბევრ იუმორისტულ მოთხრობასა თუ სკეტჩს გვთავაზობს, განსაკუთრებით კი ის ამბები გამოირჩევა, სადაც ავტორი უზადო ქუთა-ისური იუმორის ნიჭით დაჯილდოებულ ადამიანებზე მოგვითხრობს.

ენტონი ბერჯესი
მექანიკური ფორთოხალი



ფასი: 6.99

გვ. რაოდ.: 216 გვ
ფორმატი: 12X16.5
ყდა: რბილი

სიახლე!

ამ წიგნში მოთხრობილია ამბავი ერთი მელომანი სადისტისა, რომელიც ძალადობის ინსტინქტის ჩასახშობად გამიზნული, არანაკლებ სადისტური მეცნიერული ექსპერიმენტის მსხვერპლი შეიქნა.

ზვიგენი, რომელსაც სიღრმის ეშინოდა

ჟირაფი, რომელსაც სიმაღლის ეშინოდა

ფასი: 11.99

გვ. რაოდ.: 16 გვ.
ფორმატი: 24.5X25
ყდა: ბალიშა

ამ სიურპრიზებით სავსე, მოძრავი ნახატებით გაწყობილი წიგნების საშუალებით თქვენი პატარები გაიგებენ, თუ როგორ სძლია პატარა ჟირაფმა სიმაღლის, ხოლო პატარა ზვიგენმა სიღრმის შიშს და როგორ დაეხმარნენ მათ ამ შიშის დაძლევაში მეგობრები.

შეიძინეთ წიგნის მაღაზიებში!

წიგნები სახლში მიტანით ფასნამატის გარეშე ტელ.: 8(32) 238 26 73; 8(32) 238 26 74 www.elva.ge

უკვე გამოსული ტომები შეგიძლიათ შეიძინოთ წიგნის მაღაზიებში!
50
წიგნი
რომელიც უნდა წაიკითხო,
სანამ ცოცხალი ხარ!
სახელი, გვარი:
ჯონ ვოიჩიკი ტ მეტიდლოტ
პროფესია:
ალეკსანდროსი
ასაკი:
74 წლის
17-დან
24 ოქტომბრამდე
31 ოქტომბრიდან -
7 ნოემბრამდე
მაგამ ბოვარი
ბუსტავ ფლობერი
ნიანდლი
ნიანდლი და მაგი
სტენდალი
მარიო პიუზო
ნათლია
წიგნი 21
მარიო პიუზო
3-დან – 10
ოქტომბრამდე
ნიკოლოზ ნიკანორ
ულიანოვ ილიანოვ!
მხოლოდ „კვირის პალიტრის“
მკითხველისთვის წიგნის სპეციალური
ფასი - 7 ლარი
პალიტრა
რამდენი ჩემ ბავშვობა და ძალიან ვიცინოდნენ!